

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე

2013, №2

ვალდებულებითი სამართალი

საძიებელი

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი.
მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების
გამოყენება ვალდებულების დარღვევისას

სავალო საბუთის მოთხოვნის უფლება

მოვალის მიერ ვადის გადაცილება

საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის

პროცენტი ფულადი თანხის გადახდის
ვადაგადაცილებისათვის

თავდების პასუხისმგებლობა მოვალის მიერ
ვალდებულების შეუსრულებლობისას

ნასყიდობის ხელშეკრულება
კრედიტორის უფლება სხვა შესრულების მიღებაზე

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა
ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის
განსაზღვრული ვადის არარსებობისას

სადაზღვევო თანხის ანაზღაურება

ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების
დაბრუნების დაყოვნებისათვის

გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების
ხანდაზმულობის ვადა. სუბროგაცია

სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულება

კანონისმიერი ვალდებულებანი
საზიარო საგნის მართვა

საერთო საკუთრებით სარგებლობის უფლება

უსაფუძვლო გამდიდრება
ვალდებულების შესრულების მიღება
არაუფლებამოსილი პირის მიერ

დელიქტური ვალდებულება.
ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება
მორალური ზიანის ანაზღაურება

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება ვალდებულების დარღვევისას

ბანკინება

№ას-1300-1320-2011

27 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 30 ოქტომბერს ჯ. ზ. ა-მა და ლ. ა-მა სარჩელი აღძრეს ჯ. ჩ-სა და კ. ბ-ის მიმართ და მოითხოვეს ფულადი ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს დაკისრება შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 4 აგვისტოს მოსარჩელებსა და მოპასუხეებს შორის დაიდო საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც დამონმდა სანოტარო წესით. საინვესტიციო ხელშეკრულების თანახმად, ინვესტორებს უნდა მოეზიდათ 500 000 აშშ დოლარი იმისათვის, რომ მოპასუხეების დახმარებით შესაძლებელი ყოფილიყო თბილისში, ვ-ის ქ. 12/14-ში მდებარე 608 კვ.მ მიწის ნაკვეთის შექმნა სხვადასხვა ფიზიკური პირებისაგან, შემსრულებლებს კი შექმნილ მიწის ნაკვეთზე უნდა უზრუნველყოთ საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული ფართის აშენება, მისი გაყიდვადა ინვესტორებისათვის ინვენსტიციისა და მოგების დაბრუნება. იმისათვის, რომ ინვესტორებს საინვესტიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეესრულებინათ, თავად მოუწიათ სესხის აღება ისრაელში, კერძოდ, ბანკ „ლ-ში“. კრედიტის სახით მიღებული თანხა ჯ. ზ. ა-ს ჩაერიცხა ორ ტრანშად – 2007 წლის 27 აგვისტოს 550 000 შეკელი და 525 000 შეკელი. ამდენად, ინვესტორების მიერ საინვესტიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულ იქნა სრულად, გადახდილ იქნა 500 000 აშშ დოლარი. საინვესტიციო ხელშეკრულება შემსრულებლებმა არ შეასრულეს, რადგან ინვესტიციისა და სარგებლის დაბრუნება უნდა განხორციელებულიყო შემდეგნაირად: მე-16 თვეს – 400000, მე-17 თვეს – 400000 და მე-18 თვეს – 400000 დოლარი. თანხის დაბრუნების ვადა უნდა ათვლილიყო 2007 წლის სექტემბრიდან. მოსარჩელების მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მოპასუხეებმა ვალდებულება არ შეასრულა.

მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელების მიერ სრულად არ შესრულებულა ვალდებულება 500 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელების თაობაზე. მოსარჩელებს წარმოდგენილი არა აქვთ სათანადო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს მათ მიერ შემოაღნიშნული თანხის გადახდას. საბანკო ბრუნვის ამონაწერები და გასავლის ორდერები ვერ ჩაითვლება სათანადო მტკიცებულებად, ვინაიდან ისინი ადასტურებენ მხოლოდ მოსარჩელის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვას და მის მიერვე თანხის გამოტანას, მაგრამ არა სრულად დაბანდებსა და ხელშეკრულების პირობის შესრულებას. ხელშეკრულების მთავარი პირობა იყო ქ. თბილისში, ვ-ის ქ.12/14-ში მდებარე 608 კვ.მ მიწის ნაკვეთის შექმნა. აღნიშნული ფართი სრულად არ იქნა შექმნილი, ანუ არ შესრულებულა ხელშეკრულების მთავარი პირობა. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინვესტორს დამატებითი ხელშეკრულებები უნდა დაედო შემსრულებლებთან, რომლითაც ინვესტორი გადმოსცემდა ყველა უფლებასა და ვალდებულებას მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან და ა.შ. დაკავშირებით. მსგავსი ხელშეკრულება ინვესტორებს (მოსარჩელებს) არ დაუდიათ.

მოსარჩელები ცდილობენ, მხარეთა შორის არსებული მიმონერით დაამტკიცონ მათ მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი, იყენებენ რა მოპასუხეების მიერ გაგზავნილ წერილებს, რაც არასწორია. დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა მოთხოვნა განხორციელებული ინვესტიციის თანხის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული თანხით მოპასუხეებს რაიმე სარგებელი არ მიუღიათ. სარგებელი მხოლოდ მოსარჩელებმა მიიღეს, ვინაიდან მათ მიერ ნაწილობრივ განხორციელებული ინვესტიციით, მათ შეიძინეს ფართი, რაც დღემდე მათი საკუთრებაა. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, ვინაიდან ხელშეკრულება არ დარღვეულა, ვერც ეს მოთხოვნა ჩაითვლება საფუძვლიანად, იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულებით პირგასამტეხლოზე არ შეთანხმებულან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ზ. ა-ისა და ლ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა ჯ. ზ. ა-ისა და ლ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 4 აგვისტოს, ერთი მხრივ, მოსარჩელებს ჯ. ზ. ა-ის, ლ. ა-ის (ინვესტორი) და მეორე მხრივ, მოპასუხეებს კ. ბ-სა და ჯ. ჩ-ს (შემსრულებელი) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მხარეები შემდეგ არსებითი პირობებზე შეთანხმდნენ: ინვესტორი განახორციელებდა 500 ათასი დოლარის ოდენობით ინვესტიციას, თბილისში ვ-ის 12/14-ში მდებარე 608კვ.მ მიწის ნაკვეთის შექმნის მიზნით, რაც აღირიცხებოდა ინვესტორის საკუთრებად, ხოლო შემსრულებლები აწარმოებდნენ მშენებლობას აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე და დაასრულებდნენ მას მიწის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებიდან და მისი ინვესტო-

რის საკუთრებად რეგისტრაციიდან თვრამეტ თვეში. ინვესტორს მინის ნაკვეთი უნდა შეეძინა იმჟამინდელი მფლობელებისაგან, ხოლო თავის სახელზე მინის რეგისტრაციაში მას დახმარებას უწევდნენ შემსრულებლები. შემსრულებლებსვე გადაეცემოდათ ინვესტორისაგან ამ უკანასკნელის საკუთრებად რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე მყოფი მცხოვრებლების განსახლება და მშენებლობის განხორციელებისთვის, ასევე საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული ფართის გაყიდვისათვის საჭირო ყველა უფლება-მოსილება და ვალდებულება. „შემსრულებლები“ იღებდნენ ვალდებულებას, დაებრუნებინათ ინვესტორისთვის ინვესტირებული თანხა სარგებელთან 700 000 დოლართან ერთად თვრამეტ თვეში შემდეგი გრაფიკით: მე-16 თვეს – 400 000 აშშ დოლარი, მე-17 თვეს – 400 000 აშშ დოლარი, მე-18 თვეს – 400 000 აშშ დოლარი. სულ 1 200 000 აშშ დოლარი. მხარეების შეთანხმებით, შემსრულებლებს უნდა შეეცყობინებინათ ინვესტორისთვის სამშენებლო გეგმის, არქიტექტურული დიზაინის, გასაშენებელი ფართის ზომის, სართულების რაოდენობის მშენებლობის ნებართვების ღირებულების, მშენებლობის წარმოების პერიოდის შესახებ. სანამ არ გაიცემოდა ნებართვა, ბიზნესიც არ განხორციელდებოდა. ინვესტორი მონაწილეობას არ იღებდა როგორც მშენებლობის, ასევე აშენებული ფართების რეალიზაციის პროცესში და ამას შემსრულებლები აკეთებდნენ თავიანთი შეხედულებით, გარდა ფასადის მხარეს არსებული კომერციული ფართის 50%-ისა, რომლის გაყიდვაც მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელი იყო საინვესტიციო თანხისა და სარგებლის სრულად გადახდის შემთხვევაში. ამასთან, ინვესტორი შემსრულებლებს გადასცემდა ყველა უფლებას თავის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელების მიზნით, გარდა მისი გასხვიების ან რაიმე ვალდებულების უზრუნველყოფის გამოყენებისა, რაც ემსახურებოდა შემსრულებელთა მიზნის მიღწევისთვის ინვესტორის, როგორც მინის ნაკვეთის მესაკუთრის მხრიდან რაიმე დაბრკოლების აღკვეთას. საინვესტიციო თანხისა და სარგებლის სრულად და დროულად დაბრუნების შემდეგ ინვესტორი გადასცემდა მინის ნაკვეთს შემსრულებლებს ან მათ მიერ მითითებულ ნებისმიერ პირს საკუთრებაში (ვ.გ. პუნქტი). თანხის დაბრუნების გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, ინვესტორი უფლება-მოსილი იყო, მინის ნაკვეთი და მასზე არსებული მშენებლობა დაეტოვებინა საკუთრებაში და გაესხვისებინა.

დადგენილია, რომ მოსარჩელებმა განახორციელეს 500 000 დოლარის ინვესტიცია. აღნიშნული გარემოება მოპასუხეებმა, მართალია, სადავოდ გახადეს შესაგებლით, მაგრამ სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოპასუხეთა წარმომადგენელმა განმარტა, რომ განსხვავება იმდენად უმნიშვნელო იყო, აღნიშნულ საკითხს სადავოდ არ ხდიდა. ის გარემოება, რომ მოპასუხეებმა სრულად მიიღეს 500 000 დოლარი, დასტურდება მოპასუხეთა ხელშეკრულების გაფორმების შემდგომი მოქმედებებითაც, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია მოპასუხეთა წერილი რომელშიც აღიარებენ ა-ის მიმართ ვალდებულების დარღვევის ფაქტს, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ეტაპის გადახდის (400000 დოლარის) ვადის გადაცილებას, რაც საქართველოში 2008 წლის აგვისტოში არსებულ საომარ მდგომარეობას დაუკავშირეს და მოითხოვეს ა-ისთვის ვალის დაბრუნების ცხრა თვით გადავადება, ამასთან, მზაობა გამოთქვეს, პასუხი აგონ მიყენებული ზიანისათვის. 2009 წლის 12 ივნისს, მოპასუხეებს მოსარჩელის წერილის პასუხად მისწერეს, რომ, ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო, გადაუვადონ სესხის დაბრუნების ვადა 4-5 თვით. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეთა მიერ არც ერთ წერილობით მტკიცებულებაში არ არის უარყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის – 400 000 დოლარის (პირველ ეტაპზე) დაბრუნების ვალდებულება და არ ყოფილა მითითებული იმ გარემოებაზე, რომ საინვესტიციო თანხის არასრულად მიღების, ინვესტორის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, აღნიშნული თანხა არ უნდა გადახდილიყო, ან უნდა გადახდილიყო უფრო ნაკლები. ამასთან, გადახდის ვადის გადაცილებად, მოპასუხეები უთითებდნენ საქართველოში არსებულ საომარ მდგომარეობას და არა მოსარჩელეთა მიერ საინვესტიციო ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას. ამდენად, პალატა არ იზიარებს მოპასუხეთა პოზიციას სახელშეკრულებო პირობის მოსარჩელეთა მიერ დარღვევის თაობაზე. მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულება – მინის შექმნისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ინვესტირება შესრულებულ იქნა ჯეროვნად. ამასთან, მოპასუხე მხარე მოსარჩელის მიერ სრულად იყო აღჭურვილი მინის ნაკვეთის შესყიდვის უფლებამოსილებით და ახორციელებდა კიდევ შესყიდვას. ინვესტირებული თანხით, ინვესტორის სახელით შექმნილ იქნა ვ-ის 12/14-ში მდებარე მინის ნაკვეთის ნაწილი, მხარეთა განმარტებით, დაახლოებით 271 კვ.მ, რაც დარეგისტრირებულ იქნა ჯ. ა-ის საკუთრებად. აღნიშნული გარემოება ასევე სადავოდ არ არის მხარეთა შორის. მინის ნაკვეთის შესყიდვას, გამყიდველებისთვის თანხის გადახდას და შემდგომში მინის ნაკვეთის ჯ. ზ. ა-ის სახელზე რეგისტრაციას, ამ უკანასკნელის მიერ გაცემული მინდობილობით მისი სახელითა და ხარჯით აწარმოებდა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე, კ. ბ-ი. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად სასამართლო აფასებს საქმეში წარმოდგენილ შემდეგ მტკიცებულებებს: ნასყიდობის ხელშეკრულებები, სადაც მითითებულია, რომ მყიდველის წარმომადგენლად ნასყიდობაში მონაწილეობდა კ. ბ-ი, ხელმოწერილია მის მიერ და მასზე აღნიშნულია ანგარიშსწორების ნესი, კერძოდ, მყიდველი ხელშეკრულების დამონებებისთანავე უხდის გამყიდველს ნასყიდობის ფასს, ხოლო ეს უკანასკნელი უფორმებს ბინას. მხარეთა შორის არ არის სადავოდ, რომ ხელშეკრულებების საფუძველზე ა-ის უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და არც ერთ გამყიდველს პრეტენზია თანხის გადაუხდელობაზე არ გამოუთქვამს, ასევე, საქმეში წარმოდგენილია, მხარეთა მიმონერა, რომლითაც დასტურდება რომ, საინვესტიციო თანხებს ღებულობდნენ მოპასუხეები გამყიდველთათვის გადაცემის მიზნით. სასამართლო სხდომაზე კ. ბ-მა აღინიშნა, რომ იგი მინდობილობის საფუძველზე მონაწილეობდა ქონების შესყიდვაში.

პალატამ უდავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთის შექმნა ემსახურებოდა მხოლოდ მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფას და არა მის მიზანს – როგორც მესაკუთრემ განახორციელოს აღნიშნული ქონების ფლობა – სარგებლობა. აღნიშნული გარემოება დასტურდება მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო პირობით (4.3 პუნქტი), რომელიც მიხედვითაც ინვესტორის სახელზე ქონების აღრიცხვის პერიოდში განისაზღვრა საინვესტიციო თანხისა და სარგებლის დაბრუნებამდე ვადით, რის შემდეგაც ქონება გადაეცემოდა შემსრულებლებს. პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნის ამგვარი უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება არ წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო დათქმას და იგი ნამდვილია. ამასთან, მიწის ნაკვეთი, მხოლოდ სრულად (608 კვ.მ.) შექმნისა და მასზე მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, ხდებოდა მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარისი საშუალება, რადგან მხარეები ადასტურებენ, შესყიდულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის დაწყების შეუძლებლობას, ხოლო, მათი შეთანხმებით, მიწის ნაკვეთის და მასზე აშენებული ნაწილის გაყიდვის გზით ინვესტორის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილება, გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევისთვის, თუ თანხის დაბრუნების ვალდებულება არ შესრულდებოდა შემსრულებელთა მხრიდან უშუალოდ მშენებლობის დაწყების შემდეგ. აღნიშნული სასამართლომ დაასკვნა ხელშეკრულების 4. ლ. პუნქტის გონივრული, მხარეთა ნების შესატყვისი განმარტების შედეგად. მითითებულ პუნქტში საუბარია მიწის ნაკვეთსა და მასზე განხორციელებულ მშენებლობაზე. მხარეთა მიერ უდავოდ დადგენილია, რომ ჯ. ა-ის საკუთრებაში არსებულ, 300 კვ.მ-მდე მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ მხარეთათვის იმთავითვე ცნობილი იყო. ამდენად, შესყიდული მიწის ნაკვეთის ჯ. ა-ის საკუთრებად რეგისტრაციის გამო, მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებულად მიჩნევის შესახებ, მოპასუხეთა პოზიცია სასამართლომ არ გაიზიარა. პალატამ დაადგინა, რომ ხელშეკრულებით მხარეები არ შეთანხმებულან ვადაგადაცილების გამო გადასახდელ პირგასამტეხლოზე. ამ დათქმას არ შეიცავს ხელშეკრულების ქართული ვერსია.

სააპელაციო პალატამ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა, ამასთან, მხარეების შეთანხმება სესხის სარგებელზე პირობით გარიგებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. აღნიშნული დასკვნის მიღებისას სასამართლომ ყურადღება მიაქცია ხელშეკრულების მე-4. ვ. პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებას, რომ სანამ არ გაიცემოდა ნებართვა, ბიზნესი არ განხორციელდებოდა. აღნიშნული დათქმისას მხრეთა ნების განმარტების მიზნით, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მოპასუხეთა წერილს ინვესტორისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ინვესტორს დაუბრუნდება სესხი და სარგებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ დაინყება მშენებლობა, რაიმე მიზეზის გამო, იგი მიიღებს სესხის თანხას და ზიანის ანაზღაურებას. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ წინა სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროსაც სესხზე სარგებლის გადახდას მხარეები უკავშირებდნენ მშენებლობის დაწყების შემთხვევას და, სწორედ, ამ საკითხზე შეთანხმდნენ, როდესაც მათ არსებით პირობად მიიჩნიეს ზემომითითებული 4. ვ. პუნქტი 2007 წლის ხელშეკრულებაში. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სარგებელზე შეთანხმება პირობით გარიგებას წარმოადგენს, რომელიც დამოკიდებული იყო სამომავლო უცნობ მოვლენაზე – მშენებლობის ნაკვეთის გასუფთავების, სათანადო ნებართვების მიღებასა და მშენებლობის განხორციელებაზე. მოსარჩელებს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში აქვთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის ინფორმაციით, წწ.ნბ.გ.გ.გ-ე, ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის შემდეგ – 2009 წლის თებერვლისთვის საბანკო სესხით სარგებლობისთვის გათვალისწინებული პროცენტი იყო ყოველწლიური 16%, რაც თვეში 1,33%-ს შეადგენს (500000*1,33% = 6650 აშშ დოლარის). აღნიშნული თანხა სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე ყოველთვიურად, როგორც ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი, უნდა აუნაზღაურდეს მოსარჩელებს არა უმეტეს 865 000 დოლარისა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს 1 365 000 დოლარი, ხოლო 500000 დოლარი მოსარჩელებს უნაზღაურდებათ სესხის თანხის სახით (1 365 000-500000).

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 327-ე მუხლებით და მიუთითა, რომ ნების გამოსვლის შემთხვევაში მხარეები მიზნად ისახავენ გარკვეული სამართლებრივი შედეგის მიღწევას. ისინი არა მხოლოდ სამართლებრივ შედეგებზე თანხმდებიან, არამედ წესებზეც, რომლებსაც უნდა დაემორჩილონ ამ სამართლებრივი შედეგის მისაღწევად. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობისა და ხელშეკრულების არსებითი პირობების შინაარსის გათვალისწინებით, პალატამ სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება. გამსესხებელს წარმოადგენდნენ სოლიდარული კრედიტორები ჯ. და ა. ა-ები, ხოლო მსესხებლები იყვნენ სოლიდარული მოვალეები კ. ბ-ი და ჯ. ჩ-ა. სესხის თანხას შეადგენდა 500 000 აშშ დოლარი. სესხი უნდა მოხმარებოდა ვ-ის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის შექმნას, სამომავლოდ, მსესხებლების მიერ მასზე მშენებლობის წარმოების მიზნით. ამასთან, მიწის ნაკვეთის შექმნის ინტერესი გააჩნდა მსესხებელ მხარეს, ვინაიდან, სწორედ ისინი აპირებდნენ თავიანთი რესურსებით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობას. მოსარჩელებს ინტერესი მიწის ნაკვეთის და მასზე წარმოებული მშენებლობის მიმართ ემსახურებოდა მხოლოდ მოპასუხეთა ვალდებულების უზრუნველყოფას, რაც მხარეებს სადავოდ არ ეუხდიათ. პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება მხარეთა შორის ურთიერთობისთვის ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლიდან გამომდინარე, რადგან მოსარჩელე მხარის მიზანს არ წარმოადგენდა მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელება და ფართების შემდგომი რეალიზაციით მოგების მიღება. მოსარჩელე დაინტერესებას იჩენდა მიწის ნაკვეთის შესყიდვისა და მშენებლობის წარმოების საკითხებზე მხოლოდ იმ მიზნით, რათა მისთვის წინასწარ ცნობილი ყოფილიყო რამდენად დროული და სარგებლიანი იქნებოდა სესხის დაბრუნება. მოსარჩელე არ ახორციელებდა რაიმე

შენატანს, რაც, ამხანაგობისთვის დადგენილი ზოგადი წესით ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებად მიიჩნეოდა და არ იღებდა მონაწილეობას მშენებლობის მიზნით განხორციელებულ დანახარჯებში. მის მიერ „მოგების სახით“ მისაღები თანხის ოდენობა სესხის სარგებელს შეადგენდა, მისი გადახდის გრაფიკი ხელშეკრულებაშივე იყო ფიქსირებული და არ იყო დამოკიდებული „სამშენებლო ბიზნესის“ წარმატებით დასრულებაზე. სესხზე სარგებლის დარიცხვა დაკავშირებული იყო სამშენებლო ნებართვის მიღებისა და მშენებლობის დაწყების მომენტთან, რაც დაახლოებით 2-4 თვეს შეადგენდა. თავის მხრივ, მოპასუხე მხარეს აინტერესებდა როგორც მიწის ნაკვეთის შეძენა, ასევე მშენებლობის განხორციელებისა და ფართების რეალიზაციით მოგების მიღება. საბოლოოდ, უძრავი ქონების მესაკუთრე ან თვით შემსრულებლები, ან მათ მიერ მითითებული პირი უნდა გამხდარიყო. ინვესტორის წინაშე შემსრულებელთა ვალდებულება შემოიფარგლებოდა სესხის დროულად დაბრუნებითა და უზრუნველყოფის მიზნით, მიწის ნაკვეთის კრედიტორისვე საკუთრებად დარეგისტრირებაში. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა დათქმა იმის თაობაზე, რომ სესხისა და სარგებლის დაბრუნების შემდეგ გამსესხებელს ვალდებულება წარმოეშობოდა, დაებრუნებინა უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ქონება მოსარჩელეთა საკუთრებაში. ამდენად, სასამართლო, ხელშეკრულებაში ასახული მხარეთა ნების გონივრული განმარტების შედეგად მიიჩნევს, რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდგომ, მოპასუხე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოსარჩელე მხარეს ხელშეკრულების 3.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და უზრუნველყოფის სახით გადაცემული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა. ამდენად, იმ ვითარებაში, როდესაც მოპასუხეს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება მოსარჩელე მხარის მიმართ ვალდებულების შესრულების შემდეგ (მოპასუხეს შეგებებული სარჩელით ამგვარი მოთხოვნით არ მოუმართავს), არ შეიძლება მოსარჩელე სხვის ხარჯზე გამდიდრებულიყო.

სამოქალაქო კოდექსის 93-ე, 96-ე, 455-ე, 463-ე, 623-ე, 625-ე მუხლებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილებაში მითითებული დასაბუთების გათვალისწინებით, სარგებელზე მხარეები გადადების პირობით შეთანხმდნენ. სარგებლის მიღების თაობაზე სახელშეკრულებო დათქმა ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან, მშენებლობა ბანკში დეპოზიტის გახსნიდან 2-4 თვეში არ დაწყებულა და გასულია აღნიშნული ვადა. მოსარჩელე უფლებამოსილია, მიიღოს მოთხოვნილი თანხის ნაწილი, ზიანის ანაზღაურების სახით, მოპასუხეთა მხრიდან ვალდებულების დარღვევისა და სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების გამო. სამოქალაქო კოდექსის 394.1 მუხლით დადგენილი წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 400-404-ე მუხლებითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, რაც მოვალეზე ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხის (მსესხებლის) მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება (ვალდებულების დარღვევა) გამოიხატება სესხის დაფარვის ვადის გადაცილებაში და, ამასთან, არსებობს მოპასუხისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ყველა წინაპირობა. (მართლწინააღმდეგობა, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი, ზიანი) მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოიხატება მიუღებელ შემოსავალში, რასაც იგი მიიღებდა კრედიტის სარგებლის სახით, მოპასუხეს კრედიტის თანხა ვადის დაცვით რომ დაებრუნებინა. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ვერ გამოორიცხავს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამო ქვეყანაში გამოცხადებული საომარი მდგომარეობა, რომელიც სესხის აღებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ მოხდა. მოპასუხე სადავოდ არ ხდის, რომ მოსარჩელეთათვის თანხის დაბრუნების წყაროს აშენებული ბინების რეალიზაციით მიღებული თანხა შეადგენდა, თავის მხრივ, მშენებლობა უნდა დაწყებულიყო მაქსიმუმ ოთხი თვის განმავლობაში სადეპოზიტო ანგარიშის გახსნიდან, რაც არც ამ ვადაში და არც შემდგომ არ განხორციელებულა, ამდენად, აშკარაა, რომ მოვალე გადახდის ვადას გადააცილებდა, მიუხედავად იმისა, გამოცხადდებოდა თუ არა 2008 წლის აგვისტოში საომარი მდგომარეობა. ამასთან, პალატამ ზიანის სახით ასანაზღაურებელ თანხის განსაზღვრისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 402-ე, 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 411-ე, 412-ე და 414-ე მუხლებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ბ-მა და ჯ. ჩ-მ შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ურთიერთობა შერაცხა ჩვეულებრივ სასესხო ურთიერთობად, მაშინ როდესაც ფული, სხვა საგანი ან რაიმე მატერიალური აქტივი მოპასუხე მხარეს არ მიუღია და ასეთი რამ არც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ხელშეკრულების შესაბამისად, მოსარჩელე მხარემ საკუთარი სახსრებით შეიძინა უძრავი ქონება საქართველოში, მთელ შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება დაარეგისტრირა თავის სახელზე. ამის შემდეგ უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება მოსარჩელის საკუთარ ნაკვეთზე მშენებლობის შესახებ. ასეთი ურთიერთობისათვის სესხის ხელშეკრულების კვალიფიკაციის მინიჭება აშკარად სცილდება სამოქალაქო კანონმდებლობის საზღვრებს. სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოსარჩელე მხარის მიერ უკანონო გამდიდრების ფაქტი, ანუ სასამართლომ იმთავითვე დაუშვა, რომ მისი გადაწყვეტილების შესრულებას შედეგად მოსარჩელე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება მოჰყვა. სასამართლომ, მხარეებს შორის ხელმოწერილ და ნოტარიულად დამოწმებულ ხელშეკრულებას გაუთანაბრა მათ შორის ელექტრონული საშუალებით მიმონერა, დაამახინჯა ელექტრონული მიმონერის ტექსტი და მასზე დააფუძნა გადაწყვეტილება. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, გამოიყენა რა იგი არა ხელშეკრულების პირობების განმარტებისათვის, არამედ ხელშეკრულების პირობების მოსარჩელის სასარგებლოდ რევიზიისათვის. სასამართლომ მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება დაასაბუთა იმ გარემოებით,

რომ არც მოსარჩელე მხარეს და არც მოპასუხე მხარეს არ გააჩნდა უძრავი ქონების საკუთრებაში დატოვების ინტერესი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ხოლო 394-ე მუხლის ე' პუნქტის თანახმად კი, გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი არსებობს, თუკი გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ 2007 წლის 4 აგვისტოს, ერთი მხრივ, მოსარჩელებს, ჯ. ზ. ა-ის, ლ. ა-ის („ინვესტორი“) და მეორე მხრივ, მოპასუხეებს კ. ბ-სა და ჯ. რ-ს („შემსრულებელი“) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მხარეები შემდეგ არსებით პირობებზე შეთანხმდნენ: ინვესტორი განახორციელებდა 500 ათასი დოლარის ოდენობით ინვესტიციას, თბილისში ვ-ის 12/14-ში მდებარე 608 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით, რაც აღირიცხებოდა ინვესტორის საკუთრებად, ხოლო შემსრულებლები აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აწარმოებდნენ მშენებლობას და დაასრულებდნენ მას მიწის შეძენასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებიდან და მისი ინვესტორის საკუთრებად რეგისტრაციიდან თვრამეტ თვეში. „შემსრულებლები“ იღებდნენ ვალდებულებას დაებრუნებინათ ინვესტორისთვის ინვესტირებული თანხა სარგებელ 700 000 დოლართან ერთად თვრამეტ თვეში.

ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატამ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა შეაფასა როგორც სესხის ხელშეკრულება, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლით სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს და სასამართლომაც დაადგინა ის ფაქტი, რომ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ 500 000 დოლარის ინვესტიციის განხორციელების თაობაზე განსაზღვრულ მისამართზე მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით, რაც აღირიცხებოდა ინვესტორის საკუთრებად. შემსრულებლები იღებდნენ ვალდებულებას, ინვესტორისთვის ინვესტირებული თანხა შეთანხმებულ სარგებელთან ერთად 18 თვეში დაებრუნებინათ. ხელშეკრულების 3.3 პუნქტით განისაზღვრა, რომ საინვესტიციო თანხისა და სარგებლის სრულად და დროულად დაბრუნების შემდეგ ინვესტორი გადასცემდა მიწის ნაკვეთს შემსრულებლებს ან მათ მიერ მითითებულ ნებისმიერ პირს საკუთრებაში.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიან სასესხის ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების შემადგენლობას, ვინაიდან სესხის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფულს ან გვაროვნული ნივთი განსაზღვრული სხვა ნივთის მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემა მსესხებლის მიერ იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთის დაბრუნების პირობით. როგორც წესი, სესხის ხელშეკრულების შინაარსში არ მოიაზრება სესხად გადაცემული თანხის მხოლოდ გამსესხებელთან შეთანხმებული პირობებით მოხმარება. მართალია, სახელშეკრულებო თავისუფლების პირობებში ამგვარი შეთანხმებაც ვერ აიკრძალება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ასეთ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია. გასაჩივრებული გადანყვეტილების 4.1.1. პუნქტით დადგენილია, რომ ინვესტორი განახორციელებდა 500 ათასი დოლარის ოდენობით ინვესტიციას, თბილისში, ვ-ის 12/14-ში მდებარე 608 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით, რაც აღირიცხებოდა ინვესტორის საკუთრებად, ხოლო შემსრულებლები აწარმოებდნენ მშენებლობას აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე და დაასრულებდნენ მას მიწის შეძენასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებიდან და მისი ინვესტორის საკუთრებად რეგისტრაციიდან თვრამეტ თვეში. გადანყვეტილების 4.1.2. პუნქტით კი დადგენილია, რომ „შემსრულებლები“ იღებდნენ ვალდებულებას, დაებრუნებინათ ინვესტორისათვის ინვესტირებული თანხა სარგებელთან ერთად. ხელშეკრულების ამ პირობებით თანხის სესხად გადაცემა არ დგინდება.

მხარეთა შორის წარმოშობილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სესხის ხელშეკრულებად კვალიფიკაციის არგუმენტად ვერ მიიჩნევა გასაჩივრებული გადანყვეტილების 4.7 პუნქტით დადგენილი გარემოების – მხარეთა შორის წარმოებულ მიმონერაში კასატორთა მიერ სესხზე მითითება. კერძო სასამართლის სუბიექტთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის გადამწყვეტია ამ სუბიექტთა ნამდვილი ნების გამოვლენა, რომლის საფუძველზე დადგენილი ფაქტების სა-

მართლებრივი კვალიფიკაცია სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლით ერთობლივი საქმიანობად შეფასების თაობაზე. მართალია, ხელშეკრულება მოიცავს მინის ნაკვეთის მშენებლობის მიზნით შექმნის პირობებს, მაგრამ ხელშეკრულებით არ დგინდება ურთიერთობის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებად შეფასების არსებითი ნიშნები: სუბიექტები ისახავენ ერთიან (საერთო) მიზანს; ასრულებენ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელ მოქმედებებს; შენატანების საფუძველზე საერთო ნილობრივი საკუთრების ქონებას ქმნიან; საქმიანობიდან წარმოშობილი ზიანისა და ხარჯების განაწილებას ერთობლივად კისრულობენ და ინაწილებენ მიღებულ შედეგებს. სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დაუდგენია და ვერც კასატორი ვერ ასაბუთებს ამ ნიშნების არსებობას.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს ერთი მხარის მიერ ინვესტირების განხორციელებითა და მეორე მხარის მიერ გარკვეული სამუშაოების შესრულებით მოგების მიღება.

საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით, ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამენარმო საქმიანობაში.

სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. აღნიშნული ნორმა ასახავს სამოქალაქო სამართლით აღიარებულ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთან ერთად მოიცავს ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. მხარეთა ავტონომიურობის პრინციპს აშკარად ასახავს ზემოხსენებული ნორმით აღიარებული კერძო სამართლის სუბიექტთა უფლება – დადონ ისეთი ხელშეკრულება, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებათა სახეები ამომწურავი არ არის და მხარეებს, ამავე კოდექსის განხილული ნორმის შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში, შეუძლიათ, დადონ მათთვის სასურველი შინაარსის და კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ხელშეკრულება.

ამდენად, მხარეთა შორის მიღწეულია შეთანხმება ერთი მხარის მიერ ინვესტირების, ხოლო მეორე მხარის გარკვეული სამუშაოების განხორციელებით კონკრეტული, მხარეებისათვის სასურველი შედეგის მიღებაზე, წარმოშობილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, სამოქალაქო კოდექსის სპეციალური ნორმებით მოწესრიგებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს და მისი სამართლებრივი შეფასება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებებით უნდა განხორციელდეს.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, ხოლო, 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული ნორმებისა და მხარეთა შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულების პირობების ურთიერთშეჯერებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ პალატამ ხელშეკრულების პირობების გამოკვლევის გარეშე დაადგინა მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, კერძოდ, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ზუსტად არის განსაზღვრული თითოეული მხარის უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის, შესაძენი მინის ნაკვეთის ოდენობა, გადასახდელი თანხა და ა.შ. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი ინვესტორის მხრიდან ხელშეკრულების პირობის შესაბამისად ვალდებულების შესრულების ფაქტი – 608 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შექმნა ან ვალდებულების შეუსრულებლობის – მიწის ნაკვეთის შეუძენლობის კანონიერი საფუძველი (როგორც ინვესტორი განმარტავს, აღნიშნულზე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობისგან განსხვავებული შეთანხმება არსებობს).

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხარეთა განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა გამოარკვიოს ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები, შესაბამისად, ამ ფარგლებში უნდა განისაზღვროს თითოეული მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ხარისხი და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისათვის აუცილებელი წინაპირობების (ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი) უტყუარად არსებობა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას მხარეთა შორის შეთანხმებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წესთან დაკავშირებით, კერძოდ;

სააპელაციო პალატა უდავოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მინის ნაკვეთის შექმნა ემსახურებოდა მხოლოდ მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფას და არა მის მიზანს – როგორც შესაუთრემ განახორციელოს აღნიშნული ქონების ფლობა და სარგებლობა. გასაჩივრებელია პალატის მოსაზრება, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფის ამგვარი შეთანხმება არ წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო დათქმას და იგი ნამდვილია.

მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც განაპირობებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამოქალაქო ბრუნვის სფეროში. მოთხოვნის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კრედიტორს უქმნის რწმენას, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც კი, ამ სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით, შესძლებს საკუთარი მატერიალური უფლების დაცვას და მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სამოქალაქო კოდექსი არაერთი სახის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას გარიგების სახით იცნობს (გირავნობა, იპოთეკა, საბანკო გარანტია და სხვა), ამავდროულად კოდექსის არაერთი ნორმაც მოიცავს დანაწესს, რომელიც კრედიტორის მოთხოვნას უზრუნველყოფილს ხდის (კანონისმიერი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები), თუმცა, ეს ნორმები კლასიკური მოთხოვნის უზრუნველყოფის გარიგებებს არ წარმოადგენენ. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლი, რომლის ძალითაც, თუ გამსხვილებლმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. თუ შემძენი გააჭიანურებს საფასურის გადახდას, ხოლო გამსხვილებელი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, უკვე ორმხრივად განხორციელებული შესრულება მხარეებმა უნდა დააბრუნონ. პირობადებული საკუთრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემძენის მფლობელობაში გადაცემული ნივთი საფასურის სრულ გადახდამდე გამსხვილებლის საკუთრებაა, ხოლო გამსხვილებლის მოთხოვნას მიუღებელი ნასყიდობის საფასურზე, გასხვიებულ ნივთზე შენარჩუნებული მისი მესაკუთრის ტიტული უზრუნველყოფს. მართალია, აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფა მხოლოდ მოძრავ ნივთებს ეხება, მაგრამ ამ შინაარსის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება არც უძრავ ნივთებზე იკრძალება.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამგვარი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება კლასიკური მოთხოვნის უზრუნველყოფად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, მაგრამ სამოქალაქო ბრუნვის ეფექტურობის მიზნით, სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭირო ქონების არარსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენებითაც ხელმისაწვდომი გახდეს სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობა.

ამასთან, ვალდებულების დარღვევისას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ინსტიტუტის არსი და დანიშნულება, კერძოდ, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება უზრუნველყოფილი მოთხოვნის გარანტიას წარმოადგენს და, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი იკავებს ვალდებულების შესრულების ადგილს, რაც შეიძლება განხორციელდეს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების აუქციონზე რეალიზაციით მიღებული თანხის, ასევე ნივთის კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემით. ამდენად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ფუნქცია შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება, ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ჩაანაცვლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაბუთებას მოკლებულია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია, მოსთხოვოს მოსარჩელეს ხელშეკრულების 3. ვ. ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და უზრუნველყოფის სახით გადაცემული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფის სახით გამოყენება საქმის მასალებით არ დგინდება. შესაბამისად დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, ხელშეკრულების 3. ვ. ქვეპუნქტიდან გამომდინარე კ. ბ-ისა და ჯ. ჩ-ს მიერ ჯ. ა-ისგან მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, მაშინ როდესაც მიწის ნაკვეთი თავიდანვე ჯ. ა-ის სახსრებით იქნა შეძენილი და ამ ნაკვეთის გადაცემის ვალდებულება მას მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემდეგ წარმოეშობოდა.

ამდენად, დასაბუთებასაა მოკლებული, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კ. ბ-ისა და ჯ. ჩ-სთვის ინვესტირებული თანხის დაკისრებისას ამ თანხით შეძენილი ქონების (მიწის ნაკვეთის) ღირებულებისა და მასზე საკუთრების უფლების გაუთვალისწინებლობა.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოარკვიოს გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული გარემოებები და სამართლებრივი შეფასება მისცეს მას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესოკოდექსის 412-ე მუხლით და

ღ ა ა ღ ბ ი ნ ა:

კ. ბ-ისა და ჯ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკალო საბუთის მოთხოვნის უფლება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-1541-1547-2011

19 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „დ. შ-ის“ დირექტორმა ი. დ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ლ-ის მიმართ 14 500 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

ი. დ-ი და თ. ლ-ე იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში და ცხოვრობდნენ ერთად მოსარჩელის კუთვნილ სახლში. ი. დ-ი არის შპს „უ-ის“ ერთადერთი პარტნიორი და დამფუძნებელი, ხოლო მოპასუხე მუშაობდა აღნიშნულ საზოგადოებაში ბუღალტრად.

მოსარჩელემ მოპასუხის სახელზე 2008 წლის 23 ივნისს სს „პროკრედიტ ბანკში“ გახსნილ თ. ლ-ის ანგარიშზე გადაურიცხა 7500 აშშ დოლარი, ხოლო 2007 წლის 27 ივნისს – 7000 აშშ დოლარი. მითითებული თანხა მოპასუხეს უნდა შეეტანა შპს „უ-ის“ ანგარიშზე და დაფარულიყო შპს-ს საბიუჯეტო დავალიანება, თუმცა თ. ლ-ეს აღნიშნული არ განუხორციელებია და დღემდე თანხას უკანონოდ არ აბრუნებს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: თ. ლ-ე შპს „უ-ის“ ბუღალტერი არასოდეს ყოფილა და მისი სახელით ვერანაირ მოქმედებას ვერ განახორციელებდა. მოპასუხემ მიიღო სადავო თანხა, მაგრამ ი. დ-ის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი მას დაუბრუნა. აღსანიშნავია, რომ შპს „უ-ის“ საბიუჯეტო დავალიანება შეადგენს 1302 ლარს.

ფოტის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თანხის გადარიცხვის შესახებ საბანკო დოკუმენტებითა და მხარეთა განმარტებებით დგინდება, რომ შპს „დ. შ-იმ“ 2007 წლის 27 ივნისს თურქეთიდან მოპასუხის საბანკო ანგარიშზე გადარიცხა 7000 აშშ დოლარი, ხოლო 2008 წლის 23 ივნისს – 7500 აშშ დოლარი, რაც მოპასუხემ მიიღო.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 14 მარტის ცნობით, 2008 წლის 23 ივნისის გადმორიცხვის დოკუმენტში მითითებული შპს „თ-თ“ არ არის რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მონაცემებში.

საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული შედარების აქტით დგინდება, რომ შპს „უ-ის“ 2007 წლის საბიუჯეტო დავალიანება შეადგენდა 1302 ლარს. მონშის ჩვენებითა და პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის განმარტების შესაბამისად, მოპასუხე არ მუშაობდა შპს „უ-ში“ ბუღალტრის თანამდებობაზე. თ. ლ-ეს მოსარჩელის მიერ მოპასუხის ანგარიშზე 2007 წლის 27 ივნისს ჩარიცხული 7000 აშშ დოლართა და 2008 წლის 23 ივნისს ჩარიცხული 7500 აშშ დოლარით შპს „უ-ისა“ და შპს „თ-თ-ის“ საბიუჯეტო დავალიანება არ დაუფარავს.

მონშის სახით დაკითხული ნ. ხ-ას ჩვენებით, მოსარჩელეს თ. ლ-ისათვის მოპასუხის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების (14500 აშშ დოლარის) სხვადასხვა ვალდებულებების შესასრულებლად გადარიცხვა არ დაუვალვია. შპს „დ. შ-ის“ მიერ მოპასუხე თ. ლ-ისათვის 2007 წლის 27 ივნისს გადარიცხული 7000 აშშ დოლარი და 2008 წლის 23 ივნისს გადარიცხული 7500 აშშ დოლარი თ. ლ-ემ გადასცა (უკანვე დაუბრუნა) აღნიშნული ფირმის დირექტორს – ი. დ-ს.

აპელანტის მიერ წარმოდგენილი სანოტარო აქტით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2009 წლის 23 მარტის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ი. დ-ი 5 წლის ვადით, განმეორებით დაინიშნა შპს „დ. შ-ის“ დირექტორად და მიენიჭა ერთპიროვნულად საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 385-ე მუხლის თანახმად, პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში თ. ლ-ე არ წარმოდგენდა შპს „უ-ის“ უფლებამოსილ პირს – ბუღალტერს, რაც გამორიცხავს ამ საზოგადოების ვალდებულებების, მათ შორის საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვის მიზნით მის მიერ ქმედების განხორციელების შესაძლებლობას. 2008 წლის 23 ივნისის თანხის გადარიცხვის დოკუმენტში მითითებული შპს „თ-თ“ არ არის რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მონაცემებში, შესაბამისად, თ. ლ-ის მიერ, არარეგისტრირებული საზოგადოების საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა იმთავითვე (გადარიცხვის განხორციელებისთანავე) გამორიცხული იყო.

ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის (მოსარჩელე) მოსაზრება, რომ შპს „დ. შ-ის“ მიერ მოპასუხე თ. ლ-ისათვის 2007 წლის 27 ივნისს 7000 აშშ დოლარისა და 2008 წლის 23 ივნისს 7500 აშშ დოლარის გადარიცხვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, მე-4 და 103-ე მუხლების თანახმად, მოქმედებს შემდეგი პრინციპი – იმ მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რაიმე დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ამ დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა, თუ აღნიშნული გახდება სადავო. ამავე კოდექსის 105-ე, მე-5 მუხლების შესაბამისად, პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, საქმის მასალებით დგინდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შპს „დ. შ-ის“ მიერ თ. ლ-ის ანგარიშზე 14500 აშშ დოლარის ჩარიცხვა, მაგრამ მონმე ნ. ხ-ას ჩვენებით ასევე დგინდება ნ. ლ-ის მიერ უსაფუძვლოდ მიღებული თანხების – 14500 აშშ დოლარის მოსარჩელე საზოგადოების დირექტორისათვის დაბრუნება.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ თანხის დაბრუნებისა და ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინა მონმის ჩვენება, ხოლო მოსარჩელეს ამ მტკიცებულების საწინააღმდეგო და მონმის ჩვენების გასაქარწყლებლად რაიმე სახის მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა, რაც გამოორიცხავს მისი დაკმაყოფილებასა და თ. ლ-ისათვის თანხის დაკისრების შესაძლებლობას.

პალატა არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას, რომ მონმის ჩვენება არ არის საკმარისი ფულადი ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი წარმოადგენს საგამონაკლისო ნორმას, რომელიც მხოლოდ სესხის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში გამოიყენება. განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სესხთან დაკავშირებული გარიგება და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია უსაფუძვლოდ მიღებული თანხების დაბრუნება, ამ ურთიერთობის სამართლებრივი დასაბუთებისას კი, 624-ე მუხლზე მითითება არამართებულია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „დ. შ-ის“ დირექტორმა ი. დ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ სარჩელზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხემ ფულადი ვალდებულება შეასრულა, რაც არასწორია და წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება. მოკუმულ შემთხვევაში პალატას მონმის ჩვენება იმის საკმარის მტკიცებულებად არ უნდა მიეჩნია, რომ მოპასუხემ ფულადი ვალდებულება შეასრულა. საქმის მასალებში არ მოიპოვება ფულადი ვალდებულების შესრულების ისეთი უტყუარი მტკიცებულება, როგორცაა სავალო საბუთი, საბანკო გადახდის ქვითარი ანდა სხვა რაიმე წერილობითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სადავო თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების ფაქტს.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი და არ შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად – პალატამ შეაფასა მონმის ჩვენება და დაადგინა, რომ სადავო თანხა თ. ლ-ემ დაუბრუნა შპს „დ. შ-ის“ დირექტორ ი. დ-ს. აღნიშნული არასწორია, რადგან მონმისათვის ხსენებული შპს-ს არსებობა ცნობილი არ იყო. მონმე ნ. ხ-ა ი. დ-ს იცნობდა, როგორც შპს „უ-ის“ დირექტორს.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლი და „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი. მართალია, კანონმდებელი პირდაპირ არ უთითებს ფულადი ვალდებულების შესრულებისას წერილობითი მტკიცებულების არსებობის აუცილებლობაზე, თუმცა ამავე კოდექსის 429-ე, 430-ე, 385-ე-386-ე მუხლები ითვალისწინებს თანხის დაბრუნების კონკრეტულ წესებს. ამასთან, 427-ე მუხლის შესაბამისად, შესრულება უნდა მიეღო კრედიტორ შპს „დ. შ-ის“, რომლის საბანკო რეკვიზიტები მოპასუხისათვის ცნობილი იყო. მის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია. აღნიშნული შპს კი მდებარეობს თურქეთის ქალაქ სტამბოლში.

სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, მოპასუხეს თანხის დაბრუნება ისეთივე უტყუარი მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა, როგორც მოსარჩელემ თანხის ჩარიცხვა დაადასტურა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ წერილობით მტკიცებულებები არის პრიორიტეტული და სარწმუნო ფულადი ვალდებულების შესრულების სადავობისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თანხის გადარიცხვის შესახებ საბანკო დოკუმენტებითა და მხარეთა განმარტებებით დგინდება, რომ შპს „დ. შ-იმ“ 2007 წლის 27 ივნისს თურქეთიდან მოპასუხის საბანკო ანგარიშზე გადარიცხა 7000 აშშ დოლარი, ხოლო 2008 წლის 23 ივნისს – 7500 აშშ დოლარი, რაც მოპასუხემ მიიღო.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 14 მარტის ცნობით, 2008 წლის 23 ივნისის გადმორიცხვის დოკუმენტში მითითებული შპს „თ-თ“ არ არის რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მონაცემებში.

საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული შედარების აქტით დგინდება, რომ შპს „უ-ის“ 2007 წლის საბიუჯეტო დავალიანება შეადგენდა 1302 ლარს. მონმის ჩვენებითა და პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის განმარტების შესაბამისად, მოპასუხე არ მუშაობდა შპს „უ-ში“ ბუღალტრის თანამდებობაზე. თ. ლ-ეს მოსარჩელის მიერ მოპასუხის ანგარიშზე 2007 წლის 27 ივნისს ჩარიცხული 7000 აშშ

დოლარითა და 2008 წლის 23 ივნისს ჩარიცხული 7500 აშშ დოლარით შპს „უ-ისა“ და შპს „თ-ის“ საბიუჯეტო დავალიანება არ დაუფარავს.

მონმის სახით დაკითხული ნ. ხ-ას ჩვენებით, მოსარჩელეს თ.ლ-ისათვის მოპასუხის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების (14500 აშშ დოლარის) სხვადასხვა ვალდებულებების შესასრულებლად გადარიცხვა არ დაუვალვია. შპს „დ. შ-ის“ მიერ მოპასუხე თ. ლ-ისათვის 2007 წლის 27 ივნისს გადარიცხული 7000 აშშ დოლარი და 2008 წლის 23 ივნისს გადარიცხული 7500 აშშ დოლარი თ. ლ-ემ გადასცა (უკანვე დაუბრუნა) აღნიშნული ფირმის დირექტორს – ი. დ-ს.

სააპელაციო სასამართლომ მითითებული მონმის ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა და მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს ვალდებულება შესრულებული აქვს და მას აღარ უნდა დაეკისროს თანხის გადახდა.

საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ მთელ რიგ ფაქტებს საქმის გადასაწყვეტად არავითარი სამართლებრივი დატვირთვა არ გააჩნია. მათ შორის იმ ფაქტს, მუშაობდა თუ არა მოპასუხე ბულალტრად შპს „უ-შ“ და უნდა გადაეირიცხა თუ არა მას სხვა პირებისათვის თანხა, ასევე გადაურიცხა თუ არა იგი მათ.

მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მეტად მნიშვნელოვანია მოპასუხის ახსნა-განმარტების იმ ნაწილის შეფასება, სადაც იგი მიუთითებს, რომ მან მოსარჩელეს ეს თანხა უკან დაუბრუნა. მხარის ეს ახსნა-განმარტება მეტყველებს იმაზე, რომ მას მოსარჩელის მიმართ ჰქონდა ამ თანხის გადაცემის ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ყოველი შესრულება ნიშნავს ვალდებულების არსებობას. თავისთავად მხარის აპელირება სადავო თანხის მხარისათვის გადაცემის თაობაზე გულისხმობს მათ შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის ფაქტს. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ თ.ლომიძეს ჰქონდა ამ თანხის დაბრუნების ვალდებულება. ამგვარად, ის გარემოება, რომ ეს თანხა მოსარჩელეს უნდა დაბრუნებოდა, სადავო არ არის. სადავოდ ხდება მხოლოდ ის ფაქტი, დაუბრუნდა თუ არა თანხა მოსარჩელეს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მოპასუხემ ეს თანხა გადაუხადა მოსარჩელეს. სასამართლო იყენებს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლს და თვლის, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულებით შეწყვეტილია მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა. სასამართლო თანხის გადაცემის ვალდებულებას შესრულებულად მონმის ჩვენების საფუძველზე მიიჩნევს და თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მითითებული მტკიცებულება საკმარისია ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებლად – საკასაციო პალატა ამ მოსაზრებას არ იზიარებს. სამოქალაქო კოდექსის 429-ე-431-ე მუხლებში საუბარია ვალდებულების შესრულების მიღების ფორმებზე. 429-ე მუხლის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დასადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს მეტად ცალსახა დამოკიდებულება – იგი ავალდებულებს მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ასეთი დოკუმენტი, თუმცა კანონი ასეთივე მოთხოვნი არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ გამოითხოვოს ასეთი საბუთი კრედიტორისაგან. ბუნებრივია, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. მას არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით. უფრო მეტიც, არაკეთილსინდისიერ კრედიტორს შეუძლია, ასეთი დოკუმენტის გაუცემლობის შემთხვევაში განმეორებით მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. სწორედ, ამიტომ კანონი მას ავალდებულებს სათანადო დოკუმენტის გაცემას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონის თანახმად, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა დამოკიდებულია მოვალის სურვილზე. არსებობს უამრავი ფაქტორი, რამაც შესაძლოა განაპირობოს მოვალის მიერ ამ საბუთის მიუღებლობა, მაგალითად, მისი წინდაუხედობა, პარტნიორის მიმართ გადამეტებული ნდობის არსებობა და ა.შ. საბოლოო ჯამში ეს ფაქტორები უკავშირდება მხარის რისკს და მთლიანად განაპირობებს მისი პასუხისმგებლობის არსებობა-არარსებობის ფაქტს. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო კოდექსის 431-ე მუხლზეც, რომლის თანახმად მოვალეს შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად შეუძლია მოითხოვოს სავალო დოკუმენტის დაბრუნება ან გაუქმება. ასეთი დოკუმენტის გაცემის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს ოფიციალურად დამოწმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია.

ყველა მითითებულ შემთხვევაში კანონი მოვალეს აღჭურავს მთელი რიგი უფლებებით, რათა შეძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოყენება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს მის რისკს და შესაძლებელს ხდის ზემოთ მითითებული გარემოების დადასტურებას. ამრიგად, პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ ურთიერთობასთან მიმართებაში მხოლოდ მონმის ჩვენების საფუძველზე შეუძლებელია ვალდებულების შესრულების ფაქტის დადასტურება, მაგრამ ეს დასკვნა გამომდინარეობს არა 624-ე მუხლის შინაარსიდან, არამედ ზემოთ მითითებული ნორმებიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტს, რის გამოც მას უნდა დაეკისროს აღნიშნული თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში შპს „დ. შ-ის“ დირექტორ ი. დ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, მონინალმდევე მხარეს – თ. ლ-ეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – პირველი ინსტანციის სასამართლოში – 767,45 ლარისა და 150 ლარის, სააპელაციო სასამართლოში – 950 ლარის, ხოლო საკასაციო სასამართლოში – 1197 ლარის, სულ – 3064,45 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

შპს „დ. შ-ის“ დირექტორ ი. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 აგვისტოს განჩინება გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

შპს „დ. შ-ის“ დირექტორ ი. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს.

თ. ლ-ეს დაეკისროს შპს „დ. შ-ის“ დირექტორ ი. დ-ის სასარგებლოდ 14 500 აშშ დოლარის გადახდა.

თ. ლ-ეს დაეკისროს შპს „დ. შ-ის“ დირექტორ ი. დ-ის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის, სულ – 3064,45 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

მოვალის მიერ ვადის გადაცილება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1224-1244-2011 13 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ნ-ი-თ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს. რ-ის“ მიმართ საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხის – 7900 ლარისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2009 წლის 7 დეკემბერს №694/დსგ და 2010 წლის 6 იანვრის №6/2 ბრძანების თანახმად, შპს „ს. რ-ის“ ოპერატიული კონტროლის ცენტრის მიერ ჩატარდა სადგურ თბილისის ს-ოს სატვირთო და კომერციული საქმიანობის რევიზია. შემონმებულ იქნა 2007 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 დეკემბრამდე სადგურ თბილისის ს-ოს სარკინიგზო მომსახურების საფასურის გაანგარიშების რეალობა. ჩატარებული რევიზიის შედეგად შპს „ნ-ი-თ-ს“ დამატებით დაერიცხა 7900 ლარი. აღნიშნული თანხა შპს „ს. რ-ამ“ თვითნებურად ჩამოაჭრა შპს „ნ-ი-თ-ს“ საბარათე ანგარიშიდან, რომელიც მას, როგორც წესი, ზედმეტობაში აქვს წინასწარ გადარიცხული მოპასუხისათვის. შპს „ს. რ-ის“ მიერ მიწოდებული რევიზიის აქტიდან ირკვევა, რომ თანხის დარიცხვა ძირითადად მოხდა მიწოდებული ვაგონების მოცდენისათვის, თუმცა თანხის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი აქტში მითითებული არ არის. შემონმების აქტში მითითებული საერთო ფორმის აქტებისა და სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროების მიხედვით, შპს „ნ-ი-თ-ის“ მიზეზით ვაგონების მოცდენა არ დასტურდება. საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეები პასუხს აგებენ მხოლოდ მათ მიერ ჩადენილი ან მათი მიზეზით გამონვეული სამართალდარღვევისათვის. შპს „ნ-ი-თ-ს“ კანონი არ დაურღვევია. ვაგონების მოცდენას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ს. რ-ის“ მიერ შპს „ნ-ი-თ-ის“ ანგარიშიდან ჩამოჭრილი 7 900 ლარი მოსარჩელისათვის დაბრუნებას ექვემდებარება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

შპს „ს. რ-ამ“ სწორად დაარიცხა მოსარჩელეს ვაგონით 24 საათზე მეტი სარგებლობის მომსახურებისათვის 7 900 ლარი. რევიზიის აქტში მითითებულია საერთო ფორმის აქტები და სადგურის მომსახურების

და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროები, აგრეთვე, ვაგონის მოცდენის დრო და დასარიცხი თანხის ოდენობა, რაც საფუძველი გახდა მოსარჩელისათვის სადავო თანხის დაკისრებისა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „წ-ი-თ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე შპს „ს. რ-ას“ დაეკისრა 7 900 ლარის გადახდა შპს „წ-ი-თ-ის“ სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. რ-ამ“, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „წ-თ-სა“ და შპს „ს. რ-ას“ შორის 2007 წლის 14 მაისს გაფორმდა №სმგ-76/17 ხელშეკრულება რ-ის მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. შპს „ს. რ-ის“ მიერ 2010 წლის 22 მარტის კორექტირების ვაუჩერის საფუძველზე ჩამოჭრილ იქნა შპს „წ-ი-თ-ის“ საბარათე ანგარიშიდან 7 900 ლარი სარკინიგზო ვაგონების მოცდენის თანხების ანაზღაურების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო აღნიშნული თანხის ჩამოჭრის კანონიერებაა. პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ შპს „წ-ი-თ-ის“ მიერ ვაგონების მოცდენას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით ჩათვალა, რომ სადავო თანხის დარიცხვის (საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრის) ფორმალური საფუძველი გახდა „ს. რ-ის“ სადგურ „თბილისი-ს-ოს“ სატვირთო და კომერციული საფინანსო, სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ-კომპლექსური რევიზიის 2009 წლის 30 იანვრის აქტი, რომლის თანახმადაც შპს „წ-ი-თ-ის“ მიმართ არაერთგზის იქნა განხორციელებული ტვირთის მიწოდება და, რიგ შემთხვევებში, ადგილი ქონდა ვაგონების მოცდენას, რაც „წ-ი-თ-ისთვის“ 24 საათზე მეტი მოსახურების საფასურის დარიცხვის საფუძველი გახდა. დოკუმენტურ-კომპლექსური რევიზიის 2009 წლის 30 იანვრის აქტით მოცდენის ვადა ათვლილია არასწორად.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2003 წლის 16 აპრილის №26 ბრძანებით დამტკიცებულ „რ-ით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 68-ე მუხლის პირველსა და მესამე პუნქტებზე, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2003 წლის 16 აპრილის №26 ბრძანებით დამტკიცებულ „რ-ით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 157-ე მუხლის პირველ პუნქტზე და გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების განმარტება, რომ 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურის დარიცხვისას დროის ათვლა უნდა დაიწყოს იმ დღის 24 საათიდან, როდესაც ტვირთი მიწოდებულ იქნა ადგილზე. შემდეგი 24 საათი კი არის ტვირთის გადმოტვირთვისათვის დადგენილი დრო, რომელზეც რაიმე საფასური არ არის დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურის დარიცხვისას დროის ათვლა დაიწყება ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, შპს „ს. რ-ის“ სადგურ „თბილისი-ს-ოს“ სატვირთო და კომერციული საფინანსო, სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ-კომპლექსური რევიზიის 2009 წლის 30 იანვრის აქტში მითითებული მონაცემებით, ვაგონების მოცდენას ადგილი არ აქვს. შპს „ს. რ-ის“ მიერ არასწორად იქნა შეფასებული ტვირთის მიწოდების და დაცლის ვადები, რამაც გამოიწვია „წ-ი-თ-ისთვის“ 24 საათზე მეტი მოსახურების საფასურის უსაფუძვლოდ დარიცხვა. პალატის განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ ადგილი ჰქონდა ვაგონების მოცდენას, უსაფუძვლოა მოპასუხის მითითება ვაგონების მოცდენაში „წ-ი-თ-ის“ ბრალის არსებობის თაობაზე. საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ საერთო ფორმების აქტებზე, ასევე შპს „ს. რ-ის“ სადგურ „თბილისი-ს-ოს“ სატვირთო და კომერციული საფინანსო, სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ-კომპლექსური რევიზიის 2009 წლის 30 იანვრის აქტზე, რომლითაც დგინდება, რომ დროის იმ შუალედში, რომელსაც მოპასუხე მოსარჩელის ბრალით ვაგონების მოცდენად მიიჩნევს, ტვირთი დაყოვნდა განბაჟების და დაცლის ფრონტის მოლოდინში. იმ ფაქტს, რომ დროის სადავო შუალედში ვაგონების დაყოვნება გამომწვეული იყო განბაჟებისა და დაცლის ფრონტის მოლოდინით, ადასტურებს თავად აქტის დანიშნულება. ზემოაღნიშნული გარემოება კი თავისთავად გამოიწვევს ვაგონების მოცდენას ტვირთმიმღების ბრალით.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 361-ე მუხლით და ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ ვალდებულება შესრულებულია კეთილსინდისიერად, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 385-ე და 991-ე მუხლების შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ შპს „ს. რ-ის“ მიერ არასწორად იქნა შეფასებული ტვირთის მიწოდებისა და დაცლის ვადები, რამაც გამოიწვია შპს „წ-ი-თ-ისთვის“ 24 საათზე მეტი მოსახურების საფასურის უსაფუძვლოდ დარიცხვა და კორექტირების ვაუჩერის საფუძველზე შპს „ს. რ-ის“ მიერ შპს „წ-ი-თ-ის“ საბარათე ანგარიშიდან 7 900 ლარის ჩამოჭრა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. რ-ამ“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

არასწორია გასაჩივრებული განჩინების მითითება, რომ 24 საათზე მეტი მომსახურებისათვის თანხების დარიცხვა მოხდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რადგანაც დარიცხული საფასურის სამართლებ-

რივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 64-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, შპს „ს. რ-ის“ მიერ დაწესდა სატვირთო გადაზიდვების და ტარიფების დამატებითი საფასური. აღნიშნული ნორმის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „ს. რ-ისათვის“ გამგზავნის სადგურებში – ჯამში მსვლელობის გზაზე და დანიშნულების სადგურში, კლიენტის მიზეზით 24 საათზე მეტი მომსახურებისას, თითოეულ დანაშაულს დაწესდა დღე-ღამეზე რ-ის დამატებითი საფასური, რ-ის კუთვნილ ვაგონზე, შეადგენს 100 ლარს. საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის აქტებით, მათ შორის, საერთო ფორმის აქტებში მოცემული დროის შუალედით დასტურდება, რომ ვაგონების მოცდენა გამონვეული იყო კლიენტის ბრალით, ხოლო მიზეზს განმარტების ან დაცლის ფრონტის მოლოდინი წარმოადგენს. შპს „ს. რ-ამ“, სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის შესაბამისად, გადამზიდველის ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დროულად. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევას, ხოლო მოპასუხემ ვერ უზრუნველყო გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, მან დროულად ვერ დაცალა ვაგონი, რის გამოც, მოცემულ პერიოდში, ადგილი ჰქონდა დანიშნულების სადგურში მიტანილი ვაგონის მოცდენას. შესაბამისად, შპს „ს. რ-ამ“ სწორად დაარიცხა მოსარჩელეს მომსახურების განევის (ვაგონით სარგებლობისა და ტვირთის შენახვის ხარჯები) საფასური – 7 900 ლარის ოდენობით. შპს „ნ-ი-თ-მა“ უკანონოდ დაზოგა რ-ისათვის ასანაზღაურებელი ვაგონების მომსახურების ღირებულება 7 900 ლარი, რითაც მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლო და არაკანონიერია სასამართლოს დასაბუთება იმის შესახებ, რომ საერთო ფორმის აქტებით არ დასტურდება მოვალის მხრიდან ვაგონების მოცდენის ფაქტი. გამომდინარე იქიდან, რომ დავის საგანი ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ურთიერთობაა, შესაბამისად, სასამართლოს საქმის გადანაწევტისას, გარდა სამოქალაქო კოდექსის 668-ე-708-ე მუხლებისა, ასევე, უნდა გამოყენებინა საქართველოს სარკინიგზო კოდექსი, რომელიც სპეციალური კანონია, სადაც დეტალურად არის რეგლამენტირებული სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის წესები, მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობის საფუძვლები. სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლი და სარკინიგზო კოდექსის 47-ე მუხლები აწესებენ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, შპს „ს. რ-ის“, როგორც გადამზიდველის პასუხისმგებლობას. კანონმდებლობა, გარდა გადამზიდველისა, ასევე ითვალისწინებს მოსარჩელის, როგორც ტვირთმფლობელის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძვლებს. ტვირთმფლობელი ვალდებულია, ხელშეკრულების შესაბამისად, ისარგებლოს მიწოდებული ვაგონით, უზრუნველყოს ტვირთის დროული მიღება და ვაგონის დაცლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაგონების დაყოვნების გამო, სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მას დაეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა. სარკინიგზო კოდექსის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 26-ე მუხლის მე-7 ნაწილითა და 36-ე მუხლის მე-10 ნაწილით იმპერატიულადაა დადგენილი დანიშნულების სადგურში გადაზიდული ტვირთის დაგვიანებით მიღებისა და, ვაგონის დაყოვნების გამო, მოპასუხის, როგორც ტვირთმომიღების, ქონებრივი პასუხისმგებლობა და სწორედ აღნიშნული ნორმები წარმოადგენს შპს „ს. რ-ის“ სარჩელის სამართლებრივ საფუძველს. მოცემულ საქმეს მტკიცებულებად ერთვოდა სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროები, ასევე სადგურ „თბილისი-ს-ოს“ მიერ გაცემული ინფორმაცია სადგურ „თბილისი-ს-ოს“ დასაცლელად შესული ვაგონებისა და ცარიელი ვაგონების გასვლის თარიღების მითითებით. აღნიშნულით უტყუარად დასტურდება დანიშნულების სადგურში მიწოდებული ტვირთის შპს „ნ-ი-თ-ის“ მიერ მიღების დაყოვნების ფაქტი. სწორედ ვაგონების მოცდენის გამო 24 საათზე მეტი მომსახურებისათვის შპს „ნ-ი-თ-ს“, სარკინიგზო კოდექსის 22-ე-23-ე, 25-26-ე და 36-ე მუხლების საფუძველზე დაერიცხა ვაგონით სარგებლობის საფასური და ტვირთის შენახვის ხარჯები, რამაც შპს „ს. რ-ის“ „სატვირთო გადაზიდვების ტარიფისა და დამატებითი საფასურების“ 8.2 მუხლის გათვალისწინებით შეადგინა 7 900 ლარი. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სარკინიგზო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლები და უარი უნდა ეთქვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლი და აღნიშნულია, რომ ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების თანახმად, უკან იქნას გამოთხოვილი. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა აღნიშნული ნორმა, ვინაიდან მონიშნულმა მხარემ – შპს „ნ-ი-თ-მა“ ვერ შეძლო დანიშნულების სადგურში მიწოდებული ტვირთის დროული დაცლა, რამაც გამოიწვია ვაგონების დაყოვნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინებით შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).
საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, კერძოდ:

შპს „ნ-თ-სა“ და შპს „ს. რ-ას“ შორის 2007 წლის 14 მაისს გაფორმდა №სმგ-76/17 ხელშეკრულება რ-ის მისასვლელი ლიანდაგის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

შპს „ს. რ-ის“ მიერ 2010 წლის 22 მარტის კორექტირების ვაუჩერის საფუძველზე ჩამოჭრილ იქნა შპს „ნ-ი-თ-ის“ საბარათე ანგარიშიდან 7 900 ლარი. სადავო თანხის დარიცხვის (საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრის) ფორმალური საფუძველი გახდა „ს. რ-ის“ სადგურ „თბილისი-ს-ოს“ სატვირთო და კომერციული საფინანსო, სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ-კომპლექსური რევიზიის 2009 წლის 30 იანვრის აქტი, რომლის თანახმადაც შპს „ნ-ი-თ-ის“ მიმართ არაერთგზის იქნა განხორციელებული ტვირთის მიწოდება და, რიგ შემთხვევებში, ადგილი ქონდა ვაგონების მოცდენას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ შპს „ნ-ი-თ-ის“ მიერ კეთილსინდისიერად იქნა შესრულებული ვალდებულება და ვაგონების მოცდენას ადგილი არ ჰქონია. სასამართლოს შეფასებით, დროის იმ შუალედში, რომელსაც მოპასუხე მოსარჩელის ბრალით ვაგონების მოცდენად მიიჩნევს, ტვირთი დაყოვნდა განბაჟების და დაცლის ფრონტის მოლოდინში. აღნიშნული გარემოება კი თავისთავად გამორიცხავს ვაგონების მოცდენას ტვირთიმძღვრის ბრალით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურის დარიცხვისას დროის ათვლა უნდა დაიწყოს იმ დღის 24 საათიდან, როდესაც ტვირთი მიწოდებულ იქნა ადგილზე. შემდეგი 24 საათი კი არის ტვირთის გადმოტვირთვისათვის დადგენილი დრო, რომელზეც რაიმე საფასური არ არის დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურის დარიცხვისას დროის ათვლა დაიწყება აღნიშნული წესის შესაბამისად, შპს „ს. რ-ის“ სადგურ „თბილისი-ს-ოს“ სატვირთო და კომერციული საფინანსო, სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ-კომპლექსური რევიზიის 2009 წლის 30 იანვრის აქტში მითითებული მონაცემებით, ვაგონების მოცდენას ადგილი არ აქვს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შპს „ს. რ-ის“ მიერ არასწორად იქნა შეფასებული ტვირთის მიწოდების და დაცლის ვადები,

კასატორმა როგორც ვაგონების მოცდენასთან, ასევე შპს „ნ-ი-თ-ის“ ბრალეულობასთან დაკავშირებით წარმოადგინა პრეტენზია, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ ვაგონების მოცდენის ფაქტს ადასტურებს საერთო ფორმის აქტები, რომლებშიც მითითებული დროის აღრიცხვით დასტურდება, რომ ვაგონების მოცდენა გამონვეული იყო ორი მიზეზით – განბაჟების მოლოდინით და დაცლის ფრონტის მოლოდინით. ამასთან, კასატორი მთლიანად გამორიცხავს საკუთარ ბრალეულობას და სადავო თანხის დარიცხვის სასამართლებრივ საფუძველად მიუთითებს როგორც საკანონმდებლო აქტებს (სარკინიგზო კოდექსის 22-23-ე, 25-26-ე და 36-ე მუხლები), ასევე შპს „ს. რ-ის“ მიერ დამტკიცებულ სატვირთო გადაზიდვების და ტარიფების დამატებით საფასურებს.

საკასაციო პალატა კასატორის მიერ მითითებული პრეტენზიის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით გამოყოფს რამდენიმე საკითხს:

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შპს „ს. რ-ა“ სარჩელისაგან თავის დაცვას და საკუთარი პოზიციის დასაბუთებას სწორედ რ-ის მიერ შედგენილი საერთო ფორმის აქტებით ცდილობდა. მითითებული მტკიცებულებებისა და შპს „ს. რ-ის“ სადგურ „თბილისი-ს-ოს“ სატვირთო და კომერციული საფინანსო, სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ-კომპლექსური რევიზიის 2009 წლის 30 იანვრის აქტის შეფასების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ტვირთი დაყოვნდა განბაჟებისა და დაცლის ფრონტის მოლოდინში. აღნიშნული გარემოება კასატორის მიერ სადავო არ გამხდარა.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ტვირთი დანიშნულების ადგილზე დადგენილ ვადაში მიტანილად ითვლება, თუ დანიშნულების რ-ის სადგურში ტვირთის (ვაგონის, კონტეინერის) მიწოდება დაყოვნებულია ტვირთიმძღვრის მიზეზით (დაკავებულია მისი კუთვნილი სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგი, ტერმინალში არ გააჩნია თავისუფალი სათავსო და სხვა) ან დანიშნულების რ-ის სადგურის ლიანდაგის დაკავებულობის გამო, როდესაც რ-ა იძულებულია, ტვირთი გააჩეროს გზად მდებარე რ-ის სადგურში. ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიწოდების დაყოვნებისას დგება საერთო ფორმის აქტი, რომლის საფუძველზედაც ტვირთიმძღვრე ან ექსპედიტორი გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულია გადაუხადოს რ-ას საფასური ამ კოდექსის 50-ე მუხლით დადგენილი წესით. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ვაგონების ჩაყენება დაცლა-დატვირთვის ფრონტზე შპს „ს. რ-ის“ მიერ ვერ მოხერხდა განბაჟებისა და დაცლის ფრონტის მოლოდინის გამო. შესაბამისად, სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „ნ-ი-თ-ისათვის“ მისი კუთვნილი ტვირთი უნდა ჩაითვალოს დანიშნულების ადგილზე დადგენილ ვადაში მიტანილად. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო სამართალურთიერთობაში შპს „ს. რ-ა“ წარმოადგენდა გადამზიდველს, რომელსაც ევალებოდა ტვირთის გადაზიდვა და დანიშნულების ადგილზე მიტანა. არც პირველი ინსტანციის სასამართლოს და არც სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია შპს „ს. რ-ის“, როგორც გადამზიდველის ბრალეულობა ტვირთის დაყოვნებაში. აქედან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში, დაცლის ფრონტის მოლოდინი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ტვირთიმძღვრისათვის გამოყოფილი რ-ის მისასვლელი ლიანდაგის არათავისუფალ მდგომარეობაში ყოფნა, ხოლო მეორე შემთხვევაში, განბაჟების მოლოდინი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ტვირთიმძღვრისათვის მიწოდებული ტვირთის განბაჟების რეჟიმში მოქცევა. ამდენად ფაქტია, რომ შპს „ნ-ი-თ-ისათვის“ ქ.თბილის-

ში მიწოდებული ტვირთი გაჩერდა ტვირთმიმღების მიზეზით და ასეთი შედეგი არ არის განპირობებული რ-ის ბრალით ან მიზეზით. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვაგონების მიწოდების დაყოვნების გამო შპს „ნ-ი-თ-ის“ ბრალეულობასთან დაკავშირებით კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

რაც შეეხება რ-ის კუთვნილი ვაგონების მოცდენის ფაქტის არსებობას, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ 24 საათზე მეტი მომსახურების საფასურის დარიცხვისას დროის ათვლა უნდა დაიწყოს იმ დღის 24 საათიდან, როდესაც ტვირთი მიწოდებულ იქნა ადგილზე. შემდეგი 24 საათი კი არის ტვირთის გადმოტვირთვისათვის დადგენილი დრო, რომელზეც რაიმე საფასური არ არის დადგენილი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 27-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული მუხლი ეხება დანიშნულების რ-ის სადგურში ტვირთის შენახვისა და გაცემის წესს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განმარტებულია რა შეიძლება ჩაითვალოს კანონის დარღვევად, კერძოდ, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობის გადასაწყვეტად სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სარკინიგზო კოდექსის 22-ე, 23-ე, 25-ე და 36-ე მუხლები. 22-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ტვირთის გადაზიდვისა და ამასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების განევის (სამუშაოს შესრულების) საფასურის გადახდამდე ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნებისა და ტვირთის ვაგონში (კონტეინერში) შენახვისათვის პასუხისმგებლობა, აგრეთვე ვაგონით (კონტეინერით) სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულება მისი დაყოვნების მთელი დროისათვის ეკისრება ტვირთმფლობელს ან ექსპედიტორს ხელშეკრულების შესაბამისად. ამავე კოდექსის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რ-ის მიერ ტვირთგამგზავნისათვის (ტვირთმიმღებისათვის) ან ექსპედიტორისათვის ვაგონის (კონტეინერის) დასაცლელად ან დასატვირთად გამოყოფის მომენტიდან მისი უკან დაბრუნების მომენტამდე ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები) ან ექსპედიტორი ვალდებულია გადაიხადოს ვაგონით (კონტეინერით) სარგებლობის საფასური და რ-ას აუნაზღაუროს ვაგონის (კონტეინერის) დაგვიანებით დაბრუნების გამო განეული ტვირთის შენახვის ხარჯი. ხოლო ამავე კოდექსის 36-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) ან ექსპედიტორის მიზეზით რ-ის სადგურში ან ნავსადგურის მისამართზე მისული ან დატვირთვა-გადმოტვირთვის (გადატვირთვის) სამუშაოების ჩატარების ადგილზე მიწოდებული ან ამ ადგილის გათავისუფლების მოლოდინში მდგარი ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნებისას, აგრეთვე ამავე პირების მისამართზე მისული ვაგონის (კონტეინერის) გზად მდებარე რ-ის სადგურში დაყოვნებისას აღნიშნული პირები ვალდებული არიან რ-ას გადაუხადონ ვაგონით (კონტეინერით) სარგებლობისა და ტვირთის შენახვის დადგენილი საფასური მისი დაყოვნების მთელი დროისათვის. ზემოთ მოხმობილი ნორმების ანალიზის შედეგად საკასაციო პალატა დაასკვნის, რომ შპს „ს. რ-ას“ გარდა გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურისა შეუძლია მოითხოვოს ვაგონებით სარგებლობის საფასური, მათ შორის ხარჯების ანაზღაურება ვაგონის დაყოვნებისათვის.

საქმეში წარმოდგენილია შპს „ს. რ-ის“ გენერალური დირექტორის 2006 წლის 1 ივნისის №311/გ ბრძანებით დამტკიცებული სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები, რომლის მიხედვითაც, დანიშნულების სადგურში კლიენტის მიზეზით 24 საათზე მეტი მომსახურებისას, თითოეულ დანეყებულ დღე-ღამეზე დადგენილია დამატებითი მომსახურების საფასური, რ-ის კუთვნილ ვაგონზე – 100 ლარი. სარკინიგზო კოდექსის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვაგონით სარგებლობის საფასური განისაზღვრება ვაგონის დასაცლელად ან დასატვირთად გამოყოფის მომენტიდან მისი უკან დაბრუნების მომენტამდე. ვინაიდან შპს „ს. რ-ის“ სატარიფო პოლიტიკის მიხედვით რ-ის კუთვნილ ვაგონზე დამატებითი საფასური გამოიანგარიშება დანიშნულების სადგურში კლიენტის მიზეზით 24 საათზე მეტი მომსახურებისას, ლოგიკურია, რომ ვაგონის დასაცლელად ან დასატვირთად გამოყოფის მომენტიდან 24 საათზე მეტი მომსახურება ტვირთმიმღების მიერ უნდა ანაზღაურდეს, თუკი ამგვარი მომსახურების აუცილებლობა გამონეულია ტვირთმიმღების მიზეზით. რაც შეეხება 24-საათიანი (უსასყიდლო) მომსახურების ვადის ათვლას, საკასაციო სასამართლოს მიერ მოხმობილ ნორმათა სისტემური და ლოგიკური განმარტებიდან გამომდინარე, იგი უნდა დაიწყოს ვაგონის დასაცლელად გამოყოფის მომენტიდან (ვაგონების ჩაყენება დაცლა-დატვირთვის ფრონტზე). საეულისხმოა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლო ვაგონების მოცდენას გამორიცხავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების საფასურის დარიცხვის მიზეზებისათვის, 24 საათზე მეტი დროის ათვლა დაიწყება იმ დღის 24 საათიდან, როდესაც ტვირთი იქნა მიწოდებული, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაუსაბუთებლობის გამო. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ვაგონების მოცდენის ნაწილში წარმოადგენა დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია (შედავება).

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 44-ე მუხლით მონესრიგებულია მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეები პასუხს აგებენ მხოლოდ მათ მიერ ჩადენილი ან მათი მიზეზით გამონეული სამართალდარღვევებისათვის. სამართალდარღვევით გამონეუ-

ლი ზიანის ანაზღაურებასთან ერთად დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს მგზავრის გადაყვანის, ტვირთის, ტვირთ-ბარგის გადაზიდვის, ვაგონით (კონტეინერით) სარგებლობისა და სხვა მომსახურების საფასური. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლის თანახმად, მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც. იგივე მითითებულია სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-7 ნაწილშიც.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ს. რ-ამ“ შპს „წ-ი-თ-ის“ ბრალეულობასთან, ასევე კლიენტის მიზეზით 24 საათზე მეტი ვადით მომსახურებასთან დაკავშირებით წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა შპს „წ-ი-თ-ს“ სწორად გადაახდევინა ვაგონების მოცდენისათვის თანხა. ამასთან, ეს თანხა არ წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრების შედეგს, ამიტომ არ ექვემდებარება მოსარჩელისათვის დაბრუნებას. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც შპს „წ-ი-თ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე შპს „ს. რ-ამ“ საქმის სააპელაციო წესით განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 316 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 395 ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატამ შეცვალა გადაწყვეტილება და შპს „წ-ი-თ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სასამართლო თვლის, რომ ამ უკანასკნელს შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კასატორის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები 711 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „წ-ი-თ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. შპს „წ-ი-თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს კასატორის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები 711 ლარი.
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-719-678-2011

3 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ბ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ტ. ე-ის, შპს „კ-ისა“ და მ. მ-ას მიმართ 1996 წლის 15 ნოემბერს შპს „კ-სა“ და ტ. ე-ის შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის განმარტებით, 1998 წლის 28 დეკემბერს გ. ბ-ესა და სამშენებლო კომპანია „კ-ის“ პრეზიდენტ მ. მ-ას შორის, რომელიც ამავდროულად ამხანაგობა „ხ-96-ის“ თავმჯდომარეა, გაფორმდა ხელშეკრულება ჩ-ისა და ჭ-ის ქუჩებს შორის მდებარე №3 კორპუსის მე-4 სართულზე არსებული 100 კვ.მ №20 ბინის 1999 წელს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. მოგვიანებით გაირკვა მოპასუხის დანაშაულებრივი

ქმედების თაობაზე, კერძოდ, სამშენებლო კომპანია „კ-ი“ ერთსა და იმავე ბინებს ასხვისებდა სხვადასხვა პირებზე თანხის მითვისების მიზნით.

თაღლითობის ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად იქნა ცნობილი გ. ბ-ე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ნოემბრის განაჩენით დადგინდა, რომ სადავო ფართზე ნასყიდობის ხელშეკრულებები კომპანიას ასევე გაფორმებული ჰქონდა მ. კ-ესთან, ი. ფ-სა და ტ. ე-ესთან.

მოსარჩელის განმარტებით, ტ. ე-ესთან დადებული გარიგება, რომლის ბათილობასაც მხარე მოითხოვს, ყალბია, რადგანაც არ შეესაბამება ხელშეკრულების დადების დროს მოქმედ კანონმდებლობას, ასევე საქალაქო კოდექსის 327-ე და 328-ე მუხლების მოთხოვნებს. ხელშეკრულების სიყალბის ფაქტი ასევე დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით, ამასთან, ტ. ე-ეს სადავო ხელშეკრულების დედანი არც ერთ სასამართლო სხდომაზე არ წარმოუდგენია.

მოპასუხე ტ. ე-ემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება კომპანია „კ-სა“ და ტ. ე-ეს შორის გაფორმდა 1996 წლის 15 ნოემბერს, ხოლო მოსარჩელესთან ხელშეკრულება დადებულია 1998 წლის 28 დეკემბერს, ამდენად, სამშენებლო კომპანიამ ფართი პირველად ტ. ე-ეს მიჰყიდა. მოსარჩელე არის დაზარალებული და მას მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ დამნაშავეს მიმართ გააჩნდეს, სარჩელის უსაფუძვლობას ადასტურებს ისიც, რომ არც ერთი სამართლებრივი ნორმა მოსარჩელეს არ მიუთითებია, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას დაადასტურებდა. ამასთან, მოპასუხემ მისი პოზიციის მართებულობის დასადასტურებლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლის დებულებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი შპს „კ-ისა“ და ტ. ე-ის მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 1996 წლის 15 ნოემბრის შპს „კ-სა“ და ტ. ე-ეს შორის დადებული ხელშეკრულება, ამავე გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი მ. მ-ას მიმართ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. ე-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით ტ. ე-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მეორე და მეოთხე პუნქტები და ამ ნაწილებში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ბ-ის სარჩელი შპს „კ-ისა“ და ტ. ე-ის მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 1996 წლის 15 ნოემბერს შპს „კ-სა“ და ტ. ე-ეს შორის დადებული ხელშეკრულება, 100 კვ.მ ფართის მქონე №20 ბინის ნაწილი შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდა გ. ბ-ის სარჩელი და მთლიანად იქნა ბათილად ცნობილი 1996 წლის 15 ნოემბერს შპს „კ-სა“ და ტ. ე-ეს შორის დადებული ხელშეკრულება, იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რადგან მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ვრცელდება მხოლოდ 100 კვ.მ ფართის ბინაზე, ხოლო სადავო ხელშეკრულებით მოპასუხეს საკუთრების უფლება უნდა გადასცემოდა ორ ბინაზე, რომელთა საერთო ფართი შეადგენდა 158 კვ. მეტრს. 58 კვ.მ ფართის მქონე ბინის გადაცემის ნაწილში ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელეს არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ამხანაგობა „ჩ-ი 9/11-ისა“ და „ჭ-ა 4-6-8-ის“ წევრთა 1996 წლის 21 მარტის კრების ოქმის მიხედვით (კრებას ასევე ესწრებოდა სამშენებლო კომპანია „კ-ის“ პრეზიდენტი მ.მ-ა, რადგან ეს ფირმა ამ ამხანაგობებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე აწარმოებდა მათთვის ორი კორპუსის მშენებლობას), მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდა ამხანაგობების და სამშენებლო კომპანია „კ-ის“ ქმედებათა სინქრონიზაცია, აგრეთვე ამხანაგობების წევრებსა და სამშენებლო კომპანია „კ-ს“ შორის ურთიერთობის გამარტივების მიზნით, ორივე ეს ამხანაგობა გაერთიანდა ერთ ამხანაგობად და ეწოდა „ს-96“.

გაერთიანებული ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. მ-ა. ამავე კრების გადაწყვეტილებით ყველა დოკუმენტს, რომელიც შედგება ამხანაგობასთან შეუთანხმებლად მისი ბეჭდით დამონშების გარეშე, ამხანაგობა ბათილად ცნობს და მის შესრულებაზე ვალდებულებას არ იღებს. 1996 წლის 15 ნოემბერს ტ. ე-ესა და სამშენებლო კომპანია შპს „კ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიამ იკისრა ტ. ე-ისათვის ახალშენისა და ჩ-ის ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის №3 კორპუსში, მე-4 სართულზე 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების აშენებისა და პირად საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება. გადასაცემი ბინების ფართი განისაზღვრა 158 კვ. მეტრით, ხოლო ღირებულება 22000 აშშ დოლარით. ტ. ე-ემ სრულად გადაიხადა ბინების ღირებულება.

ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1997 წლის 17 დეკემბრის №13.12.217 გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობა „ს-96-ის“ გამგეობის მიერ წარმოდგენილი ამხანაგობის კრების №13 ოქმის საფუძველზე, ტ. ე-ე განეწიანდა ამხანაგობაში ოროთახიანი ბინის მიღების უფლებით.

1998 წლის 28 დეკემბერს გ. ბ-ესა და სამშენებლო კომპანია „კ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიამ აიღო ვალდებულება მოქალაქეს გამოეყოს და პირად საკუთრებაში გადასცეს ახალშენისა და ჩ-ის ქუჩების შორის არსებულ ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის №3 კორპუსში სამოთახიანი ბინა მე-4 სართულზე (ბინა 3-1 ტიპის). ბინის ფართი განისაზღვრა 100 კვ. მეტრით, გადასახადელი თანხა – 18000 აშშ დოლარით. გ.ბ-ემ ბინის ღირებულება დაფარა ნაწილობრივ, კერძოდ, გადაიხადა 16000 აშშ დოლარი. ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1999 წლის 24 ივნისის №251 განკარგულებით დაკმაყოფილდა ინდივიდუალური მენაშენეების ამხანაგობა „ხ-96-ის“ გამგეობის მოთხოვნა და №11 ოქმის საფუძველზე ამხანაგობაში სხვა პირებთან ერთად განევრიანდა გ. ბ-ე სამოთახიანი ბინის წილით. 2002 წლის 20 სექტემბერს ტ. ე-ემ სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების: სამშენებლო კომპანია „კ-ისა“ და ამხანაგობა „ხ-96-ის“ წინააღმდეგ და 1996 წლის 15 ნოემბერს მასსა და სამშენებლო კომპანია შპს „კ-ს“ შორის გაფორმებული, ამჟამად სადავო ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვა ქ.თბილისში, ჩ-ისა და ჭ-ის ქუჩებს შორის მდებარე ამხანაგობა „ხ-96-ის“ კუთვნილ №3 კორპუსში მე-4 სართულზე მდებარე 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების (საერთო ფართობი 158 კვ.მ) მის საკუთრებად ცნობა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ტ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით გ.ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ტ. ე-ის მიმართ №20 ბინაზე საკუთრების უფლების აღიარების ნაწილში და საქმის წარმოება განახლდა. ამავე სასამართლოს 2005 წლის 14 მარტის განჩინებით ტ. ე-ის სარჩელი მოპასუხეების – სამშენებლო კომპანია „კ-ისა“ და ამხანაგობა „ხ-96-ის“ მიმართ საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, დატოვებულ იქნა განუხილველად. აღნიშნული განჩინება ტ. ე-ეს არ გაუსაჩივრებია და იგი კანონიერ ძალაშია შესული. ასევე კანონიერ ძალაშია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება ტ. ე-ის მიმართ №21 ბინაზე (ფართი 58 კვ.მ) საკუთრების უფლების აღიარების ნაწილში.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2008 წლის 27 თებერვლიდან 2008 წლის 27 მარტამდე პერიოდში საჯარო რეესტრში, როგორც №20, ისე №21 ბინაზე (საერთო ფართი 158.00 კვ.მ) რეგისტრირებული იყო ტ. ე-ის საკუთრების უფლება. ამასთან, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე, ამ ჩანაწერში ცვლილება შევიდა და 2008 წლის 27 მარტს და დღემდე ტ. ე-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 58 კვ.მ ფართის მქონე №21 ბინა. რაც შეეხება №20 ბინას, მასზე საჯარო რეესტრის მიერ გაცემული მონაცემებით საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის და ეს ბინა უფლებრივად დაუტვირთავია. სასამართლომ, ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ჩათვალა, რომ მოსარჩელე გ. ბ-ეს არ შეიძლება გააჩნდეს დაცვის ღირსი იურიდიული ინტერესი სადავო ხელშეკრულების იმ ნაწილზე, რომელიც შეეხება 58 კვ.მ ფართის მქონე №21 ბინას. სასამართლომ მიუთითა ასევე 100 კვ.მ ფართის მქონე №20 ბინაზე და მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულების ამ ნაწილის ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი გააჩნია, ვინაიდან ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, რომლითაც გ. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ამავე სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება ტ. ე-ის მიმართ, სწორედ №20 ბინაზე საკუთრების უფლების აღიარების ნაწილში საქმის წარმოება განახლდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ საქმეზე წარმოების განახლების შემდეგ, ამავე სასამართლოს 2005 წლის 14 მარტის განჩინებით ტ. ე-ის სარჩელი მოპასუხეების: სამშენებლო კომპანია „კ-ისა“ და ამხანაგობა „ხ-96-ის“ მიმართ №20 ბინაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, დატოვებული იქნა განუხილველად. განჩინება ტ. ე-ეს არ გაუსაჩივრებია და იგი შევიდა კანონიერ ძალაში.

პალატის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ სადავო ხელშეკრულებით ნაწილობრივ განკარგულია 1998 წლის 28 დეკემბერს გ. ბ-ესა და სამშენებლო კომპანია შპს „კ-ს“ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი, დასტურდება მოპასუხე შპს „კ-ის“ დირექტორ მ. მ-ას ახსნა-განმარტებებითაც. გ. ბ-ის იურიდიული ინტერესი მოცემულ დავის საგანზე ასევე დასტურდება მ. მ-ას მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე და განმარტა, რომ აღიარებითი მოთხოვნის არსებითი დამახასიათებელი ნიშანია იურიდიული ინტერესი, ანუ სასამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს დაინტერესებულ პირს. იმ შემთხვევაში, თუ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება გაუმართლებელია. სასამართლომ ჩათვალა, რომ გ. ბ-ის იურიდიული ინტერესის ფარგლები ვრცელდება 100 კვ.მ ფართის მქონე №20 ბინაზე და 58 კვ.მ ფართის მქონე №21 ბინაზე მას იურიდიული ინტერესი არ გააჩნია. შესაბამისად, არ არსებობს 1996 წლის 15 ნოემბერს შპს „კ-სა“ და ტ. ე-ეს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი 58 კვ.მ ფართის მქონე №21 ბინის ნაწილში.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სასამართლომ თავისი ინიციატივით შეცვალა სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დააფუძნა სხვა ფაქტებზე, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სხვა გარემოებებთან ერთად ეფუძნებოდა იმ ფაქტებსაც, რომ ტ. ე-ე ამხანაგობა „ხ-96-ში“ განევრიანებული არ იყო 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების (158 კვ.მ ფართი) მიღების უფლებით და ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი 1996 წლის 24 ნოემბრის ამხანაგობის გამგეობის კრების №6 ოქმი 158კვ.მ ფართის მიღების უფლებით ტ. ე-ის ამხანაგობაში

განვერიანების შესახებ იყო არასწორი, რადგან იმავე ნომრით, იმავე წელს, იმავე ორგანოს კრების ოქმით გადაწყვეტილი იყო სხვა პირის განვერიანების საკითხი და ამასთან, მოსარჩელის მიერ მოძიებული საარქივო მონაცემების მიხედვით, თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1996 წლის და 1999 წლების ოქმებში გადაწყვეტილება ტ. ე-ის „ბ-96-ში“ განვერიანების შესახებ არ მოიპოვებოდა. ამასთან, სარჩელში აღნიშნული იყო, რომ როგორც იმავე გამგეობის 1997 წლის 17 დეკემბრის №13.12.217 გადაწყვეტილებით ირკვეოდა, ამხანაგობა „ბ-96-ის“ კრების №13 ოქმის მიხედვით, ტ. ე-ე ამ ამხანაგობაში განვერიანებული იყო ოროთახიანი ბინის მიღების უფლებით. ამდენად, სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობის ფაქტობრივ საფუძველად სწორად იქნა მითითებული ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ ის, რომ საქმეზე წარდგენილი არ იყო ამხანაგობა „ბ-96-ის“ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება ტ. ე-ის ამხანაგობაში 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების (158 კვ.მ ფართი) მიღების უფლებით განვერიანების შესახებ და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დარღვეულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული შეჯიბრებითობის პრინციპი.

პალატამ ასევე განმარტა, რომ სასამართლო შეზღუდული არ არის მოსარჩელის მიერ მითითებული სამართლებრივი ნორმებით და მას თვითონ შეუძლია, მისცეს დადგენილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება. მოცემული დავის გადაწყვეტისას პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მოსარჩელე გ. ბ-ისაგან განსხვავებით, რომელიც ამხანაგობასთან სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდა 1997 წლის 25 ნოემბრის ანუ ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ტ. ე-ესა და „კ-ს“ შორის გაფორმებული 1996 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულება ექცეოდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1993 წლის 9 ივლისის №14.03.93 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისში ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობების მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ დებულებისა“ და სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) რეგულირების სფეროში, შესაბამისად, მითითებული ნორმატიული აქტების საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ არსებობდა სადავო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი (მოსარჩელის იურიდიული ინტერესის ფარგლების გათვალისწინებით), რადგან იგი არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. იმავე გადაწყვეტილებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, არ იქნა გაზიარებული აპელანტის წარმომადგენლის მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირ განხილვაზე მიცემული განმარტება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ტ. ე-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, დაარღვია იმავე კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება და არასწორად დაადგინა, რომ გ. ბ-ეს სადავო ბინის მიმართ გააჩნია სათანადო სამართლებრივი უფლებამოსილება. სასამართლომ 1996 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულება 100 კვ.მ ფართის ნაწილში არასწორად ჩათვალა ბათილად.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებით მსჯელობს მხოლოდ მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე და მის ნამდვილობას ამყარებს მხოლოდ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული. აღნიშნული არ წარმოადგენს მოსარჩელის იურიდიული ინტერესის ნამდვილობის დამადასტურებელ გარემოებას, რადგანაც შეეხება მხოლოდ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და არ არის დადგენილი პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ ტ. ე-ესა და სამშენებლო კომპანია „კ-ს“ შორის 1996 წლის 15 ნოემბრის გაფორმებული ხელშეკრულება ექცეოდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1993 წლის 9 ივლისის №14.3.93 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისში, ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობების მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ დებულებისა“ და სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) რეგულირების სფეროში. ამ მითითებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება სადავო ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცეს იმ გარემოებას, რომ 1998 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულება არ შეიძლება იყოს გ. ბ-ის უფლების წარმოშობის წინაპირობა, რადგანაც ის არ შეესაბამება ამხანაგობის 1996 წლის 21 მარტის კრების ოქმის მითითებებს, რომლებიც ამხანაგობის სახელით დადებული ყველა გარიგების ნამდვილობას ადასტურებს, ამასთან, ამხანაგობის თავმჯდომარე მ. მ-ამაც დაადასტურა და დადგინა, რომ სადავო ბინა გ. ბ-ისათვის მიყიდვის დროს უკვე დატვირთული იყო სხვა პირის საკუთრების უფლებით.

სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1999 წლის 24 ივნისის №251 განკარგულების საფუძველზე, ერთობლივი საქმიანობის შესახებ ურთიერთობის მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის 930-ე-938-ე მუხლების საწინააღმდეგოდ, არასწორად ჩათვალა ლეგიტიმურად სადავო ამხანაგობაში გ. ბ-ის განვერიანების საკითხი, სასამართლომ ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა თავად ამხანაგობა „ბ-96-ის“ კრების №11 ოქმის მონაცემებით.

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ გ. ბ-ესთან ამხანაგობის სახელით დადებული ხელშეკრულება არ ახდენს ფართის იდენტიფიცირებას.

სასამართლომ ყოველგვარი გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა 1996 წელს დადებული ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე. მართალია, სასამართლომ იხელმძღვანელა ამ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი კანონმდებლობით, თუმცა, დაარღვია მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ვინაიდან ამხანაგობასა და მოდავე მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდა და ის ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების დროისათვის არ იყო შესრულებული.

კასატორის მოსაზრებით, სადავო ხელშეკრულება სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით წარდობის ხელშეკრულებაა, რაც სასამართლომ არ გაიზიარა, ამასთან, დღეს მოქმედი კანონმდებლობით ურთიერთობის კვალიფიცირების შემთხვევაში, დასტურდება, რომ სახეზეა ერთობლივი საქმიანობის შესახებ სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები: ტ. ე-ემ გადაიხადა ბინის საფასური და მოხდა გადასაცემი ფართის იდენტიფიცირება.

მხარის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეს პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას არ გამოუყენებია ტერმინი „ხანდაზმულობა“, ის მიუთითებდა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროზე. თავის მხრივ, ხანდაზმულობა არ არის ფაქტი, არამედ სამართლებრივი შეფასებაა და კანონმდებლობა სააპელაციო ინსტანციაში ამ გარემოებაზე მითითების აკრძალვას არ იცნობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ივლისის განჩინებით ტ. ე-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ე-ის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ამხანაგობა „ჩ-ი 9/11-ისა“ და „ჭ-ა 4-6-8-ის“ წევრთა 1996 წლის 21 მარტის კრების ოქმის მიხედვით, მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდა ამხანაგობების და სამშენებლო კომპანია „კ-ის“ ქმედებათა სინქრონიზაცია, აგრეთვე ორივე ეს ამხანაგობა გაერთიანდა ერთ ამხანაგობად და ეწოდა „ბ-96“. გაერთიანებული ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. მ-ა. ამავე კრების გადაწყვეტილებით ყველა დოკუმენტს, რომელიც შედგება ამხანაგობასთან შეუთანხმებლად მისი ბეჭდით დამონმების გარეშე, ამხანაგობა ბათილად ცნობს და მის შესრულებაზე ვალდებულებას არ იღებს.

1996 წლის 15 ნოემბერს ტ. ე-ესა და სამშენებლო კომპანია შპს „კ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიამ იკისრა ტ. ე-ისათვის ახალშენისა და ჩ-ის ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის №3 კორპუსში, მე-4 სართულზე 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების აშენებისა და პირად საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება. გადასაცემი ბინების ფართი განისაზღვრა 158 კვ. მეტრით, ხოლო ღირებულება 22000 აშშ დოლარით. ტ. ე-ემ სრულად გადაიხადა ბინების ღირებულება.

ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1997 წლის 17 დეკემბრის №13.12.217 გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობა „ბ-96-ის“ გამგეობის მიერ წარმოდგენილი ამხანაგობის კრების №13 ოქმის საფუძველზე, ტ. ე-ე განეწვიანდა ამხანაგობაში ოროთახიანი ბინის მიღების უფლებით.

1998 წლის 28 დეკემბერს გ. ბ-ესა და სამშენებლო კომპანია „კ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიამ აიღო ვალდებულება მოქალაქეს გამოუყოს და პირად საკუთრებაში გადასცეს ახალშენისა და ჩ-ის ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის №3 კორპუსში სამოთახიანი ბინა მე-4 სართულზე (ბინა 3-1 ტიპის). ბინის ფართი განისაზღვრა 100 კვ. მეტრით, გადასახადელი თანხა – 18000 აშშ დოლარით. გ. ბ-ემ ბინის ღირებულება დაფარა ნაწილობრივ, კერძოდ, გადაიხადა 16000 აშშ დოლარი.

ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1999 წლის 24 ივნისის №251 განკარგულებით დაკმაყოფილდა ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობა „ბ-96-ის“ გამგეობის მოთხოვნა და №11 ოქმის საფუძველზე ამხანაგობაში სხვა პირებთან ერთად განეწვიანდა გ. ბ-ე სამოთახიანი ბინის წილით.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ტ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით გ. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება ტ. ე-ის მიმართ №20 ბინაზე საკუთრების უფლების აღიარების ნაწილში და საქმის წარმოება განახლდა. ამავე სასამართლოს 2005 წლის 14 მარტის განჩინებით ტ. ე-ის სარჩელი მოპასუხეების – სამშენებლო კომპანია „კ-ისა“ და ამხანაგობა „ბ-96-ის“ მიმართ საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, დატოვებულ იქნა განუხილველად. აღნიშნული განჩინება ტ. ე-ეს არ გაუსაჩივრებია და იგი კანონიერ ძალაშია შესული. ასევე კანონიერ ძალაშია ვაკე-საბურთალოს რაიონულ-

ლი სასამართლოს 2002 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება ტ. ე-ის მიმართ №21 ბინაზე (ფართი 58 კვ.მ.) საკუთრების უფლების აღიარების ნაწილში.

დღემდე ტ. ე-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 58 კვ.მ ფართის მქონე №21 ბინა. რაც შეეხება №20 ბინას, მასზე საჯარო რეესტრის მიერ გაცემული მონაცემებით საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის და ეს ბინა უფლებრივად დაუტვირთავია.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სადავო ხელშეკრულებით ნაწილობრივ განკარგულია 1998 წლის 28 დეკემბერს გ. ბ-ესა და სამშენებლო კომპანია შპს „კ-ს“ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4.1 მუხლზე, რომლის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის ზოგადი სტანდარტი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღნიშნული მუხლი ასევე ადგენს მტკიცებულებათა განკუთვნილობის წესს, კერძოდ, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

როგორც სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებლად მიუთითებდა შემდეგ ფაქტებზე: ტ. ე-ესთან დადებული გარიგება ყალბია, რადგანაც არ შეესაბამება ხელშეკრულების დადების დროს მოქმედ კანონმდებლობას, ასევე სამოქალაქო კოდექსის 327-ე და 328-ე მუხლების მოთხოვნებს. ხელშეკრულების სიყალბის ფაქტი ასევე დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით. მოსარჩელის მოთხოვნა აღნიშნული გარემოებების გარდა ეფუძნებოდა იმ ფაქტებსაც, რომ ტ. ე-ე ამხანაგობა „ხ-96-ში“ განევრთანებული არ იყო 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების (158 კვ.მ ფართი) მიღების უფლებით და არ არსებობდა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია 1996 წლის 15 ნოემბერს შპს „კ-სა“ და ტ. ე-ეს შორის დადებული ხელშეკრულების სიყალბე. საქმეში წარმოდგენილია სადავო ხელშეკრულების დედანი, რომლიც არ გამხდარა ექსპერტის კვლევის ობიექტი. სააპელაციო სასამართლომ სადავო ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ფაქტობრივ საფუძვლად სრულად გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზე, რომ საქმეზე წარდგენილი არ იყო ამხანაგობა „ხ-96-ის“ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება ტ. ე-ის ამხანაგობაში 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების (158 კვ.მ ფართი) მიღების უფლებით განევრთანების შესახებ.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ უნდა შეფასებულიყო რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ხელშეკრულების მხარეთა შორის, რომლის ბათილობასაც მოსარჩელე მოითხოვს, ასევე ეს ურთიერთობა რამდენად პასუხობდა იმ წესებს, რომლებზეც მხარეები შეთანხმდნენ და რომლებიც კანონის იმპერატიული ნორმებითაა დადგენილი. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე გ. ბ-ე არ წარმოადგენდა სადავო ხელშეკრულების მხარეს, უნდა გარკვეულიყო ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი სადავო ხელშეკრულობის ბათილად გამოცხადების მიმართ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ დავასთან მიმართებაში, პირველ რიგში უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული სადავო ურთიერთობის გადასაწყვეტად, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა შეეხება მოქმედი სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე წარმოშობილ ურთიერთობებს. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს. აღნიშნული ნორმა შესაძლებლობას აძლევს მხარეებს თვითონ აირჩიონ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, ხოლო მოპასუხემ თავისი პოზიციის დასაბუთებლად მოიშველია სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლი. ამდენად, მოცემული დავის გადასაწყვეტად სასამართლოს შეუძლია იხელმძღვანელოს 1997 წლის 25 ნოემბრიდან სამოქმედოდ შემოღებული სამოქალაქო კოდექსით.

კასატორის მოსაზრებით, სადავო ხელშეკრულება მისი სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით წარდობის ხელშეკრულებაა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. აღნიშნული ნორმის ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წარდობის ხელშეკრულება განეკუთვნება სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ წარდობა მოიცავს არა მხოლოდ სამუშაოს შედეგს, არამედ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობასაც. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1996 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით ტ. ე-ეს სამშენებლო კომპანია შპს „კ-ისათვის“ გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, მხარეთა მიერ გან-

საზღვრულ ვადაში უნდა მიეღო ბინები ახალშენისა და ჩ-ის ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსში, №3 კორპუსში, მე-4 სართულზე 1+3 ოთახიანი №20 და №21, ფართი განისაზღვრა 158 კვ. მეტრით. ვინაიდან ტ. ე-ის ვალდებულებას მხოლოდ თანხის გადახდა წარმოადგენდა, იგულისხმება, რომ ბინა უნდა აშენებულიყო მენარდის მასალითა და საშუალებებით. ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის შეფასებას სადავო ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნარდობის ხელშეკრულება, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება არის ორმხრივი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 1996 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებით ერთი მხრივ ტ. ე-ე, ხოლო მეორეს მხრივ სამშენებლო კომპანია შპს „კ-ი“ შეთანხმდნენ ხელშეკრულების საგანზე, ანუ რა სამუშაო უნდა შესრულებინა მენარდეს. მხარეები ასევე შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფასზე. ამდენად დადგენილია, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოსაზრება, რომ სადავო ხელშეკრულება არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნებს უსაფუძვლოა.

სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს რაიმე სპეციალურ ნორმას ნარდობის ხელშეკრულების ფორმის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმებით, როგორცაა 68-ე და 328-ე მუხლები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ამხანაგობა „ჩ-ი 9/11-ისა“ და „ჭ-ა 4-6-8-ის“ წევრთა 1996 წლის 21 მარტის კრების ოქმის გადაწყვეტილებით, მოხდა ამხანაგობების და სამშენებლო კომპანია „კ-ის“ ქმედებათა სინქრონიზაცია, ამასთან, ორივე ეს ამხანაგობა გაერთიანდა ერთ ამხანაგობად და ეწოდა „ბ-96“. ამავე კრების გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ ყველა დოკუმენტს, რომელიც შედგება ამხანაგობასთან შეუთანხმებლად, მისი ბეჭდით დამონების გარეშე, ამხანაგობა ბათილად ცნობს და მის შესრულებაზე ვალდებულებას არ იღებს. მხარეთა შორის სადავო არაა ის ფაქტი, რომ სადავო ხელშეკრულება აკმაყოფილებს გარიგების ნამდვილობისათვის ამხანაგობის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსაც. შესაბამისად, მოსარჩელის მოსაზრება, რომ 1996 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულება არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის მოთხოვნებს უსაფუძვლოა და ვერ იქნება მხედველობაში მიღებული.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, თუ რამდენად აკმაყოფილებდა 1998 წლის 28 დეკემბერს გ. ბ-ესთან დადებული ხელშეკრულება ამხანაგობა „ჩ-ი 9/11-ისა“ და „ჭ-ა 4-6-8-ის“ წევრთა 1996 წლის 21 მარტის კრების გადაწყვეტილებით დადგენილ წესებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დავის გადაწყვეტისათვის.

რაც შეეხება 1996 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლად მითითებულ იმ ფაქტს, რომ არ არსებობდა ამხანაგობა „ბ-96-ის“ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება ტ. ე-ის ამხანაგობაში 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების (158 კვ.მ ფართი) მიღების უფლებით განეწიანების შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის მიხედვით, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. მართალია არ არსებობს ტ. ე-ის ამხანაგობაში 1+3 ოთახიანი №20 და №21 ბინების (158 კვ.მ ფართი) მიღების უფლებით განეწიანების შესახებ ამხანაგობის გადაწყვეტილება და ამის თაობაზე კასატორს არც დასაბუთებული პრეტენზია წარმოუდგენია, თუმცა საკასაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული ფაქტი გავლენას ვერ მოახდენს ნარდობის ხელშეკრულების ნამდვილობაზე, ვინაიდან ერთობლივი საქმიანობის და ნარდობის ხელშეკრულება ხელშეკრულებათა სხვადასხვა ტიპს განეკუთვნება და ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები საკუთარი მიზნის მისაღწევად უფლებამოსილი არიან დადონ გარიგებები მესამე პირებთან, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონით ან საკუთარი წესდებით დადგენილ აკრძალვებს. მხედველობაში მისაღები ის გარემოება, რომ 1996 წლის 15 ნოემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელს აწერს როგორც სამშენებლო კომპანია შპს „კ-ის“ უფლებამოსილი პირი, ასევე ამხანაგობა „ბ-96“-ის თავმჯდომარე.

კასატორი, საკასაციო საჩივარში კიდევ ერთხელ ამხვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სადავო ბინა გ. ბ-ისათვის მიყიდვის დროს უკვე დატვირთული იყო სხვა პირის საკუთრების უფლებით. კასატორი სარჩელისაგან თავის დაცვას ცდილობდა სწორედ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სადავო ხელშეკრულება კომპანია „კ-სა“ და ტ. ე-ეს შორის გაფორმდა 1996 წლის 15 ნოემბერს, ხოლო მოსარჩელესთან ხელშეკრულება დადებულია 1998 წლის 28 დეკემბერს. სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულებით ნაწილობრივ განკარგულია 1998 წლის 28 დეკემბერს გ. ბ-ესა და სამშენებლო კომპანია შპს „კ-ს“ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი, სათანადო შეფასება არ მიუცია მოპასუხის მიერ შესაგებელში გამოთქმული არგუმენტისათვის.

საკასაციო პალატა მოიშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ.სუსგ, №ას-1274-1512-05, 26.01.2006წ.) ანალოგიურ საქმეზე, სადაც დავის გადასაწყვეტად გამოყენებული იქნა სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო, თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ – მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ დაუდგენია, რომ მოსარჩელე გ. ბ-ის მფლობელობაში ოდესმე იყო ან ამჟამად არის სადავო ნივთი. შესაბამისად, საქმეზე დადგენილი

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო ბინის თაობაზე პირველად ხელშეკრულება გაფორმდა ტ. ე-ესთან, კიდევ ერთხელ დასტურდება გ. ბ-ის სარჩელის უსაფუძვლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან საკასაციო განაცხადი ეხება სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებას, ამასთან, კასატორის მხრიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე წარმოდგენილ იქნა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი სხვა გარემოებები არ ქმნიან მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ შემადგენლობას, რის გამოც მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე ტ. ე-ემ საქმის სააპელაციო წესით განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 150 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 1127 ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატამ შეცვალა გადაწყვეტილება და გ. ბ-ეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სასამართლო თვლის, რომ ამ უკანასკნელს ტ. ე-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კასატორის მიერ განუხლები სასამართლო ხარჯები 1277 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ს ი ა:

1. ტ. ე-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. გ. ბ-ეს ტ. ე-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ განუხლები სასამართლო ხარჯები 1277 ლარის ოდენობით.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პროცენტი ფულადი თანხის გადახდის ვადაგადაცილებისათვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1701-1685-2011

22 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

პ. ს. დ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. კვ-ის მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია. მოსარჩელემ რამდენჯერმე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა მოპასუხეს დაეკისროს მის სასარგებლოდ: სესხის ძირითადი თანხა 50000 აშშ დოლარის ოდენობით; სარგებელი 50000 აშშ დოლარის 5% 2010 წლის ოქტომბრის თვიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე; პირგასამტეხლო სესხის ძირითადი თანხის 50000 აშშ დოლარის 0,15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2010 წლის სექტემბრის თვიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა დავალიანების დაფარვის მიზნით მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ.თბილისი, გ-ის №50, №50ა, რ-ის (ყოფილი

ს-ის) №3, სადარბაზო №1, სართული 4, ბინა №12 (საკადასტრო კოდი №...) სარეალიზაციოდ მიქცევა. მოსარჩელემ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: ჰ. ს. დ-მ 2009 წლის 30 ივლისს გ. კ-ს ასესხა 50 000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით, ყოველთვიური 5% სარგებლით. გ. კ-მა 2010 წლის სექტემბრის ჩათვლით გადაუხადა სარგებელი, ხოლო ამის შემდგომ მას სესხი არ დაუბრუნებია და არც სარგებელს იხდის. მხარეთა შორის შეთანხმებული გარიგების პირობების თანახმად, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სესხის დაუბრუნებლობის ან სარგებლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში სესხს დაერიცხება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,3% ყოველი ვადაგადაცილებულ დღისთვის ამ საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი გადანყვეტილებების აღსრულებამდე.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ – 19 625 აშშ დოლარის ნაწილში ცნო და დამატებით განმარტა, რომ სესხის სახით მიიღო 47 500 აშშ დოლარი, საერთო ჯამში გადახდილი აქვს 27 875 აშშ დოლარი, რომელიც უნდა გამოაკლდეს სესხის ძირითად თანხას, შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობას მოპასუხე არ დაეთანხმა, რადგანაც ყოველდღიურად 0,15%-ის დაკისრება წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით ჰ. ს. დ-ის სარჩელი თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე გ. კ-ს ჰ. ს. დ-ის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა სესხის ძირითადი თანხა 50 000 აშშ დოლარი, გ. კ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა სარგებლის – 50 000 აშშ დოლარის 5%-ის გადახდა 2010 წლის ოქტომბრის თვიდან, სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე, გ. კ-ს ჰ. ს. დ-ის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 90 დღის პირგასამტეხლო 0.03%, დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიქცა გ. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე ქ.თბილისში, გ-ის ქ. №50, №50ა, რ-ის (ყოფილი ს-ის) ქ. №3, სადარბაზო №1, სართული 4, ბინა №12 (საკადასტრო კოდი №...).

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ 50000 აშშ დოლარის გადახდის, 2010 წლის ოქტომბრის თვიდან 50000 აშშ დოლარიდან თანხის საბოლოო გადახდამდე 5%-ის დაკისრების, იპოთეკის საგნის სარეალიზაციოდ მიქცევის და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში. ამასთან, მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის 23148 აშშ დოლარის დაკისრება, საიდანაც ძირითადი თანხა უნდა დაკისრებოდა 19625 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ 2009 წლის 30 ივლისს ჰ. ს. დ-სა და გ. კ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სესხი განისაზღვრა 50 000 აშშ დოლარით, სამი თვის ვადით, ყოველთვიური 5% სარგებლით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქონება მდებარე ქ.თბილისში, გ-ის №50, №50ა, რ-ის (ყოფილი ს-ის) №3, სადარბაზო №1, სართული 4, ბინა №12 (საკადასტრო კოდი №...). 2009 წლის 4 აგვისტოს სანოტარო წესით დამონმებული ხელწერილის თანახმად, გ. კ-მა ჰ. ს. დ-ისგან მიიღო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 50 000 აშშ დოლარი.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება სესხის ძირითადი თანხის სახით 27 875 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილისა და 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. სასამართლომ მიუთითა სახელშეკრულებო ვალდებულებიდან გამომდინარე სამოქალაქო სასამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით მხარეთა მტკიცების ტვირთზე და განმარტა შემდეგი: საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მხარეს ეკისრება ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი და ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დააკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. ამასთან, მხარეებს შორის, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. პალატის მოსაზრებით, ვალდებულების შესრულება შესაგებლის საფუძველია და პოზიტიურად მტკიცების ფაქტის (სესხის ძირითადი თანხის დაფარვის) დადასტურება ეკისრება მოპასუხეს. საქმის მასალებით კი, სესხის ძირითადი თანხის გადახდის მტკიცებულების არსებობა არ არის დადასტურებული.

სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ სესხის ძირითადი თანხის – 27 875 აშშ დოლარის გადახდის შესახებ გ. კ-ის მიერ ფულადი ვალდებულების (ძირითადი თანხის გადახდის) ნაწილობრივ შესრულების დამადასტურებელი, კრედიტორის მიერ შესრულების მიღების მტკიცებულების წარუდგენლობის გამო. პალატამ მიუთითა 2009 წლის 30 ივლისის ხელშეკრულების 6.1. პუნქტზე, რომლის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუკი მსესხებელი დროულად გადაიხდის სარგებელს, აღნიშნული ხელშეკრულება იმავე პირობებით შეიძლება გაგრძელებულიყო 1 თვის ვადით. აღნიშნული შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება არ იყო დამოკიდებული დამატებით მხარეთა წერილობით შეთანხმებაზე. 2009 წლის 30 ივლისიდან, 2010 წლის 30 სექტემბრამდე მსესხებლის მიერ ყოველთვიურად გადახდილი თანხა 2500 აშშ დოლარის ოდენობით, სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებლის ოდენობას, კერძოდ, სესხის სახით გაცემული თანხის 5%-ს, რაც, პალატის აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს მსესხებლის მიერ 27 875 აშშ დოლარის გადახდას სწორედ სარგებლის სახით და არა შეთანხმებას, სესხის ძირითადი თანხის ნაწილ-ნაწილ და-

ფარვის თაობაზე. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იპოთეკით დატვირთული ქონების სხვა პირის საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. სასამართლოს განმარტებით, დადგენილია რა, რომ იპოთეკის საგანზე ირიცხება გ. კ-ის საკუთრების უფლება, აპელატს აღნიშნული მისი გამაქარწყლებელი მტკიცებულებით არ დაუსაბუთებია. უსაფუძვლოების გამო არ იქნა გაზიარებული სააპელაციო საჩივრის მითითება, მოსარჩელის მიერ მთავარ სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნის შეცვლასთან დაკავშირებით, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ხარვეზის შევსების ეტაპზე ჰ. ს. დ-ის მიერ სასარჩელო მოთხოვნა დაზუსტებულ იქნა, კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სესხის ძირითადი თანხის – 50 000 აშშ დოლარის, დარიცხული სარგებლის – 7500 აშშ დოლარის და პირგასამტეხლოს სახით, 2010 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით 13 500 აშშ დოლარის დაკისრება, მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 233 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და განმარტა, რომ აღარ ითხოვდა პირგასამტეხლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე, არამედ მოითხოვა, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება სესხის ძირითადი თანხის – 50 000 აშშ დოლარის, სარგებლის – 10 000 აშშ დოლარის და პირგასამტეხლოს – 9 000 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ. ამავე სხდომაზე, სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება 69 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შემდეგ მოსარჩელემ მხარი დაუჭირა თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაზე და აღნიშნა, რომ საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე, მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება არ გამოტანილა, შესაბამისად, სასამართლოს მიერ პროცესუალურ დოკუმენტში არ ყოფილა ასახული მოსარჩელის ნების პროცესუალური შედეგი ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის გაცხადების თაობაზე. 2011 წლის 16 მარტს საქმის ხელახალი განხილვის დროისთვის ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია სარჩელში მითითებულ მოთხოვნებთან და სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, კერძოდ გ. კ-ს დაეკისრება 22125 აშშ დოლარის გადახდა კასატორმა მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

მხარეთა შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 1.2 მუხლის თანახმად, სესხი გაიცა 3 თვის ვადით და სესხის 5%-იანი სარგებლის მოქმედების ვადაც გრძელდებოდა სწორედ 3 თვით – 2009 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით. რადგანაც მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას, ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი თანხა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საპროცესო სარგებლად და ის უნდა გამოაკლდეს სესხის ძირითად თანხას. სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების გამო, მისი მოქმედების გაგრძელებისას დაცული უნდა ყოფილიყო ძირითადი ხელშეკრულების ფორმაც, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, ხელშეკრულების 6.1. მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებულად მიჩნევის თაობაზე, დაუსაბუთებელს ხდის. საწინააღმდეგო შემთხვევაშიც კი, ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა 4 თვეს წარმოადგენს, სასამართლოს ლოგიკით კი ეს ვადა მხარეთა ნების საწინააღმდეგოდ გაგრძელდა 1 თვეზე მეტი ვადით. ამდენად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვის შემდეგ განეული ხარჯები უნდა მოხმარებოდა ძირითადი ვალის დაფარვასა და პირგასამტეხლოს გადახდას.

სესხის ხელშეკრულების 1.3 მუხლისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობის გათვალისწინებით (მხარეს პირგასამტეხლო დაეკისრა მხოლოდ 90 დღისათვის, რაც არც ერთ მათგანს არ გაუსაჩივრებია) დასტურდება, რომ კასატორს სულ პირგასამტეხლო გადასახდელი აქვს 1350 აშშ დოლარი, ამ თანხის ზევით განხორციელებული ყოველი შესრულება მიჩნეულ უნდა იქნას ძირითადი თანხის გადახდად. საბანკო კრედიტთან მიმართებაში დადგენილია, რომ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას მოვალეს შეიძლება დაერიცხოს მხოლოდ პირგასამტეხლო და არა სარგებელი, რაც დაუსაბუთებელს ხდის ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

კასატორმა მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მოსარჩელემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის თანხმობის გარეშე გაზარდა მოთხოვნა, რითაც მოპასუხის მდგომარეობა კიდევ მეტად დაამძიმა, ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იპოთეკით დატვირთულ ქონებას გ. კ-თან ერთად სხვა თანამესაკუთრებებიც ჰყავს და ამ ქონების რეალიზაციის მოთხოვნის გამო სხვა თანამესაკუთრებებიც უნდა ჩაბმულიყვნენ მოცემულ დავაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 დეკემბრის განჩინებით გ. კ-ის საკასაციო საჩივარი 1023 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში დარჩა განუხილველად, ხოლო ამავე პალატის 2012 წლის 17 იანვრის განჩინებით დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევა, რომ გ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები, თუ რა მიიჩნევა კანონის დარღვევად, ხოლო მესამე ნაწილი აზუსტებს საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის შედეგებს, კერძოდ, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა გადამოწმების საფუძველს ქმნის კასატორის მიერ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) წარმოდგენა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 30 ივლისს ჰ. ს. დ-სა და გ. კ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სესხი განისაზღვრა 50 000 აშშ დოლარით, სამი თვის ვადით, ყოველთვიური 5% სარგებლით. გ. კ-მა ჰ. ს. დ-ისგან მიიღო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 50 000 აშშ დოლარი.

სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქონება მდებარე ქ.თბილისში, გ-ის №50, №50ა, რ-ის (ყოფილი ს-ის) №3, სადარბაზო №1, სართული 4, ბინა №12 (საკადასტრო კოდი №...).

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ვალდებულების შესრულება შესაგებლის საფუძველია და პოზიტიურად მტკიცების ფაქტის (სესხის ძირითადი თანხის დაფარვის) დადასტურება ეკისრება მოპასუხეს. საქმის მასალებით კი, სესხის ძირითადი თანხის გადახდის მტკიცებულების არსებობა არ არის დადასტურებული. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ სესხის ძირითადი თანხის, 27 875 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე.

პალატამ მიუთითა 2009 წლის 30 ივლისის ხელშეკრულების 6.1. პუნქტზე, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების 1 თვის ვადით გაგრძელების თაობაზე, და განმარტა, რომ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება არ იყო დამოკიდებული დამატებით მხარეთა წერილობით შეთანხმებაზე.

სასამართლოს დასკვნით, 2009 წლის 30 ივლისიდან 2010 წლის 30 სექტემბრამდე მსესხებლის მიერ ყოველთვიურად გადახდილი თანხა 2500 აშშ დოლარის ოდენობით, სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის ოდენობას, კერძოდ, სესხის სახით გაცემული თანხის 5%-ს, რაც პალატის აზრით კიდევ ერთხელ ადასტურებს მსესხებლის მიერ 27 875 აშშ დოლარის გადახდას სწორედ სარგებლის სახით და არა შეთანხმებას, სესხის ძირითადი თანხის ნაწილ-ნაწილ დაფარვის თაობაზე.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორი პრეტენზიას აცხადებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე, ასევე კასატორი მიუთითებს გასაჩივრებული განჩინების იურიდიულ დაუსაბუთებლობაზე. შესაბამისად, კასატორის პრეტენზიების მართებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე:

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ადგილი ჰქონდა მოსარჩელის მხრიდან სარჩელის გაზრდას და არა დაზუსტებას, კერძოდ, სარვეზის შევსების მიზნით პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით: დაეკისროს მოპასუხე გ. კ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ, სესხის ძირითადი თანხის 50000 აშშ დოლარის, დარიცხული პროცენტის 7500 აშშ დოლარის და პირგასამტეხლოს, 2010 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით 13500 აშშ დოლარის გადახდა, ასევე ყოველდღიური პროცენტი და პირგასამტეხლო 233 აშშ დოლარის ოდენობით წინამდებარე განცხადების შემოტანიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე. დავის საგნის აღნიშნული ფორმულირება მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაფიქსირებული მოთხოვნის შინაარსისაგან, რომლის ფარგლებშიც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრულია მხარეთა საპროცესო უფლებები, მათ შორის ისეთი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია სარჩელის საფუძველთან და საგანთან. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისათვის. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდგომ, მოპასუხის მიერ საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ გამოთქმულა პრეტენზია დავის საგნის გაზრდასთან დაკავშირებით, ამასთან, მოპასუხის შესაგებელი სწორედ მთავარ სხდომაზე ჩამოყალიბებული მოთხოვნების გაბათილებას ემსახურებოდა. აქედან გამომ-

დინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო პრეტენზია ამ ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა ვაგროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. კ-მა ჰ. ს. დ-თან 2009 წლის 30 ივლისს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღო 50 000 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით. საქმეში წარმოდგენილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 6.1. პუნქტის მიხედვით, მხარეები თანხმდებიან, რომ თუკი მსესხებელი დროულად გადაიხდის სარგებელს, აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს 1 თვის ვადით იმავე პირობებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. როგორც სარჩელში მითითებული ფაქტობრივი საფუძვლების, ასევე სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებების ანალიზით დგინდება, მოსარჩელე არსად არ უთითებს, რომ გამსესხებელი და მსესხებელი შეთანხმდნენ ხელშეკრულების დამატებით ერთი თვით გაგრძელებაზე, აქედან გამომდინარე, კასატორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებს შორის დადებული გარიგების მოქმედების ვადა სამი თვის შემდგომ არ გაგრძელდებულა, საფუძვლიანია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიხედვით, სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2009 წლის 30 ივლისს ჰ. ს. დ-სა და გ. კ-ს შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, კერძოდ, ყოველთვიური სარგებელი განისაზღვრა სესხის ძირითადი თანხის, 50000 აშშ დოლარის 5%-ით. საქმეში წარმოდგენილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 1.2. პუნქტის მიხედვით, სულ სესხი და სამი თვის სარგებლით დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 57500 აშშ დოლარს. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მართებულად განიხილავს კასატორის პოზიციას იმის შესახებ, რომ სარგებლის მოქმედება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო სამი თვის განმავლობაში. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მსესხებლის მიერ 2010 წლის 30 სექტემბრამდე ყოველთვიურად გადახდილი თანხა 2500 აშშ დოლარის ოდენობით სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის ოდენობას (5%-ს), რაც ადასტურებს 27875 აშშ დოლარის სარგებლის სახით გადახდას, არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის დისპოზიციიდან. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. საკასაციო პალატა, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში კიდევ ერთი საფუძვლის, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შემადგენლობის შემონმების მიზნით აღნიშნავს შემდეგს: მითითებული მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტი, თუ კრედიტორს სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. დასახელებულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო. ამასთან, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოპასუხე გ. კ-ს მოსარჩელის მიმართ გააჩნდა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება, ასევე დადგენილია და ამას არც მოპასუხე უარყოფს, რომ მის მიერ დარღვეულ იქნა ვალდებულება, თუმცა, სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ის ფაქტი, რომ მხარეები შეთანხმდნენ ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის რაიმე პროცენტზე, მით უმეტეს ამგვარი ფაქტი არც მოსარჩელეს მიუთითებია სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებში. შესაბამისად, სესხის მოქმედების ვადაში გათვალისწინებულ სარგებელზე (პროცენტზე) შეთანხმება ვერ გამოდგება სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად. ამდენად მოსარჩელის მოთხოვნა, რომ მოპასუხეს დაეკისროს მის სასარგებლოდ სარგებელი, 50000 აშშ დოლარის 5% 2010 წლის ოქტომბრის თვიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ამ ნაწილში წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის იმ მოსაზრებას, რომლის შესაბამისადაც, 27875 აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს პირგასამტეხლოს თანხა 1350 აშშ დოლარი, ვინაიდან, კასატორს სადავო არ გაუხდია მისთვის 90 დღის პირგასამტეხლოს დაკისრება. ამასთან, თვით კასატორის განმარტებითვე, პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში მხარეებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ და ამ ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმ ნაწილში, რომელიც ეხება იპოთეკის საგნის სარეალიზაციოდ მიქცე-

ვას. კასატორის მოსაზრებით, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც იპოთეკის საგანს, გარდა გ. კ-ისა ჰყავს სხვა თანამესაკუთრებიც. აღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოა, იმდენად, რამდენადაც უძრავ ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით, ამისათვის აუცილებელია ამ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ხოლო ასეთი მტკიცებულება მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში არ ყოფილა წარდგენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, რაც გამოიხატება შემდეგში: საკასაციო პალატის განხილვის საგანია მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სესხის ძირითადი თანხისა და სარგებლის დარიცხვის კანონიერება, ასევე იპოთეკის საგნის რეალიზაცია. სასარჩელო მოთხოვნათა შინაარსიდან ნათელია, რომ მოსარჩელე არ დავობს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (2009 წლის 30 ივლისიდან 2009 წლის 30 ოქტომბრამდე პერიოდი) გადასახდელი სარგებლის თაობაზე, არამედ ითხოვს სარგებლის დარიცხვას 2010 წლის ოქტომბრის თვიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. ამასთან, გაზიარებული იქნა კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს არ აქვს უფლება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს სარგებელი. მოსარჩელე არ შედავებია მოპასუხის იმ პოზიციას, სადაც ეს უკანასკნელი მიუთითებდა, რომ სამი თვის შემდეგ ყოველთვიურად იხდიდა 2500 აშშ დოლარს და ჯამში გადახდილი აქვს 27875 აშშ დოლარი. გაზიარებულ არ იქნა კასატორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ 27875 აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული პირგასამტეხლო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სესხის ძირითადი თანხის ნაწილში მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხა უნდა განისაზღვროს (50000-27875) 22125 აშშ დოლარით. რაც შეეხება სესხის უზრუნველყოფის საშუალებების, იპოთეკის საგნის რეალიზაციის საკითხს, ამ ნაწილში განიხილებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, კი ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განსწავს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ოდენობა 141 350 აშშ დოლარია (სესხის ძირითადი თანხა – 50 000 აშშ დოლარი, სარგებელი – 50 000 აშშ დოლარის 5% სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე და პირგასამტეხლო – 1350 აშშ დოლარი), ამასთან, 90 დღის პირგასამტეხლოს – 1350 აშშ დოლარის ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი) საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, ასევე უდავოა, რომ საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით გ. კ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 22 125 აშშ დოლარი, ანუ სასარჩელო მოთხოვნიდან – 141 350 აშშ დოლარიდან სულ დაკმაყოფილებულია 23 475 აშშ დოლარი – მოთხოვნის 16,6%. დადგენილია, რომ მოსარჩელემ საქმის განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით სარჩელის უზრუნველყოფის გამო გადაიხადა 50 ლარი, ხოლო სარჩელის გამო – 3000 ლარი, მოპასუხე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად ანგარიშსწორება არ დაეკისრება, ხოლო მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 3050 ლარის 16,6% – 506,3 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და
გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მეორე, მესამე და მეექვსე პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. ჰ. ს. დ-ის სარჩელი სესხის ძირითადი თანხის – 50000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გ. კ-ს ჰ. ს. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სესხის ძირითადი თანხა – 22125 აშშ დოლარის ოდნობით.

4. ჰ. ს. დ-ის სარჩელი გ. კ-ისათვის 2010 წლის ოქტომბრის თვიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე 50000 აშშ დოლარის 5%-ის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.

6. გ. კ-ს ჰ. ს. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 3050 ლარიდან 506,3 ლარის გადახდა.

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავდების პასუხისმგებლობა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას

ბანკინება

№ას-164-158-2011

1 აგვისტო, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

თ. თოდრია

დავის საგანი: საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ანაზღაურება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს „... ბანკმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ჟ. ჯ-ის, შპს „...-ის“, მ ჯ-ისა და შპს „მერქნის“ მიმართ დავალიანების გადახდის დავალდებულებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „... ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ჟ. ჯ-ეს, მ. ჯ-ეს, შპს „მ-ა“ და შპს „...-ს“ სს „... ბანკის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 1 073 263,97 აშშ დოლარის გადახდა, დავალიანების დაფარვისას თითოეული თავდების – შპს „...-ის“, შპს „მ-სა“ და მ. ჯ-ის – სოლიდარული პასუხისმგებლობა განისაზღვრა 650 000 აშშ დოლარით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება 627.360.28 აშშ დოლარისა და მ. ჯ-ის, შპს „მ-ის“, შპს „...-ის“ საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ჟ. ჯ-ის, მ. ჯ-ის, შპს „მ-ის“, შპს „...-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხეებისათვის 1 073 263,97 აშშ დოლარის დაკისრებისა და სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში გაუქმდა და სს „... ბანკის“ სარჩელი თანხის დაკისრების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ჟ. ჯ-ეს, მ. ჯ-ეს, შპს „მ-ს“, შპს „...-ს“ სს „... ბანკის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 627,360.28 აშშ დოლარისა და 2009 წლის 30 მაისიდან ძირითადი თანხის – 577,101.73 აშშ დოლარის 15% წლიური სარგებლის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე. დავალიანების დაფარვისას თითოეული თავდების – შპს „...-ის“, შპს „მ-სა“ და მ. ჯ-ის – სოლიდარული პასუხისმგებლობა განისაზღვრა 650 000 აშშ დოლარით, დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 23 მაისს სს „... ბანკსა“ და ჟ. ჯ-ეს შორის გაფორმდა №13.1.8897 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, სს „... ბანკსა“ და ჟ. ჯ-ეს შორის, 2008 წლის 23 მაისს გაფორმდა №13.1.8897 შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება. კრედიტის მოცულობა განისაზღვრა 310 000 აშშ დოლარით, ვადა – 120 თვით, სარგებელი – წლიური 15%-ით. მხარეთა მიერ შეთანხმებულ იქნა კრედიტით დაფარვის გრაფიკი.

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე სს „... ბანკსა“ და ჟ. ჯ-ეს შორის 2008 წლის 23 მაისს ასევე გაფორმდა №... შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება. კრედიტის მოცულობა განისაზღვრა 100 000 აშშ დოლარით, ვადა – 120 თვით, სარგებელი წლიური – 15%-ით. მხარეები შეთანხმდნენ კრედიტის დაფარვის გრაფიკზე.

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, სს „... ბანკსა“ და ჟ. ჯ-ეს შორის 2008 წლის 23 ივნისს გაფორმდა №... შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება 190 000 აშშ დოლარზე, 119 თვით წლიური 15%-ის დარიცხვით.

2008 წლის 8 მაისს, ერთი მხრივ, სს „... ბანკსა“ და, მეორე მხრივ, მ. და ქ. ჯ-ებს შორის გაფორმდა №... იპოთეკის ხელშეკრულება. ქ. ჯ-ეს და ბანკს შორის გასაფორმებელი №... გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით და მის საფუძველზე მოქმედი საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მსესხებლის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტივრთა მ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ტაბახმელაში მდებარე 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი.

ამავე ხელშეკრულების 5.6. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან/და იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში იპოთეკის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს საკრედიტო მოთხოვნის ოდენობას, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა ან მისი ღირებულება.

2008 წლის 18 ივნისს სს „... ბანკს“ და, მეორე მხრივ, ე. კ-სა და ქ. ჯ-ეს შორის გაფორმდა №... იპოთეკის ხელშეკრულება. ქ. ჯ-ეს და ბანკს შორის გაფორმებული №13.1.8897 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების და მის საფუძველზე დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით სს „... ბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკით დაიტივრთა ე. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქ.თბილისში, მ-ის ქუჩა №8-ში მდებარე №50-51 ბინები. იპოთეკით დატვირთული ქონების ამჟამინდელი მესაკუთრე არის მ. ჯ-ე. ამავე ხელშეკრულებაში აისახა 5.6. პუნქტი ზემოხსენებული შინაარსით.

2008 წლის 23 მაისს სს „... ბანკსა“ და შპს „...-ს“, მ ჯ-ეს და შპს „მ-ს“ შორის დაიდო სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების მე-4 მუხლით სოლიდარული პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 650 000 აშშ დოლარით.

ქ. ჯ-ემ 2008 წლის 23 მაისის №..., №..., №... შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული სესხის დაფარვის გრაფიკი დაარღვია. სს „... ბანკის“ მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის, 2009 წლის 30 მაისის მდგომარეობით ქ. ჯ-ის დავალიანება შეადგენს 627.369.28 აშშ დოლარს.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარში სადავოს წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან ხელშეკრულების ვადის ბოლომდე, 2018 წლის 11 მაისამდე, მოპასუხეებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის დაკისრება.

პალატის მითითებით, მოსარჩელე მიუღებელი შემოსავლის სახით ხელშეკრულების შეწყვეტიდან ხელშეკრულების ვადის ბოლომდე, 2018 წლის 11 მაისამდე, სარგებლის დაკისრებას ითხოვს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით, რომ ვალდებულების ჯეროვანი შეუსრულებლობით მოსარჩელემ დაკარგა ის პროცენტი, რომელიც მოპასუხეს უნდა გადაეხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დამთავრებამდე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობას. მოსარჩელეს მხედველობაში აქვს ის ზიანი, რაც შეიძლება მას მიადგეს კრედიტის ვადამდე დაფარვის შემთხვევაში, რაც არ არის დადასტურებული კანონით დადგენილი წესით. მოსარჩელის მოსაზრება, ემყარება ვარაუდს, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება. აღსანიშნავია, რომ ბანკი წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციას და მისი საქმიანობის სფეროა კრედიტის გაცემა მომხმარებელზე, შესაბამისად, კრედიტის ვადამდე დაფარვის შემთხვევაშიც შესაძლებელია საკრედიტო რესურსის გამოყენება სარგებლის მიღების მიზნით. ასევე, 2009 წლის 30 მაისის მდგომარეობით არსებული დავალიანების შესახებ ბანკის მიერ წარმოდგენილი ცნობის შესაბამისად, კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისათვის მოვალეს მიუღებელი შემოსავლის სახით დაეკისრა სამივე ხელშეკრულებიდან გადასახდელი თანხის 3%, რაც შეადგენს 17,313.06 აშშ დოლარს (გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 5.5 პუნქტი).

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა კრედიტის ვადამდე დაფარვის შემთხვევაში მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლები, რაც მოპასუხეებს სადავოდ არ გაუხდიათ. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის საკრედიტო ხელშეკრულება შეწყდა. ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მოვალის დავალიანება შეადგენს 627.369.28 აშშ დოლარს. ვალდებულება მოპასუხეებს არ შეუსრულებიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნულ ნორმასთან შესაბამისობაშია ასევე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 4.4. პუნქტი. მხარეთა შეთანხმებით, დადგინდა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის პირობებში სარგებლის გადახდა მოვალის მიერ ვალდებულების ნებაყოფილობით თუ იძულებით აღსრულებამდე. წლიური სარგებელი განისაზღვრა 15%-ით. მხარეთა შორის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის (2009 წლის 30 მაისის მდგომარეობით), შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე, შესასრულებელი ვალდებულება სესხის ძირითადი თანხის სახით შეადგენს 577,101.73 აშშ დოლარს.

სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ ვადის გადაცილების მომენტიდან, 2009 წლის 30 მაისიდან, ძირითადი თანხის 577,101.73 აშშ დოლარის წლიური 15% კრედიტორისათვის თანხის დაბრუნების მომენტამდე.

მოცემულ შემთხვევაში, პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი აღიარებს ბანკის წინაშე არსებულ დავალიანებას 2009 წლის 30 მაისის მდგომარეობით, რაც, სს „... ბანკის“ მიერ გაცემული ცნობის თანახმად, შეადგენს 627,369.28 აშშ დოლარს, მათ შორის – სესხის ძირითადი თანხა, პროცენტი, ვადაგადაცილების ჯარიმა, ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში, მოპასუხემ ცნო სარჩელი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსხვავებულ წესზე, რა დროსაც მოთხოვნა არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად და კრედიტორი (იპოთეკარი) კვლავაც იქნება უფლებამოსილი, მოითხოვოს სხვაობა იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგებ თანხასა და მოთხოვნის ოდენობას შორის, მოვალის სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევით.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლით და მიიჩნია, რომ კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკის ხელშეკრულებებით. პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის განმარტება, რომ აღსრულება უნდა მიექცეს მხოლოდ თავდებთა ქონებაზე, ვინაიდან ძირითად მოვალეს და თავდებს თანაბარწილად ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებისათვის (სოლიდარული ვალდებულება). ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე, დადგენილია მხარეთა ნება და შეთანხმება იმის თაობაზე, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით არ უქმდება კრედიტორის მოთხოვნა და იპოთეკის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის ნაკლებობისას აღსრულება მიექცევა სოლიდარული მოვალეების (ძირითადი მოვალე – ქ. ჯ-ე, თავდები პირები – შპს „...“, შპს „მი-ი“, მ. ჯ-ე) საკუთრებაში არსებულ ქონებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. და ქ. ჯ-ეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადავო შემთხვევაში მსესხებელსა და ბანკს შორის საკრედიტო ურთიერთობის და ქონებრივი პასუხისმგებლობის ყველა საკითხი განისაზღვრა სს „... ბანკსა“ და ქ. ჯ-ეს შორის გაფორმებული 2008 წლის 23 მაისის №... გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით და შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებებით.

მხარეებმა მკაფიოდ განსაზღვრეს მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის სანივთე და უფლებრივი უზრუნველყოფის ფარგლები, კერძოდ, მოპასუხეთა მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულება უნდა განხორციელდეს იპოთეკის საგნებზე, აგრეთვე, სოლიდარულ მოვალეთა მთელ ქონებაზე გადახდევინების მიქცევით.

აღნიშნული ჩანაწერი საკრედიტო ხელშეკრულებაში სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მოპასუხე ქ. ჯ-ის პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ იპოთეკის საგნების ღირებულებით და სოლიდარულ მოვალეთა ქონებაზე აღსრულების მიქცევით. მისი ვალდებულება შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს იპოთეკის საგნის რეალიზაციის და ზემოაღნიშნულ სოლიდარულ მოვალეთა ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, თუნდაც მათი ღირებულება არ ფარავდეს დავალიანების ოდენობას.

თუკი მხარეები თანხმდებოდნენ, სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების განსხვავებულ წესზე, ასეთი შეთანხმება მოცემული უნდა იყოს საკრედიტო და არა იპოთეკის ხელშეკრულებაში, რაც ამ შემთხვევაში არ მომხდარა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების განსხვავებული წესი მოცემულია სწორედ გენერალურ საკრედიტო ხელშეკრულებაში, რომელმაც მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენით მსესხებლის პასუხისმგებლობა შემოფარგლა კრედიტორის მიერ იპოთეკისა და სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულებების საგნით დაკმაყოფილების მიღების გზით. აღნიშნულის შემდეგ კი კრედიტორის მოთხოვნა უნდა გაუქმდეს.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლო მოსაზრება, რომ არ შეიძლება აღსრულების მიქცევა მხოლოდ თავდებთა ქონებაზე, მაშინ, როდესაც არსებობს ძირითადი მოვალის ვალდებულება. აღსრულების სტადიაზე ძირითადი მოვალის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება და იგი წყდება მხოლოდ იპოთეკის საგნების რეალიზაციისა და თავდებთა ქონებაზე გადახდევინების მიქცევით, რის შემდეგაც ბანკის მიმართ მსესხებლისა და სოლიდარული მოვალეების ვალდებულება წყდება ერთდროულად, ვინაიდან ამაზე წინასწარ შეთანხმდნენ მხარეები. ამის შემდეგ ძირითადი მოვალის ვალდებულება ბანკის მიმართ წყდება, მაგრამ არაპირდაპირ მაინც აგრძელებს არსებობას, რადგან იპოთეკის შესაკუთრებებს და თავდებებს უჩნდებათ რეგრესული მოთხოვნა მის მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2008 წლის 23 მაისს სს „... ბანკსა“ და ქ. ჯ-ეს შორის დაიდო გენერალური ხელშეკრულება, სადაც აისახა მსესხებლისათვის კრედიტის გაცემის პირობები. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, სს „... ბანკსა“ და ქ. ჯ-ეს შორის 2008 წლის 23 მაისს და 23 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც ქ. ჯ-ეზე ერთობლიობაში გაიცა 600 000 აშშ დოლარი. მიუთითებელი ხელშეკრულებით განისაზღვრა თანხის გადახდის ხანგრძლივობა, სარგებელის ოდენობა. მხარეთა შორის შედგა თანხის დაფარვის გრაფიკიც.

2008 წლის 8 მაისს სს „... ბანკსა“ და მ. ჯ-ეს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქ. ჯ-ესა და ბანკს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვითა მ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული ქონება სოფელ ტაბახმელაში. იგივე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვითა ე. კ-ის კუთვნილი ქ.თბილისში მცხეთის ქუჩაზე მდებარე ბინა, რომლის მესაკუთრე დღეისათვის მ. ჯ-ია. ამავე მიზნით სს „... ბანკსა“ და შპს „...-ს“ შორის, ასევე სს „... ბანკსა“ და მ. ჯ-ეს შორის დაიდო სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულებები, რომლითაც შპს „...-მა“ და მ. ჯ-ემ მსხესხებელთან ერთად იკისრეს სოლიდარული პასუხისმგებლობა კრედიტის თანხის გადახდისა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ბანკს უფლება ეძლეოდა, კონტრაქტისათვის წაყენებინა მოთხოვნა მსხესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე. თავდებები კისრულობდნენ მსხესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით თანხისა და პირგასამტეხლოს გადახდას.

დავას არ ინვესტის გარემოება, რომ მსხესხებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ბანკის წინაშე ვერ შეასრულა და მას დაეკისრა თანხის გადახდა ბანკის სასარგებლოდ. კასატორის საკასაციო პრეტენზია ძირითადად სასამართლოს მიერ დადგენილ აღსრულების წესს შეეხება. კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულებების თანახმად, მსხესხებლის პასუხისმგებლობა შემოფარგლულია მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ კრედიტორმა დაკმაყოფილება მიიღოს იპოთეკით დატვირთული და ასევე თავდებთა ქონებით, რის შემდეგაც კრედიტორის მოთხოვნა უნდა გაუქმდეს.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის თანახმად, შეთანხმება აღსრულების განსხვავებული წესის თაობაზე უნდა აისახოს აუცილებლად იპოთეკის ხელშეკრულებაში, არასწორია. კასატორის მიერ მითითებული ნორმის მე-3 ნაწილში საუბარია არა კონკრეტულად იპოთეკის ხელშეკრულებაზე, არამედ მითითებულია ამ საკითხზე მხარეთა შორის შეთანხმების არსებობის აუცილებლობაზე. იგივე შინაარსის დებულებებს შეიცავს სამოქალაქო კოდექსის (დღეს მოქმედი) 301-ე მუხლის 1¹ მუხლის შინაარსიც. ამ ნორმაშიც საუბარია მხარეთა შეთანხმებაზე და არა მხოლოდ და მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულებაზე.

მხარეთა შეთანხმება არ შემოიფარგლება მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულებით. მხარეთა შეთანხმება მოიცავს ზემოთ ჩვენს მიერ მითითებულ ყველა ხელშეკრულებას ერთობლიობაში, რომელთა ანალიზიდან ცალსახად იკვეთება, რომ მსხესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს როგორც იპოთეკით დატვირთული ქონებით, ასევე თავდებთა ქონებით, რომლებმაც მსესხებელთან ერთად იკისრეს სოლიდარული ვალდებულება.

კასატორის მითითება მსესხებლის ქონებაზე აღსრულების დაუშვებლობის თაობაზე ეწინააღმდეგება სოლიდარული პასუხისმგებლობის არსს და გამორიცხავს ასეთი სახის ვალდებულების არსებობის შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს, როგორც მთლიანად ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების ბოლომდე შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

კანონი ყველა მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულების ერთნაირ წესს აწესებს და იგი არ ითვალისწინებს რომელიმე მოვალის ვალდებულების გამორიცხვის შესაძლებლობას მოვალის შეხედულებისამებრ. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ თუ მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება ბოლომდე მსესხებლის ვალდებულება ძალაში რჩება და იგი ვალდებულია, დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა ისევე, როგორც სხვა მოვალეებმა.

მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებათა ანალიზი ცალსახად ადასტურებს სოლიდარული ვალდებულების არსებობას, რაც გულისხმობს ერთდროულად რამოდენიმე მოვალის არსებობას და თითოეული მათგანის (მოცემულ შემთხვევაში კი როგორც თავდებთა, ისე მსესხებლის) სოლიდარულ პასუხისმგებლობას კრედიტორის მიმართ. აღნიშნულის მაგალითია თუნდაც საქმეში წარმოდგენილი სოლიდარული ვალდებულების შესახებ №13.1. 8897 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების როგორც სათაური, ასევე ტექსტი შეიცავს მითითებას სოლიდარული ვალდებულების არსებობის თაობაზე. ამასთან, შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებულია, რომ კონტრაქტი თანახმაა და იღებს ვალდებულებას, მსესხებელსა და ბანკს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ფულადი ვალდებულებები მსესხებელთან ერთად იკისროს სოლიდარულად, რის საფუძველზეც ბანკს ეძლევა უფლება წაუყენოს კონტრაქტის მოთხოვნა მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე. აღნიშნული პირველ რიგში მიუთითებს იმაზე, რომ ბანკის წინაშე შპს „...“ ვალდებულებას კისრულობს მსესხებელთან ერთად. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია და არა ვალდებული ვალდებულების შესასრულებლად მიმართოს ნებისმიერ მათგანს. იგი აღჭურვილია უფლებამოსილებით და არა ვალდებულებით მიმართოს შპს „...-ს“ მსესხებლის მიმართ მოთხოვნის წაყენებამდე და მის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებამდე. აღნიშნული არ გამორიცხავს ბანკის მიერ მსესხებლის მიმართ მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას. ხელშეკრულების მითითებული დებულება სწორედ სოლიდარული ვალდებულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს და სოლიდარული პასუხისმგებლობისაგან განსხვავებულ წესს არ ადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორადაა დადგენილი აღსრულების წესი. პალატა თვლის, რომ აღსრულება უნდა მოხდეს უზრუნველყოფილი ქონებიდან, ხოლო თუ ეს ქონება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, აღსრულება უნდა გაგრძელდეს მსესხებლის ქონებაზეც.

ამდენად, პალატა მიზანშეწონილად არ მიიჩნევს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მ. და ჟ. ჯ-ეების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნასყიდობის ხელშეკრულება

კრედიტორის უფლება სხვა შესრულების მიღებაზე

ბანკინება

№ას-788-842-2011

3 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ტ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. პ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ე. პ-ას მინდობილობის საფუძველზე, მის საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი ბინის გასხვისებიდან მიღებული თანხის – 2000 ლარის მოსარჩელისათვის, როგორც ე. პ-ას მემკვიდრისათვის გადახდის დაკისრება, მოპასუხისათვის ბინის ღირებულების თანხის დროულად გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც შეადგენს მისი გასხვისების დღიდან – 1998 წლის 5 ივნისიდან, ანგარიშსწორების სრულ დაფარვამდე ყოველ დაგვიანებულ თვეზე გადაუხდელი თანხიდან 3%-ს, ანუ 90 ლარს, რომელმაც შეტანის დღისათვის შეადგინა სულ – 12240 ლარი, ასევე, ა. პ-ისათვის მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (368 ლარი) და ადვოკატის ხარჯების (500 ლარის) დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ტ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით გ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა 1998 წლის 5 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ბინის ღირებულების – 2000 ლარისა და 1998 წლის 5 ივნისიდან ანგარიშსწორების სრულ დაფარვამდე ყოველი დაგვიანებული დღისათვის გადასახდელი თანხიდან 3%-ის დღეში 90 ლარის, სულ ბინის გასხვისების დღიდან სარჩელის აღძვრამდე 12 240 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1998 წლის 5 ივნისს ა. პ-მა ნოტარიუს ნ. ი-ის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, როგორც ე. ნ-ის ასული პ-ას რწმუნებულმა რეესტრის №3-619 ნასყიდობის ხელშეკრულებით, ქ.თბილისში, თ-ის ქ.№19-ში მდებარე №2 ბინა მიჰყიდა მოქალაქე ც. ბ-ს, რომელიც არის ა. პ-ის მეუღლე, ხოლო ე. პ-ა არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ა. პ-ის ძმისთან;

ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, საცხოვრებელი სახლი გაიყიდა 2000 ლარად, აღნიშნული თანხა, ხელშეკრულების თანახმად, მიიღო პ-მა ბ-ისაგან.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. პ-ა გარდაიცვალა 2000 წლის 1 მაისს. მოსარჩელე გ. ტ-ე კი, არის გარდაცვლილ ე. პ-ას დისშვილი II რიგის მემკვიდრე, ე. პ-ას და ა. პ-ა, რომელიც გარდაიცვალა 01.04.2003 წელს, არის მოსარჩელის დედა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. პ-ას სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობა გაიცა გ. ტ-ეზე 11.10.2003 წელს.

საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს საინფორმაციო ბარათი 01/103-12-ით სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. პ-ა რეგისტრირებული იყო გ-ის ქ№19-ში მდებარე ბინა №2-ში.

ინდ.საწარმო ქ.თბილისის საცნობარო-საინფორმაციო სამსახურის 02.12.2008 წლის №180 ცნობის თანახმად, თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე თ-ის ქუჩა არის ყოფილი გ-ის ქუჩა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ნოემბრის განჩინებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. პ-ისა და ც. ბ-ის სარჩელი ა. პ-ას სადავო ბინიდან გამოსახლების თაობაზე, ხოლო შეგვებულ სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მინდობილობის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით, დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი მასზე, რომ 2003 წლის 1 აპრილს გარდაცვლილი ა. ნ-ის ასულ პ-ას ფაქტობრივად მიღებული ჰქონდა დის 2000 წლის 01 მაისს გარდაცვლილ ე. ნ-ის ასულ პ-ს სამკვიდრო ქონება.

აპელანტის მოსაზრება მასზე, რომ მას, როგორც ე. პ-ას მემკვიდრეს, 1998 წლის 5 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, უნდა მიეღო ბინის ღირებულება 2000 ლარი და 1998 წლის 5 ივნისიდან სარჩელის აღძვრამდე სარგებელი 12 240 ლარის ოდენობით, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და, ა. პ-ის წარმომადგენლის განმარტებით (2009 წლის 25 ნოემბრის სხდომის ოქმის მიხედვით) დადგენილად მიიჩნია, რომ 1998 წლის 5 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღებული თანხა მოხმარდა ე. პ-ას მკურნალობის, კომუნალური გადასახადებისა და დაკრძალვის ხარჯებს.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, განმარტა, რომ იმ საკითხის მტკიცების ტვირთი, რომ სადავო თანხა ნამდვილად გადასცა ა. პ-მა ე. პ-ას, მოპასუხეს აწევს. მოპასუხის მიერ როგორც თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოში წარდგენილ შესაგებებლში და ასევე სასამართლო სხდომაზე მითითებულ იქნა, რომ ბინის გასხვისების შედეგად მიღებული თანხა მოხმარდა უშუალოდ ე. პ-ას და მას სიცოცხლეში აღნიშნული თანხის გადაცემის საკითხი სადავოდ არ გაუხდია. პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა აღნიშნული გარემოებების საწინააღმდეგო მტკიცებულებები, კერძოდ, ვერ იქნა დადასტურებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოპასუხე და მისი ოჯახი არ ზრუნავდნენ ე. პ-აზე, რომ ე. პ-ას მკურნალობისა და დაკრძალვის ხარჯები გაიღო მოსარჩელემ და მისმა დედამ ა. პ-ამ და რომ ე. პ-ა ა. პ-ს ედავებოდა თანხის გადაცემაზე. პალატის განმარტებით, მართალია, საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე, სადაც მითითებულია, რომ ა. პ-ა ზრუნავდა თავის დაზე და რომ მისი დაკრძალვაზე იზრუნეს ა. პ-მ და მისმა შვილმა გ. ტ-ემ, მაგრამ პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტზე და აღნიშნა, რომ დასახელებული გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, სადაც მხარედ არ მონაწილეობდა ა. პ-ი, შესაბამისად, პალატამ დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებებზე ვერ მიიჩნია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ნოტარიუს ნ.ი-ის მიერ დამონმებული მინდობილობა, რომელიც გაფორმდა ე. პ-ასა და ა. პ-ს შორის, რეესტრის №3-619 საქმეზე, წარმოდგენილი იყო რუსულ ენაზე შესრულებული ტექსტით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლო მას, როგორც მტკიცებულებას, ვერ შეაფასებდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ სადავო ბინის გასხვისების შედეგად მიღებული თანხა მოხმარდა უშუალოდ ე. პ-ას. ვინაიდან ბინა გაიყიდა 2000 ლარად, თანხის სიმცირიდან გამომდინარე, პალატის აზრით, საფუძვლიანია მოპასუხის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ თანხა მოხმარდა ე. პ-ას მოვლას და კომუნალურ გადასახადებს. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ე. პ-ას სიცოცხლეში სადავოდ არ გაუხდია თანხის გადაცემის საკითხი. ე. პ-ამ სადავო ბინის გაყიდვის შემდეგ, კიდევ 2 წელი იცოცხლა.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ბინის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა 2000 ლარი, როგორც მოძრავი ნივთი, არ შესულა ე. პ-ას სამკვიდრო მასაში, რომელზეც გ. ტ-ეს, როგორც II რიგის მემკვიდრეს, შეიძლებოდა წარმოეზობოდა მოთხოვნის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ე. პ-ას გარდაცვალების დროისათვის სადავო ბინაზე, რადგან აღარ შედიოდა სამკვიდროში, გ. ტ-ემ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის საფუძველზე დაკარგა მოთხოვნის უფლება. პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა არა საცხოვრებელი ბინა, არამედ აღნიშნული ბინის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სამკვიდრო ვადის გაგრძელების თაობაზე, რადგან აღნიშნული არ წარმოადგენდა დავის საგანს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ მოსარჩელეს მართებულად ეთქვა

უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ტ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სათანადოდ არ შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რამაც განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ: სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ბინის გასხვისებით მიღებული თანხა მოხმარდა თავად ე. პ-ას და, რომ მას სხვა მომვლელი არ ჰყავდა მოპასუხის გარდა და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, ვინაიდან კასატორის განმარტებით, აღნიშნულის დასადასტურებლად მონიშნულმა მხარეს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, ხოლო სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მის ზეპირ ახსნა-განმარტებას.

კასატორის აზრით, ასევე არასწორია სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ვერ იქნა დადასტურებული ე. პ-ას მკურნალობისა და დაკრძალვის ხარჯების გაღება მოსარჩელის მიერ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია 12.09.2009 წლის გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე, სადაც დადგენილად არის მიჩნეული, რომ ე. პ-ას მოვლასა და დაკრძალვაზე ზრუნავდნენ ა. პ-ა და გ. ტ-ე, სასამართლომ კი, აღნიშნული უსაფუძვლოდ არ გაითვალისწინა.

კასატორის მოსაზრებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ 2000 ლარი არ შედიოდა სამკვიდრო მასაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლით და დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ტ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1998 წლის 5 ივნისს ა. პ-მა ნოტარიუს ნ.ი-ის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, როგორც ე. ნ-ის ასული პ-ას რწმუნებულმა რეესტრის №3-619 ნასყიდობის ხელშეკრულებით, ქ.თბილისში, თ-ის ქ.№19-ში მდებარე №2 ბინა მიჰყიდა მოქალაქე ც. ბ-ს, რომელიც არის ა. პ-ის მეუღლე, ხოლო ე. პ-ა არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ა. პ-ის ძმასთან.

ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, საცხოვრებელი სახლი გაიყიდა 2000 ლარად, რაც ხელშეკრულების თანახმად მიიღო პ-მა ბ-ისაგან მიიღო.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. პ-ა გარდაიცვალა 2000 წლის 1 მაისს. მოსარჩელე გ. ტ-ე კი, არის პარლაცელი ე. პ-ას დისშვილი, II რიგის მემკვიდრე, ე. პ-ას და ა. პ-ა, რომელიც გარდაიცვალა 01.04.2003 წელს, არის მოსარჩელის დედა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ასევე, რომ ა. პ-ას სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობა გაიცა გ. ტ-ის სახელზე 11.10.2003 წელს;

საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს საინფორმაციო ბარათი 01/103-12-ით სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. პ-ა რეგისტრირებული იყო გ-ის ქ.№19-ში მდებარე ბინა №2-ში;

ინდ.საწარმო ქ.თბილისის საცნობარო-საინფორმაციო სამსახურის 02.12.2008 წლის №180 ცნობის თანახმად, თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე თ-ის ქუჩა არის ყოფილი გ-ის ქუჩა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დავას იწვევს ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2000 ლარის გამყიდველისათვის გადახდის და, შესაბამისად, მისი გადაუხდელობით ზიანის ანაზღაურების საკითხი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ 1998 წლის 5 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღებული თანხა მოხმარდა ე. პ-ას მკურნალობის, კომუნალური გადასახადებისა და დაკრძალვის ხარჯებს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. პ-ის მიერ ზემოაღნიშნული მოქმედებების განხორციელებით ამ უკანასკნელის მიერ გადახდილ იქნა ნასყიდობის საფასური. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ამ ფაქტს ადასტურებს ა. პ-ის წარმომადგენლის განმარტებით (2009 წლის 25 ნოემბრის სხდომის ოქმი).

კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ როგორც თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში და ასევე სასამართლო სხდომაზე მითითებულ იქნა, რომ ბინის გასხვისების შედეგად მიღებული თანხა მოხმარდა უშუალოდ ე. პ-ას და მას სიცოცხლეში აღნიშნული თანხის გადაცემის საკითხი სადავოდ არ გაუხდია. ამდენად, პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა აღნიშნული გარემოებების საწინააღმდეგო მტკიცებულებები, ვერ დადასტურდა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოპასუხე და მისი ოჯახი არ ზრუნავდნენ ე. პ-აზე, ე. პ-ას მკურნალობისა და დაკრძალვის ხარჯები გაიღო მოსარჩელემ და მისმა დედამ ა. პ-ამ და, რომ ე. პ-ა ა. პ-ს ედავებოდა თანხის გადაცემაზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ე. პ.-ას მკურნალობის, კომუნალური გადასახადებისა და დაკრძალვის ხარჯებით ა. პ.-მა შეასრულა ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული 2000 ლარის ე. პ.-ასათვის გადახდის ვალდებულება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტების თანახმად, რაც მხარეთა შორის დავას არ იწვევს, 1998 წლის 5 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება დადეს ა. პ.-მა, როგორც ე. პ.-ას რწმუნებულმა და ც. ბ.-მა (ა. პ.-ის მეუღლემ). ამდენად, ერთი მხრივ ადგილი აქვს დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-ვალდებულებებს ე. პ.-ასა და ა. პ.-ს შორის, ხოლო მეორე მხრივ, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-ვალდებულებებს ე. პ.-ასა და ც. ბ.-ს შორის.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება უკავშირდება ქონების გადაცემას და არა მომსახურეობის განევას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნასყიდო ქონება.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მოქმედებები (მკურნალობის, კომუნალური გადასახადებისა და დაკრძალვის ხარჯების განევა) არ შეიძლება მიუთითებდეს ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული 2000 ლარის ე. პ.-ასათვის გადახდის ვალდებულების შესრულებაზე.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ კრედიტორი (ე. პ.-ა) დასთანხმდა მოვალის, ამ შემთხვევაში ც. ბ.-ის და არა ა. პ.-ის წინადადებას სხვა მოქმედების შესრულებაზე, რადგან ა. პ.-ი იყო არა ც. ბ.-ის, არამედ ე. პ.-ას წარმომადგენელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 379-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულება დიდი ღირებულების მქონეა.

განსახილველი ნორმა იმპერატიულ ხასიათს ატარებს მოვალესათვის, ხოლო კრედიტორისათვის დისპოზიციური. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ არის გამოკვლეული გარემოებები, რომლის თანახმად ე. პ.-ა 2000 ლარის გადახდის სანაცვლოდ დათანხმდა სხვა შესრულების მიღებაზე ც. ბ.-ის მიერ.

ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს ე. პ.-ასა და ა. პ.-ის შორის შეთანხმება სხვა შესრულების მიღებაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 379-ე მუხლი).

ასევე შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ე. პ.-ამ მიიღო ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული 2000 ლარი, ხოლო შემდეგ ეს თანხა განკარგა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ ე. პ.-ამ მიღებული 2000 ლარი განკარგა ა. პ.-ის მიერ გარკვეული მომსახურების განევის სანაცვლოდ, ან 2000 ლარის სანაცვლოდ ე. პ.-ა დასთანხმდა ა. პ.-ის მიერ მომსახურების განევაზე, ამ შემთხვევაშიც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო პალატა თვლის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დასადგენია მიიღო თუ არა ე. პ.-ამ სხვა შესრულება, ასევე, იმ შემთხვევაში თუ მიიღო სადავო თანხა განკარგა თუ არა მისთვის ა. პ.-ის მიერ მომსახურეობის განევისათვის.

ვალდებულების შესრულების ერთერთ არგუმენტად სააპელაციო სასამართლო უთითებს იმაზე, რომ ე. პ.-ას სიცოცხლეში სადავოდ არ გაუხდია თანხის გადაცემის საკითხი (ე. პ.-ამ სადავო ბინის გაყიდვის შემდეგ კიდევ 2 წელი იცოცხლა).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებულ არგუმენტს გააჩნია მნიშვნელობა სწორი დასკვნებისათვის, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში არასაკმარისი.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ თანხა მოხმარდა ე. პ.-ას მოვლას და კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ მოპასუხის ახსნა-განმარტებით (2009 წლის 25 ნოემბრის სხდომის ოქმი), რომელშიც იგი უთითებს ამ ფაქტებზე. კონკრეტული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოპასუხეს აკისრია არა მარტო ვალდებულების შესრულების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 715-ე მუხლისა ან 379-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების) მითითების, არამედ ასევე მასი მტკიცების ტვირთი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი, ასევე 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მტკიცების ტვირთის განუხორციელებლობისას, როდესაც მოპასუხე შემოიფარგლება მხოლოდ ამ ფაქტებზე მითითებით, მონიშნულმდეგ მხარეს შეუძლია თავის მხრივ შემოიფარგლოს მხოლოდ ამ ფაქტების უარყოფით. ამდენად, სასამართლომ უნდა დაადგინოს თუ რა მტკიცებულებებით ადასტურებს ა. პ.-ი სადავო ფაქტებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დასახელებული გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, სადაც მხარედ არ მონაწილეობდა ა. პ.-ი, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს ვერ ექნება პრეიუდიციული მნიშ-

ვნელობა განსახილველ საქმეზე. ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს არა როგორც ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას (კონკრეტულ შემთხვევაში პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები), არამედ როგორც სადავო, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, რაც შესაძლებელია დასტურდებოდეს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივი შეფასებით. ამდენად, მითითებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რაც მოითხოვს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასებას (სსსკ-ის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ტ-ემ ვერ განახორციელა მტკიცების ტვირთი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული მითითებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, მიიღო თუ არა ე. პ-ამ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ან სხვა შესრულება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ტ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა

ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-858-807-2010

16 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 11 ნოემბერს ტყიბულის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ჩ-შვილმა მოპასუხეს სს „ს-ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ სესხად აღებული თანხის 97835 ლარის დაკისრება.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სს „ს-ს“ გ. ჩ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სესხად აღებული ფულადი თანხის 57615 ლარის გადახდა; გ. ჩ-შვილის მოთხოვნა ფულადი ვალდებულების 40220 ლარის სს „ს-ისათვის“ დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ გ. ჩ-შვილმა, რომელიც წარმოადგენდა სს „ს-ის“ აქციონერს, 2005 წლის იანვრიდან 2006 წლის ბოლომდე ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე, უვადოდ, უპროცენტო სესხის სახით გადასცა მოპასუხეს 57615 ლარი და ამ თანხის დაბრუნება მოითხოვა 2008 წლის 22 იანვარს, თუმცა სს „ს-მა“ თანხა არ დააბრუნა. დასახელებული გარემოებები სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის ახსნა-განმარტების, მოპასუხის მიერ 2005-2006 წლებში მოსარჩელისაგან სესხის მიღების ფაქტის აღიარებისა და სალაროს შემოსავლის ორდერების გათვალისწინებით.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სესხის ხელშეკრულება არ გაფორმებულა წერილობითი ფორმით, რომელიც დადასტურებდა, იყო თუ არა იგი ვადიანი. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამავე კოდექსის 626-ე მუხლის შესაბამისად, თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნ-

ნებული უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს.

სასამართლოს მოსაზრებით, ფულადი სესხების დაბრუნება მოპასუხეს, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს, უნდა აღერიცხა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად. რამდენადაც მოპასუხის მიერ წარდგენილი გასავლის ორდერები არ პასუხობდა ამ სტანდარტებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა თანხის გ. ჩ-შვილისათვის გადაცემის ფაქტი.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის მოთხოვნა 40220 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ შეძლო უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სესხის სახით აღნიშნული თანხის გადაცემის ფაქტს. მითითებული გარემოების დასადასტურებლად მან წარადგინა შპს „ა. და ს-ლის“ მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გ. ჩ-შვილს სს „ს-იდან“ ეკუთვნოდა 40220 ლარი. ამ ჩანაწერიდან არ ირკვეოდა, თუ რა მტკიცებულების საფუძველზე გააკეთა ასეთი ჩანაწერი აუდიტმა. თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტებითაჩანდა, რომ საწარმოში მითითებულ თანხაზე არ არსებობდა სალაროს შემოსავლის ორდერები ან სხვა სახის წერილობითი მტკიცებულებები, ასეთი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში ისინი წარდგენილი უნდა ყოფილიყო სასამართლოში, როგორც 2005-2006 წლებში გაცემულ სესხებთან დაკავშირებით გაკეთდა.

გარდა ამისა, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ა. და ს-ლის“ მიერ გაცემული ცნობა იმით გამოც არ უნდა გაზიარებულიყო, რომ მოწმეების (მ. ს-ვა, შ. ლ-ვა, თ. ლ-ძე) ჩვენებების თანახმად, აღნიშნული შპს-ს დირექტორი ა.ჯ-შვილი ადრე იყო მოპასუხე საწარმოს აუდიტი, ცნობის გაცემის დროისათვის საწარმოს გააჩნდა მისი დავალიანება გასამრჯელოს სახით. ამდენად, ზემოთ დასახელებული ცნობა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო უტყუარად (სარწმუნოდ) აუდიტის დაინტერესებულობის გამო.

რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

სს „ს-ის“ დირექტორმა მოითხოვა გ. ჩ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

გ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით ფულადი დავალიანების სახით მოწინააღმდეგე მხარისათვის მის სასარგებლოდ 40220 ლარის დაკისრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით სს „ს-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სს „ს-ს“ გ. ჩ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სესხად აღებული ფულადი თანხა 57615 ლარი, ასევე იურიდიული მომსახურების თანხა 458 ლარი, სასამართლო ხარჯები 1686 ლარი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ჩ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სს „ს-ს“ გ. ჩ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სესხად აღებული თანხა 18815 ლარი, შესაბამისად მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 4%, ანუ 752.60 ლარი და ადვოკატის მომსახურების თანხა 752.60 ლარი; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ სს „ს-ის“ აქციონერმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჩ-შვილმა 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისის თვემდე ზეპირი ხელშეკრულებით, უპროცენტო სესხის სახით მოპასუხე სს „ს-ს“ გადასცა 38800 ლარი, ხოლო 2006 წლის 30 იანვრიდან 2007 წლის 28 იანვრამდე 18815 ლარი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოსარჩელე გ. ჩ-შვილის მიერ სასამართლოში წარდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერებით, რომელიც მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე გ. ჩ-შვილი სს „ს-ისა-გან“ მოითხოვდა თანხის დაკისრებას იმ საფუძველით, რომ მან უვადო ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხეს სესხად გადასცა თანხა და ითხოვდა მის დაბრუნებას, მაგრამ მოპასუხე არ აბრუნებდა თანხას. პალატის მოსაზრებით, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა როგორც სესხის (57615 ლარი) მიცემის ფაქტი, რასაც მოპასუხე სადავოდ არ ხდოდა, ასევე სესხის დაბრუნების ვადის დადგომის ფაქტი, ანუ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სესხის ხელშეკრულება ვადიანი იყო თუ უვადო, ხოლო მოპასუხე მხარეს კი ეკისრებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ მან დაუბრუნა ვალი მოსარჩელეს.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გ. ჩ-შვილმა ვერ დაამტკიცა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სესხის ხელშეკრულება იყო უვადო და, რომ მას 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით საწარმოზე მიცემული სესხის 38800 ლარის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში არ გაუშვია ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან გ. ჩ-შვილის მიერ საწარმოსათვის სესხი 38800 ლარის ოდენობით 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისამდე მიცემული იყო ეტაპობრივად, შესაბამისად მისი გასტუმრებაც უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, მართალია, არ გაიზიარა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ გ. ჩ-შვილმა საწარმოსაგან დაიბრუნა აღნიშნული თანხა (მას თანხის გასავლის ორდერებზე ხელი არა აქვს მოწერილი) თუმცა ჩათვალა, რომ მან გაუშვა სესხად გაცემული 38800 ლარის დაბრუნების მოთხოვნის ხან-

დაზმულობის ვადა (სარჩელი შეტანილია 2008 წლის 11 ნოემბერს სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ), რაც წარმოადგენდა ამ ნაწილში სარჩელზე უარის თქმის საფუძველს.

დანარჩენი თანხის ანუ 2006 წლის 31 იანვრიდან 2007 წლის 28 ივნისამდე გ. ჩ-შვილის მიერ საწარმოზე გასესხებული თანხის 18815 ლარის მოთხოვნის ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება გ. ჩ-შვილის მიერ გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სს „ს-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება სს „ს-ისათვის“ გ. ჩ-შვილის სასარგებლოდ დაკისრებული 57615 ლარიდან დარჩენილი 38800 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ჩ-შვილის სარჩელის მოთხოვნა 38800 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში დარჩა უცვლელად; მოსარჩელეს სს „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 1552 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სალაროს შემოსავლის ორდერებით, მოსარჩელის ახსნა-განმარტებითა და მოპასუხის მიერ სესხის მიღების ფაქტის აღიარებით დადგენილია, რომ გ. ჩ-შვილი წარმოადგენდა სს „ს-ის“ აქციონერს და იმავედროულად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისამდე ზეპირი ხელშეკრულებით, უპროცენტო სესხის სახით მოპასუხეს გადასცა 38800 ლარი;

საქმეზე წარდგენილი, გ. ჩ-შვილის სახელზე შედგენილი 2005-2006 წლების სალაროს გასავლის ორდერებზე დაფიქსირებული არ არის თანხის მიღები პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემები და მისივე ხელმოწერა;

შპს „ა. და ს-ლის“ ცნობით, 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გ. ჩ-შვილს სს „ს-ისაგან“ ეკუთვნოდა 40220 ლარი, თუმცა ჩანაწერში მითითებული არ არის, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით გააკეთა აუდიტმა ასეთი დასკვნა;

მოსარჩელის ახსნა-განმარტებით, 40220 ლარის გადაცემის თაობაზე სალაროს შემოსავლის ორდერები, ან სხვა მტკიცებულებები, გარდა შპს „ა. და ს-ლის“ ცნობისა, არ არსებობდა, საჭიროების შემთხვევაში მის მიერ საწარმოსათვის თანხის გადაცემა და ამ თანხის უკან დაბრუნება ხდებოდა ყოველგვარი სალაროს ორდერების გარეშე;

სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების – მ. ს-ვას, შ. ლ-ვასა და თ. ლ-ძის ჩვენებებით დგინდებოდა, რომ გ. ჩ-შვილის მიერ სს „ს-ისათვის“ სესხის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში ხდებოდა სესხის გასტუმრებაზე მოთხოვნის წაყენება.

სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. ჩ-შვილის სარჩელის მოთხოვნა 40220 ლარის ანაზღაურების შესახებ. თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტებით ირკვეოდა, რომ 40220 ლარის გადაცემის თაობაზე სალაროს შემოსავლის ორდერები ან სხვა მტკიცებულებები, გარდა შპს „ა. და ს-ლის“ ცნობისა, არ არსებობდა. დასახელებული მტკიცებულება კი არ წარმოადგენდა სათანადო მტკიცებულებას, რომლითაც დადასტურდებოდა ამ ოდენობის თანხის მოპასუხისათვის გადაცემის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია მოვალეს. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალი გადაიხადა და ამით ვალდებულება შეწყდა. სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად, ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. რამდენადაც საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა 38800 ლარის ოდენობით ვალის გ. ჩ-შვილისათვის დაბრუნების თაობაზე სს „ს-ის“ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გ. ჩ-შვილის მითითება იმის შესახებ, რომ ამ ოდენობის ვალი გადახდილი არ იყო. აქვე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა სს „ს-ის“ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ 38800 ლარი გასტუმრებულია და ამ ფაქტის დადგენის მიზნით მოცემულ საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენებები წარმოადგენდნენ სათანადო მტკიცებულებას. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის შესაბამისად, მხოლოდ მოწმეთა ჩვენება არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის გასტუმრების ფაქტის დასადასტურებლად.

სარჩელის ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 129-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 130-ე მუხლზე და განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამასთან, ივარაუდება, რომ მან დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 2005 წლისათვის მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55.8 მუხლზე, რომლის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნებოდა საზოგადოების საბუღალტრო ნიგნების, სალაროსა და ფასიანი ქაღალდების შემოწმება, გაკონტროლება.

მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენდა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ხელმოწერილი სალაროს გასავლის ორდერები ინახებოდა საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაციაში; გ. ჩ-შვილი, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებული იყო განეხორციელებინა საზოგადოების საბუღალტრო ნიგნების, სალაროსა და ფასიანი ქაღალდების შემოწმება, გაკონტროლება, რაც შესაძლებლობას მისცემდა შეეცყო 2008 წლის ნოემბრამდე (სარჩელის წარდგენის დრო) 38800 ლარის დაბრუნების თაობაზე სალაროს გასავლის ორდერებში დაფიქსირებული ფაქტების გამო თავისი დარღვეული უფლების შესახებ და სადავო გაეხადა ისინი. ასეთი რამ მას არ განუხორციელებია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა ამ პერიოდის თანხების ანაზღაურების შესახებ ხანდაზმულად მიიჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისამდე პერიოდში სესხის სახით გადაცემულ თანხებთან დაკავშირებით არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ და ამ პერიოდში გადაცემული თანხის (38800 ლარი) ანაზღაურების თაობაზე გ. ჩ-შვილის სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებით არასწორი გადაწყვეტილება გამოიტანა. ასეთ ვითარებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე, 386-ე, 394-ე მუხლის ე' პუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იყო გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჩ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 79020 ლარის ოდენობით ფულადი დავალიანების დაკისრება.

კასატორის დასახელებული მოთხოვნები ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოცემულ დავაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2009 წლის 25 მარტს მიღებულ განჩინებას. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინებით გ. ჩ-შვილის მიერ გასაჩივრებულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ განჩინებით მითითებები მისცა სააპელაციო სასამართლოს. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს დაავალა, გამოერკვია გ. ჩ-შვილის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევისათვის კი გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოთხოვნის წარმომშობის მომენტის დადგენას თითოეულ სესხზე, გ. ჩ-შვილის მიერ 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით ეტაპობრივად ინვესტირებულ თანხებზე. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს განჩინებით სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, ცალკეული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა. ამავე განჩინებით უზენაესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა საქმისათვის ყველაზე მნიშვნელოვან და არსებით საკითხს – სააპელაციო სასამართლოს სათანადო შეფასება უნდა მიეცა მოპასუხის მიერ წარდგენილი სალაროს გასავლის ორდერებისათვის. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს არც ერთი მითითება და უცვლელად დატოვა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება;

სს „ს-ს“ 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გ. ჩ-შვილის მიმართ ერიცხებოდა დავალიანება 40220 ლარის ოდენობით, რაც დასტურდება 2007 წლის 16 ივნისს შპს „ა. და ს-ლის“ მიერ გაცემული ცნობით სს „ს-ში“ გ. ჩ-შვილის მიერ სესხის სახით ინვესტირებული თანხების შესახებ. 2005-2006 წლებში სს „ს-ს“ მოსარჩელისაგან მიღებული ჰქონდა უპროცენტო სესხი 57615 ლარის ოდენობით, რაც დასტურდება შესაბამისი სალაროს შემოსავლის ორდერებით; 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის 30 მაისის ჩათვლით სს „ს-ს“ გ. ჩ-შვილისაგან მიღებული აქვს 38800 ლარის ოდენობით უპროცენტო, უვადო სესხი (სს „ს-ს“ სალაროს შემოსავლის არც ერთ ორდერზე არ არის მითითებული სესხის ვადა, ანდა მისი სავარაუდო დაფარვის პერიოდი). ამდენად, სრულიად ნათელია, რომ სს „ს-ს“ სალაროს შემოსავლის 6 ორდერი წარმოადგენს გ. ჩ-შვილის მიერ 2005 წელში ინვესტირებული თანხის ერთობლიობას, რაც ჯამში გვაძლევს 38800 ლარს. ეს ის თანხაა, რომელიც საზოგადოებამ 2005 წლის იანვრის თვიდან მოყოლებული მაისის თვის ჩათვლით ტრანშის სახით მიიღო გ. ჩ-შვილისაგან;

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ იმსჯელა იმ საკითხზე, თუ რომელი მომენტიდან დაიწყო კონკრეტულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გ. ჩ-შვილს სესხის უკან მოთხოვნის უფლება წარმოეშვა სს „ს-ში“ თანხის შეტანისთანავე. საგულისხმოა, რომ სს „ს-ს“ როგორც სალაროს შემოსავლის, ასევე გასავლის ორდერებში მიღებული თუშუგასტუმრებული სესხის ვადის შესახებ არსადაა მითითებული. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებისას დადგენილად მიიჩნია მოპასუხის ზეპირი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ ეს თანხები საზოგადოებამ მიიღო მოკლევადიანი სესხების სახით. აღნიშნული პერიოდი განისაზღვრებოდა 10 დღიდან 1 თვემდე ვადით, თუმცა საქმეში არსებულ წერილობით მტკიცებულებებში ასეთი აღნიშვნები არ მოიპოვება. სააპელაციო პალატამ სესხის ხელშეკრულების ვადის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს დააკისრა, თუმცა არ მიუთითა, თუ რომელი კანონით იხელმძღვანელა.

სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან მხარეებს შორის სესხის დაბრუნების ვადა არ იყო განსაზღვრული, 2008 წლის 22 იანვარს სს „ს-ს“ გ. ჩ-შვილმა მიმართა მოთხოვნით, დაებრუნებინა 97835 ლარი უმოკლეს ვადაში. მათ აღნიშნულ განცხადებაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. უვადო სესხის ხელშეკრულების არსებობისას, მესხებელი ვალდებულია დააბრუნოს სესხი მოთხოვნიდან 3 თვის ვადაში. აქედან გამომდინარე, სს „ს-ს“ სესხის დაბრუნების ვალდებულება წარმოეშვა მოთხოვნიდან სამი თვის შემდეგ, ანუ 2008 წლის 22 მარტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხანდაზმულობის ვადის გაშვებაზე საუბარი არასწორია;

სს „ს-ის“ მიერ წარდგენილ სალაროს გასავლის ორდერებზე მითითებულია სესხის გასტუმრების პერიოდი 2005 წლის აპრილიდან 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. სესხის ყველაზე დიდი ნაწილის გასტუმრება სს „ს-მა“ 2005 წლის სექტემბერში დააფიქსირა, სალაროს გასავლის ორდერებით მათ დაახლოებით 38000 ლარი თითქოს დაუბრუნეს გ. ჩ-შვილს. მოცემული მტკიცებულებებით სრულიად ნათელია, რომ მხარეებს შორის დადებული სესხის ხელშეკრულება ზეპირიცი რომ ყოფილიყო, იგი მაინც არ იქნებოდა მოკლევადიანი, როგორც ამას სს „ს-ი“ აცხადებდა;

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის გაზიარების შემთხვევაშიც, სადაც საუბარია იმაზე, რომ 2005 წელს სესხის სახით სს „ს-ისათვის“ მიცემული 38800 ლარის ნაწილში გ. ჩ-შვილის მოთხოვნის უფლება იწყება სესხის შეტანისთანავე, მოსარჩელეს მაინც არ აქვს გაშვებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. 2008 წლის 7 მაისს გ. ჩ-შვილმა გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით მიმართა ტყიბულის რაიონულ სასამართლოს, სადაც მოპასუხედ დაასახელა სს „ს-ი“. განმცხადებელმა მოითხოვა მოპასუხისათვის უპროცენტო სესხის სახით მიღებული 97835 ლარის დაკისრება. 38800 ლარის ბოლო ტრანში გ. ჩ-შვილმა სს „ს-ს“ მისცა 2005 წლის 30 მაისს, რომლის მიხედვითაც, გ. ჩ-შვილმა სრულად შეასრულა სესხის ხელშეკრულების მოთხოვნები და დაასრულა უპროცენტო, უვადო სესხის სახით 2005 წლისათვის მის მიერ სანარმოში განეული ინვესტიცია. განცხადება ტყიბულის რაიონულ სასამართლოში შევიდა 2008 წლის 15 მაისს იმავე საფუძველითა და ანალოგიური მოთხოვნით, რომელსაც ითვალისწინებს გ. ჩ-შვილის 2008 წლის 11 ნოემბრის სარჩელი სს „ს-ის“ მიმართ;

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც იგი ასევე მოითხოვდა მოპასუხისათვის 40220 ლარის დაკისრებას. ის გარემოება, რომ სს „ს-ს“ გ. ჩ-შვილის მიმართ 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 40220 ლარი, დასტურდება შპს „ა. და ს-ლის“ 2007 წლის 16 ივნისის ცნობით. დასახელებული შპს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ ლიცენზირებულ სანარმოს, რომელიც მოქმედებს „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ 1995 წლის კანონის შესაბამისად. ამ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, აუდიტორული დასკვნა არის აუდიტორის მიერ სათანადო წესით შედგენილი, ხელმოწერილი და ბეჭდით დამონმებული ოფიციალური საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია დასკვნა სამეურნეო სუბიექტის ანგარიშგების უტყუარობის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის სისრულის და მოქმედ კანონმდებლობასთან და დადგენილ ნორმატივთან მისი შესაბამისობის შესახებ. საქმეში წარმოდგენილი აუდიტის ცნობა სრულად აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნას, იგი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორგანიზაციის ბეჭდით, მასში მითითებულია პერიოდი (2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სს „ს-ს“ და გ. ჩ-შვილს შორის ანგარიშსწორების შესახებ. საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ცნობის გაცემის დროს შპს „ა. და ს-ლის“ მიერ დარღვეულია კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნები. უფრო მეტიც, მოწმეთა ჩვენებებით ირკვევა, რომ აუდიტორული ფირმის დირექტორი ა.ჯ-შვილი პირადად იმყოფებოდა სს „ს-ში“, სადაც ორგანიზაციის მთავარ ბუღალტერთან ერთად განახორციელა პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის ინსპექტირება. ეს გარემოება თავისი ჩვენებით დაადასტურა მ. ს-ვამ, რომელიც 2006-2007 წლებში წარმოადგენდა სს „ს-ის“ დირექტორს. ამ უკანასკნელმა სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებაში დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული დავალიანების საკითხი აუდიტორმა შეისწავლა საბუღალტრო უწყისების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების (დ. ყ-იანი, ს. ჩ-ძე) მიერ, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ზ“ პუნქტიდან გამომდინარე გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მოთხოვნას წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მოპასუხე სს „ს-ს“ მოსარჩელე გ. ჩ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრება ნახსენები თანხიდან (97835 ლარი) დარჩენილი ნაწილის – 79020 ლარის გადახდა.

განსახილველ შემთხვევაში სადავოა 2004 წელს მოსარჩელე გ. ჩ-შვილის მიერ მოპასუხე სს „ს-ისათვის“ სესხად 40220 ლარის გადაცემის, აგრეთვე, 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისამდე პერიოდში მოპასუხისათვის სესხად გადაცემული 38800 ლარის მოსარჩელისათვის დაბრუნების საკითხი.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სს „ს-ის“ სალაროს შემოსავლის ორდერებით, მოსარჩელის ახსნა-განმარტებითა და მოპასუხის მიერ სესხის მიღების ფაქტის აღიარებით დადგენილია, რომ გ. ჩ-შვილი წარმოადგენდა სს „ს-ის“ აქციონერს და იმავედროულად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისამდე ზეპირი ხელშეკრულებით, მოპასუხეს გადასცა უპროცენტო სესხი 38800 ლარი;

გ. ჩ-შვილის სახელზე შედგენილ 2005-2006 წლების სს „ს-ის“ სალაროს გასავლის ორდერებზე დაფიქსირებული არ არის თანხის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემები და მისივე ხელმოწერა;

შპს „ა. და ს-ლის“ დირექტორ ა. ჯ-შვილის მიერ გაცემულ ცნობაში დაფიქსირებულია, რომ 2005 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით გ. ჩ-შვილს სს „ს-ისაგან“ ეკუთვნოდა 40220 ლარი, თუმცა ჩანაწერში მითითებული არ არის, თუ რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაასკვნა აუდიტმა;

მოსარჩელის ახსნა-განმარტებით, 40220 ლარის გადაცემის თაობაზე სალაროს შემოსავლის ორდერები ან სხვა მტკიცებულებები, გარდა შპს „ა. და ს-ლის“ ცნობისა, არ არსებობს, საჭიროების შემთხვევაში მის მიერ საწარმოსათვის თანხის გადაცემა და ამ თანხის უკან დაბრუნება ხდებოდა ყოველგვარი სალაროს ორდერების გარეშე;

სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებით დგინდებოდა, რომ გ. ჩ-შვილის მიერ სს „ს-ისათვის“ სესხის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში ხდებოდა სესხის გასტუმრებაზე მოთხოვნის წაყენება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გ. ჩ-შვილმა ვერ დაადასტურა მოპასუხე სს „ს-ისათვის“ სესხის – 40220 ლარის გადაცემის ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების 1-ლი ნაწილის მიხედვით, მითითებული გარემოების დამტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა. აღნიშნულ ნორმათა თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სესხის – 40220 ლარის მიღების ფაქტს მოპასუხე უარყოფს, ხოლო მოსარჩელე (კასატორი) ამ გარემოების დასადასტურებლად უთითებს შპს „ა. და ს-ლის“ 2007 წლის 13 ივნისის ცნობაზე, მოწმეთა ჩვენებებზე და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ სალაროს გასავლის ორდერებზე. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტის ცნობის მიხედვით, 2005 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით გ. ჩ-შვილს სს „ს-იდან“ ეკუთვნოდა 40220 ლარი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასახელებული მტკიცებულებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სესხის – 40220 ლარის გადაცემის ფაქტი, ვინაიდან აუდიტის ცნობაში არ არის აღნიშნული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი და არც ამ ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტებია მითითებული. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი სალაროს გასავლის ორდერები ასევე ვერ ჩაითვლება სადავო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებებად. მართალია, მოპასუხემ ეს დოკუმენტები დაურთო თავის შესაგებელს სესხის დაბრუნების ფაქტის დასადასტურებლად, მაგრამ შესაგებელშივე განმარტა, რომ სალაროს გასავლის ორდერებით დასტურდებოდა 2005-2006 წლებში საწარმოს მიერ ნასესხები თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების ფაქტი. რაც შეეხება 2004 წელს სესხის მიღების ფაქტს, მოპასუხემ ეს გარემოება უარყო და შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შპს „ა. და ს-ლის“ ცნობით სადავო გარემოება არ დასტურდებოდა. აღსანიშნავია, რომ სალაროს გასავლის ორდერებში, რომლებიც 2005-2006 წლებშია შედგენილი, არ არის მითითებული, თუ რომელი პერიოდის სესხის გასტუმრებას ეხება იგი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სალაროს გასავლის ორდერების წარდგენით მოპასუხემ აღიარა მხოლოდ 2005-2006 წლებში სესხის მიღების ფაქტი. რაც შეეხება კასატორის მიერ მოწმეთა ჩვენებებზე მითითებას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს, მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მოპასუხისათვის 40220 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება, შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

კასატორი მოითხოვს ასევე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი 38800 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისის ბოლომდე სესხის ზეპირი ხელშეკრულებით, გ. ჩ-შვილმა სს „ს-ს“ ასესხა 38800 ლარი უპროცენტოდ.

მოსარჩელე მოითხოვს მითითებული ოდენობით სესხის დაბრუნებას.

მოპასუხის შესაგებელი მოთხოვნის ამ ნაწილში ეფუძნება ორ გარემოებას: 1. სს „ს-მა“ გ. ჩ-შვილისგან 2005 წელს ნასესხები თანხა დააბრუნა; 2. სარჩელი ხანდაზმულია, ვინაიდან სესხის ხელშეკრულება დადებული იყო ერთი თვის ვადით. შესაბამისად, მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეჭვა 2005 წლის ივნისიდან, სარჩელი კი შეტანილია 2008 წლის ნოემბერში, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ სესხი (38800 ლარი) მოსარჩელეს დაუბრუნა, მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა სალაროს გასავლის ორდერები. სააპელაციო სასამართლომ მითითებული დოკუმენტები არ მიიჩნია სესხის დაბრუნების დამადასტურებელ მტკიცებულებებად, ვინაიდან მათზე დაფიქსირებული არ არის თანხის მიმღები პირის, გ. ჩ. შვილის (კრედიტორი), ხელმოწერა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამავე კოდექსის 430-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი შესრულების თაობაზე უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კანონმდებელი ვალდებულების (მოვალის მიერ ვალის გადახდა) მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტად განიხილავს კრედიტორის მიერ შედგენილ დოკუმენტს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (სალაროს გასავლის ორდერები) შედგენილია არა კრედიტორის, არამედ მოვალის მიერ და, ამასთან, მათზე ხელი კრედიტორს არ მოუწერია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მითითებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მოპასუხის მიერ ნასესხები თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების ფაქტი. ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად მოპასუხე უთითებს ასევე მონმეთა ჩვენებებზე, რომლებიც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ მიიჩნევა სესხის დაბრუნების საკმარის მტკიცებულებებად, ვინაიდან სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს, მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი).

ზემოთ აღნიშნა, რომ სადავო მოთხოვნის უარსაყოფად მოპასუხე მიუთითებს ასევე სარჩელის ხანდაზმულობაზე. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებელი გადაწყვეტილებით გაიზიარა მოპასუხის მითითებული არგუმენტი და მონმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ სესხის ხელშეკრულებები დადებული იყო 1 თვის ვადით, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის მხარეებს შორის სწორად განაწილება. მოსარჩელის განმარტებით, მან მოპასუხეს სესხი გადასცა უვადოდ. მოპასუხემ თავის შესაგებელში სესხის მიღების ფაქტი აღიარა, მაგრამ მიუთითა სარჩელის ხანდაზმულობაზე იმ საფუძვლით, რომ სესხის ხელშეკრულება დადებული იყო არა უვადოდ, არამედ განსაზღვრული ვადით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად, შესაგებელში მითითებულ გარემოებათა დაამტკიცების ტვირთი შესაგებლის ავტორს ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ თავისი შესაგებელი სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე დაამყარა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელესთან სესხის ხელშეკრულება დაიდო განსაზღვრული ვადით, კერძოდ, ერთ თვემდე ვადით. შესაბამისად, ამ გარემოების დამტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება, რადგან იგი მოპასუხისათვის სასარგებლო შედეგის მომტანია და მოსარჩელის მოთხოვნის საწინააღმდეგოდაა მიმართული. სადავო გარემოების დასადასტურებლად მოპასუხემ მიუთითა მონმეთა ჩვენებებზე.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება შეიძლება მხარემ წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის დამტკიცების მიზნით. ასეთია მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესუალური პრინციპი, მაგრამ ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მიხედვით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით. მითითებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, თუ სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით, მაშინ, დავის შემთხვევაში, მისი ნამდვილობა ვერ დადგინდება მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით, საჭიროა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულებებიც.

განსახილველ შემთხვევაში სამართლებრივი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ გაირკვეს, შესაძლებელია თუ არა მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით დადასტურდეს სესხის ხელშეკრულების ვადა, მაშინ, როდესაც თავად სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი სადავო არაა.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გაირკვეს, თუ რა იგულისხმება სესხის ხელშეკრულებაში, რომლის ნამდვილობაც, კანონის თანახმად, მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით არ შეიძლება დადგინდეს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აქ იგულისხმება მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები, რამაც სესხის კონკრეტული ხელშეკრულების დადება განაპირობა, ანუ ეს ის პირობებია, რომლებიც ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და, რომელთა მიხედვითაც მხარეებმა თავიანთი ურთიერთობა უნდა მოაწესრიგონ. სესხის ხელშეკრულების დადებისას მხარეები აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების საგანზე, ვინაიდან იგი წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას და ამ პირობაზე შეთანხმებლობის შემთხვევაში სესხის ხელშეკრულება დადებულიად არ ჩაითვლება. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ასევე სესხის ხელშეკრულების ფორმაზე, მისი მოქმედების ვადაზე, პროცენტზე და ა.შ. (სამოქალაქო კოდექსის 623-ე-626-ე მუხლები). ყველა ეს პირობა, მხარეთა შეთანხმების არსებობისას, სესხის

ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაიქცევა და, ცხადია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულება სწორედ ამ პირობების დაცვაზე იქნება დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სესხის ხელშეკრულების ვადა, თუ მხარეები მასზე შეთანხმდნენ, ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და სადავოობის შემთხვევაში მისი ნამდვილობა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით არ შეიძლება დადასტურდეს.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, იმ გარემოების დადასტურებას, რომ სესხი ვადიანი იყო, მოპასუხე ცდილობს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. ვინაიდან სადავო გარემოების დასადასტურებად მოპასუხეს სხვა მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხემ ვერ დაადასტურა მის მიერ მითითებული გარემოება, კერძოდ ის, რომ სესხის ხელშეკრულება ერთი თვის ვადით იყო დადებული. შესაბამისად, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მხარეები სესხის დაბრუნების კონკრეტულ ვადაზე არ შეთანხმებულან.

სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია, იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.

ამავე კოდექსის 626-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი კრედიტორმა ან მოვალემ უნდა დააბრუნოს ხელშეკრულების შეწყვეტისას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს.

მითითებული ნორმა ითვალისწინებს სესხის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ სესხის დაბრუნების ვადა წინასწარ არაა აღნიშნული ან მოთხოვნის მომენტიდან განსაზღვრული. უმეტესად სესხის ხელშეკრულება წყდება კრედიტორის მოთხოვნით. კანონით ხელშეკრულების შეწყვეტის ვადად აღიარებულია სამი თვე. ამგვარად, თუ განუსაზღვრელი ვადით დადებული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა სურს კრედიტორს, მას შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს სესხის დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში, მოვალე ვალდებულია მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში დააბრუნოს ვალი.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელემ სესხის დაბრუნების მოთხოვნით მოპასუხეს მიმართა 2008 წლის იანვარში, მაგრამ, ვინაიდან მოპასუხემ სესხი არ დაუბრუნა, სამი თვის გასვლის შემდეგ მან სარჩელით მიმართა სასამართლოს. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში კრედიტორის მიერ დაცულია განუსაზღვრელი ვადით დადებული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები, შესაბამისად, მისი მოთხოვნა მოვალისაგან 38800 ლარის დაბრუნების შესახებ დაკმაყოფილებას ექვემდებარება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, არასწორად განსაზღვრა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. აღნიშნულის გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც გ. ჩ-შვილს უარი ეთქვა 38800 ლარის ოდენობით სესხის დაბრუნებაზე და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან მოსამართლეები დ.ჟ-იანი და ს.ჩ-ძე ადრე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში, ამიტომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ.

ამ ნორმას მხედველობაში აქვს ერთი და იგივე მოსამართლის მონაწილეობა ერთსა და იმავე საქმეზე სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციებში, რაც დაუშვებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით. მითითებული ნორმის მიხედვით, მოსამართლეს ეკრძალება საქმის განხილვაში მონაწილეობა, თუ იგი ამ საქმის განხილვაში მონაწილეობდა სხვა ინსტანციის და არა იმავე ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, ეს ნორმა არ გამორიცხავს და, მაშასადამე, უშვებს საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობას, თუ საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში საკასაციო სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევაში, საქმე შეიძლება განხილოს იმავე სააპელაციო პალატამ (მოსამართლეთა იგივე შემადგენლობამ), რომლის გადაწყვეტილებაც ამ საქმეზე გაუქმდა.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების (დ. ჟ-იანი, ს. ჩ-ძე) მონაწილეობით, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ ამავე საქმის განხილვაში იმავე ინსტანციის სასამართლოში, რაც ზემოაღნიშნული ნორმებით აკრძალული არ არის. შესაბამისად, კასატორის მიერ მითითებულ კანონის დარღვევას არა აქვს ადგილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა

დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განუხილავ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 12536.42 ლარი, ხოლო წარმომადგენლის დახმარებისათვის – 4035.66 ლარი. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად მოწინააღმდეგე მხარეს, სს „ს-ს“ კასატორ გ. ჩ-შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის და იურიდიული მომსახურების ხარჯის ასანაზღაურებლად გაღებული 5963.32 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გ. ჩ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა სს „ს-ს-ისათვის“ 38800 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა და გ. ჩ-შვილს სს „ს-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 1552 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ჩ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. სს „ს-ს“ გ. ჩ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 38800 ლარის გადახდა;
5. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
6. სს „ს-ს“ კასატორ გ. ჩ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის და იურიდიული მომსახურების ხარჯის ასანაზღაურებლად გაღებული 5963.32 ლარის გადახდა.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ს ა ლ ა ზ ლ ვ ე ვ ო თ ა ნ ხ ის ა ნ ა ზ ლ ა უ რ ე ბ ა

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-755-811-2011

10 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სადაზღვევო თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 04 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი. გ-მა მოპასუხე შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან სადაზღვევო თანხის ანაზღაურება 10000 ლარის ოდენობით.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე არის 2009 წლის 8 ივლისს გარდაცვლილი ს. რ-ის მეუღლე. ეს უკანასკნელი მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის №9 სამმართველოს მობილურ ჯგუფში ინსპექტორად და გარდაიცვალა სასაზღვრო პოლიციის №6 სექტორის დასაცავ მონაკვეთზე მიოკარდიუმის ინფარქტით. სასაზღვრო პოლიციამ, როგორც დაინტერესებულმა პირმა, 2009 წლის 1 მარტის №4/3-38 ხელშეკრულების საფუძველზე თხოვნით მიმართა სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ს“ (მზღვეველს) გარდაცვლილის ოჯახის წევრებისათვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურების თაობაზე. სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2009 წლის 1 მარტის №4/3-38 ხელშეკრულების მიხედვით, ს.რ-ის გარდაცვალება არ განიხილება სადაზღვევო შემთხვევად და არ ექვემდებარება ანაზღაურებას. მოსარჩელე უკანონოდ მიიჩნევს სადაზღვევო კომპანიის უარს და თვლის, რომ ზემოხსენ-

ნებული ხელშეკრულება ავალდებულებს მზღვეველს, გადაუხადოს გარდაცვლილის მემკვიდრეს სადაზღვევო თანხა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების წინაპირობა არ დამდგარა, ვინაიდან 2009 წლის 8 ივლისს ს. რ-ი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და სწორედ ამ მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა. ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო თანხა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, რადგან 2009 წლის 1 მარტის №4/3-38 ხელშეკრულების მიხედვით, სიცოცხლის დაზღვევა არ ვრცელდება პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროზე და არ გულისხმობს შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივი მომსახურების შესრულების დროს მომხდარ შემთხვევებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მოსარჩელე ი. გ-ი არის 2009 წლის 8 ივლისს გარდაცვლილი ს. რ-ის მეუღლე და მემკვიდრე;

ს. რ-ი მსახურობდა შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის №9 სამმართველოს მობილური ჯგუფის მე-3 ჯგუფის ინსპექტორად;

ს. რ-ი, როგორც შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2009 წლის 1 მარტის №4/3-38 ხელშეკრულების შესაბამისად დაზღვეული იყო შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ის“ მიერ;

აღნიშნული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამისად, დაზღვეულნი არიან შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები, ხოლო დაზღვევის საგანს წარმოადგენს მათი სიცოცხლე და ჯანმრთელობა;

ხელშეკრულების 3.1.3.0 პუნქტის თანახმად, დაზღვეულის უბედური შემთხვევით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია გარდაცვლილის სამართალმემკვიდრეს აუნაზღაურებს სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ თანხას (სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში 10000 ლარი). აღნიშნული დანაწესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დაზღვეულის გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და მხარეებსაც არ გაუხდიათ სადავოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელის მეუღლე ს. რ-ი გარდაცვალების დღეს იმყოფებოდა სასაზღვრო პოლიციის №6 სექტორის ჭუბერის დასაცავ მონაკვეთზე, სადაც დაახლოებით თხუთმეტ საათზე დაენყო ტკივილები გულის არეში, გაენია სამედიცინო დახმარება, თუმცა, მიუხედავად განუული დახმარებისა, გარდაიცვალა; ს. რ-ის გარდაცვალების მიზეზია გულის ტამპონადა, რომელიც განვითარდა აორტის ანევრიზმის გაგლეჯილი კედლიდან გამოსული სისხლის ჩაღვრით გულის პერანგში.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მეუღლე ს. რ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, თუმცა მისი გარდაცვალება არ უკავშირდებოდა უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას სასამართლო დაეყრდნო შსს სასაზღვრო პოლიციის ინსპექციის სამმართველოს სამსახურებრივი შემონმების 2009 წლის 29 დეკემბრის დასკვნას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ს. რ-ის გარდაცვალება, 2009 წლის 1 მარტის ხელშეკრულების მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევად ვერ განიხილებოდა, ამიტომ მოპასუხე სადაზღვევო კომპანიას თანხის ანაზღაურება არ უნდა დაკისრებოდა.

დავის გადაწყვეტისას საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 346-ე, 799-ე, 836-ე, 837-ე მუხლებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სადაზღვევო თანხის, 10000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ი“ დამზღვევთან – საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან გაფორმებული 2009 წლის 1 მარტის №4/3-38 ხელშეკრულების საფუძველზე სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა მოსარჩელის მამკვიდრებელთან – დაზღვეულ ს. რ-თან. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა სიცოცხლის დაზღვევა; 2009 წლის 1 მარტის №4/3-38 ხელშეკრულების 3.1.6 პუნქტის მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევად განიხილება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევები, რომელთა დადგომისას წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის მიხედვით, სიცოცხლის დაზღვევა არ ვრცელდება პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროზე, ასევე ოჯახის წევრებზე. ხოლო ხელშეკრულების 3.1.3.0 პუნქტის მიხედვით, დაზღვეულის უბედური შემთხვევით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია გარდაცვლილის სამართალმემკვიდრეს აუნაზღაურებს სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ თანხას (სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში 10000 ლარი). აღნიშ-

ნული დანაწესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დაზღვეულის გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებულ ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამავე კოდექსის 844-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სიცოცხლის დაზღვევა შეიძლება ეხებოდეს დამზღვევეს ან სხვა პირს. 849-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია სხვა პირის სიკვდილის შემთხვევისთვის, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან იმ შემთხვევაში, როცა დამზღვევემა უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვია ასეთი პირის სიკვდილი. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სიცოცხლის დაზღვევისას მესამე პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, ეს უფლება არ იქნება აღიარებული, თუ მან უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვია იმ პირის სიკვდილი, რომლის სიცოცხლეც დაზღვეული იყო, ხოლო 850-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სიცოცხლის დაზღვევისას მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ პირი, რომლის სიცოცხლეც დაზღვეული იყო, თავს მოიკლავს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოხმობილი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, ძირითად კრიტერიუმს სადაზღვევო შემთხვევის შეფასებისათვის, ანუ იმისათვის, რომ სადაზღვევო რისკი განხორციელებულად და შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევა დამდგარად ჩაითვალოს, წარმოადგენს ის, თუ რამდენად ინარჩუნებს სადაზღვევო შემთხვევა დამოუკიდებლობას თავად დაზღვეულის ნებისაგან ანუ სადაზღვევო შემთხვევა აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა იყოს დაზღვეულის ქმედებისაგან. ამასთან, სიცოცხლის დაზღვევის დროს გამორიცხული უნდა იყოს დამზღვევის, ასევე სარგებლის მიმღების ჩარევა და ხელშეწყობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში, რამდენადაც ამგვარი შემთხვევა გამორიცხავს სადაზღვევო შემთხვევის კვალიფიკაციის სამართლებრივ საფუძველს.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ იყო და საქმეზე წარდგენილი შსს სასაზღვრო პოლიციის ინსპექციის სამმართველოს სამსახურებრივი შემონმების 2009 წლის 29 დეკემბრის დასკვნაში დაფიქსირებული ინფორმაციითაც დასტურდებოდა, რომ ს. რ-ი გარდაცვალების დღეს – 2009 წლის 8 ივლისს, იმყოფებოდა სასაზღვრო პოლიციის №6 სექტორის ჭუბერის დასაცავ მონაკვეთზე, სადაც დაახლოებით 14.30 საათზე დაენყო ტკივილები გულმკერდის არეში. დაახლოებით ერთ საათში №6 სექტორის უფროსის მოადგილემ (თ. ნ-მ) სოფელ ჭუბერიდან ამოიყვანა ექიმი, რომელმაც ს. რ-ს აღმოუჩინა პირველადი დაზარალება. ასევე, მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ორ საათში №9 სამმართველოს უფროსის მოადგილემ (თ. ფ-მა) უზრუნველყო მესტიიდან სასწრაფო დახმარების ჯგუფის აყვანა. სასწრაფო დახმარების ჯგუფმა ს. რ-ს აღმოუჩინა სამედიცინო დაზარალება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დაახლოებით 21 საათზე გარდაიცვალა;

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად და ჩატარებული საექსპერტო კვლევის შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ ს. რ-ის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა გულის ტამპონადა, რომელიც განვითარდა აორტის ანევრიზმის გაგლეჯილი კედლიდან გამოსული სისხლის ჩაღვრით გულის პერანგში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემომითთებული მასალების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, ასევე მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, სადავო არ იყო, რომ დაზღვეულის – ს. რ-ის გარდაცვალება არ იყო გამოწვეული მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის უშუალო შესრულებით, კერძოდ, იმგვარი მოქმედების განხორციელებით (მაგ: სპეც. ოპერაციაში ან რაიმე დავალების შესრულებაში მონაწილეობის მიღება), რომელიც გამოიწვევდა დაზღვეულის გარდაცვალებას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან დაზღვეული გარდაიცვალა სამსახურში ყოფნის და არა თვითდათხოვნის ან შვებულებაში ყოფნის დროს, ამიტომ 2009 წლის 01 მარტის ხელშეკრულების 3.1.6, 3.4.1 და 3.1.3.0 პუნქტების პირობებიდან გამომდინარე, ს.რ-ის გარდაცვალება არ შეიძლებოდა განხილულიყო სადაზღვევო შემთხვევად.

ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოხმობილი ნორმა შეიცავს ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესების დაცულობის საგარანტიოდ, სტანდარტული პირობების ბათილობის სამართლებრივ შესაძლებლობას იმ შემთხვევებისათვის, თუკი სტანდარტული პირობა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ 2009 წლის 1 მარტის ხელშეკრულების 3.4.1 და 3.1.3.0 პუნქტებით გათვალისწინებული წესი, რომლის თანახმად, სიცოცხლის დაზღვევა არ ვრცელდება დაზღვეულის სამსახურში ყოფნის დროზე, თავისი შინაარსით წარმოადგენდა ისეთ პირობას, რომლის დაუცველობას არ შეიძლებოდა თავისთავად გაეზარდა სადაზღვევო რისკის განხორციელების შესაძლებლობა და გამოეწვია მზღვეველის კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის მიყენება. ამასთან, აღნიშნული პირობის გათვალისწინებით, მზღვეველი, ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესების საზიანოდ, ახდენდა ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდებას, რამდენადაც ფაქტობრივად, სადაზღვევო შემთხვევის წარმოშობისათვის მზღვეველის მიერ გარკვეული დროის მონაკვეთის (დაზღვეულის შვებულებაში ან თვითდათხოვნაში ყოფნის პერიოდი) დაწესებით, ხდებოდა სადაზღვევო თანხის გაცემის

შესახებ ვალდებულების ხელოვნურად გამორიცხვა. აღნიშნულის თვალსაჩინოებისათვის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 2009 წლის 1 მარტის ხელშეკრულების 3.4.1 და 3.1.3.0 პუნქტებით განსაზღვრულ პირობებზე, რომელთა შინაარსის გათვალისწინებით გამოდის, რომ დაზღვეულის გარდაცვალება (რომელიც არ იქნება გამოწვეული რაიმე სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად გამომრიცხველი გარემოებით /გათვალისწინებული ამავე ხელშეკრულების 3.4.2 პუნქტით/) მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად, თუკი დაზღვეულის გარდაცვალება მოხდებოდა მისი შვებულებაში ყოფნის ან თვითდათხოვნის დროს. ამდენად, ერთ შემთხვევაში დაზღვეულის გარდაცვალება, თუ ის დადგა დაზღვეულის შვებულებაში ყოფნის დროს, ხელშეკრულების მითითებული პუნქტების მიხედვით ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად, ხოლო მეორე შემთხვევაში დაზღვეულის გარდაცვალება, თუ ის დადგა დაზღვეულის სამუშაოზე ყოფნის დროს, არ ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად. ამასთან, როგორც აპელანტი მიუთითებდა, ამ შემთხვევაში სამსახურში ყოფნის აღბათობა თითქმის 100%-ი იყო, ვინაიდან ს. რ-ი წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს და მას ჰქონდა 24-საათიანი სამუშაო რეჟიმი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმის გათვალისწინებით ხდებოდა სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და გამოკლენისათვის კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების უგულვებელყოფა და, ამასთანავე, მხარის ინტერესების საზიანოდ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა. ამგვარი დათქმის არსებობის პირობებში, მხარის ინტერესების საზიანოდ, მზღვეველს ეძლეოდა შესაძლებლობა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ დაზღვეული გარდაიცვალა სამსახურში და არა შვებულებაში ყოფნის დროს, გაემართლებინა მის მიერ სადაზღვევო თანხის გაცემის შესახებ ვალდებულების შეუსრულებლობა. შესაბამისად, 2009 წლის 1 მარტის ხელშეკრულების 3.4.1. და 3.1.3.0 პუნქტებიდან გამომდინარე წესი იმის შესახებ, რომ სიცოცხლის დაზღვევა არ ვრცელდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროზე, განსახილველ შემთხვევაში ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, 346-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, არ ჩაითვლებოდა სადაზღვევო შემთხვევის გამომრიცხველ გარემოებად მისი ბათილობის გამო. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული წესი შეიძლება გამოყენებულიყო იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც დაზღვეულის გარდაცვალება მიზეზმდებოდა კავშირში იქნებოდა დაზღვეულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის (მაგ: სპეც. ოპერაციაში მონაწილეობის მიღების შედეგად, დავალების შესრულების შედეგად გარდაცვალება) შესრულებასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დაზღვეულის გარდაცვალება უნდა შეფასებულიყო სადაზღვევო შემთხვევად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენდა შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-ის“ მიერ ს.რ-ის მემკვიდრეზე სადაზღვევო თანხის გაცემის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. კ. ა. ს. ჯ-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოთხოვნა ეფუძნება შემდეგს:

სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, კერძოდ სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ პუნქტებში განსაზღვრული პირობები მიიჩნია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად, მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მემკვიდრითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემკვები წესების დადგენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად. კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარია სახელმწიფო შესყიდვის გზით გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე, სადაც მხარეთა შორის ყველა სახელშეკრულებო პირობაზე შეთანხმება მოხდა ორმხრივად, შემსყიდველის მიერ მისი სატენდერო მოთხოვნების შესაბამისად. ამდენად, კასატორმა მიაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობები, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად, ხოლო აღნიშნულ ხელშეკრულებაში სადაზღვევო ანაზღაურების მიღებისას გამონაკლისის სახით განერილი პირობები ბათილ პირობებად;

დაუსაბუთებელია სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ, სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლიდან გამომდინარე, ბათილია 2009 წლის 1 მარტის №4/3-38 ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც შეეხება სიცოცხლის დაზღვევის ანაზღაურებისას გამონაკლის შემთხვევებს. აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო მხარეთა შორის ორმხრივი ნების სფუძველზე, სადაც ერთ-ერთ სახელშეკრულებო პირობად გაიწერა ის, რომ სიცოცხლის დაზღვევა არ ვრცელდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ხსენებული პუნქტი, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მხარეთა შორის, ორმხრივი ინტერესების სრული დაცვით იქნა შეტანილი ზემოაღნიშნული პირობა ხელშეკრულებაში. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ დაზღვეული პირი გარდაცვალების დროს იმყოფებოდა სამსახურში. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.1.3.0 და 3.1.4 პუნქტებით განსაზღვრული პირობები, რომლის მიხედვითაც, სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება ის შემთხვევა, რომელიც მოხდება სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრუ-

ლების დროს/პერიოდში, დროის იმ ნაწილში როდესაც მას ევალება სამხედრო ვალდებულების შესრულება, სამხედრო სამსახურში ყოფნა. ამდენად, სადაზღვევო კომპანიისათვის განმსაზღვრელი არ არის გარდაცვალების მიზეზი, არც ის ფაქტი, იმყოფებოდა თუ არა პირი უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მდგომარეობაში გარდაცვალებისას;

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირობა დაზღვეულის სამსახურში ყოფნის დროსთან დაკავშირებით არ წარმოადგენს ისეთ პირობას, რომლის დაუცველობაც არ შეიძლება ზრდიდეს სადაზღვევო რისკის განხორციელების შესაძლებლობას და ინვესტეს მზღვეველის კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას. იმისათვის, რომ მზღვეველმა ჯეროვნად შეასრულოს კონკრეტული დაზღვევის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, სადაზღვევო საქმიანობა უნდა დააფუძნოს დაზღვევის ობიექტის, რისკის შესაძლო განხორციელების, გარემო ფაქტორებისა და სხვა გარემოებების შეფასებაზე და მათი შეფასების შესაბამისად განსაზღვრული დაზღვევის პირობებზე, ფორმირებულ სადაზღვევო რეზერვებსა და ფონდებზე. სადავო არ უნდა გახდეს ის გარემოება, რომ სამხედრო მოსამსახურის პირადი რისკებისაგან დაზღვევა მომეტებულ რისკთან არის დაკავშირებული და როდესაც მზღვეველის წინაშე დასმულია საკითხი აღნიშნული მოსამსახურის სიცოცხლის დაზღვევაზე მხოლოდ არასამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროის მონაკვეთზე, დაზღვევის პირობების განსაზღვრაც ხდება შესაბამისად, ანუ გაცილებით ნაკლები საფასურის სანაცვლოდ, ვიდრე დაზღვევა ელირებოდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს დაფარვის პირობით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული პირობები არ შეიძლება მივიჩნიოთ სადაზღვევო შემთხვევის გამომრიცხველ გარემოებებად. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ სადაზღვევო მომსახურების შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა სწორედ ამ მოთხოვნით – სადაზღვევო მომსახურების შესყიდვა იმ პირობით, რომ სადაზღვევო დაფარვა განხორციელებულიყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროისაგან დამოუკიდებელ, განსხვავებულ პერიოდზე;

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემონგების შედეგად მიიჩნევს, რომ შსს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციასა (შემსყიდველი) და შსს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ს“ (მიმწოდებელი) შორის 2009 წლის 1 მარტს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №4/3-38 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, მზღვეველი არის შსს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ი“, დამზღვევი – საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, ხოლო დაზღვეული – სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში იმყოფებიან (ასევე აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები), რომელთა სასარგებლოდაც ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა და რომელთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის საგანს;

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1.3.0 პუნქტით გათვალისწინებულია სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც ვრცელდება მხოლოდ სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებზე. ხსენებული პუნქტის მიხედვით, დაზღვეულის უბედური შემთხვევით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში (არ გულისხმობს შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივი მომსახურების შესრულების დროს მომხდარ შემთხვევებს), გარდა ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისებისა, სადაზღვევო კომპანია გარდაცვლილის სამართლამემკვიდრეს აუნაზღაურებს სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ თანხას, რაც შეადგენს 10000 ლარს. ამავე ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო პირობებს, მზღვეველის მიერ გასანგევი მომსახურების ჩამონათვალში შედის ასევე სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც არ ვრცელდება პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროზე, ასევე ოჯახის წევრებზე;

ზემოხსენებული ხელშეკრულებით საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაზღვეული ჰყავდა თავისი თანამშრომლები, მათ შორის, ან გარდაცვლილი ს. რ-ი (სასაზღვრო პოლიციის ინსპექტორი (ჯგუფის უფროსი), ს/პ მაიორი);

ს. რ-ი გარდაცვალების დღეს – 2009 წლის 8 ივლისს, იმყოფებოდა სასაზღვრო პოლიციის №6 სექტორის ჭუბერის დასაცავ მონაკვეთზე, სადაც დაახლოებით 14.30 საათზე დაენყო ტკივილები გულმკერდის არეში. დაახლოებით ერთ საათში №6 სექტორის უფროსის მოადგილემ (თ. ნ-მ) სოფელ ჭუბერიდან ამოიყვანა ექიმი, რომელმაც ს. რ-ს აღმოუჩინა პირველადი დახმარება. ასევე, მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ორ საათში №9 სამმართველოს უფროსის მოადგილემ (თ. ფ-მა) უზრუნველყო მესტიიდან სასწრაფო დახმარების ჯგუფის აყვანა. სასწრაფო დახმარების ჯგუფმა ს. რ-ს აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დაახლოებით 21.00 საათზე გარდაიცვალა;

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ასევე, ჩატარებული საქსპერტო კვლევის შედეგების მიხედვით, დადასტურდა, რომ ს. რ-ის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა გულის ტამ-

პონადა, რომელიც განვითარდა აორტის ანევრიზმის გაგლეჯილი კედლიდან გამოსული სისხლის ჩაღვრით გულის პერანგში;

2009 წლის 7 ოქტომბრის სამსახურებრივი დასკვნის მიხედვით, სასაზღვრო პოლიციის ინსპექტორი (ჯგუფის უფროსი), ს/პ მაიორი ს. რ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, თუმცა მისი გარდაცვალება არ უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის უშუალო შესრულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამომწებებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო საჩივრით სადავოდ არაა გამხდარი. კასატორი სადავოდ ხდის დადგენილი ფაქტების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, იმას, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2009 წლის 1 მარტის ხელშეკრულების 3.4.1. და 3.1.3.0 პუნქტები, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად და არასწორად ცნო ისინი ბათილად სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.

სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემკვსები წესების დადგენა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების პირობების სტანდარტულ პირობებად მიჩნევის სავალდებულო ნიშნებია:

1. სტანდარტული პირობები არის სახელშეკრულებო პირობები;
2. სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები;
3. სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები;
4. სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს;
5. სტანდარტული პირობებით უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ამ მათი შემკვსები წესების დადგენა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, პასუხობდა თუ არა ხელშეკრულების სადავო პირობები სტანდარტულ პირობებად მიჩნევისათვის სავალდებულო ნიშნებს, მათ შორის, არც ის დაუდგენია, სადავო პირობები იყო თუ არა მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები ანუ მზღვეველი იგივე პირობებს სთავაზობდა თუ არა სხვა მომხმარებლებსაც. შესაბამისად, ამ ნაწილში სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია, მაგრამ, იმ შემთხვევაშიც, თუ ზემოხსენებული ხელშეკრულების სადავო პირობებს არ მივიჩნევთ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ისინი არ ათავისუფლებენ მზღვეველს სადაზღვევო თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, როგორც ამას კასატორი მიიჩნევს. კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულების სადავო პირობების მიხედვით, სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვეულის გარდაცვალების ის შემთხვევები, რომლებიც მოხდება დაზღვეული სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ანუ დროის იმ პერიოდში, როდესაც მას ევალება სამხედრო ვალდებულების შესრულება, სამხედრო სამსახურში ყოფნა. კასატორის მოსაზრებით, სადაზღვევო კომპანიისათვის განმსაზღვრელი არ არის დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი, არც ის ფაქტი, იმყოფებოდა თუ არა დაზღვეული უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მდგომარეობაში გარდაცვალებისას.

საკასაციო სასამართლო კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს და ყურადღებას მიაქცევს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2009 წლის 1 მარტის ხელშეკრულების სადავო პირობებს, კერძოდ, აღნიშნული ხელშეკრულების 3.1.3.0 პუნქტი იძლევა სიცოცხლის დაზღვევის განმარტებას, რომლის მიხედვით, დაზღვეულის უზედური შემთხვევით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში (არ გულისხმობს შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივი მომსახურების შესრულების დროს მომხდარ შემთხვევებს), გარდა ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისებისა, სადაზღვევო კომპანია გარდაცვლილის სამართლამემკვიდრეს აუნაზღაურებს სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ თანხას. ამავე ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის მიხედვით კი, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო პირობებს, მზღვეველის მიერ გასაწევი მომსახურების ჩამონათვალში შედის ასევე სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც არ ვრცელდება პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროზე, ასევე ოჯახის წევრებზე.

ამდენად, ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პუნქტების მიხედვით, სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი) სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ თანხას არ აუნაზღაურებს გარდაცვლილი დაზღვეულის სამართლამემკვიდრეს იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულის გარდაცვალება წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ შემთხვევას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების ზემოხსენებული პუნქტების სწორად შეფარდებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის, გადამწყვეტია დაზღვეულის (სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის) მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დაზღვეულის გარდაცვალებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა; დაზღვეულის გარდაცვალება გამომწვეული უნდა იყოს იმის შედეგად, რომ მან თავისი სამსახურ-

რებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა ანუ გარდაიცვალა სამუშაოს მიზეზით. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, გარდაიცვალა თუ არა დაზღვეული სამუშაო ადგილას ან სამუშაო საათების დროს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების შემოსხნეულ პირობებზე მითითებით, მზღვეველის უარი სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე კანონიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იარსებებდა მიზეზობრივი კავშირი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დაზღვეულის გარდაცვალებას შორის. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მზღვეველის პასუხისმგებლობისათვის განმსაზღვრელი არ არის დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი და მისი კავშირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, არამედ, გადამწყვეტია მხოლოდ ის, რომ დაზღვეული სამუშაო საათებში იმყოფებოდა სამუშაო ადგილზე. კასატორის ზემოაღნიშნული მსჯელობის უსაფუძვლობას ადასტურებს ასევე ხელშეკრულების 3.4.2 პუნქტი, რომელიც ადგენს სიცოცხლის დაზღვევის გამონაკლისებს ანუ იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა დადგომის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულის გარდაცვალებისას. მითითებული პუნქტით გათვალისწინებული არც ერთი საგამონაკლისო შემთხვევა არ მოიცავს სადავო კაზუსს (შემთხვევას). ასეთზე ვერც კასატორი მიუთითებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის უმთავრესია გაირკვეს დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი და მისი კავშირი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ამ საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა გულის ტამპონადა, რომელიც განვითარდა აორტის ანევრიზმის გაგლეჯილი კედლიდან გამოსული სისხლის ჩაღვრით გულის პერანგში; სასამართლოს მიერ დადგენილია ასევე, რომ მოსარჩელე გარდაიცვალა სამსახურში ყოფნის დროს, მაგრამ მისი გარდაცვალება არ უკავშირდებოდა სამსახურებრივი მოვალეობის უშუალო შესრულებას ანუ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დაზღვეულის გარდაცვალებას შორის. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, ამიტომ ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსკ-ის 407.2 მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების წარმოშობის საფუძველია მხარეთა შორის დადებული ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება. შესაბამისად, სადავო ურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმები და მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობები.

სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის მიხედვით, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამავე კოდექსის 844-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სიცოცხლის დაზღვევა შეიძლება ეხებოდეს დამზღვევეს ან სხვა პირს.

მხარეთა შორის დადებული 2009 წლის 1 მარტის ხელშეკრულების 3.1.5 პუნქტის მიხედვით, მოსარგებლეა პირი, რომელიც ამ ხელშეკრულების და/ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. ამავე ხელშეკრულების 3.1.3.0 პუნქტის მიხედვით, დაზღვეულის უბედური შემთხვევით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში (არ გულისხმობს შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივი მომსახურების შესრულების დროს მომხდარ შემთხვევებს), გარდა ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისებისა, სადაზღვევო კომპანია გარდაცვლილის სამართლამემკვიდრეს აუნაზღაურებს სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ თანხას. ამავე ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის მიხედვით, სიცოცხლის დაზღვევის თანხა შეადგენს 10000 ლარს, ხოლო 3.3.1.3 პუნქტის მიხედვით, მზღვეველი ვალდებულია დროულად და სრულად გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება 30 კალენდარულ დღეში მოსარგებლეზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, იურიდიულად ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას სადაზღვევო თანხის ანაზღაურების თაობაზე, რაც მისი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

1. შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 09 მარტის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაზარალების დაზოგვისათვის

განჩინება

№ას-851-902-2011

2 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საიჯარო ქირის გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ ქ. თბილისის №146 საჯარო სკოლამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სპს სკოლა-ლიცეუმ „ლ-ს“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის დაკავებული ფართის გამოთავისუფლების დავალდებულება, საიჯარო ქირის გადაუხდელობით მიყენებული ზიანის 18041.05 ლარის ანაზღაურება და ყოველთვიურად ფართის გამონთავისუფლებამდე 1285.9 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: სარჩელის თანახმად, 1999 წლის 9 ნოემბერს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და სპს „ლ-ს“ შორის გაფორმდა ქ. თბილისში, ... დასახლებაში მდებარე 146-ე საშუალო სკოლის შენობაში განთავსებულ 770 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, რომლის 2.3 მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს ყოველ სამ თვეში უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა. ამავე ხელშეკრულების 2.5 მუხლის თანახმად, თუ მოიჯარე ერთი თვის განმავლობაში არ გადაიხდის ქირას, საიჯარო ხელშეკრულება ექვემდებარება გაუქმებას ცალმხრივად. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მოპასუხემ დაიკავა სკოლის შენობის მარცხენა ფართის სამი სართული. გადატვირთვა შემაერთებელი დერეფნები და დაინიშნო სკოლა-ლიცეუმის სახით ფუნქციონირება. 2008 წლის 15 თებერვალს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და თბილისის 146-ე საჯარო სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, უსასყიდლო უზურფრუქტის სახით 146-ე საჯარო სკოლას გადაეცა როგორც მთლიანი სკოლის შენობა, ასევე მიწის ნაკვეთიც. 2008 წლის 18 თებერვლის წერილით თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ აცნობა მოპასუხეს, რომ წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 13000 აშშ დოლარის ოდენობით. სარჩელის მიხედვით, მოპასუხეს უნდა გაეფორმებინა ახალი ხელშეკრულება და ძველ ხელშეკრულებაში უნდა შესულიყო შესაბამისი ცვლილება. მათ მიერ აღნიშნული ცვლილებების პროექტი გაეგზავნა მოპასუხეს, სადაც მოპასუხეს სთავაზობდნენ როგორც ქირის ოდენობის გაზრდას, ასევე სხვა პირობების შეცვლას, მიუხედავად აღნიშნულისა, მოპასუხისაგან არანაირი პასუხი არ მიუღიათ. ვინაიდან მოპასუხე ნებაყოფლობით არ იხდის შეთავაზებული ქირის თანხას და აგრძელებს ფართით სარგებლობას, იგი ვალდებულია 2009 წლის პირველი აპრილიდან ფართის გამოთავისუფლებამდე გადაიხადოს უკვე გაზრდილი თანხა.

მოპასუხე სპს სკოლა-ლიცეუმმა „ლ-მა“ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 1999 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებით დადგენილი იჯარის ქირა დღემდე გადახდილი აქვს. 1999 წლის ხელშეკრულება ძალაში იყო 2009 წლის 9 ნოემბრამდე, ამ ხელშეკრულებაში რაიმე ცვლილება არ შესულა და მათ ეკისრებოდათ ვალდებულება, ყოველწლიურად გადაეხადათ 1000 აშშ დოლარი, რაც შეეხება 2009 წლის 9 ნოემბრის შემდგომ პერიოდს, ვინაიდან ხელშეკრულება მათთან არ გაფორმებულა, მათ არ ეკისრებათ გაზრდილი ქირის გადახდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირა კი 2009 წლის 9 ნოემბრის შემდეგაც (დღემდე) მათ გადახდილი აქვთ და დავალიანება არ გააჩნიათ. ამასთან, 2008 წლის 18 თებერვლის წერილის თანახმად, გაზრდილი ქირის გადახდაზე თანხმობა (ან უარი) უნდა განეცხადებინათ წერილის მიღებიდან ერთ წელიწადში, წერილი მიიღეს 2009 წლის იანვარში და გამოდის, რომ გაზრდილი ქირა უნდა გადაიხადონ 2010 წლის იანვრიდან, რაზეც თანახმა არიან. მოგვიანებით, საქმის არსებითი განხილვის დროს, მოპასუხემ 2010 წლის 6 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე ფართის გამოთავისუფლების და 672 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში სარჩელი ცნო (იხ. 2010 წლის 6 მაისის სხდომის ოქმი).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ თბილისის 146-ე საჯარო სკოლის სარჩელი დაკმაყოფილდა. სპს სკოლა-ლიცეუმ „ლ-ს“ დავალა, გამოენთავისუფლებინა სსიპ ქ. თბილისის 146-ე საჯარო სკოლის შენობაში მის მიერ დაკავებული 770 კვ.მ. ფართი, მდებარე ქ. თბილისში, მე-3 მასივი, ... დასახლება მე-14 ქუჩა; სპს სკოლა-ლიცეუმ „ლ-ს“ დაეკისრა 18 041.05 ლარის გადახდა სსიპ ქ. თბილისის 146-ე საჯარო სკოლის სასარგებლოდ; სპს სკოლა-ლიცეუმ „ლ-ს“ დაეკისრა 2010 წლის 1 იანვრიდან გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში მითითებული ფართის

გამონთავისუფლებამდე ყოველთვიური 1 285.90 აშშ დოლარის გადახდა სსიპ ქ. თბილისის 146-ე საჯარო სკოლის სასარგებლოდ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს სკოლა ლიცეუმმა „ლ-მა“, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, კერძოდ: სკოლა-ლიცეუმ „ლ-ათვის“ მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ 606,6 ლარისა და 1083,3 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მარტის განჩინებით სპს სკოლა-ლიცეუმ „ლ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აპელანტის მოსაზრება მასზე, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს წერილი სკოლა-ლიცეუმ „ლ-ს“ არ მიუღია 2008 წლის 18 თებერვალს, აღნიშნული წერილი აპელანტს გადაეცა იმავე მხარესთან არსებულ სხვა სასამართლო დავაში საქმის მასალებთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და მიუთითა, რომ საქმის მასალებით, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქალაქ თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამმართველოს წერილით დასტურდება, რომ სამმართველოს წერილი სკოლა-ლიცეუმ „ლ-ს“ გაეგზავნა 2008 წლის 18 თებერვალს, რომელიც თანახმად, ახალი პირობებით ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზებაზე უარის ან ერთი წლის განმავლობაში თანხმობის განუცხადებლობის შემთხვევაში ადრე დადებული ხელშეკრულების მოქმედება შეწყდებოდა. საქმის მასალებით პალატამ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული წერილის პასუხად, სპს სკოლა-ლიცეუმმა „ლ-მა“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს 2009 წლის 18 თებერვალს მისწერა №10 წერილი, სადაც მოპასუხე თავად აღნიშნავდა, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების სამმართველოს 2008 წლის თებერვალში გადმოგზავნილი №2-22/472 წერილის თაობაზე 2008 წლის ნოემბერში შეიტყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ მათ წერილი მიიღეს სხვა სასამართლო დავაში და, რომ, გაზრდილი ქირის გადახდაზე თანხმობა (ან უარი) უნდა განეცხადებინათ წერილის მიღებიდან ერთ წელიწადში, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სკოლა-ლიცეუმ „ლ-“ 2009 წლის 18 თებერვლის წერილი არ ნიშნავდა თანხმობას 13 000 აშშ დოლარის ოდენობით ქირის გადახდაზე, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა და აღნიშნულთან დაკავშირებით დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ განაცხადა, რომ, მართალია, პირადად მას კი ეცნობა წერილის შესახებ 2008 წლის ნოემბერში, მაგრამ მისთვის უცნობი იყო ხომ არ ჩაჰბარდა 2008 წლის 18 თებერვლის წერილი მის რომელიმე ოჯახის წევრს, შესაბამისად, თუ ეს ასე იქნებოდა მას ჰქონდა ვადა 2009 წლის 18 თებერვლამდე იმისათვის, რომ პოზიცია გამოეხატა გაზრდილ ქირასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდებოდა ვადაზე ადრე – 2009 წლის 18 თებერვლიდან, რაც მისთვის მიუღებელი იყო. შესაბამისად, გაგზავნილ იქნა 2009 წლის 18 თებერვლის წერილი, რომელიც, მოპასუხის განმარტებით, თანხმობას არ წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ სკოლა-ლიცეუმ „ლ-ათვის“, ხელშეკრულების არგაუქმების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა მხოლოდ დათანხმება, ვინაიდან, რეაგირების გარეშე დატოვება 2009 წლის 18 თებერვლამდე ისედაც იწვევდა მის შეწყვეტას. წერილის (2008 წლის 18 თებერვალი) შინაარსიდან გამომდინარე პირობებზე დაუთანხმებლობაც იგივე შედეგს გამოიწვევდა, შესაბამისად, აპელანტი დათანხმდა ახალ პირობებს, რაც 2009 წლის 18 თებერვლის წერილში დააფიქსირა კიდევ და შესთავაზა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხელშეკრულების გაგრძელება ახალი პირობებით, ხოლო, რაც შეეხება ახალ პირობებს, საქმეში წარმოდგენილი მასალებით ერთადერთ ახალ პირობას გაზრდილი საიჯარო ქირა წარმოადგენდა.

ამდენად, აპელანტის (მოპასუხის) ახსნა-განმარტებით (იხ. 2010 წლის 6 მაისის სხდომის ოქმი) და საქმის მასალებით ერთობლიობაში მხედველობაში მიღებით, სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ 2008 წლის 18 თებერვლის წერილით მოპასუხეს აცნობა, რომ წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 13 000 აშშ დოლარის ოდენობით, რასაც მოპასუხე 2009 წლის 18 თებერვლის წერილით დაეთანხმა და გააგრძელა ფართით სარგებლობა, თუმცა, შეგნებულად თავი აარიდა ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, მიუხედავად არსებული შეთავაზებისა.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საქალაქო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 172-ე, 242-ე, 581-ე, 606-ე, 361.2-ე და 591-ე მუხლებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასახელებული განჩინება საკაცო წესით გაასაჩივრა შპს „ლ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება იმ საფუძვლით, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, უსაფუძვლოდ არ გაიზიარა, რომ თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 2008 წლის 18 თებერვლის წერილი სკოლა-ლიცეუმ „ლ-ს“ არ ჩაჰბარებია და ამ წერილის არსებობა მისთვის ცნობილი გახდა №146 საჯარო სკოლის მიერ წამოწყებულ სასამართლო დავაში 2008 წლის ნოემბერში. ამასთან, კასატორის განმარტებით, სკოლა-ლიცე-

უმ „ლ-ს“ 2009 წლის 18 თებერვლის წერილი არ ნიშნავდა თანხმობას 13000 დოლარის ოდენობით ქირის გადახდაზე და აღნიშნული წერილი არ გულისხმობდა ამ გაზრდილი ქირის მაშინვე გადახდას. კასატორის მოსაზრებით, თუ „ლ-ს“ 2009 წლის 18 თებერვლის წერილი 13000 აშშ დოლარის გადახდაზე თანხმობად ჩაითვლებოდა, ასეთ შემთხვევაშიც თანხა არასწორადაა დაკისრებული, ვინაიდან 2009 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებაში ცვლილება არ შესულა, დამატებითი ხელშეკრულება არ დადებულა და ამ თანხის 2009 წლის 9 ნოემბრამდე პერიოდისათვის დაკისრება არასწორია, მხოლოდ 2009 წლის 9 ნოემბრის შემდგომი პერიოდისათვის, რაც 2010 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენს 2 თვეს და განისაზღვრება 2166,6 აშშ დოლარით, ანუ 3 629.05 ლარით, რაც ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაშიც სასამართლომ არასწორად დააკისრა მათ 18041.05 ლარის გადახდა, ნაცვლად 3629.05 ლარისა. რაც შეეხება 2010 წლის პირველი იანვრის შემდგომ პერიოდს, კასატორი მათ სადავოდ არ ხდის, თუმცა თვლის, რომ თანხა არასწორადაა გამოანგარიშებული, კერძოდ, 13000 აშშ დოლარიდან ყოველთვიური ქირის ოდენობა არის 1083.3 აშშ დოლარი და არა 1285.9 აშშ დოლარი როგორც ეს გადაწყვეტილებაშია მითითებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სპს „ლ-ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ 2008 წლის 18 თებერვლის წერილით მოპასუხეს აცნობა, რომ წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 13 000 აშშ დოლარის ოდენობით, რასაც მოპასუხე 2009 წლის 18 თებერვლის წერილით დაეთანხმა და გააგრძელა ფართით სარგებლობა.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ სსიპ თბილისის 146-ე საჯარო სკოლისათვის გარკვეული ფართის (რომელშიც შედის სადავო ფართიც) უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის შემდეგ იჯარის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ სსიპ ქ. თბილისის 146-ე საჯარო სკოლა და სპს „ლ-ი“. შესაბამისად, 2009 წლის 24 მარტს სსიპ ქ. თბილისის №146 საჯარო სკოლის მიერ სპს „ლ-ს“ გაეგზავნა 1999 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის პროექტი, სადაც ამ უკანასკნელს, უკვე მეიჯარის უფლებამონაცვლემ კიდევ ერთხელ შესთავაზა შეცვლილი პირობებით იჯარის ხელშეკრულების დადება და დაევალა, 10 დღის ვადაში უკან დაებრუნებინა იგი ხელმოწერილი და დამოწმებული ბეჭდით.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ, მიუხედავად ხელშეკრულების ვადის გასვლისა, მოპასუხე აგრძელებდა ფართით სარგებლობას, ამასთან, მან არ გადაიხადა გაზრდილი საიჯარო ქირა.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ 2008 წლის 18 თებერვლის წერილით გაუგზავნა შეთავაზება, რის შემდეგაც ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლემ 2009 წლის 24 მარტს შპს „ლ-ს“ მისცა 10 დღიანი ვადა აქცეპტისათვის, ასევე ყურადსაღებია საქმეში არსებული ქ. თბილისის 146-ე საჯარო სკოლის 05.05.2009 წლის №511 წერილი, რომელშიც სპს „ლ-ს“ ეთხოვა 11 მაისამდე განეხილა ხელშეკრულების პროექტი და დამოწმებული დაებრუნებინა.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად მოითხოვს შეფასებას, რათა დადგინდეს, თუ რომელ ვადას უკავშირდება მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის წარმოშობა და, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა.

ამასთან ერთად საგულისხმოა, რომ სპს „ლ-ს“ რამდენჯერმე მიეცა ვადა ახალი პირობების მიღებისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შპს „ლ-ი“ აგრძელებდა ამ ფართით სარგებლობას და არ იხდიდა გაზრდილ საიჯარო ქირას, კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ 2008 წლის 18 თებერვლის წერილით სპს „ლ-ს“ აცნობა, რომ წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 13 000 აშშ დოლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული შეთავაზებით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ (რომელიც წარმოადგენდა გამქირავებელს, ხოლო ამჟამად გამქირავებელს და, შესაბამისად, უფლებამონაცვლეს ლთან საიჯარო ურთიერთობებში წარმოადგენს საჯარო სკოლა №146), სპს „ლ-ს“ განუსაზღვრა აქცეპტისათვის შემდეგი პირობები, კერძოდ, ადრე დადებული ხელშეკრულების (1999 წლის 9 ნოემბრის საიჯარო ხელშეკრულების) მოქმედება შეწყდებოდა ახალი პირობებით ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზებაზე უარის თქმისა და ერთი წლის განმავლობაში თანხმობის განუცხადებლობის შემთხვევაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამდენად, თუ სპს „ლ-ი“ უარს განაცხადებდა ხელშეკრულების დადებაზე, 1999 წლის 9 ნოემბრის იჯარის ხელშეკრულება შეწყდებოდა, ხოლო თანხმობის განუცხადებლობის შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყდებოდა ერთ წელიწადში.

კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის ერთწლიანი ვადის ათვლის საკითხს და მიიჩნევს, რომ სამმართველოს 2008 წლის 18 თებერვლის წერილი ითვალისწინებს მისი მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში მოიჯარის მიერ პოზიციის დაუფიქსირებლობის შემთხვევაში 1999 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულების შეწყვეტას, შესაბამისად, იგი თანახმაა ქირა გადაიხადოს 2010 წლის იანვრიდან.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, სამმართველოს 2008 წლის 18 თებერვლის წერილში მითითებული ერთწლიანი ვადა ნიშნავს ამ წერილის თარიღიდან ერთი წლის (2009 წლის 19 თებერვლამდე) განმავლობაში თანხმობის განუცხადებლობის შედეგებს. იმის გათვალისწინებით, რომ სამმართველოს (ასევე, საჯარო სკოლასა) და სპს „ლ-ს“ შორის ხანგრძლივი პერიოდის (1999 წლის 9 ნოემბრიდან) მანძილზე არსებობდა საქმიანი ურთიერთობა, 2008 წლის 18 თებერვლის წერილში გამოთქმული ნება უნდა განიმარტოს ოფერენტისა და აქცეპტანტის მიერ ვითარების გონივრული აღქმის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით თუ რა ეკონომიკურ ინტერესს უკავშირდებოდა შეცვლილი პირობები.

გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის 18 თებერვლის წერილის (ოფერტის) ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამმართველოს ვადაზე ადრე სურდა 1999 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულების შეწყვეტა თუ სპს „ლ-ი“ არ მიიღებდა მის პირობებს. ამდენად, არ შეიძლება მივიჩნიოთ ერთწლიან პერიოდში 2009 წლის 9 ნოემბრის შემდეგი ვადა (1999 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულების ვადა გადიოდა 2009 წლის 9 ნოემბერს), რაც ისედაც ვადის გასვლით წყდება.

სააპელაციო სასამართლო ზემოაღნიშნული წერილის მიღების ფაქტს ადასტურებს სპს „ლ-ს“ მიერ საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროსადმი გაგზავნილი 2009 წლის 18 თებერვლის წერილით, რომლითაც აღნიშნავს, რომ სპს „ლ-ათვის“ 2008 წლის 18 თებერვლის წერილის თაობაზე ცნობილი იყო 2008 წლის ნოემბერში. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტს, რომ შპს „ლ-ათვის“ 2008 წლის ნოემბერში გახდა ცნობილი სამმართველოს 2008 წლის 18 თებერვლის წერილის თაობაზე, რომლის შესახებ თვითონ სპს „ლ-ი“ უთითებს თავის 2009 წლის 18 თებერვლის წერილში. ამ ფაქტის საწინააღმდეგოს კასატორი არ უთითებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სპს „ლ-ათვის“ 2008 წლის 9 ნოემბერს ცნობილი იყო 1999 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობების თაობაზე, რომლის ვადა 2008 წლის 18 თებერვლის წერილის მიხედვით უკავშირდებოდა 2009 წლის 19 თებერვალს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სპს სკოლა-ლიცეუმი „ლ-ი“ 2009 წლის 18 თებერვლის წერილით დაეთანხმა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 2008 წლის 18 თებერვლის წერილში მითითებულ შეთავაზებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სპს „ლ-ს“ 2009 წლის 18 თებერვლის წერილზე, რომელშიც მითითებულია, რომ „მსურს (სპს „ლ-ი“), თქვენთან შევათანხმო ხელშეკრულების გაგრძელების ახალი პირობები.“

საკასაციო საჩივარში კასატორი აღნიშნავს, რომ „ამ წერილით მან გამოხატა სურვილი, შეეთანხმებინა ხელშეკრულების გაგრძელების ახალი პირობები, რაც, რა თქმა უნდა, გაზრდილ ქირას გულისხმობდა, მაგრამ არა კონკრეტულად 13 000 აშშ დოლარს“.

ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ წერილში მითითებული ზემოაღნიშნული პასუხი არ წარმოადგენს თანხმობას ხელშეკრულებაზე, არამედ, როგორც კასატორი აღნიშნავს, უკავშირდებოდა თანხმობას ხელშეკრულების დადებაზე, მაგრამ განსხვავებული პირობებით (საკასაციო საჩივრის მიხედვით: „ამ წერილით მან გამოხატა სურვილი, შეეთანხმებინა ხელშეკრულების გაგრძელების ახალი პირობები, რაც, რა თქმა უნდა, გაზრდილ ქირას გულისხმობდა, მაგრამ არა კონკრეტულად 13 000 აშშ დოლარს“), შესაბამისად, ეს წერილი უნდა განვიხილოთ როგორც უარი ოფერტზე. ამდენად, კასატორის მოსაზრების გაზიარების შემთხვევაშიც, თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ 2009 წლის 18 თებერვლის წერილით ის კი არ დაეთანხმა 2008 წლის 18 თებერვლის შეთავაზებას, არამედ მხოლოდ სურდა პირობების გადახედვა, შეფასებულ უნდა იქნეს როგორც უარი ოფერტზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. ამ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 591-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის; მეიჯარეს შეუძლია, მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სპს „ლ-ის“ მიერ ახალი პირობებით ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზებაზე უარის თქმა იწვევდა 1999 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულების შეწყვეტას 2008 წლის 18 თებერვლის წერილით აქცეპტისათვის დადგენილი პირობების თანახმად, ანუ 2009 წლის 18 თებერვალს. მიუხედავად ამისა, სპს „ლ-ი“ აგრძელებდა ამ ფართით სარგებლობას.

აქედან გამომდინარე, იჯარის ხელშეკრულების ახალი პირობებით გაგრძელების შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ნაწილადგების თანახმად, მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა, ხოლო ახალი პირობების მიუღებლობის მიუხედავად, სადავო ფართის სარგებლობის შემთხვევაში მოიჯარის უფლებები დაცულია ამავე კოდექსის 591-ე მუხლით.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ სსიპ თბილისის 146-ე საჯარო სკოლისათვის გარკვეული ფართის (რომელშიც შედის სადავო ფართიც) უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის შემდეგ იჯარის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ სსიპ ქ. თბილისის №146 საჯარო სკოლა და სპს „ლ-ი“.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ 2009 წლის 24 მარტს სსიპ ქ. თბილისის №146 საჯარო სკოლის მიერ სპს „ლ-ს“ გაეგზავნა 1999 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის პროექტი, სადაც ამ უკანასკნელს, უკვე მეიჯარის უფლებამონაცვლემ კიდევ ერთხელ შესთავაზა შეცვლილი პირობებით იჯარის ხელშეკრულების დადება და ეთხოვა, 10 დღის ვადაში უკან დაებრუნებინა იგი ხელმოწერილი და დამონებული ბუჭდით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2009 წლის 27 აპრილის წერილით სსიპ ქ. თბილისის №146 საჯარო სკოლას ფაქტობრივად დაუდასტურა, რომ დამატებით ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით ურთიერთშეთანხმება უნდა მომხდარიყო სსიპ ქ. თბილისის №146 საჯარო სკოლასა და სპს „ლ-ს“ შორის.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ ქ. თბილისის №146 საჯარო სკოლის 2009 წლის 24 მარტის წერილით შეთავაზებულ პირობებზე სპს „ლ-მა“ არანაირი პასუხი არ გასცა და მიუხედავად ამისა, განაგრძობდა ამ ფართით სარგებლობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორი საკასაციო საჩივარში არ უთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ ზემოაღნიშნულ ფაქტის საწინააღმდეგოდ, რაც, სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დადგენილად უნდა მივიჩნიოთ, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სპს „ლ-სათვის“ ცნობილი იყო იჯარის ხელშეკრულების ახალი პირობების თაობაზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ შეთავაზებული პირობები უალტერნატივო იყო, ამდენად, იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება შეიძლებოდა მხოლოდ ამ პირობების მიღების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, სპს „ლ-ი“ აგრძელებდა ამ ფართით სარგებლობას და არ იხდოდა გაზრდილ ქირას. მაგრამ, კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, თუ რატომ დააკისრა სასამართლომ გადაუხდელი იჯარის ქირა სპს „ლ-ს“ 2009 წლის 1 აპრილიდან. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს 2010 წლის 6 მაისის სხდომის ოქმზე სადაც მოსამართლის კითხვაზე თუ – „რატომ ითხოვთ თანხის დაკისრებას აპრილიდან“ – მოსარჩელე პასუხობს: „წერილს ვადა თებერვალში გაუვიდა, ამის შემდეგ ჩვენ ვადროვეთ მოპასუხეს და 1 აპრილს გავიდა ყველანაირი დამატებითი ვადა, რაც ჩვენს მიერ იყო დანიშნული“.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მითითებული ახსნა-განმარტება არ იძლევა დამაჯერებელი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებულ სსიპ ქ. თბილისის 146-ე საჯარო სკოლის 2009 წლის 24 მარტის №502, ასევე 05.05.2009 წლის №511 წერილებს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და დაადგინოს, თუ რა ვადა ჰქონდა სპს „ლ-ს“ დანიშნული აქცეპტისათვის, შესაბამისად, უნდა დაადგინოს მოთხოვნის წარმოშობის დრო.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ არასწორადაა გამოანგარიშებული 13000 აშშ დოლარიდან ყოველთვიური ქირის ოდენობა (13000:12), რომელიც შეადგენს თვეში 1083,3 აშშ დოლარს და არა 1285,9 აშშ დოლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მითითებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს მოსარჩელე სსიპ ქ. თბილისის 146-ე საჯარო სკოლის მოთხოვნის წარმოშობის მომენტი და მისი მოცულობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. სპს „ლ-ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა. სუბროგაცია

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-581-549-2011

5 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 10 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა სს „ს. კ. ა. ბ-მ“ მოპასუხე შპს „ს. რ-ის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 39630.60 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „ს. კ. ა. ბ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 27 ივნისს სს „ს. კ. ბ-ისა“ და ექსპედიტორის „ბ. ვ. შ. გ ა/ს-ის“ საქართველოს წარმომადგენლობას შორის გაფორმდა ტვირთის დაზღვევის შესახებ გენერალური ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში 2007 წლის 10 აგვისტოს სს „ს. კ. ბ-ის“ მიერ გაიცა მც/ც-01651/06 სადაზღვევო პოლისი, რომლითაც „ბ. ვ. შ. ა/ს-ის“ საქართველოს წარმომადგენლობამ საქართველოში დააზღვია „პ. ა. კ. ტ. კოს“ მიერ ყირგიზული კომპანია „რ-სთვის მისანოდებელი ტვირთი – ქათმის გაყინული ხორცი;

მალფუჭბადი ტვირთი გადაზიდებოდა შპს „ს. რ-ის“ მეშვეობით ფოთის სადგურიდან ბიშკეკის მიმართულებით;

2006 წლის 13 სექტემბერს ბიშკეკში ჩასული ტრანზიტული ტვირთი ადგილზე გადმოტვირთისას დაზიანებული აღმოჩნდა, რაც გამოიწვია რეფრეჟერატორული ვაგონის ტექნიკურმა გაუმართაობამ, კერძოდ, ტემპერატურის რეჟიმის დარღვევამ დიზელის გენერატორის მწყობრიდან გამოსვლის გამო. ტემპერატურის რეჟიმის დარღვევის შედეგად დაზიანდა 44250კგ. ტვირთი;

მიყენებული ზარალი, „პ. ა. კ. ტ. კოს“ მიერ 2006 წლის 1 აგვისტოს კომპანია „რ-ს“ სახელზე გამოწერილი კომერციული ინვოისის საფუძველზე შეფასდა, 44250 აშშ დოლარით;

სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-მ“ სადაზღვევო პოლისში დასახელებულ მოსარგებლეს – „პ. ა. კ. ტ. კოს“ აუნაზღაურა მიყენებული ზარალი მც/ც-01651\06 სადაზღვევო პოლისით დადგენილი 2%-იანი ფრენშიზის გამოკლებით 39630.60 აშშ დოლარით;

„ს. კ. ა. ბ-მ“ მიმართა შპს „ს. რ-ს“ მისი ბრალით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც შპს „ს. რ-მ“ უარი განაცხადა;

ტვირთის დაზიანებისას შპს „ს. რ-ის“ მხრიდან განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას ადგილი არ ჰქონია.

სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-ს“ შპს „ს. რ-ის“ მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2007 წლის 13 აგვისტოდან, მას შემდეგ, რაც მან სრულად აანაზღაურა „ბ. ვ. შ. ა/ს“-ის საქართველოს წარმომადგენლობისთვის მიყენებული ზიანი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ დაზღვევის შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს.

მოცემულ შემთხვევაში სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-ს“ მიერ „ბ. ვ. შ. ა-სათვის“ მიყენებული ზიანი სრულად იქნა ანაზღაურებული 2007 წლის 13 აგვისტოს. შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვის კანონით დადგენილი ვადა აითვლებოდა 2007 წლის 13 აგვისტოდან.

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-ის“ მოთხოვნა წარმოიშვა 2007 წლის 13 აგვისტოს (მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების თარიღი). სარჩელის ანაზღაურების წარდგენა მოსარჩელეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შეეძლო 2008 წლის 13 აგვისტომდე, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლის თანახმად, ამ თავში მოწესრიგებული გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა არის ერთი წელი, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს ვადა შეადგენს სამ წელს. სარჩელი კი სასამართლოში აღიძრა 2010 წლის 10 ივნისს ანუ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. რაც შეეხებოდა სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლით განსაზღვრულ ხანდაზმულობის სამწლიან ვადას, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ სადავო ურთიერთობაში ამ ვადას ვერ გავავრცელებთ, ვინაიდან მოპასუხის მხრიდან არ არსებობდა უხეში გაუფრთხილებლობის ფაქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. კ. ა. ბ-მ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „ს. რ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 39630.60 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდა ეროვნულ ვალუტაში. გადაწყვეტილებითვე შპს „ს. რ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2217.33 ლარისა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2824 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 27 ივნისს სს „ს. კ. ბ-ისა“ და ექსპედიტორის, „ბ. ვ. შ. ა/ს-ის“ საქართველოს წარმომადგენლობის შორის გაფორმდა ტვირთის დაზღვევის შესახებ გენერალური ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში 2007 წლის 10 აგვისტოს სს „ს. კ. ბ-ის“ მიერ გაიცა მც/ც-01651\06 სადაზღვევო პოლისი. აღნიშნული სადაზღვევო პოლისით „ბ. ვ. შ. ა/ს-ის“ საქართველოს წარმომადგენლობამ საქართველოში დააზღვია „პ. ა. კ. ტ. კოს“ მიერ ყირგიზული კომპანია „რ-სთვის“ მისანოდებული ტვირთი – ქათმის გაყინული ხორცი;

მალფუჭებადი ტვირთი გადაიზიდებოდა შპს „ს. რ-ის“ მეშვეობით ფოთის სადგურიდან ბიშკეკის მიმართულებით;

ყირგიზეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყირგიზექსპერტიზის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის აქტების თანახმად, 2006 წლის 13 სექტემბერს ბიშკეკში ჩასული ტრანზიტული ტვირთი ადგილზე გადმოტვირთისას დაზიანებული აღმოჩნდა, ბარკლების ხარისხისა და რაოდენობის შემცირების მიზეზად აქტში აღნიშნულია ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა ტრანსპორტირების პროცესში. ტემპერატურის რეჟიმის დარღვევის შედეგად დაზიანდა 44250კგ. ტვირთი;

მიყენებული ზარალი, „პ. ა. კ. ტ. კოს“ მიერ 2006 წლის 1 აგვისტოს კომპანია „რ-ს“ სახელზე გამონერილი კომერციული ინვოისის საფუძველზე შეფასდა 44250 აშშ დოლარით;

სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-მ“ სადაზღვევო პოლისში დასახელებულ მოსარგებლეს – „პ. ა. კ. ტ. კოს“ აუნაზღაურა მიყენებული ზარალი მც/ც-01651\06 სადაზღვევო პოლისით დადგენილი 2%-იანი ფრანშიზის გამოკლებით 39630.60 აშშ დოლარი;

2010 წლის 21 აპრილს სს „ს. კ. ა. ბ-მ“ მიმართა შპს „ს. რ-ს“ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად გადახდილი თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც შპს „ს. რ-მ“ უარი განაცხადა.

სააპელაციო სასამართლომ მოიხმო სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლი, რომლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამავე კოდექსის 814-ე მუხლის მე-4 ნაწილით, მზღვეველმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და საზღაურის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევა არის მოვლენა, რომლის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას. სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, თუ დამზღვევეს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევეს ზიანს. თუ დამზღვევეი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული ნორმა განსაზღვრავს მზღვეველის შესაძლებლობას, ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში დაიკმაყოფილოს საკუთარი ინტერესი დაზარალებული პირის მოთხოვნის უფლების ხარჯზე. გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი უფლება მას წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზიანს და მხოლოდ იმ ღირებულების ოდენობით, რომელიც მან გასწია.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე (მზღვეველი) სარჩელით ითხოვდა მის მიერ „ბ. ვ. შ. ა/ს-ის“ საქართველოს წარმომადგენლობისათვის (დამზღვევისათვის) 2006 წლის 27 ივნისის დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი სადაზღვევო თანხის მოპასუხისათვის, როგორც ზიანის მიმყენებელი პირისათვის დაკისრებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე სარჩელის საფუძვლიანობის შეფასებისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგენილიყო – საფუძვლიანი იყო თუ არა ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამზღვევის მოთხოვნა ზიანის მიმყენებლისათვის.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადასაზიდად ტვირთის მიღებიდან მის გაცემამდე რკინიგზას ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის დაუცველობისათვის, თუ ის ვერ დაამტკიცებს, რომ ტვირთი დაიკარგა, დაზიანდა, გაფუჭდა ან ადგილი ჰქონდა დანაკლისს: ა. ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების მიზეზით; ბ. ტვირთის ბუნებრივი თვისებების გამო; გ. ტარის (შეფუთვის) ნაკლოვანებების გამო, რომლებიც არ შეინიშნებოდა ტვირთის მიღების დროს მისი გარეგნული დათვალიერებისას ან ისეთი ტარის (შეფუთვის) გამოყენების გამო, რომელიც არ შეესაბამება ტვირთის თვისებებს; დ. გადასაზიდად იმ ტვირთის ჩაბარების გამო, რომლის ტენიანობა აღემატება დადგენილ ნორმებს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „ს. რ-ის“ მიერ არ იყო წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ რომელიმე შემთხვევას. დასახელებული ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ პრეტენზიის წამყენებელი დაამტკიცებს, რომ ტვირთი დაიკარგა, დაზიანდა, გაფუჭდა ან ადგილი ჰქონდა დანაკლისს რკინიგზის მიზეზით, ქონებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის დაუცველობისათვის რკინიგზას ეკისრება. საქმის მასალებით უდავოდ დგინდებოდა, რომ გადასაზიდი ტვირთის ხარისხისა და რაოდენობის შემცირების მიზეზს წარმოადგენდა ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა ტრანსპორტირების პროცესში, რაც მიუთითებდა გადამზიდველის – შპს „ს. რ-ის“ ვალდებულებაზე აუნაზღაურებინა მიყენებული ზიანი. საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვებოდა.

ასევე უდავოდ დგინდებოდა, რომ მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის ანაზღაურებულ იქნა მიყენებული ზარალი, რამაც შეადგინა მც/ც-01651/06 სადაზღვევო პოლისით დადგენილი 2%-იანი ფრანშიზის გამოკლებით 39630.60 აშშ დოლარი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საფუძვლიანი იყო სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის აღნიშნული ოდენობით თანხის დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმესთან მიმართებით პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა ანესრიგებს გადაზიდვის ურთიერთობებში ხანდაზმულობის ვადებს, რაც გამომდინარეობს იმ ურთიერთობიდან, რომლებიც წარმოიშობა გადამზიდვს, ტვირთის გამგზავნსა და ტვირთის მიმღებს შორის. მოცემულ საქმეში სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სარჩელი აღძრულ იქნა არა გადაზიდვის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის ფაქტზე, არამედ, მზღვეველის მიერ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველზე, რაც მონესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით. შესაბამისად, სასამართლომ უსაფუძვლოდ დაადგინა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ გაუშვა სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა.

სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილით განიხილეს, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. ეს ნიშნავს, რომ გარდა საერთო ვადებისა ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტებისათვის, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, კანონით შეიძლება დაწესდეს ხანდაზმულობის სპეციალური ვადები, ან უფრო ხანმოკლე ან უფრო ხანგრძლივი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან კანონი არ ადგენს ისეთი სპეციფიკური სამართლებრივი ინსტიტუტისთვის, როგორცაა სადაზღვევო ურთიერთობები/მზღვეველის რეგრესული მოთხოვნა, ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადა და არა კონკრეტული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების – გადაზიდვის მარეგულირებელი ნორმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ხანდაზმულობის მოტივით სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს „ს. რ-მ“.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან კანონი არ ადგენს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას რეგრესული მოთხოვნისათვის, ამიტომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადა. კასატორი აღნიშნავს, რომ, მართალია, რეგრესული მოთხოვნისათვის კანონით არ არის დადგენილი სპეციალური ხანდაზმულობის ვადა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში რეგრესული მოთხოვნა გამომდინარეობდა სარკინიგზო გადაზიდვებიდან, კერძოდ, სს „ს. კ. ა. ბ-ი“ ითხოვდა „ბ. შ. ვ. ა/ს-ის“ მიერ შპს „ს. რ-სათვის“ გადასაზიდვად გადაცემული ტვირთის (44250 კგ. ქათმის გაყინული ხორცის) დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. ამდენად, ვინაიდან ზიანი გამომდინარეობდა სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ურთიერთობიდან, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა (გარდა სარკინიგზო კოდექსისა), სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლის პირველი წინადადებით, რომლის მიხედვით, ამ თავში მონესრიგებული გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა არის ერთი წელი.

კასატორის განმარტებით, საქმეში წარდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით (ყირგიზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტიზის აქტი №1-1612/1, №1-1612/2, №1-1612/3, №1-1612/4, №1-1612/5, №1-1612/6; სურვეერ „ა. ს-ი“ ყირგიზეთში წარმომადგენლობის დასკვნა; „ბ. ვ. შ. ა/ს-ის“ 2006 წლის 13 სექტემბრის წერილი) უტყუარად დასტურდება, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის, დაზღვეული ტვირთის დაზიანების შესახებ, 2006 წლის სექტემბერში იყო ცნობილი როგორც სს „ს. კ. ა. ბ-სათვის“ (მზღვეველი), ასევე „ბ. შ. ვ-ისათვის“ („დამზღვევი“). საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელს, რომელიც უშუალოდ იმყოფებოდა რკინიგზასთან გადაზიდვის ურთიერთობაში, არასდროს მიუმართავს შპს „ს. რ-ისათვის“ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სს „ს. კ. ა. ბ-მ“, როგორც მზღვეველმა, რკინიგზას პრეტენზიით მიმართა ტვირთის დაზიანებიდან 4 წლის შემდეგ, ანუ 2010 წლის 21 აპრილს, ხოლო სარჩელი აღძრა უფრო მოგვიანებით 2010 წლის 10 ივნისს. აქედან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სს „ს. კ. ა. ბ-მ“ გაუშვა როგორც გადაზიდვიდან გამომდინარე, ისე დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების კანონით დადგენილი ვადები. ასეთ ვითარებაში, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლიდან გამომდინარე, შპს „ს. რ-ს“ სრული უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 27 ივნისს სს „ს. კ. ბ-სა“ (მზღვეველი) და „ბ. ვ. შ. ა/ს-ის“ საქართველოს წარმომადგენლობას (დამზღვევი) შორის გაფორმდა გენერალური ხელშეკრულება ტვირთის დაზღვევის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, 2006 წლის 10 აგვისტოს სს „ს. კ. ბ-ის“ მიერ გაიცა ტვირთის დაზღვევის პოლისი მც/ც-01651/06, რომლითაც „ბ. ვ. შ. ა/ს-ის“ საქართველოს წარმომადგენლობამ საქართველოში

დააზღვია „შ. ა. კ. ტ. კოს“ მიერ ყირგიზული კომპანია „რ-სთვის“ მისანოდებელი ტვირთი – ქათმის გაყინული ხორცი;

ტვირთის გადაზიდვას ახორციელებდა შპს „ს. რ-ა“. დაზღვეული ტვირთი გაიგზავნა რკინიგზის ფოთის სადგურიდან ბიშკეკის მიმართულებით;

ყირგიზეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყირგიზექსპერტიზის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის აქტების თანახმად, 2006 წლის 13 სექტემბერს ბიშკეკში ჩასული ტრანზიტული ტვირთი ადგილზე გადმოტვირთისას დაზიანებული აღმოჩნდა, ბარკლების ხარისხისა და რაოდენობის შემცირების მიზეზად აქტში აღნიშნულია ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა ტრანსპორტირების პროცესში. ტემპერატურის რეჟიმის დარღვევის შედეგად დაზიანდა 44250კგ. ტვირთი;

მიყენებული ზარალი, „შ. ა. კ. ტ. კოს“ მიერ 2006 წლის 1 აგვისტოს კომპანია „რ-ს“ სახელზე გამოწერილი კომერციული ინვოისის საფუძველზე შეფასდა 44250 აშშ დოლარით;

სს სადაზღვევო კომპანია „ა. ბ-მ“ სადაზღვევო პოლისში დასახელებულ მოსარგებლეს – „შ. ა. კ. ტ. კოს“ აუნაზღაურა მიყენებული ზარალი სადაზღვევო პოლისით დადგენილი 2%-იანი ფრანშიზის გამოკლებით 39630.60 აშშ დოლარი (19815.30 აშშ დოლარი ანაზღაურებულ იქნა 2007 წლის 21 მარტს, ხოლო 19815.30 აშშ დოლარი 2007 წლის 13 აგვისტოს);

2010 წლის 21 აპრილს სს „ს. კ. ა. ბ-მ“ მიმართა შპს „ს. რ-ს“ მის მიერ გადახდილი სადაზღვევო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც შპს „ს. რ-მ“ უარი განაცხადა;

სს „ს. კ. ა. ბ-მ“ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2010 წლის 10 ივნისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კასატორი სადავოდ არ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი და ამ ნორმაზე დაყრდნობით ხანდაზმულად არ ჩათვალა სს „ს. კ. ა. ბ-ს“ სარჩელი. კასატორის მოსაზრებით, ვინაიდან სადავო ურთიერთობა გამომდინარეობდა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, ამიტომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლი და სარჩელი ხანდაზმულად უნდა მიეჩნია, რადგან გასული იყო ამ ნორმით დადგენილი ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა. გასული იყო ასევე დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამწლიანი ვადაც. ორივე შემთხვევაში, როგორც დამზღვევის, ასევე მზღვეველისათვის 2006 წლის სექტემბერშივე ცნობილი იყო ტვირთის დაზიანების შესახებ, სარჩელი კი შეტანილ იქნა 2010 წლის 10 ივნისს.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლი, ვინაიდან ეს ნორმა ანესრიგებს ხანდაზმულობის ვადებს გადაზიდვის ურთიერთობებში, ხოლო, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია არა გადაზიდვის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის ფაქტზე, არამედ, მზღვეველის მიერ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველზე, რაც მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან კანონი არ ადგენდა მზღვეველის რეგრესული მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, ამიტომ გამოყენებულ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადა და არა გადაზიდვის მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის აუნაზღაურებს დამზღვევს ზიანს.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპის სახით. ეს პრინციპი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის მეშვეობით დამზღვევის ნაცვლად მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის, ე.ი. როგორც კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი). ასეთ შემთხვევაში ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, მაგრამ იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი. ამ დროს ახალი მოთხოვნა კი არ წარმოიშობა, არამედ იცვლება მხოლოდ კრედიტორი, კერძოდ, დაზარალებული დამზღვევი იცვლება სადაზღვევო კომპანიით (მზღვეველით).

სწორედ ზემოაღნიშნული განასხვავებს სუბროგაციას რეგრესისაგან, კერძოდ, რეგრესის დროს ხდება არა პირის შეცვლა უკვე არსებულ ვალდებულებაში, არამედ ამ შემთხვევაში კონკრეტული ვალდებულებით

ბით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება. რეგრესის დროს ერთი ვალდებულება ცვლის მეორეს, ხოლო, სუბროგაციის შემთხვევაში ვალდებულებაში იცვლება მხოლოდ კრედიტორი, თვით ვალდებულება კი უცვლელი რჩება. სუბროგაციის დროს მზღვეველი ცვლის დამზღვევეს იმ ვალდებულებაში, რომელიც წარმოიშვა ზიანის მიყენებისაგან, სწორედ ამიტომ მისი დადგომა არ განაპირობებს ახალი ვალდებულების წარმოშობას. ეს არსობრივი ნიშანი განასხვავებს სუბროგაციას რეგრესული ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოიშობა სხვა ვალდებულების შესრულების (შენწყვეტის) შედეგად და ამით ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულების ხასიათს იძენს. სუბროგაციის დროს ახალი ვალდებულება კი არ წარმოიშობა, არამედ დამზღვევესა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას. ასეთ დროს ხდება ვალდებულებით ურთიერთობაში პირების შეცვლა კანონის საფუძველზე, კრედიტორის უფლებების სხვა პირზე გადასვლის გზით, კერძოდ, მზღვეველი ცვლის ზიანის მიმყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე დამზღვევეს. ამდენად, სუბროგაციის დროს მოთხოვნის დათმობის კანონისმიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რაც განასხვავებს მას ცესისაგან (სკ-ის 199-ე მუხლი), რა დროსაც მოთხოვნის დათმობა ხდება გარიგების ძალით. ამასთან, იმისდა მიუხედავად, თუ მოთხოვნის დათმობის რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია ის, რომ მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაში იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა წაუყენოს მოვალეს, ხოლო, მოვალე უფლებამოსილია ახალ კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას გააჩნდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ. აღნიშნული ეხება ასევე მოვალის შესაგებელს კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, კერძოდ, ვალდებულებაში კრედიტორის ან მოვალის შეცვლის შემთხვევაში, დანტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ხანდაზმულობის ვადის გამოყენება ვალდებულებაში პირთა შეცვლის მიუხედავად. ამასთან, პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შემთხვევაში, ახალი კრედიტორის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის ის ვადა და მისი გამოთვლის ის წესი, რაც თავდაპირველი (ჩანაცვლებული) კრედიტორის მიმართ მოქმედებდა, ამიტომ, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა ხანდაზმულობის, მაშინ ხანდაზმული იქნება ასევე ახალი კრედიტორის მოთხოვნაც. განსახილველ შემთხვევაშიც, თუ აღმოჩნდება, რომ დამზღვევის მოთხოვნა ზიანის მიმყენებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება მზღვეველის მოთხოვნაც, ვინაიდან ეს მოთხოვნა მასზე გადავიდა ისეთივე მდგომარეობაში, როგორც იყო დამზღვევის ხელში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ დამზღვევესა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სუბროგაციის დროს ახალი ვალდებულება კი არ წარმოიშობა, არამედ დამზღვევესა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას, რომელშიც ხდება დამზღვევის (კრედიტორის) ჩანაცვლება მზღვეველით. განსახილველ შემთხვევაში, დამზღვევესა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ურთიერთობა გამომდინარეობს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, ამიტომ სწორედ გადაზიდვის მარეგულირებელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული სადავო საკითხის გადასაწყვეტად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სადავო ურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ვადის გამოყენების თაობაზე, ვინაიდან ამავე კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევაში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა (სპეციალური) ვადებიც. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლი ადგენს გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს, კერძოდ, ხსენებული მუხლის მიხედვით, ამ თავში მოწესრიგებული გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა არის ერთი წელი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს ვადა შეადგენს სამ წელს. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება: ა. ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას – მისი გამოგზავნის დღიდან; ბ. ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული – გადაზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს; გ. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

ზემოაღნიშნული ნორმა, გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის მაქსიმალურ ვადას განსაზღვრავს სამი წლით, ამასთან, ეს ნორმა ადგენს ამ ვადის გამოთვლის სპეციალურ წესს. როგორც აღინიშნა, კრედიტორის შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას, ამიტომ მოსარჩელის (მზღვეველის) მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სწორედ მითითებული ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა და მისი გამოთვლის წესი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2006 წლის 13 სექტემბერს ბიშკეკში ჩასული ტრანზიტული ტვირთი ადგილზე გადმოტვირთისას დაზიანებული აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხან-

დაზმულობის ვადის ათვლის წესი, რომლის მიხედვით, ტვირთის დაზიანებისას ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ტვირთის გამოგზავნის დღიდან. სააპელაციო სასამართლოს ტვირთის გამოგზავნის კონკრეტული თარიღი არ დაუდგენია, მაგრამ, ვინაიდან ტვირთის გამოგზავნა წინ უსწრებს ტვირთმიმღებზე მის გადაცემას, რაც მოცემულ შემთხვევაში 2006 წლის 13 სექტემბერს განხორციელდა, ამ მომენტიდან ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლის შემთხვევაშიც, მზღვეველის მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან სარჩელი შეტანილია 2010 წლის 10 ივნისს ანუ თითქმის ოთხი წლის შემდეგ.

სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. აღნიშნული ნორმა უფლებას აძლევს მოვალეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-ის“ უარი ზიანის ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო კანონიერია და გამორიცხავს სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი (სკ-ის 393.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები), კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის შეფასებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სკ-ის 699-ე მუხლი) და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (სკ-ის 128.3 მუხლი), რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულება და მამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზეც მოსარჩელეს უარი თქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორ სს „ს. რ-ის“ სახელმწიფო ბაჟის სახით საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს 3347.60 ლარი. აღნიშნული თანხის გადახდა სს „ს. რ-ის“ (მოგებული მხარის) სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სს „ს. კ. ა. ბ-ის“ (წაგებულ მხარეს).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გაღებული 3347.60 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამისდღეობო რჩენის ხელშეკრულება

გადაწყვეტილება
საპარტიველოს სახელით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემაღველობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-მ სარჩელით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს გ. პ-ისა და ნოტარიუს ქ. ჭ-ის მიმართ და მოითხოვა სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა შემდეგი დასაბუთებით: 2000 წლის 6 აპრილს სამტრედიის სანოტარო ბიუროში, ნოტარიუს მ. გ-სთან გაფორმდა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება თ. მ-სა და ვ. კ-ს შორის, აღნიშნული ხელშეკრულებით ვ. კ-მ გადასცა საკუთრებაში კუთვნილი საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ.სამტრედიაში, ნ-ის ქ. №4-ში, რომელსაც დღემდე ფლობს მოსარჩელე. 2010 წლის 9 ივლისს, გარდაიცვალა ვ. კ-ე, როდესაც მოსარჩელემ გადაწყვიტა აღნიშნული ხელშეკრულების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, მისთვის ცნობილი გახდა, რომ მის საკუთრებაში არსებულ ქ.სამტრედიაში, ნ-ის ქ.№4-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, რომელიც საკუთრებაში გადასცა ვ. კ-მ, ნოტარიუსმა ქ. ჭ-მ გასცა სამკვიდრო მონუმობა სავალდებულო წილის სახით S ნაწილზე ან გარდაცვლილი ვ. კ-ის შვილის – გ. პ-ის სახელზე, აღნიშნულით ილახება თ. მ-ის, როგორც მესაკუთრის, უფლებები. გ. პ-მა, რომელმაც იცოდა სამისდღეშიო ხელშეკრულების შესახებ, ისარგებლა იმ გარემოებით, რომ აღნიშნული ხელშეკრულება არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში და ან გარდაცვლილი ვ. კ-ის პირველი რიგის მემკვიდრემ არაკანონიერად მიიღო სამკვიდრო, ვინაიდან ვ. კ-მ აღნიშნულ ქონებაზე გასცა საანდერძო განკარგულება მოსარჩელის სახელზე.

მოპასუხემ წარმოდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არ შესრულებულა და ვერც შესრულდებოდა, რამდენადაც თვითონ ე. კ-მ შეიფარა თავისთან სახლში თ. მ-ე და მას სიცოცხლის ბოლომდე თვითონვე არჩენდა. ამის გარდა, საეჭვოა ვ. კ-ის ნების გამოხატვის ნამდვილობა მისი ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ 1999 წელს მას სანოტარო წესით იმავე უძრავ ქონებაზე თ. მ-ის სასარგებლოდ ანდერძიც ჰქონდა შედგენილი.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით თ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, პალატამ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: დადგენილია, რომ 1999 წლის 26 ოქტომბერს, სამტრედიის ნოტარიუსის მ. გ-ის მიერ დამონმებულ იქნა ანდერძი, რომლითაც ვ. კ-ე ქ.სამტრედიაში, ნ-ის ქ. №4-ში მდებარე მის კუთვნილ სახლს, გარდაცვალების შემთხვევაში, უტოვებდა თ. მ-ს. 2000 წლის 6 აპრილს, იმავე ნოტარიუსის, მ. გ-ის მიერ დამონმებულ იქნა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლითაც მარჩენალმა, თ. მ-მ, ივალდებულა სარჩენის – ვ. კ-ისათვის სიცოცხლის ბოლომდე სარჩოს გადახდა, მისი უზრუნველყოფა ბინით, ასევე კვებით, აუცილებელი სამედიცინო დახმარებით, ხოლო ვ. კ-მ ივალდებულა ქ.სამტრედიაში, ნ-ის ქ.№4-ში მდებარე უძრავი ქონების მარჩენლის საკუთრებაში გადაცემა. ხელშეკრულებით წარმოშობილი უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ ყოფილა. გარდაცვალების მოწმობით ირკვევა, რომ ვ. კ-ე გარდაიცვალა 2010 წლის .. ივლისს. გარდაცვალების დროისათვის ქ.სამტრედიაში, ნ-ის ქ.№4-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდა თ. მ-ე. სადავოს არ წარმოადგენს, რომ გ. პ-ი ვ. კ-ის შვილი და კანონიერი პირველი რიგის მემკვიდრეა, რომელიც, მართალია, ფაქტობრივად არ ცხოვრობდა ვ. კ-ის საცხოვრებელ ბინაში, მაგრამ ვ. კ-ის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში მიმართა სანოტარო ორგანოს სამკვიდრო მონუმობის მისაღებად. 2010 წლის 10 იანვარს, ნოტარიუსის ქ. ჭ-ის მიერ გ. პ-ის სახელზე გაიცა სამკვიდრო მონუმობა, ქ.სამტრედიაში ნ-ის ქ. №4-ში მდებარე ვ. კ-ის უძრავი ქონების 1/2-ზე სავალდებულო წილის სახით.

მხარეთა მიერ დადასტურებულია, რომ გ. პ-ის საკუთრების უფლება, აღნიშნული სანოტარო აქტის შესაბამისად, რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. სამოქალაქო კოდექსის 941-ე-942-ე მუხლების თანახმად, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამონმდეს სანოტარო წესით.

მითითებულ ნორმებზე დაყრდნობით პალატამ განმარტა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების სპეციფიკურობა გამოიხატება იმაში, რომ მარჩენალი, სარჩენის მიერ მითვის ხელშეკრულებით გადაცემული ქონების მესაკუთრე ხდება სარჩენის გარდაცვალების მომენტიდან, ანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული რჩენის დამთავრების მომენტიდან. ამასთან, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისათვის აუცილებელია სანოტარო წესით დადებული გარიგება, ხოლო სარჩენის გარდაცვალებამდე ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო წესს არ წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსის 949-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა 946-ე მუხლის შესაბამისად, სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება, საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება, მიუხედავად სარჩო მარჩენლისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს, ვინაიდან, მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მომლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს. იმის გათვალისწინებით, რომ ვ. კ-ს მის

სიცოცხლეში არ მოუთხოვია 2000 წლის 6 აპრილს თ. მ-სთან, სანოტარო წესით დადებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა, არც ვ. კ-ის პირველი რიგის მემკვიდრე, გ. პ-ი შედავებია აღნიშნულ ხელშეკრულებაზე, პალატამ მიიჩნია, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება კანონის მოთხოვნათა დაცვით არის შედგენილი და ნამდვილია.

პალატის მოსაზრებით, 2000 წლის 6 აპრილის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით ვ. კ-მ განკარგა თავისი კუთვნილი უძრავი ქონება, მისი გარდაცვალების დროიდან აღნიშნულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშვა მარჩენალ თ. მ-ს და ამ დროიდან ეს ქონება არ წარმოადგენდა სამკვიდროს, რაზედაც გ. პ-ს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ექნებოდა შესაძლებლობა, მიეღო სამკვიდრო მონაწილეობა. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ 2010 წლის 10 იანვარს, ნოტარიუსის ქ. ჭ-ის მიერ ქ.სამტრედიაში, ნ-ის ქ.№4-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2-ზე, როგორც ვ. კ-ის სამკვიდროდან, გ. პ-ის სახელზე სავალდებულო წილზე სამკვიდრო მონაწილეობის გაცემით განიკარგა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით თ. მ-ისათვის გადაცემული ქონება, რაც სამკვიდრო მასას აღარ წარმოადგენდა. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლისა, სამკვიდრო მონაწილეობა ბათილია, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებული. პალატამ არ გაიზიარა მონინალმდებე მხარის მოსაზრება და სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ უძრავი ნივთით უზრუნველყოფილი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ნამდვილობისა და უფლების განხორციელებისათვის აუცილებელია ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. პალატამ განმარტა, რომ ასეთი ვალდებულება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, რაც ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის არამართებულობას, ასევე არ იქნა გაზიარებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მითითებული სასამართლოს მსჯელობა, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლიდან გამომდინარე, ქონების მოთხოვნის უფლება მარჩენალს წარმოეშობა სარჩენის გარდაცვალების დროიდან. ვინაიდან, ვ. კ-ე გარდაიცვალა 2010 წელს, გარეგნით გადაცემულ ქონებაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა ამ დროიდან იწყება და არა ხელშეკრულების დადების დროიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. პ-მა შემდეგი დასაბუთებით: არასწორია, სასამართლოს პოზიცია, თითქოს ვ. კ-მ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით განკარგა თავისი უძრავი ქონება. უძრავი ქონება განიკარგება 183-ე მუხლით დადგენილი წესით. სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლში მითითებული პირობა – ხელშეკრულების გაფორმება სანოტარო წესით საკმარისი არაა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის. საკუთრების უფლება პირს წარმოეშობა მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ, ანალოგიურადაა ეს საკითხი მოწესრიგებული სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლით. აღნიშნული ნორმა ცალკე არ განიხილება, დამატებით აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენს ზოგად ნორმას უძრავ ნივთთან დაკავშირებულ ყველა შემთხვევაში, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლით გათვალისწინებული სანოტარო გაფორმება არ არის საკმარისი სამისდღეშიო ხელშეკრულების კანონიერად მიჩნევისათვის. საჭირო არის დამატებით ამ ხელშეკრულების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში. აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არის მითითებული საქმეში არსებულ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში. სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის I ნაწილის და 328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, და იქიდან გამომდინარე, რომ სამისდღეშიო ხელშეკრულებაში მხარეებმა გათვალისწინეს ამ ხელშეკრულების დარეგისტრირება, იგი დადებულიად ითვლება და ძალაში შევა მხოლოდ ამ ფორმის დაცვის შემდეგ ანუ რეგისტრაციის შემდეგ, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ განხორციელებულა. სამისდღეშიო ხელშეკრულება ფორმის დაუცველად დადებულია, რის გამოც, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე, ბათილია და მას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომ ვ. კ-ის გარდაცვალების შემდეგ თ. მ-ს არ წარმოეშობა სადავო ქონების მოთხოვნის უფლება. ამდენად, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლი, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის მოთხოვნა. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში მითითებული ქონება არ დარეგისტრირებულა თ. მ-ის სახელზე, იგი ირიცხებოდა ვ. კ-ის სახელზე მისი გარდაცვალების მომენტისათვის. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე კი, ეს ქონება ითვლებოდა ვ. კ-ის საკუთრებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. პ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კასატორს სადავოდ არ გაუხდია, სადავოა ამ გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასება, შესაბამისად,

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასებით ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო ინსტანციაში შესაძლებელია, კერძოდ:

დადგენილია, რომ ან გარდაცვლილმა ვ. კ-მ სამისდღეში რჩენის ხელშეკრულებით, რჩენის სანაცვლოდ ივალდებულა ქ.სამტრედიაში, ნ-ის ქ. №4-ში მდებარე უძრავი ნივთის მარჩენალ თ. მ-ის საკუთრებაში გადაცემა. ხელშეკრულებით წარმოშობილი უფლება საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. 2010 წლის 10 იანვარს, ნოტარიუს ქ. ჭ-ის მიერ გ. პ-ის, როგორც ვ. კ-ის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრის სახელზე გაიცა სამკვიდრო მონაბობა, ქ.სამტრედიაში, ნ-ის ქ. №4-ში მდებარე ვ. კ-ის უძრავი ქონების 1/2-ზე სავალდებულო წილის სახით.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამოქალაქო კოდექსის 941-ე-942-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით დაადგინა, რომ 2000 წლის 6 აპრილის სამისდღეში რჩენის ხელშეკრულებით ვ. კ-მ განკარგა თავისი კუთვნილი უძრავი ქონება, მისი გარდაცვალების დროიდან აღნიშნულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშვა მარჩენალ თ. მ-ს და ამ დროიდან ეს ქონება არ წარმოადგენდა სამკვიდროს, რაზედაც გ. პ-ს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ექნებოდა შესაძლებლობა, მიეღო სამკვიდრო მონაბობა. პალატამ განმარტა, რომ რჩენის ხელშეკრულების ნამდვილობისა და, აქედან გამომდინარე, უძრავ ნივთზე უფლების განხორციელებისათვის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლის თანახმად, სამისდღეში რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემა უნდა განიმარტოს, როგორც სანივთო უფლების საკუთრების გადაცემა, რაც ამავე სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე გარკვეულ უფლებრივ შეზღუდვას ექვემდებარება (იხ: სამოქალაქო კოდექსის 945-ე მუხლი), მაგრამ ამ უფლების გადაცემა იურიდიული ძალის მქონეა მხოლოდ მაშინ, როდესაც უფლების წარმოშობისათვის დადგენილი წინაპირობები არსებობს, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნული ნორმის ანალიზით, ცხადია, რომ კანონი საკუთრების უფლების წარმოშობისათვის იმპერატიულად განსაზღვრავს გარიგების წერილობითი ფორმისა და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის კუმულაციურად არსებობას. საგულისხმოა, რომ უძრავ ნივთზე ნებისმიერი კანონით გათვალისწინებული უფლების შესაძენად (სანივთო გარიგებები და სხვა) საჯარო რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა. აღნიშნული განპირობებულია საჯარო რეესტრის დანიშნულებით, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის გარანტს და ემსახურება კერძო სამართლის სუბიექტთა ინტერესების დაცვას. ეს დასკვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლს, რომლის ძალითაც რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. უძრავი ნივთების ამგვარ მკაცრ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა კერძო სამართლის სუბიექტთა უფლებების დაცვას და სამოქალაქო ბრუნვის სამართლებრივ უსაფთხოებას ემსახურება. კეთილსინდისიერების ზოგადსამართლებრივი პრინციპიდან გამომდინარე, საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებების დაცვა უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის ინტერესები თანაბრად იყოს დაცული. ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპები და საქონლის თავისუფალი გადაადგილების წესები გულისხმობენ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საიმედოობის გარანტიების არსებობას. ასეთი გარანტიების არარსებობის შემთხვევაში კეთილსინდისიერი შემძენი, რომელმაც ხელშეკრულების დადებისას გამოიჩინა გონივრულობა და სიფრთხილე, არის ქონების არამართლზომიერი დაკარგვის რისკის მატარებელი.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსი 942-ე მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემა ამავე კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული წესებთან ერთობლიობაში უნდა განხორციელდეს და უძრავი ქონების გადაცემისათვის ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმება საკმარისი არ არის.

მონინალმდევე მხარის იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ უძრავ ნივთზე უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ვადას კანონი არ განსაზღვრავს, შესაბამისად, თ. მ-მ 2000 წლის რჩენის ხელშეკრულება ნებისმიერ დროს დაარეგისტრიროს საკასაციო სასამართლო განმარტავს:

საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ვადას კანონი ნამდვილად არ ადგენს. ამავდროულად, ეს უფლება – უფლების წარმომშობი აქტის (მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების) რეგისტრაცია სხვის უფლებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ანუ კერძო სამართლის სუბიექტმა ეს უფლება გონივრულ ვადაში თუ არ განახორციელა (რჩენის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობამ) შედეგად შეიძლება სხვა სუბიექტის მიერ ამავე ნივთზე მოგვიანებით წარმოშობილმა უფლებამ (მოცემულ შემთხვევაში გ. პ-ის მემკვიდრეობამ) გადაწონოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და თ. მ-ის სარჩელი 2011 წლის 10 იანვრის სანოტარო აქტით გ. პ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონაბობის ბათილად ცნობაზე არ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

- გ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
- გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
- თ. მ-ის სარჩელი 2011 წლის 10 იანვრის სანოტარო აქტით გ. პ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონობის ბათილად ცნობაზე არ დაკმაყოფილდეს.
- თ. მ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა.
- თ. მ-ს გ. პ-ის სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა.
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კანონისმიერი ვალდებულება

საზიარო საბნის მართვა

ბანკინება

№ას-881-924-2011 15 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საერთო სარგებლობის ნივთზე თანამესაკუთრეთათვის წილთა შესაბამისად სარგებლობის წესის განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ზ-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს ვ. კ-ის, კ. კ-ის, ნ. ნ-ისა და რ. მ-ის მიმართ და მოითხოვა საერთო სარგებლობის ნივთზე თანამესაკუთრეთათვის წილთა შესაბამისად სარგებლობის წესის განსაზღვრა შემდეგი დასაბუთებით: ქ. თბილისში, ა-ს ქ. №13/12-ში მდებარე №1 კანონიერ შენობა-ნაგებობის სხვადასხვა წილის თანამესაკუთრეები ხუთი ფიზიკური პირია. საჯარო რეესტრის ამონაწერში, სამსართულიანი №1 კანონიერ შენობა-ნაგებობის საერთო ფართად მითითებულია 224 კვ.მ, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან რეალურად გაცილებით მეტია. სამსართულიანი №1 კანონიერ შენობა-ნაგებობით, სხვა თანამესაკუთრეები სარგებლობენ თავიანთი წილის შესაბამისზე მეტი ფართით, რის გამოც მ. ზ-ს არ ეძლევა საშუალება, ისარგებლოს საკუთარი წილით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების თუ საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის ან მისი ერთეულის ფართობი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ფართობზე მეტი ან ნაკლებია, თანამესაკუთრეთა თანხმობის შემთხვევაში რეგისტრაცია წარმოებს საკადასტრო აზომვითი ნახაზით დადგენილი ფართობის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო №1 შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზის შექმნა, რისთვისაც, ადგილზე ჩასატარებულ სამუშაოებს ხელს უშლიდა ერთ-ერთი თანამესაკუთრე კ. კ-ი. აღნიშნული კი, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის ექსპერტის მიერ იმ ფაქტების დადგენას, რაც აუცილებელია საერთო საკუთრების ნივთზე, თანამესაკუთრეთათვის წილთა შესაბამისად, სარგებლობის წესით განსაზღვრისათვის.

მოპასუხეებმა წარმოდგინილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ 2004 წელს მ. ზ-მა სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომლითაც ითხოვდა აღნიშნული ფართიდან თავისი წილის გამიჯვნას. ნივთის ნატურით გამიჯვნის შეუძლებლობის გამო სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მოპასუხეებმა სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნიეს.

2011 წლის 17 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვ. კ-ს, კ. კ-ს, ნ. ნ-სა და რ. მ-ს აეკრძალათ ქ. თბილისში, ა-ს ქ. №13/12-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრულ №5 და №8 ა და სველი წერტილებით მოსარჩელისათვის სარგებლობაში ხელშეშლა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით მ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება და მხარეებიც სადავოდ არ ხდიან, რომ ქ. თბილისში, ა-ს ქ. №13/12-ში მდებარე უძრავი ქონების 1/18 ნაწილის მესაკუთრესა ვ. კ-ი, 1/18 ნაწილის მესაკუთრე – კ. კ-ი, 6/18 ნაწილის მესაკუთრეს – ნ. ნ-ი, 2/18 ნაწილის მესაკუთრე – რ. მ-ი, ხოლო 8/18 ნაწილის მესაკუთრე – მ. ზ-ი. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით დას-

ტურდება და მხარეებიც სადავოდ არ ხდინან, რომ ქ. თბილისში, ა-ს ქ. №13/12-ში მდებარე უძრავი ქონების მხარეთა კუთვნილი იდეალური ნილების შესაბამისად, ნატურით გაყოფა შეუძლებელია. აღნიშნულ მისამართზე მდებარე სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე №5 და №8 ოთახებში ცხოვრობდა მ. ზ-ი, დე-დამისთან – შ. კ-თან ერთად, №3 ოთახში ცხოვრობდა კ. კ-ი, ხოლო №4 ოთახში, მათი ბებია, მათი გარდა-იცვალა 1963 წელს, რის შემდეგაც №4 ოთახი დაიკავა კ. კ-მა და დღემდე სარგებლობს აღნიშნული ოთა-ხით. 1994 წელს გარდაიცვალა მოსარჩელის დედა, რის შემდეგაც მ. ზ-ს სადავო სახლში აღარ უცხოვრია. მოპასუხეებმა ნაწილობრივ, სადავო საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე №5 და №8 ოთახებითა და სველი წერტილებით სარგებლობაში ხელშეშლის აკრძალვის ნაწილში ცნეს სარჩელი. ლევან სამხარაუ-ლის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 14 დეკემბრის №17627/03-1, №17627/03-2 დასკვნებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ა-ს ქ. №13/12-ში მდებარე სამსართულიანი სახლის (№1 შენობა-ნაგებობა) საერთო ფართი შეადგენს 281.84 კვ.მ-ს, აღნიშნულ შენობას გააჩნია საერთო სარგებლობის სადარბაზო (ზომით 2.65X5.15 სმ), რომელშიც მონ-ყობილია სართულებზე ასასვლელი კიბის უჯრედი. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული შენობა-ნაგებობის პირველი სართული ფართით 86.66 კვ.მ მთლიანად დაკავებული აქვს კ. კ-ს, 97.69 კვ.მ მესამე სართული, ნ. ნ-ს, ხოლო მ. ზ-სა და ვ. კ-ს შენობაში რომელიმე ფართი დაკავებული არა აქვთ. ქ. თბილისში, ა-ს ქ. №13/12-ში მდებარე სამსართულიანი სახლიდან მ. ზ-ს ეკუთვნის 8/18 იდეალური წილი. აღნიშნული შენო-ბის საერთო ფართის (281.84 კვ.მ-ის) გათვალისწინებით, მ. ზ-ის იდეალური წილის შესაბამისი ფართი შე-ადგენს 125.26 კვ.მ-ს, კ. კ-ის 1/18 იდეალურ წილს კი 15.68 კვ.მ, რაც მის მიერ რეალურად დაკავებულ 97.49 კვ.მ-თან შედარებით მეტია 81.81 კვ.მ-ით, ნ. ნ-ს 6/18 იდეალურ წილს საერთო ფართიდან შეესაბამება 93.95 კვ.მ, მას უკავია მესამე სართული მთლიანად -97.69 კვ.მ ფართი, რაც რეალურად მეტია 3.74 კვ.მ-ით. რ. მ-ის კუთვნილ 2/18 იდეალურ წილს შეესაბამება 31.31 კვ.მ, მას მთლიანად უკავია შენობის I სართულის 86.66 კვ.მ ფართი, რაც მეტია იდეალურ წილზე მიმართებით 55.35 კვ.მ-ით. პალატამ გაიზიარა აპელანტის მო-საზრება, რომ ნივთის თავდაპირველ თანამესაკუთრეთა შორის საზიარო საგნის სარგებლობის წესზე არ შეთანხმებულან.

სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლის თანახმად, საზიარო საგნის მონილებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ, განსაზღვრონ საზიარო საგნის სარგებლობის წესი, რომელიც სავალდებულოა როგორც მათ-თვის, ისე მათი უფლებამონაცვლეებისათვის. მონილებს შორის საზიარო ქონებით სარგებლობასთან და-კავშირებულ შეთანხმებას უკავშირდება განსხვავებული სამართლებრივი შედეგი საზიარო საგანთან მი-მართებაში. სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ ხმათა უმრავლესობით შეიძლე-ბა იქნეს მიღებული, რომელიც წილთა მიხედვით გამოითვლება. თანამესაკუთრეთა მიერ საცხოვრებელი სახლის სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმება, რომლის შედეგად მცირდება რომელიმე მათგანის სარგებ-ლობის წილი, აუცილებელია მათი თანხმობა. კონკრეტულ შემთხვევაში კი, საქმის მასალებით არ დას-ტურდება, რომ მ. ზ-მა ან მისმა მამკვიდრებელმა თანხმობა განაცხადა სარგებლობის წილზე მისი უფლე-ბის შემცირებაზე. პალატამ აღნიშნულის დამადასტურებელ მტკიცებულებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით მხოლოდ მოპასუხეთა ახსნა-განმარტება არ მიიჩნია და დაასკვნა, რომ სადავო ქონების არც პირვანდელ და არც ახლანდელ მესაკუთრეებს შორის საზიარო საგ-ნის სარგებლობის წესზე შეთანხმება საქმის მასალებით არ დასტურდება.

პალატამ იხელმძღვანელა 953-ე, 963-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ მ. ზ-ის სასარჩელო მოთხოვნა თავი-სი შინაარსით სამართლებრივად წარმოადგენდა საზიარო უფლების ნატურით გაუქმების მოთხოვნას, რადგან მოსარჩელე ითხოვს მისი კუთვნილი იდეალური წილის შესატყვისი ფართის ინდივიდუალიზებას ანუ ნატურით მიკუთვნებას. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2004 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილია და მხარეებსაც სადავოდ არ გაუხდიათ, რომ ქ. თბილისში, ა-ს ქ. №13/12-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (№1 შენობა-ნაგებობის) ნატურით გა-ყოფა შეუძლებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩ-ნია, რომ საზიარო ქონებიდან მ. ზ-ს თავისი წილის შესაბამისი ფართი ინდივიდუალური სარგებლობის-თვის ვერ გამოეყოფა, რადგან აღნიშნული მოთხოვნა სხვა არაფერია, თუ არა საზიარო უფლების ნატურით გაუქმება, რაზეც მოსარჩელე მხარეს ერთხელ უკვე ეთქვა უარი ზემოთ მითითებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საკუთრე-ბით სარგებლობა წარმოადგენს საკუთრების უფლების ნაყოფს. პალატამ სამოქალაქო კოდექსის 154-ე მუხლის მიხედვით განმარტა, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ უპირატესობაში იგულისხმება პრო-დუქცია ან მოგება, რომელსაც ნივთი ან უფლება იძლევა. ნაყოფს წარმოადგენს ქონებრივი სიკეთე, რასაც ნივთი ან უფლება იძლევა. ნივთისა და უფლების ნაყოფად მიიჩნევა: ნივთის ორგანული ნაყოფი (მაგალი-თად, პირუტყვის ნამატი). სამეურნეო შემოსავლები (ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული პრო-დუქცია) და სამოქალაქო ნაყოფი (მოგება, შემოსავალი, რომელიც მიიღება ქონების ქირავნობით, ასევე ძირითად ვალზე პროცენტის დარიცხვით). სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის საფუძველზე საკუთრე-ბის უფლება არის ნივთის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთობლი-ობა. ამდენად, მესაკუთრის, ისარგებლოს თავისი საკუთრებით, წარმოადგენს საკუთრების უფლების ერთ-ერთ ელემენტს და არა ამ უფლების ნაყოფს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ არ არ-სებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-მა და მიუთითა, რომ კონდიქციური ვალდებულების გამო, საზიარო უფლების მარეგულირებელი ნორმები სამართლებრივი ბუნებით ძირითა-

დად იმპერატიული ხასიათისა და თანამესაკუთრებს ურთიერთობის შეთანხმებით რეგულირების მცირე შანსს უტოვებს. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის საზიარო უფლებათა თავი, სადაც თანამესაკუთრეთა მიმართ თანაზომიერობის პრინციპი იმპერატიულად მხოლოდ წილის ნაყოფის ნაწილთან მიმართებაშია განსაზღვრული და მისი რეგულირების შინაარსი შეცვლის შესაძლებლობას არ იძლევა, ხოლო ამავე კოდექსის 956-ე-958-ე მუხლებით საზიარო საგნის მართვის და სარგებლობის წესით განსაზღვრა, მხარეთა შეთანხმებაზე ან ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული, ვინაიდან მისი მარეგულირებელი ნორმები, დისპოზიციური შესაძლებლობით გამიჯნულია კონდიქციური ვალდებულებათა იმპერატიული ნორმებით დარეგულირებულ თანამესაკუთრეთა ზემოხსენებულ ურთიერთობისგან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გაუთვალისწინებლობით წარმოიშვა იმპერატიული და დისპოზიციური რეგულაციით გამიჯნული თანამესაკუთრეთა ურთიერთობების აღრევა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია არასწორი სამართალშეფარდება. როდესაც თანამესაკუთრეს არა აქვს დადგენილი საზიარო საგნით სარგებლობის შეზღუდვის ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაშიც), საკუთრების უფლების კონსტიტუციურ-შინაარსობრივი სუბსტანციიდან გამომდინარე, შეუძლებელია საკუთრების უფლება მისი არსებობის მანძილზე პარალიზებული იყოს ნივთზე მფლობელობისა და სარგებლობის უნარით, რაც სამართლებრივი უნარიანობის თვალსაზრისით საკუთრების უფლების გაუქმების ტოლფასია. საკუთრების უფლების გაუქმების შესაძლებლობებს კი, იმპერატიულად მხოლოდ კანონი განსაზღვრავს ამდენად, სანამ მოსარჩელე მესაკუთრედ ირიცხება საჯარო რეესტრში, მონაცემთა სისტემისა და სისწორის პრეზუმფციის შესაბამისად, იგი საკუთრების უფლების მატარებელია საზიარო ნივთზე და მას შეუძლია ამ უფლების განხორციელება. საკუთრების უფლება აბსოლუტური უფლებაა, რითაც ყველა პირი ვალდებულია, თავი შეიკავოს საკუთრების უფლების დარღვევისაგან, ე.ი მესაკუთრის მიმართ ვალდებულება ამ სახით ყველას წარმოშობილი აქვს განუსაზღვრელი ვადით, ანუ საკუთრების უფლების არსებობამდე. ამდენად, კასატორს აქვს უფლება, მოითხოვოს მის მიმართ ვალდებულების შესრულება – საკუთრების უფლების დარღვევისაგან თავის შეკავების თვალსაზრისით. აღნიშნულს მ. ზ-ი სამკვიდროს მიღებით ქონების მესაკუთრედ გახდომისთანავე ახორციელებდა, სასამართლოსთვის სარჩელის თუ პოლიციაში არაერთხელ მიმართვის გზით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივი დასაბუთება სწორია, თუმცა იგი იურიდიულად არასწორადაა შეფასებული, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთებული და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისში, ა-ს ქ. №13/12-ში მდებარე უძრავი ქონების 1/18 ნაწილის მესაკუთრეა ვ. კ-ი, 1/18 ნაწილის მესაკუთრე – კ. კ-ი, 6/18 ნაწილის მესაკუთრე – ნ. ნ-ი, 2/18 ნაწილის მესაკუთრე – რ. მ-ი, ხოლო 8/18 ნაწილის მესაკუთრე კი – მ. ზ-ი. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ უძრავი ქონების ნატურით გაყოფა მხარეთა კუთვნილი იდეალური წილების შესაბამისად შეუძლებელია. ასევე დადგენილია, რომ მოპასუხე მხარეთა თვითნებ ნილთან შედარებით მეტი ფართობით სარგებლობენ, ხოლო მოსარჩელე მისი წილის შესაბამისი ფართობით ვერ სარგებლობს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მ. ზ-ის სასარჩელო მოთხოვნა თავისი შინაარსით სამართლებრივად წარმოადგენს საზიარო უფლების ნატურით გაუქმების მოთხოვნას. მოსარჩელე ითხოვს, საერთო სარგებლობის ნივთზე თანამესაკუთრეთათვის წილთა შესაბამისად სარგებლობის წესის განსაზღვრას.

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების მიერ ან სხვა მესამე პირთა უფლებები ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. მითითებული ნორმის ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ კანონით გარანტირებულია მესაკუთრის მიერ ნივთის თავისუფალი ფლობისა და სარგებლობის უფლება, თუკი მესაკუთრის საკუთრების უფლება შეზღუდული არ არის. მოცემულ შემთხვევაში საკუთრების ხასიათიდან გამომდინარე ნივთით სარგებლობის თავისუფლება გარკვეულწილად იზღუდება, რაც სხვა თანამესაკუთრეთა არსებობით და მათი ინტერესების გათვალისწინებითაა გამოწვეული. ამავდროულად, კანონი ამგვარი უფლების მქონეს საკუთრების უფლების დაცვის საშუალებად ამ უფლების გაუქმებას სთავაზობს.

სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თითოეულ მონილეს შეუძლია, ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მონილეთა სარგებლობას. საზიარო უფლებების არსებობისას ნივთის სარგებლობის წესს განსაზღვრავს 957-ე მუხლი, რომლის ძალითაც ხმათა უმრავლესობით შეიძლება, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. თითოეულ მონილეს შეუძლია სამართლიანი შეხედულების მიხედვით მოითხოვოს ყველა მონაწილის ინტერესის შესაბამისი მართვა და სარგებლობა, თუკი ეს შეთანხმებით ან უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ არის მონესრიგებული. ცალკეული მონილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება.

ამდენად, საზიარო საგნის მართვა და სარგებლობა, ჩვეულებრივ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მონილეს შეუძლია, სარგებლობის უფლების განსაზღვრა და ამ უფლების სასამართლო წესით დაცვა მოითხოვოს. კანონით განსაზღვრული უფლების მფლობელი თავისუფალია, თვითონ გადაწყვიტოს ამ უფლებით სარგებლობის საკითხი. შესაბამისად, მ. ზ-ის სასარჩელო მოთხოვნის – საზიარო საგნის სარგებლობის წესის განსაზღვრა იურიდიულად გამართლებულია, ვინაიდან ზემოაღნიშნული ნორმები სწორედ ამ უფლების დაცვას არეგულირებენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მ. ზ-ის სარჩელი თავისი შინაარსით საზიარო უფლების ნატურით გაუქმების მოთხოვნას წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის მე-3 ნაწილი გამორიცხავს რა მონილის თანხმობის გარეშე სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირებას, მოცემულ დავაზე ასეთი ფაქტი სასამართლოს არ დაუდგენია. ეს გარემოება მ. ზ-ის სარჩელს დასაბუთებულს გახდიდა, რომ არა მოცემულ საქმეზე ასევე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება საქმის მასალებით არ დგინდება და ვერც მოსარჩელე ვერ უთითებს, მისი წილის შესაბამისი სარგებლობის უფლება საზიარო საგნის რომელ ნაწილზე უნდა დადგინდეს და, სამართლიანი შეხედულების მიხედვით, რამდენად არის შესაძლებელი ყველა მონაწილის ინტერესის შესაბამისი სარგებლობა. ეს გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, კასატორის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. კასატორის მოსაზრების სანინააღმდეგოდ, აღნიშნული არ უკარგავს პირს უფლებას, საზიარო საგანზე თავისი უფლება დაიცვას კანონით გათვალისწინებული სხვა წესით – საზიარო საგნის გაყიდვის შედეგად ამ უფლების გაუქმებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საერთო საკუთრებით სარგებლობის უფლება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო სასამართლო**

№ას-526-499-2011

3 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: თავდაპირველ სარჩელში – მიწის ნაკვეთის წილის, დაშენებული მანსარდის წილის განსაზღვრა, ასევე მანსარდით სარგებლობის წესის განსაზღვრა, შეგებებულ სარჩელში – საერთო სარგებლობაში არსებულ სამზარეულოსა და საკუჭნაოში წილის გამოყოფა, მანსარდის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ჩ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ქ-ასა და დ. მ-ის მიმართ მიწის ნაკვეთსა და დაშენებულ მანსარდში წილის განსაზღვრის, ასევე მანსარდით სარგებლობის წესის განსაზღვრის მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

1982 წლის 28 მაისს ა. ჩ-ას მამამ, ან გარდაცვლილმა ა. ჩ-ამ, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, მოპასუხე ე. ქ-ასაგან შეიძინა ქ.ბათუმში, ნ. დ-ის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილი. საცხოვრებელი სახლი განლაგებულია 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი სამი მესაკუთრის: ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ის თანასაკუთრებას წარმოადგენს, რომელიც განლაგებულია 700 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. უძრავი ქონების შეძენის შემდეგ თანამესაკუთრებს შორის განაწილებულ იქნა მიწის ნაკვეთი და გავლებულ იქნა გამოყოფილ ღირებულება. მოსარჩელის სა-

კუთრება მდებარეობს საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე დამოუკიდებელი შესასვლელით. 2009 წლის 17 დეკემბერს მამის ქონება მემკვიდრეობით მიიღო ა. ჩ-ამ, რაც ასევე აღირიცხა საჯარო რეესტრში. რეესტრის მონაცემების თანახმად, საცხოვრებელი სახლის 2/7 ნაწილი ირიცხება მოსარჩელის სახელზე, S ნაწილი - ე. ქ-ას სახელზე, ხოლო 3/14 ნაწილი - მისი მეუღლე დ. მ-ის სახელზე. 2009 წლის 7 აპრილს ქალაქის მერიამ სამივე თანამესაკუთრესთან გააფორმა ხელშეკრულება და თავისი ხარჯებით საცხოვრებელ სახლზე დააშენა მანსარდი (სხვენი), რომლის მშენებლობაც ამჟამად დამთავრებულია და მისი გამოყენება შეიძლება საცხოვრებელ ბინად. ქალაქის მერიამ ხელშეკრულება თანამესაკუთრეებთან გააფორმა შესაბამისი წილების მიხედვით, კერძოდ, ე. ქ-ასთან - 1/2 წილზე, დ. მ-ესთან - 3/24 წილზე, ხოლო ა. ჩ-ასთან - 2/7 წილზე. მოპასუხეებმა უარი განაცხადეს მოსარჩელის მოთხოვნაზე წილობრივი მონაცემების შესაბამისად მანსარდის გაყოფისა და სარგებლობის წესის განსაზღვრაზე იმ მოტივით, რომ საცხოვრებელი სახლი ეკუთვნოდა მის წინაპრებს და, ამდენად, არც მინის ნაკვეთი და არც მანსარდი არ ეკუთვნით. აღნიშნულით მოპასუხეები ცდილობენ, მიითვისონ მოსარჩელის წილი ნაკვეთი და მანსარდი. იმის გათვალისწინებით, რომ არ არის შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, მხარეთა შორის ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს „ბინათმესაკუთრეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. მოსარჩელე ვერ ახორციელებს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებებს მოპასუხეებისაგან წინააღმდეგობის განწვევის გამო და მისთვის უცნობია, თუ რა ფართს მოიცავს სახლზე დაშენებული მანსარდი.

მოპასუხე ე. ქ-ამ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

2009 წლის 7 აპრილს, ქ.ბათუმის მერიასთან მოპასუხეებმა ხელშეკრულება გააფორმეს სამუშაოთა განხორციელების შესახებ, რომლის მიხედვითაც მერია კისრულობდა ვალდებულებას, მანსარდული სართულის დაშენებაზე, რის სანაცვლოდაც დ. მ-ეს, ე. ქ-ასა და ა. ჩ-ას ქ.ბათუმის მერიასათვის უნდა გადაეხადათ 17000 ლარი. მხოლოდ დ. მ-ემ გადაიხადა მანსარდული სართულის დაშენების სანაცვლოდ დადგენილი საფასური - 17000 ლარი, რასაც გადახდის ქვითრებიც ადასტურებს, მოსარჩელეს თანხის გადახდაში მონაწილეობა არ მიუღია, რადგანაც იგი არც სხვენს და არც მანსარდს არ თვლიდა მის საკუთრებად. მანსარდის საცხოვრებელ ბინად გამოყენება შეუძლებელია. ქ.ბათუმის მერიას წილების მიხედვით ხელშეკრულება არ გაუფორმებია მხარეებთან. 2009 წლის 7 აპრილის ხელშეკრულება გაფორმებულია ქ.ბათუმის მერიასა და ე. ქ-ას, დ. მ-ესა და ა. ჩ-ას შორის, თუმცა საყურადღებოა, რომ ამ დროს მოსარჩელე არ იყო არანაირი ქონების მესაკუთრე ქ.ბათუმში, ნ. დ-ის ქ. №16-ში, მან სამკვიდრო მონაწილედ ქონება გაიფორმა 2009 წლის 17 დეკემბერს. ვიდრე მერია განახორციელებდა მანსარდის დაშენებას, არსებობდა სხვენი, რომელსაც ფლობდნენ დ. მ-ე და ე. ქ-ა, შესაბამისად, აღნიშნული სხვენის, ისევე, როგორც სახურავის მოვლა-პატრონობაში მონაწილეობას არ იღებდნენ ა. და ა. ჩ-ა. სადავო შენობა-ნაგებობას გააჩნია ასევე სარდაფი და სამზარეულო, რომელიც არ ჩანს ნახაზში და არ არის ასახული საჯარო რეესტრში, თუმცა რეალურად არსებობს.

იმავე საფუძვლებით არ ცნო სარჩელი დ. მ-ემ, ამასთან, მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს ა. ჩ-ას მიმართ და მოითხოვეს საერთო სარგებლობაში არსებულ სამზარეულოსა და საკუჭნაოში წილის გამოყოფა და მანსარდის მესაკუთრედ ცნობა შემდეგი საფუძვლებით:

1982 წლის 28 მაისს დ. მ-ემ და ე. ქ-ამ ა. ჩ-ას მამას - ა. ჩ-ას მიჰყიდეს ქ.ბათუმში, ნ. დ-ის ქ. №16-ში მდებარე 700 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განლაგებული საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილი. 2009 წლის 17 დეკემბერს ა. ჩ-ამ მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან აღნიშნული ქონება. საჯარო რეესტრის მონაცემებით, ამჟამად საცხოვრებელი სახლის ფართობია 248.77 კვ. მეტრი, რომლის 2/7 ნაწილი ირიცხება ა. ჩ-ას სახელზე, დ. მ-ის სახელზე 3/14 ნაწილი, ხოლო ე. ქ-აზე 1/2 ნაწილი. ა. ჩ-ამ, საერთო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე, უკანონოდ და უნებართვოდ, მიაშენა 40 კვ.მ ფართის სამზარეულო და საკუჭნაო. აღნიშნული მშენებლობა განხორციელდა დ. მ-ისა და ე. ქ-ას ნებართვის გარეშე, რაც ზიანს აყენებს მათ ინტერესებს, გარდა ამისა, თავდაპირველი მოსარჩელე სარაგებლობს და ფლობს ასევე სარდაფს, რომელიც, ისევე, როგორც სამზარეულო და საკუჭნაო, საერთო საკუთრებაშია და არ ჩანს ნახაზში, არ არის ასახული საჯარო რეესტრში, თუმცა იგი რეალურად არსებობს, შესაბამისად, აუცილებელია საერთო საკუთრებაში არსებულ წილებს ნატურით გამოეყოს სამზარეულოში, საკუჭნაოსა და სარდაფში არსებული მათი კუთვნილი წილი. რაც შეეხება მანსარდს, ის არ წარმოადგენს ა. ჩ-ას საკუთრებას, არამედ ის არის დ. მ-ის საკუთრება 2009 წლის 7 აპრილს ქ.ბათუმის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო მანსარდის დაშენებამდე არსებული სხვენიც ა. ჩ-ა და ა. ჩ-ა არ სარგებლობდნენ. მანსარდის ბინად გამოყენება შეუძლებელია მყარი იატაკის არარსებობის გამო.

შეგებებული სარჩელი მოპასუხე ა. ჩ-ამ არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. მ-ემ და ე. ქ-ამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. მ-ისა და ე. ქ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ქ.ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე გადახურვის დაშენების ფართში - მანსარდის სართული, ა. ჩ-ას კუთვნილი წილი განისაზღვრა 46,57 კვ. მეტრით და ქ.ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე გადახურვის დაშენების ფართში მანსარდის სართულ-

ზე ა. ჩ-ას მიერ ამ მანსარდით სარგებლობის წესი განისაზღვრა შემდეგნაირად: ა. ჩ-ას უფლება აქვს, მის სარგებლობაში არსებულ სამზარეულოსა და შენობაზე მიშენებულ ფართში მოეწყო კიბე სამშენებლო ნე-სებისა და ნორმების შესაბამისად და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ჩ-ას სასარჩელო მოთხოვნა ქ.ბათუმის მერიის მიერ ხელშეკრულების თანახმად, მეორე სართულზე დაშე-ნებულ მანსარდაში წილის 2/7-ით განსაზღვრისა და რეალურად გამოყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, დ. მ-ისა და ე. ქ-ას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დ. მ-ე ცნობილ იქნა ქ.ბათუმში, დ-ის ქ.№16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე გადახურვის დაშენების ფართში – მან-სარდის სართულის მესაკუთრედ, სხვა ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთე-ბით:

სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნია, რომ, 1982 წლის 28 მაისის ხელშეკრულების თანახმად, ე. ქ-ამ მოსარჩელე ა. ჩ-ას მამა ა. ჩ-ას მიჰყიდა ქ.ბათუმში, დ-ის (კ-ის) ქ. №16-ში მდებარე სახლთმფლობელო-ბის 1/3 ნაწილი საერთო სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთით, 2009 წლის 17 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მონუმბის საფუძველზე გარდაცვლილი ა. ჩ-ას სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილ იქ-ნა პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი – ა. ჩ-ა, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ქ.ბათუმში, დ-ის ქ.№16-ში მდებარე სახლთმფლობელობის 2/7 ნაწილის მესაკუთრეა ა. ჩ-ა, 1/2 ნაწილის – ე. ქ-ა და 3/14 ნა-წილის – დ. მ-ე. სახლთმფლობელობა განთავსებულია 700 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მხარეთა თანა-საკუთრებაშია. შენობა-ნაგებობის სასარგებლო ფართი შეადგენს 248.77 კვ. მეტრს. 2010 წლის 16 ივლისის №2319-08-4 ექსპერტის დასკვნის თანახმად, სახლთმფლობელობა წარმოადგენს ორსართულიან საცხოვ-რებელ სახლს, რომელზეც დაშენებულია მანსარდის სართული და შენობის უკან მდებარეობს მიწის ნაკვე-თი, რომელიც პირობითად გაყოფილია მავთულის ნაქსოვი ბადით. თავისუფალი მიწის ფართი შეადგენს 470 კვ. მეტრს, საიდანაც 360 კვ. მეტრს აკონტროლებენ დ. მ-ე და ე. ქ-ა, ხოლო 110 კვ. მეტრს ა. ჩ-ა. საერთო მფლობელობის მიწის ნაკვეთში ა. ჩ-ას მიერ შემოკავებულ მიწის ნაკვეთში განთავსებულია შენობები – 17.70 კვ.მ სამზარეულო და 11.45 კვ.მ საკუჭნაო. სარდაფი მდებარეობს ა. ჩ-ას საცხოვრებელი ფართის ია-ტაკის ქვემოთ 0.6 კვ.მ სიღრმეზე და ის სათავსია. ქ.ბათუმში, დ-ის ქ.№16-ში მდებარე სახლზე ქალაქის მე-რიამ დააშენა გადახურვის ახალი კონსტრუქცია, რომლის ფიკური მდგომარეობა იძლევა შიგ მანსარ-დის სართულის მოწყობის საშუალებას. მთლიანი დაშენების ფართი შეადგენს 190 კვ. მეტრს, ხოლო მან-სარდის სართულად გამოყენების ფართი – 163 კვ. მეტრს. ის მოწყობილი არ არის, არ გააჩნია ქერი, იატა-კი, გადახურვის მიმდებარე ზონაში არ აქვს ვერტიკალური კედლები, გააჩნია მეტალოპლასტმასის ფან-ჯრის ბლოკები, არ არის შეყვანილი წყალი, კანალიზაცია და შუქი. ის მთლიანი სივრცეა და მოიცავს სახ-ლის სახურავის მთელ პერიმეტრს, არ შეინიშნება რაიმე გამოყოფი ზღვარი. საჯარო რეესტრის მონაცემე-ბის გათვალისწინებით, ექსპერტის მითითებული დასკვნის თანახმად, მხარეთა იდეალური წილი მიწის ნაკვეთში შემდეგნაირია: ა. ჩ-ას ეკუთვნის 199.98 კვ.მ, ე. ქ-ას – 350.07 კვ.მ, დ. მ-ეს – 150.01 კვ.მ. სახლის ტექნიკური პასპორტის მიხედვით, შენობის უკანა ნაწილში მდებარე კიბის მარში მოიცავს ა. ჩ-ას პირველ სართულზე მდებარე ფანჯარას, ხოლო II სართულზე ეზოში გაძვალა ფანჯრის ლიობი არ არის. ამავე დას-კვნის თანახმად, ა. ჩ-ას ინდივიდუალურ საკუთრებაში არ შეიძლება გამოეყოს 2/7 წილის კუთვნილი მიწის ნაკვეთი უძრავი ქონების ღირებულების შემცირებისა და დანიშნულების შეცვლის გარეშე. თავისუფალი მიწის ნაკვეთი საერთო სარგებლობაში უნდა დარჩეს. სადავო სამზარეულოსა და საკუჭნაოს ფლობდა და სარგებლობდა ა. ჩ-ას ოჯახი და მისი აშენებულია. ეს ფართი არ არის რეესტრში რეგისტრირებული. სადა-ვო ფართის მიშენება ე. ქ-ასა და დ. მ-ეს არ გაუპროტესტებიათ და ის აშენდა მათი თანხმობით. მხარეთა ახ-სნა-განმარტებებითა და მონმეთა ჩვენებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სამზარეულოს ა. ჩ-ამ 8-9 წლის წინ მიაშენა, ხოლო საკუჭნაო სახლის შექმნისას უკვე არსებობდა. დ. მ-ის განმარტებით, სამზარეუ-ლოს აშენებისას მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარდაფი მდებარე-ობს ა. ჩ-ას საცხოვრებელი ფართის იატაკის ქვემოთ 0.6 კვ.მ სიღრმეზე და ის სათავსია. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2009 წლის 7 აპრილს ქ.ბათუმის მერიას, ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს შორის გაფორმდა ხელ-შეკრულება სამუშაოთა განხორციელების შესახებ, რომლის თანახმად, მერიამ ივალდებულა, საკუთარი ძალებითა და ხარჯებით განეხორციელებინა ქ.ბათუმში, დ-ის ქ.№16-ში მდებარე ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მანსარდული სართულის დაშენება. 2010 წლის 25 თებერ-ვალს ქ.ბათუმის მერიას, ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თა-ნახმად, ქ.ბათუმის მერიამ სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, საცხოვრებელ სახლზე დააშენა 190.99 კვ.მ მანსარდული სართული და ჩააბარა ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს ხელშეკრულებით გათვალისწინე-ბულ მდგომარეობაში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ა. ჩ-ა, ე. ქ-ა და დ. მ-ე უფლებამოსილი იყვნენ, დაშენე-ბული მანსარდული სართულის საკუთრების უფლებით რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრში წარედგი-ნათ მიღება-ჩაბარების აქტი და თანდართული აზომვითი ნახაზი, რისთვისაც ქ.ბათუმის მერიისგან დამა-ტებითი თანხმობა და ან სხვა დოკუმენტის წარდგენა არ მოეთხოვებოდათ. მიღება-ჩაბარების აქტი ხელი მოაწერა ყველა მხარემ. მანსარდის სართული საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული არ არის ვინმეს სა-კუთრებად. აღნიშნული დაშენების სანაცვლოდ ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს უნდა გადაეხადათ 17000 ლარი, რაც გადაიხადა დ. მ-ემ, რაც თვით ა. ჩ-ას მიერ იქნა დადასტურებული სასამართლო სხდომაზე, ამდენად, პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მანსარდის დაშენების ღირებულება გადაიხადა აპელანტმა დ. მ-ემ და ამ თანხის გადახდაში მონაწილეობა არ მიუღია ა. ჩ-ას. სანამ მერია მანსარდს დააშენებდა, არ-სებობდა სხვენი, რომელსაც ფლობდნენ და სარგებლობდნენ ე. ქ-ა და დ. მ-ე, მაგრამ არ ჰქონდათ რეეს-ტრში რეგისტრირებული საკუთრებად. ა. ჩ-ა ამ სხვებით არ სარგებლობდა. პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულ ჯ. მ-ისა და ს. ხ-ის ჩვენებებზე, სადაც

მონმეებმა განმარტეს, რომ დ. მ-ის გარდა ადრე არსებულ სხვენზე არავინ ადიოდა. ა. ჩ-ას ზევით არასდროს უცხოვრია. სხვენში გასაკეთებელი რაც იყო, ყველაფერი დ. მ-ის მიერ იქნა გაკეთებული. ა. ჩ-ას არც მატერიალური და არც ფინანსური მონაწილეობა არ მიუღია ამ სხვენის კეთილმოწყობაში. მასზე სამუშაოებს ყოველთვის დ. მ-ე აწარმოებდა. სხვენში დ. მ-ის ძველი ნივთები ელაგა. სხვენი ყოველთვის დ. მ-ის მფლობელობაში იყო და იქ არავინ ასულა. სხვენში კიბის მეშვეობით დერეფნიდან ადიოდნენ. ა. ჩ-ა მას თავისად არასდროს თვლიდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ მას სხვენზე ასასვლელი არ გააჩნდა. ა. ჩ-ას მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში დადასტურებულ იქნა ის ფაქტიც, რომ მანსარდამდე არსებულ სხვენს ის არასდროს იყენებდა. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ა. ჩ-ამ დაადასტურა ის გარემოებაც, რომ მანსარდის გადახურვასა თუ გარემონტებაზე ხარჯი აქვლანტ დ. მ-ის მიერ არის გაღებული, ადრე ის იყო სხვენი, რომლის სარემონტო სამუშაოებში მას არ მიუღია მონაწილეობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უსწორია მოსარჩელე ა. ჩ-ასათვის მანსარდიდან რეალური წილის მიკუთვნებისა და მისით სარგებლობის წესის განსაზღვრის ნაწილში და მანსარდის მესაკუთრედ დ. მ-ის ცნობასთან დაკავშირებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, რის გამოც გადაწყვეტილება სწორედ ამ ნაწილებში უნდა შეიცვალოს. სასამართლომ იხელმძღვანელა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტით და ჩათვალა, რომ მხარეები ამ კანონს დაქვემდებარებული სუბიექტები არიან. დასახელებული კანონის თანახმად, თუ მესაკუთრე 2007 წლამდე ფლობდა ფართს, ის მიიჩნევა ინდივიდუალურ საკუთრებად.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. მ-ე მანსარდამდე არსებულ სხვენს ფლობდა და სარგებლობდა, როგორც საკუთარს. ეს გარემოება ა. ჩ-ას მიერაც იქნა დადასტურებული. ადრე არსებულ სხვენს ის უტარებდა სარემონტო სამუშაოებს და მის შეკეთებაზე რაიმე მატერიალური თუ ფინანსური დანახარჯი ა. ჩ-ას არ გაუწევია, ამასთან მერიის მიერ დაშენებული მანსარდის სანაცვლოდ თანხა – 17 000 ლარიც დ. მ-ის მიერაა სრულად გადახდილი. ამ ფაქტის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მანსარდამდე არსებული სხვენი წარმოადგენდა დ. მ-ის ინდივიდუალურ საკუთრებას და ვერ ჩაითვლებოდა საერთო სარგებლობის ფართად, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ უნდა გავრცელებულიყო „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი მიჩნეულ იქნა არასწორად. პალატა დაეთანხმა აქვლანტა პოზიციას, რომ მანსარდი დ. მ-ის საკუთრებაა და აქედან ა. ჩ-ას არ შეიძლება მასში განსაზღვროდა წილი და სარგებლობის წესი, შესაბამისად, ამ მხრივ ექსპერტიზის დასკვნა ვერ იქნება გაზიარებული.

მანსარდთან დაკავშირებით დ. მ-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში სასამართლომ საფუძვლიანად ჩათვალა შეგებებული სარჩელი. დანარჩენ ნაწილებში პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები. სასამართლოს მოსაზრებით, ე. ქ-ასა და დ. მ-ის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ა. ჩ-ას მფლობელობასა და სარგებლობაში არსებულ სამზარეულოსა და საკუჭნაოში წილის გამოყოფის შესახებ, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და იგი სწორად არ იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. სასამართლოს დასკვნით, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სწორად იქნა განსაზღვრული ა. ჩ-ას იდეალური წილი მინის ნაკვეთში, რომელიც შეადგენს – 199.98 კვ. მეტრს (ა. ჩ-ასათვის), ე. ქ-ასთვის – 350.07 კვ. მეტრს, დ. მ-ისთვის – 150.01 კვ. მეტრს, შესაბამისად, ა. ჩ-ას სარჩელი მხოლოდ საერთო საკუთრების მინის ნაკვეთიდან წილის გამოყოფისა და განსაზღვრის თაობაზე იყო საფუძვლიანი, რაც კანონიერად იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ჩ-ამ, მოითხოვა მისი იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც დ. მ-ისა და ე. ქ-ას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და ახალი გადანყვეტილების მიღებით ამ ნაწილში ა. ჩ-ას სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებითა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით დაარღვია კანონი, მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, არასწორად დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოება სადავო სხვენის მოპასუხეთა მიერ ფლობის ფაქტის თაობაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უკანონოდ ჩამოერთვა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული საკუთრების უფლება. დადგენილია, რომ 1982 წლის 28 მაისის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით ე. ქ-ასაგან ა. ჩ-ამ ქ.ბათუმში, დ-ის ქ.№16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3 წილი შეიძინა, რომლის გარდაცვალების შემდეგაც, სამკვიდრო ქონება მიიღო ა. ჩ-ამ. 1999-2001 წლებში მოსარჩელემ და მოპასუხეებმა საცხოვრებელ სახლზე, ერთმანეთის თანხმობით, განახორციელეს მიშენებები. ე. ქ-ამ და დ. მ-ემ, მოსარჩელის თანხმობით, უნებართვო მინაშენის რეგისტრაცია მოახდინეს, ხოლო ასეთი არ განუხორციელებია ა. ჩ-ას, რის გამოც საჯარო რეესტრის ჩანაწერებში სახლთმფლობელობის წილობრივი მონაცემი შეიცვალა, მოსარჩელის სახელზე აღირიცხა 2/7 ნაწილი, ხოლო მოპასუხეების სახელზე – 5/7. 2009 წლის 7 აპრილს, ქ.ბათუმის მერიასა და თანამესაკუთრეებს: ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს შორის საცხოვრებელ სახლზე მანსარდული სართულის დაშენების თაობაზე გაფორმდა სამუშაოთა განხორციელების შესახებ ხელშეკრულება და მშენებლობა განხორციელდა თანადაფინანსებით, ქალაქის მერია იხდიდა მშენებლობის ღირებულების 80%-ს, ხოლო თანამესაკუთრეები – 20%-ს. აღნიშნული ხელშეკრულების 1.1 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად, ქალაქის მერია იღებდა ვალდებულებას, საკუთარი ძალებითა და ხარჯებით მოეხდინა ქ.ბათუმში, დ-ის ქ.№16-ში მდებარე ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მანსარდული სართულის დაშენება, ხოლო თანამესაკუთრეებს მერიისათვის უნდა გადაეხადათ 17000 ლარი. ხელშეკრულების მე-3 მუხლში ჩამოყალიბებული მხარე-

თა უფლება-მოვალეობების თანახმად, ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს გადასახდელი 17000 ლარიდან 5000 ლარი უნდა გადაეხადათ სახლზე აივნის დაშენების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 12000 ლარი, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით შესრულების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, ქ.ბათუმის მერიის მიერ, დაშენებულ ფართზე საკუთრების უფლება ეკუთვნის ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს, ხოლო მერიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის მოთხოვნის უფლების გარდა, რაიმე პრეტენზია არ გააჩნია. ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტის თანახმად, ქ.ბათუმის მერიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, ხელშეკრულების მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მე-7 მუხლში ჩამოთვლილია ხელშეკრულებიდან გასვლის პირობები და დანესებულია ერთიანი ვადა ხელშეკრულებიდან გასვლისათვის. ხოლო, მე-9 მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობების შეცვლას. ამავე ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად, მხარეები ადასტურებენ, რომ მოცემული ხელშეკრულება შეესაბამება მათ მიერ გამოვლენილ ნებას და ნების გამოვლენისას რაიმე სახის ძალდატანებას ან მოტყუებას ადგილი არ ჰქონია. ასევე ადასტურებენ, რომ უფლებამოსილი არიან, ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას აღნიშნული შინაარსით. ამავე მუხლში მითითებულია ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, თუ რა პროცედურები უნდა განხორციელდეს. ხელშეკრულება დღესაც ძალაშია და იგი მხარეებს სადავო არ გაუხდიათ. ხელშეკრულების შინაარსიდან დგინდება, რომ მანსარდული სართულის დაშენება განხორციელდა საცხოვრებელი სახლის სახურავზე და არა სხვენიზე, რომ დაშენებულ ფართზე საკუთრების უფლება ეკუთვნის როგორც მოპასუხეებს, ასევე მოსარჩელესაც. ხელშეკრულება დაიდო ნებაყოფლობით და მათ ხელშეკრულებას, სწორედ აღნიშნული შინაარსით მოაწერეს ხელი. პალატას მოცემული საქმის გადაწყვეტისას აღნიშნული ხელშეკრულებით უნდა ეხელმძღვანელა, რომელიც არც ერთი მხარის მიერ იგი სადავო არ გამხდარა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიჩნეული იქნება, რომ სახლთმფლობელობას ადრე გააჩნდა სხვენი, რომლითაც სარგებლობდნენ მოპასუხეები, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებით, მათ უარი განაცხადეს სხვენის უფლებაზე და შეთანხმდნენ, რომ დაშენებული მანსარდული სართულის მესაკუთრეები იქნებოდნენ თანამოპასუხეები, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეებმა სხვენი მათი უფლება მიატოვეს. სხვენის არსებობის ფაქტის დადგენისათვის პალატას უნდა გაეჩვენებინათ, ის სახლის მთლიან სახურავზე იყო მონყობილი, თუ მის რომელიმე ნაწილზე და ამის მიხედვით უნდა მიეღო გადაწყვეტილება, კერძოდ, უნდა დაედგინა რა ფართის იყო სხვენი და ჩაეთვალა იგი მოპასუხის საკუთრებად, ხოლო დანარჩენ ნაწილზე მესაკუთრედ ეცნო ა.ჩ-ა მისი კუთვნილის წილის გათვალისწინებით. სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, საკუთრების წარმოშობის საფუძველია კანონი, შეთანხმება და საჯარო რეესტრის ამონაწერი. მოცემულ შემთხვევაში მხარეს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია იმის დასადასტურებლად, გააჩნდა თუ არა სახლთმფლობელობას სხვენი და დარეგისტრირებული იყო თუ არა საჯარო რეესტრში, ხოლო კასატორის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება პირდაპირ მიუთითებს, რომ დაშენებული მანსარდული სართული კასატორის საკუთრებას წარმოადგენს შესაბამისი წილის მიხედვით. პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო მანსარდის ნაწილში სწორი და ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, რადგანაც აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ხელშეკრულების დებულებათა გათვალისწინებით, მაშინ, როცა სააპელაციო პალატამ საერთოდ არ იმსჯელა ხელშეკრულების შესახებ. პალატამ, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, სხვენის მხოლოდ მოპასუხეთა მიერ სარგებლობის ფაქტის გამო არასწორად ცნო ისინი დაშენებული მანსარდული სართულის მესაკუთრეებად. აღნიშნული დასკვნა არასწორია, რადგანაც სახლის სახურავში სხვენი მონყობილი არ ყოფილა. ამის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია. სხვენი მართლაც რომ არსებულებიყო, ე. ქ-ა და დ. მ-ე ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდნენ, სადაც გარკვევით არის მითითებული, რომ დაშენებული მანსარდული სართულის მესაკუთრეები არიან ა. ჩ-ა, ე. ქ-ა და დ. მ-ე. დადგინდა, რომ სახლთმფლობელობის სახურავის (სხვენის) ფართი წარმოადგენს დაახლოებით 200 კვ. მეტრს, ხოლო სასამართლოს არ გაურკვევია თუ რა ფართის იყო სახურავში მონყობილი სხვენი და თუ იგი ამას დაადგენდა, მას უნდა ემსჯელა მის მოცულობაზე და ისე მიეღო გადაწყვეტილება. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სამეურნეო სათავსები ინდივიდუალურ საკუთრებად რომ გამოცხადდეს, საჭიროა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმი, ნახაზი და იგი რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია და ვერც ექნებოდა, რადგანაც სახლის სახურავში სხვენი არ არის მონყობილი. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს სახლის სახურავს, სხვენს, სარდაფს და ა.შ. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს სარდაფზე, რომლითაც თითქოს მოსარჩელე სარგებლობს, თუმცა სახლს სარდაფი საერთოდ არ გააჩნია, რაც უფრო ნათელი გახდა ექსპერტთან ერთად ადგილზე დათვალიერების შედეგად. მართალია, მოსარჩელეს იატაკის ქვეშ აქვს 30-40 სმ-ის სიმაღლის სივრცე, თუმცა ის არის არა სარდაფის მსგავსი დამხმარე სათავსი, არამედ, ბათუმში არსებული ბუნებრივი პირობების გამო, ჰაერის მოძრაობისათვის მონყობილი სივრცე, რათა თავიდან იქნეს აცილებული იატაკის დაზიანება. პალატას არ უმსჯელია იმაზე, სახლს მანსარდის დაშენებამდე, გააჩნდა თუ არა სახურავი ან მონყობილი იყო თუ არა იქ სხვენი, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ პალატამ არასწორად მიუთითა მხოლოდ მონმეების: ს. ხ-ისა და ჯ. მ-ის ჩვენებებზე, სადაც მონმეებმა განაცხადეს, რომ მოპასუხების გარდა სხვენიში არავინ ადიოდა და არც მის კეთილმონყობაში იღებდა მონაწილეობას მოსარჩელე. ს.ხ-მა დაადასტურა, რომ მოსარჩელე არასოდეს დაუნახავს სახურავში ასული და არც ოჯახის წევრები ადიოდნენ იქ, დ. მ-ემ კი დაადასტურა, რომ სახურავში რაიმე დამოუკიდებელი ასასვლელი არ გააჩნია, იქ ასვლას, მხოლოდ, ე.წ მისადგმელი კიბის გამოყენებით ახერხებდა, რაც სიმართლეა და კასატორიც ეთანხმება. სახუ-

რავში რაიმე სხვენი ან დამხმარე სათავსი რომ ყოფილიყო მოწყობილი, მას აუცილებლად ექნებოდა ასასვლელი კიბე და მხოლოდ ის ფაქტი, რომ ა. ჩ-ა არ ასულა სახურავში, არ არის იმის დამადასტურებელი, რომ სახურავი წარმოადგენდა სხვენს, რომლითაც მოპასუხეები სარგებლობდნენ. გასაჩივრებული გადანყვეტილებით სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დ. მ-ემ შეცვალა სახლის სახურავი სახული საუკუნის 90-იან წლებში, რაშიც მონაწილეობა არ მიუღია მოსარჩელეს, თუმცა აღნიშნულ გარემოებას არანაირი კავშირი არ აქვს დავის გადანყვეტასთან და აღნიშნული საკუთრების უფლების დაკარგვას არ ადასტურებს, რადგანაც კანონი პირს აძლევს უფლებას მოითხოვოს განუვლი სამუშაოების შესაბამისი თანხის დაკისრება მხარისათვის, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი. დ. მ-ემ სახურავის შეკეთების ხარჯის გაღება მოსარჩელეს არ მოსთხოვა იმ დროისათვის მისი ქონებრივი მდგომარეობის გამო, მან გარემონტა სახლის ფასადი, მათ შორის შენობის ის ნაწილიც, რომელიც მოსარჩელეს ეკავა. ის გარემოება, რომ დ. მ-ემ მთლიანად გადაიხადა მერიასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, კასატორი სადავოდ არ ხდის, მაგრამ ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მის სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოსაგან 2010 წლის 25 მარტით დათარიღებული დ. მ-ისა და ე. ქ-ას შესაგებელი მიიღო. სარჩელის აღძვრის დროისათვის დაშენებული მანსარდული სართული ექსპლოატაციამში მიღებული არ იყო, ხელშეკრულებით კი, თანხა მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ უნდა შეეტანათ, ასევე, თუ ისინი თავიანთ წილ თანხას არ შეიტანდნენ, ქალაქის მერიას, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად, უნდა გაეფრთხილებია ისინი თანხის გადახდის შესახებ. დ. მ-ემ თანხა მოსარჩელის შეუტყობინებლად შეიტანა ვადაზე ადრე. სასამართლო სხდომის ოქმში მითითებულია ა. ჩ-ას შეთავაზება მისი ფართის წილი თანხის დ. მ-ისათვის გადახდის თაობაზე, თუმცა მოწინააღმდეგე მხარე საქმის დასრულებამდე ანგარიშსწორების წინააღმდეგია. ფაქტია, რომ მოხდა საცხოვრებელ სახლზე დაშენებული მანსარდული სართულით საერთო ქონების გაერთიანება, რა შემთხვევაშიც, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, აუცილებელი და საჭიროა ყველა თანამესაკუთრის თანხმობა და შეთანხმება, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი ქალაქის მერიასთან დადებულ ხელშეკრულების შესაბამისად. სააპელაციო პალატამ საქმის მასალების კვლევის გარეშე დაადგინა საქმის ახალი ფაქტობრივი გარემოებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 იანვრის განჩინებით, კასატორის გარდაცვალების გამო, ა. ჩ-ას უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა მისი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი – რ. ჩ-ა, ხოლო საკასაციო პალატის 2012 წლის 30 იანვრის განჩინებით ა. ჩ-ას უფლებამონაცვლედ რ. ჩ-ას საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული გადანყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ას უფლებამონაცვლედ რ. ჩ-ას საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 აგვისტოს გადანყვეტილებით ა. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 თებერვლის გადანყვეტილებით ნაწილობრივ შეიცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება, კერძოდ, ა. ჩ-ას უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ ნაწილში, რომლითაც იგი ითხოვდა დაშენებულ მანსარდში წილის განსაზღვრას, ასევე მანსარდით სარგებლობის წესის განსაზღვრას, ამასთან, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დ. მ-ისა და ე. ქ-ას შეგებებული სარჩელი და დ. მ-ე ცნობილ იქნა ქ. ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე გადახურვის დაშენების ფართში მანსარდის სართულის მესაკუთრედ, სხვა ნაწილში გადანყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა. ამდენად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 აგვისტოს გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ქ. ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე უძრავი ქონებიდან – 700 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ა. ჩ-ას კუთვნილი მიწის ნაკვეთი განისაზღვრა 199,98 კვ.მ-ით, კანონიერ ძალაშია შესული.

ვინაიდან, საკასაციო საჩივარი ეხება ქ. ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე დაშენებულ მანსარდზე უფლების საკითხს, საკასაციო პალატა ამ მიმართულებით ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ქ. ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე სახლთმფლობელობის 2/7 ნაწილის მესაკუთრეა ა. ჩ-ა, 1/2 ნაწილის – ე. ქ-ა, ხოლო 3/14 ნაწილის – დ. მ-ე. სახლთმფლობელობა განთავსებულია 700 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მხარეთა თანასაკუთრებაშია. შენობა-ნაგებობის სასარგებლო ფართი შეადგენს 248.77 კვ. მეტრს.

2009 წლის 7 აპრილს ქ. ბათუმის მერიას და ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამუშაოთა განხორციელების შესახებ, რომლის თანახმად, მერიამ ივალდებულა, საკუთარი ძალებითა და

ხარჯებით განეხორციელებინა ქ.ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მანსარდული სართულის დაშენება.

2010 წლის 25 თებერვალს ქ.ბათუმის მერიას და ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, ქ.ბათუმის მერიამ დაშენებულ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, საცხოვრებელ სახლზე დააშენა 190.99 კვ.მ მანსარდული სართული და ჩააბარა ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ა. ჩ-ა, ე. ქ-ა და დ. მ-ე უფლებამოსილი იყვნენ, დაშენებული მანსარდული სართულის საკუთრების უფლებით რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრში წარედგინათ მიღება-ჩაბარების აქტი და თანდართული აზომვითი ნახაზი, რისთვისაც ქ.ბათუმის მერიისგან დამატებითი თანხმობა და ან სხვა დოკუმენტის წარდგენა არ მოეთხოვებოდათ. მიღება-ჩაბარების აქტს ხელი მოაწერა ყველა მხარემ. მანსარდის სართული საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული არ არის ვინმეს საკუთრებად. აღნიშნული დაშენების სანაცვლოდ ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს უნდა გადაეხადათ 17000 ლარი, რაც გადაიხადა დ. მ-ემ,

2010 წლის 16 ივლისის №2319-08-4 ექსპერტის დასკვნის თანახმად, ქ.ბათუმში, დ-ის ქ.№16-ში მდებარე სახლზე ქალაქის მერიამ დააშენა გადახურვის ახალი კონსტრუქცია, რომლის ფიზიკური მდგომარეობა იძლევა შიგ მანსარდის სართულის მოწყობის საშუალებას. მთლიანი დაშენების ფართი შეადგენს 190 კვ. მეტრს, ხოლო მანსარდის სართულად გამოყენების ფართი – 163 კვ. მეტრს.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, სანამ მერია მანსარდს დააშენებდა, არსებობდა სხვენი, რომელსაც ფლობდნენ და რომლითაც სარგებლობდნენ ე. ქ-ა და დ. მ-ე, მაგრამ არ ჰქონდათ რეესტრში რეგისტრირებული საკუთრებად. ა. ჩ-ა ამ სხვენით არ სარგებლობდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მანსარდამდე არსებული სხვენი წარმოადგენდა დ. მ-ის ინდივიდუალურ საკუთრებას და ვერ ჩაითვლება საერთო სარგებლობის ფართად,

კასატორი არ ეთანხმება რა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ფართი ვერ ჩაითვლება საერთო სარგებლობის ფართად, მიუთითებს ამ დასკვნის გამაბათილებელ შემდეგ არგუმენტებზე: 2009 წლის 7 აპრილს, ქ.ბათუმის მერიასა და ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს შორის საცხოვრებელ სახლზე მანსარდული სართულის დაშენების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში მხარეებმა გამოავლინეს ნება იმის შესახებ, რომ დაშენებულ ფართზე საკუთრების უფლება ეკუთვნოდეთ ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიჩნეული იქნება, რომ სახლთმფლობელობას ადრე გააჩნდა სხვენი, რომლითაც სარგებლობდნენ მოპასუხეები, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებით, მათ უარი განაცხადეს სხვენის უფლებაზე და შეთანხმდნენ, რომ დაშენებული მანსარდული სართულის შესაკუთრებები იქნებოდნენ თანამოპასუხეები. მოცემულ შემთხვევაში მხარეს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია იმის დასადასტურებლად, გააჩნდა თუ არა სახლთმფლობელობას სხვენი და დარეგისტრირებული იყო თუ არა საჯარო რეესტრში, ხოლო კასატორის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება პირდაპირ მიუთითებს, რომ დაშენებული მანსარდული სართული კასატორის საკუთრებას წარმოადგენს შესაბამისი წილის მიხედვით.

კასატორის ზემოთ მითითებული არგუმენტების დასაბუთებულობის შემომწმების მიზნით, საკასაციო სასამართლო განიხილავს რამდენიმე საკითხს:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლის შესაბამისად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც. ამავე კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ.ბათუმში, დ-ის ქ.№16-ში მდებარე სახლთმფლობელობის 2/7 ნაწილის შესაკუთრება ა. ჩ-ა, 1/2 ნაწილის – ე. ქ-ა, ხოლო 3/14 ნაწილის – დ. მ-ე. სახლთმფლობელობა განთავსებულია 700 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მხარეთა თანასაკუთრებაშია. შენობა-ნაგებობის სასარგებლო ფართი შეადგენს 248.77 კვ. მეტრს. კასატორს თანასაკუთრების უფლება წარმოეშვა გარიგების საფუძველზე. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მხარეები წარმოადგენენ ქ.ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილის – შენობა-ნაგებობის თანამესაკუთრებებს, რომელთაც საერთო საკუთრება აღრიცხული აქვთ იდეალურ წილებში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან საკუთრების უფლება ქ.ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ სახლთმფლობელობაზე ეკუთვნის ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს, სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თითოეულ მონილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მონილეთა სარგებლობას. ამავე კოდექსის 956.1 მუხლის შესაბამისად, საზიარო საგანს მონილენი ერთობლივად მართავენ. ამავე კოდექსის 957.1 მუხლის მიხედვით კი, ხმათა უმრავლესობით შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. ხმათა უმრავლესობა გამოითვლება წილთა მიხედვით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2009 წლის 7 აპრილს ქ.ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებული სახლთმფლობელობის თანამესაკუთრებმა (საზიარო უფლების მონაწილეებმა) ქ.ბათუმის მერიასთან შეთანხმებით მიიღეს გადაწყვეტილება საზიარო საგნის (შენობა-ნაგებობების) სხვენის იმგვარად სარგებლობის შესახებ, რომ ქ. ბათუმის მერია თანადაფინანსებით უზრუნველყოფდა მანსარდული სართულის დაშენებას. 2010 წლის 25 თებერვალს ქ.ბათუმის მერიას და ა. ჩ-ას, ე. ქ-ასა და დ. მ-ეს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ უზრუნველყოფდნენ მანსარდული სართულის საკუთრების უფლებით რეგისტრაციას საჯარო რეესტრში მათი წილების შესაბამისად, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის გამოყენების წინაპირობები, კერძოდ: მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფები, სხვენიები და ა. შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი, თუ წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი. მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსებზე (სარდაფები, სხვენიები და ა. შ.) საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრმა უნდა წარმოადგინოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების მიერ შედგენილი ოქმი და ნახაზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამეურნეო სათავსის ადგილმდებარეობის დადგენა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ დაუდგენია დ. მ-ის მიერ ქ.ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში არსებული სახლთმფლობელობის სხვენის ფლობის ფაქტი დადასტურდა თუ არა ყველა თანამესაკუთრის მონაწილეობით გამართულ კრებაზე და მიღებულ იქნა თუ არა გადაწყვეტილება სათანადო კვორუმით. მიუხედავად ასეთი გარემოების დაუდგენლობისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითია საქმეზე დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ მხარეებმა წერილობით გამოხატეს ნება მანსარდული სართულის თანასაკუთრებაში აღრიცხვის თაობაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 955.1 მუხლის მიხედვით, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თავისი წილის თანაზომიერი ნაყოფის ნაწილი. ა. რ-ას სასარჩელო მოთხოვნის საფუძველებიდან ირკვევა, რომ მოპასუხეებმა უარი განაცხადეს მოსარჩელის მოთხოვნაზე წილობრივი მონაცემების შესაბამისად მანსარდის ნაყოფისა და სარგებლობის წესის განსაზღვრაზე. აქედან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების იურიდიული ინტერესი გამომდინარეობს საკუთრების უფლების შინაარსიდან – რაც გულისხმობს მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა მესამე პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია ქ.ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე დაშენებულ მანსარდზე თანასაკუთრების უფლების არსებობის თაობაზე დასაშვები და დასაბუთებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან საკასაციო განაცხადი ეხება სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებას, ამასთან, კასატორის მხრიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებზე წარმოდგენილ იქნა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი სხვა გარემოებები ქმნიან სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შემადგენლობას.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი სსიპ – ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2010 წლის 16 ივლისის №2319-08-4 ექსპერტის დასკვნის საფუძველზე დადგინოდად მიიჩნია ქ.ბათუმში, დ-ის ქ.№16-ში მდებარე სახლზე დაშენებული მანსარდის პარამეტრები. ამავე დასკვნით ექსპერტმა განსაზღვრა ა. რ-ას წილი – 46,57 კვ.მ-ის ოდენობით, ამასთან, ექსპერტმა დაადგინა, რომ მანსარდით სარგებლობა შესაძლებელია სამზარეულოსა და შენობაზე მიშენებულ ფართში კიბის მოწყობით. აღნიშნული მტკიცებულება არ უარუყვია სასამართლოს როგორც დაუშვებელი მტკიცებულება და არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელის დაკმაყოფილებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული 2010 წლის 16 ივლისის №2319-08-4 ექსპერტის დასკვნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განუღებულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

გამომდინარე იქიდან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ჩ-ას სარჩელის დაკმაყოფილებისა და სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრის ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული, ხოლო საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება და ა. ჩ-ას უფლებამონაცვლე რ. ჩ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად, პალატა თვლის, რომ დ. მ-ესა და ე. ქ-ას კასატორ ა. ჩ-ას უფლებამონაცვლე რ. ჩ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ა. ჩ-ას უფლებამონაცვლე რ. ჩ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა დ. მ-ისა და ე. ქ-ას სააპელაციო საჩივარი და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ა. ჩ-ას უფლებამონაცვლე რ. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს. ქ. ბათუმში, დ-ის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე გადახურვის ფართში – მანსარდის სართული, ა. ჩ-ას უფლებამონაცვლე რ. ჩ-ას კუთვნილი წილი განისაზღვროს 46,57 კვ.მ-ით. ამ მანსარდით სარგებლობის წესი განისაზღვროს შემდგენიარად – ა. ჩ-ას უფლებამონაცვლე რ. ჩ-ას უფლება აქვს მის სარგებლობაში არსებულ სამზარეულოსა და შენობაზე მიშენებულ ფართში მოაწყოს კიბე სამშენებლო წესებისა და ნორმების შესაბამისად.
4. დ. მ-ესა და ე. ქ-ას უარი ეთქვათ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.
5. დ. მ-ესა და ე. ქ-ას ა. ჩ-ას უფლებამონაცვლე რ. ჩ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საერთო საკუთრებით სარგებლობის უფლება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1707-1691-2011

28 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საერთო საკუთრების ქონების სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ბმა „ამხანაგობა ...ა-მ“ სარჩელი აღძრა გ. მ-ის მიმართ და მოითხოვა საერთო საკუთრების ქონების სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა შემდეგი დასაბუთებით: ბინათმესაკუთრეთა „ამხანაგობა ...ა-ს“ ბათუმში, რ-ას ქ.№8-ში საკუთრებაში რეგისტრირებული აქვს 3779,2 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და პირველ სართულზე 241,2 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. მოპასუხეს წლების განმავლობაში უკანონოდ და უნებართვოდ დაკავებული აქვს მოსარჩელის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი და ამხანაგობა ამ ფართს ვერ იყენებს საჭიროებისამებრ. მიუხედავად ამხანაგობის წევრების მიერ არაერთი გაფრთხილებისა, მოპასუხე განაგრძობს ამ ფართით უკანონო ფლობასა და სარგებლობას.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ ამხანაგობის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები ამხანაგობის წევრების საერთო საკუთრებაშია. ამხანაგობის ცალკეული წევრები სხვადასხვა დროს დავობდნენ საკუთრების ხელშეშლის აღკვეთის მიზნით, თუმცა წარუმატებლად, რაზეც არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი ამხანაგობის წევრს უფლებას აძლევს, ისარგებლოს საერთო საკუთრებით. ამხანაგობის წევრებს თვითნებურად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავებული აქვთ საცხოვრებელი ფართები. თუ ფართის თვითნებურად დაკავება დასაშვებია ამხანაგობის 25 წევრისათვის, ეს დასაშვებია მოპასუხისა და ამხანაგობის სხვა წევრებისათვისაც.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ამხანაგობა ...ა-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა, აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბერს დაკმაყოფილებულ იქნა გ. მ-ის წარმომადგენელ ე. მ-ის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, რაზედაც საჩივარი შეიტანა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ამხანაგობა ...ა-მ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინებით წარმოდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მონინალმდევე მხარე, რომელიც სხდომის თაობაზე გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მისი გამოუცხადებლობის მიზეზები უცნობია. სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტის წარმომადგენელმა იშუამდგომლა გამოუცხადებელი მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. პალატამ მოისმინა გამოცხადებული მხარის ახსნა-განმარტება და დადასტურებულად ჩათვალა, რომ აპელანტი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრია, იგი სარგებლობს საერთო ქონებით და მფლობელობის შეწყვეტა მისთვის ამხანაგობას, წესდებით გათვალისწინებული წესით არ მოუთხოვია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, ისარგებლოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებით. ამრიგად, დადასტურებულად ითვლება, რომ აპელანტი სადავო ქონებას ფლობს ზემოხსენებული ნორმის, ანუ სამართლებრივად ნამდვილი უფლების საფუძველზე, ე.ი ის მართლზომიერი მფლობელია. სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. შესაბამისად, დადასტურებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოება იურიდიულად ამართლებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

სხდომაზე გამოცხადებაში საჩივრის ავტორის ხელი შეუშალა ავადმყოფობამ. დადგენილი არის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე საჩივრის ავტორი მონვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სასამართლო სხდომაზე აპელანტი არ გამოცხადდა და სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობის თანახმად, 2011 წლის 20 ოქტომბერს, 19 საათსა და 20 წუთზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა მას ბინაზე აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება და დაუდგინა დიაგნოზი: არტერიული ჰიპერტენზია. პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ცნობაში აღნიშნული დიაგნოზი არ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე; პალატამ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორს მაინც შეეძლო სხდომაზე გამოცხადება და საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომა დანიშნული იყო 2011 წლის 20 ოქტომბერს, 16 საათზე, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ცნობაში კი მითითებულია, რომ მან სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს იმავე დღეს, 19 საათსა და 20 წუთზე, ე.ი სხდომის დასრულებიდან 3 საათის შემდეგ. ის, რომ საჩივრის ავტორს 19 საათზე განუვითარდა არტერიული ჰიპერტენზია, არ ამტკიცებს, რომ მას არ შეეძლო, მონაწილეობა მიეღო 3 საათით ადრე გამართულ სხდომაში.

ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 224-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. საჩივრის, გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე, სასამართლოსათვის თავის დროზე არ უცნობებია. აქედან გამომდინარე, ცნობაში მითითებულ ავადმყოფობას მართლაც რომ შეეშალა ხელი საჩივრის ავტორისათვის, საჩივარი მაინც უსაფუძვლო იქნებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ამხანაგობა ...ა-მ“ შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ სამართლებრივი შეფასების გარეშე გაიზიარა აპელანტის აღნიშნული არგუმენტაცია და იგი არ დაუკავშირა მოქმედი კანონმდებლობისა და ამხანაგობის წესდების ნორმებს. სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, ისარგებლოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებით. მოცემულ სადავო შემთხვევაში ამ კანონის ნორმის გამოყენება არის აბსოლუტურად უადგილო, არაკომპეტენტური და უსამართლო. ბუნებრივია, ამხანაგობის წევრები სარგებლობენ და მუდამ ისარგებლებენ ისეთი საერთო ქონებით როგორც არის: სადარბაზო, სხვენი, ეზო, კომუნიკაციები და სხვა. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება ამხანაგობის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის 241 კვ.მ კომერციულ ფართს, რომელსაც დღემდე სარგებლობდა უკანონოდ, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ამხანაგობის წევრი გ. მ-ე და სარგებლობს დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ გარიცხულია ამხანაგობის წევრობიდან.

სასამართლომ უკანონოდ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში, რომელშიც აღნიშნა, რომ დაუშვებელია, მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. სასამართლომ აღნიშნული დასკვნა გამოიტანა გარემოებათა გულმოდგინე შემოწმების გარეშე და გ. მ-ე მართლზომიერ მფლობელად მიიჩნია. სასამართლო სხდომის დღეს დილიდან სა-

ჩივრის ავტორი თავს გრძნობდა შეუძლოდ, ანუხებდა წნევა, რის გამოც, გადაავიწყდა, ეცნობებინა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის მიზეზები. სასამართლომ ეს არ გაიზიარა, მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილი ჰქონდა ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. მიღებულ განჩინებაში აღნიშნულია: „ავადმყოფობას მართლაც რომ შეეშალა ხელი საჩივრის ავტორისათვის, საჩივარი მაინც უსაფუძვლო იქნებოდაო“, რაც უსაფუძვლოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის კანონიერება დაასაბუთა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე და 393-ე მუხლები, ვინაიდან, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. აღნიშნული ნორმის შინაარსი სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა 387-ე მუხლით წესრიგდება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოპასუხის (მონინაალმდეგე მხარის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, თუ კუმულატიურად არსებობს რამდენიმე პირობა, ესენია: გამოუცხადებელი მხარე მონვეული იყო საქმის განხილვაში და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ; ადგილი არა აქვს რაიმე დაუძლეველ ძალას ან სხვა ისეთ მოვლენას, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია სწორად; მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებენ მის მოთხოვნას.

განსახილველ შემთხვევაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით ბინათმესაკუთრეთა ამახანაგობა „ამხანაგობა ...ა-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბერს დაკმაყოფილებულ იქნა გ. მ-ის წარმომადგენელ ე. მ-ის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, ვინაიდან, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მონინაალმდეგე მხარე, რომელიც სხდომის თაობაზე გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებაა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სსკ-ის 2321 მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მას არა აქვს ინტერესი, შეენინაალმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმცია). შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთგვარ სასჯელს წარმოადგენს უპასუხისმგებლო მხარისათვის. ამასთან, ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით იმპერატიულად განსაზღვრული გარემოებებისა და პირობების აშკარად, ეჭვის გარეშე არსებობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა პირის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.

კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორი მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ იყო იურიდიულად დასაბუთებული და დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს არ უნდა მიეღო. საკასაციო სასამართლო

იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს შემდეგს: თუ გამოცხადდა მოსარჩელე, მაგრამ არ გამოცხადდა მოპასუხე (მოწინააღმდეგე მხარე), სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ითვლება დამტკიცებულად, მაგრამ მოსარჩელის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის აუცილებელია ამ ფაქტის იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს ფაქტები ამართლებენ მოთხოვნას, იურიდიულად ასაბუთებენ მას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, მოსარჩელის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც უარს ეტყვის სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს, სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანია საერთო საკუთრების ქონების სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა. ბმა „ამხანაგობა ...ა-ს“ მოთხოვნას წარმოადგენდა გ. მ-ისათვის ბინათმესაკუთრეთა „ამხანაგობა ...ა-ს“ წევრებისათვის ამავე ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ბათუმში, რ-ას ქ. №8-ში მდებარე 241,27 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართით სარგებლობაში ხელშეშლის აკრძალვა. აღნიშნული მოთხოვნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა გ. მ-ემ. პალატამ სააპელაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნა იურიდიულად დასაბუთებულად მიიჩნია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, ისარგებლოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებით. აღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სადავო ქონებით სარგებლობის უფლება აქვს ამხანაგობის ნებისმიერ წევრს, ამასთან, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სარგებლობა არ უნდა ემსახურებოდეს კერძო ინტერესს. შესაბამისად, გ. მ-ეს არა აქვს უფლება, აღნიშნული ქონებით ისარგებლოს, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ხელი შეუშალოს დანარჩენ მესაკუთრეებს სადავო ფართით სარგებლობაში.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილთან დაკავშირებით, რომლითაც სააპელაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნა იურიდიულად დასაბუთებულად მიიჩნია.

აღნიშნული ნორმით, დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში მის კუთვნილებად ითვლება ნივთისა და უფლების ნაყოფი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ნივთზე იურიდიული ბატონობას. დაუშვებელია, მხოლოდ მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. მფლობელობა არამართლზომიერია (არაკანონიერი) იმ შემთხვევაში, როდესაც მფლობელს არ გააჩნია და, ამდენად, არ შეუძლია წარმოადგინოს სამართლებრივი საფუძველი მის მიერ ამ ნივთის ფლობის უფლების დასადასტურებლად.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. მ-ე წლების განმავლობაში დამოუკიდებლად ფლობს და სარგებლობს ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული სადავო ქონებით. ამხანაგობის სხვა წევრებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, ისარგებლონ სადავო საერთო საკუთრების ფართით, რისი უფლებაც მათ გააჩნიათ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით. გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი აღნიშნულის საწინააღმდეგო რაიმე იურიდიულ დასაბუთებას არ მოიცავს.

გ. მ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და მოსარჩელეებისათვის (თანამესაკუთრეებისათვის) საერთო საკუთრების ქონებით სარგებლობის მოთხოვნაზე უარის თქმას. საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია, მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. გ. მ-ე სრულუფლებიან მესაკუთრეს წარმოადგენს, მაგრამ ამავდროულად მისი საკუთრების უფლება თანამესაკუთრეთა უფლებებით არის შეზღუდული. სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თითოეულ მონილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მონილეთა სარგებლობას, ხოლო ამავე კანონის 957-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცალკეული მონილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება. აღნიშნული ნორმები იმპერატიულად ერთმნიშვნელოვნად ადგენს საზიარო ნივთით თანამესაკუთრეთა თანაბარი უფლებებით სარგებლობას, თუკი მხარეთა შორის სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს. მესაკუთრის მიერ საკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობის შეზღუდვას სათანადო დასაბუთების გარეშე კანონი არ იცნობს. კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს ის ობიექტური ფაქტორი, რომელიც მისცემდა უფლებას მოპასუხეს, ესარგებლა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონებით, არა როგორც თანამესაკუთრეს, არამედ ინდივიდუალურად, მხოლოდ მისი ინტერესების ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის „იურიდიულად გამართლებად“ სწორედ მხარის მიერ მოთხოვნილი უფლების კანონთან შესაბამისობაში ყოფნას გულისხმობს, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბმა „ამხანაგობა ...ა-ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ზ ი ნ ა:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ამხანაგობა ... ა-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრება

ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

განჩინება

№ას-1240-1260-2011 7 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საიჯარო ხელშეკრულების დადებულად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ი. გ-ის, ლ. გ-ისა და ვ. ი-ის მიმართ და მოითხოვა: დადებულად იქნას ცნობილი ქ. თბილისში, ..., დ-ის ქუჩა №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე ი. გ-ეს, ლ. გ-ესა და ვ. გ-ს შორის არსებული საიჯარო ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების 10-წლიანი ვადით საიჯარო ქირის თვეში 4000 აშშ დოლარის გადახდა და მოიჯარისთვის ქვეიჯარის გაცემის უფლებით; ი. გ-ეს, ლ. გ-ესა და ვ. გ-ს შორის განსაზღვრული პირობებით დადებული საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეიჯარის უფლება-მოვალეობები გადავიდეს ვ. ი-ის სახელზე შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 1-ლ ივნისს ლ. და ი. გ-ებთან ზეპირი ფორმით დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ იჯარით აიღო ლ. და ი. გ-ების კუთვნილი ქ. თბილისში, დ-ის ქუჩა №2-ში მდებარე უძრავი ქონება. შეთანხმების საფუძველზე ვ. გ-ი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით შენობაზე ჩატარებინა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები მეიჯარეების მიერ შეკვეთილი და სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებული მშენებლობის პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით. სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში მეიჯარეებისთვის საიჯარო ქირის სახით უნდა გადაეხადა 2000 აშშ დოლარი. სამუშაოების დასრულების შემდეგ მხარეებს შორის წერილობით უნდა გაფორმებულიყო იჯარის ხელშეკრულება 10 წლის ვადით, საიჯარო ქირად კი უნდა განსაზღვრულიყო თვეში 4000 აშშ დოლარი. მოიჯარეს მიეცა უფლება, სამუშაოების ა და დასრულების შემდეგ ქვეიჯარით გაექირავენა ფართი. ვ. გ-მა 2008 წლის ივნისიდან 2009 წლის ნოემბრამდე ჩაატარა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. 2008 წლის 1-ლი ივნისიდან 2009 წლის დეკემბრამდე მეიჯარეებს სრულად გადაუხადა საიჯარო ქირა, ყოველთვიურად 2000 აშშ დოლარი. 2009 წლის დეკემბერში და 2010 წლის იანვარში საიჯარო ქირის სახით მეიჯარეებს გადაუხადა 8000 აშშ დოლარი. მეიჯარეებმა 2009 წლის დეკემბერში წარმოუდგინეს საიჯარო ხელშეკრულების პროექტი, სადაც საიჯარო ქირის სახით მოითხოვეს 4500 აშშ დოლარი, რასაც არ დაეთანხმა. მოგვიანებით ლ. და ი. გ-ებმა მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გაასხვისეს ვ. ი-ის სახელზე. მეიჯარემ წარმოადგინა ხელშეკრულების ახალი პროექტი, იმ პირობებით, რაც არღვევს ადრე არსებულ ზეპირ შეთანხმებას.

ლ. გ-ემ, ი. გ-ემ და ვ. ი-მა წარმოდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მოითხოვეს ვ. გ-ისთვის ლ. და ი. გ-ების სასარგებლოდ 67000 აშშ დოლარისა და 2450 ევროს დაკისრება; ვ. ი-ის სასარგებლოდ საიჯარო ქირის, 6000 აშშ დოლარისა და 1050 ევროს, ასევე 2010 წლის პირველი ივლისიდან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ყოველთვიურად 4000 აშშ დოლარისა და 700 ევროს დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: ვ. გ-ს 2008 წლის პირველ ივნისს იჯარით გადაეცა ლ. გ-ის და ი. გ-ის კუთვნილი უძრავი ქონება. საიჯარო ხელშეკრულება დაიდო ხუთი წლის ვადით, რომელიც მესაკუთრის თანხმობით შეიძლება გაგრძელებულიყო კიდევ 5 წლით. უძრავ ნივთზე ვ. გ-ს 2008 წლის ოქტომბრამდე უნდა ჩატარებინა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, თუმცა, აგვისტოს ომის გამო, მხარეთა შეთანხმებით სარემონტო სამუშაოების დამთავრებამ გადაინია 2009 წლის პირველ იანვრამდე. 2008 წლის პირველი ივნისიდან 2009 წლის პირველ იანვრამდე გადასახდელი საიჯარო ქირა შეადგენდა ყოველთვიურად 2000 აშშ დოლარს. რემონტის დასრულებიდან საიჯარო ქირა გაიზარდა და შეადგენდა ყოველთვიურად 4000 აშშ დოლარს, ხოლო 2010 წლის იანვრიდან ყოველთვიურად 4000 აშშ დოლარს, და 700 ევროს. ლ. გ-ემ კუთვნილი უძრავი ქონება 2010 წლის 17 მარტს მიჰყიდა ვ. ი-ს, რომელმაც 2010 წლის 27 აპრილს იყიდა ი. გ-ის

კუთვნილი უძრავი ქონებაც. ი. და ლ. გ-ებს ვ. გ-ისგან მიღებული აქვთ მხოლოდ 11500 აშშ დოლარი. ვ. ი-ს საიჯარო ქირა ვ. გ-ისგან არ მიუღია.

მოპასუხე ვ. გ-მა შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2008 წლის 27 ოქტომბრის მშენებლობის სანებართვო მონებობის საფუძველზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყების განისაზღვრა 2008 წლის 5 ნოემბერი, ხოლო კი თარიღად 2009 წლის 5 მაისი. სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა 2009 წლის 5 მაისამდე, ხოლო შიდა კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა 2009 წლის ნოემბერში. ვ. გ-ი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში შეთანხმებულ საიჯარო ქირას – 2000 აშშ დოლარს, ლ. და ი. გ-ის თანხმობით, უხდიდა რ. გ-ეს. 2009 წლის აპრილიდან კი, ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილი უთანხმოების გამო, 1000 აშშ დოლარს უხდიდა ი. გ-ეს, ხოლო 2009 წლის 1 დეკემბრამდე 1000 აშშ დოლარს – რ. გ-ეს 2009 წლის დეკემბერსა და 2010 წლის იანვარში საიჯარო ქირის სახით ი. გ-ეს გადასცა 4000 აშშ დოლარი, ხოლო რ. გ-ეს – 4000 აშშ დოლარი. ვ. გ-ი 2010 წლის თებერვლიდან რ. გ-ეს ყოველთვიურად უხდის შეთანხმებულ საიჯარო ქირას – 2000 აშშ დოლარს. მას გაზრდილი საიჯარო ქირის – 4000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ მოპასუხე მხარესთან წერილობითი ფორმით ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ვ. ი-ის, ი. გ-ისა და ლ. გ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ვ. გ-ს ი. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის – 17 250 აშშ დოლარის გადახდა. ვ. გ-ს ლ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის – 16 250 აშშ დოლარის გადახდა. ვ. გ-ს ვ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის – 9400 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო ვ. გ-ს ვ. ი-ის სასარგებლოდ 2011 წლის 1-ლი იანვრიდან დაეკისრა 2000 აშშ დოლარის გადახდა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ და მოპასუხებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივნისის განჩინებით ვ. გ-ის, ი. გ-ის, ლ. გ-ისა და ვ. ი-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2008 წლის პირველ ივნისს ერთი მხრივ, ვ. გ-სა და მეორეს მხრივ, ი. და ლ. გ-ებს შორის ზეპირი ფორმით დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ვ. გ-ს იჯარით გადაეცა გ-ების თანასაკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, დ-ის ქუჩა №2-ში მდებარე უძრავი ქონება. მხარეთა შეთანხმების მიხედვით, მოიჯარე ვ. გ-ს უძრავ ქონებაზე უნდა ჩაეტარებინა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები კომერციული საქმიანობის დაწყების მიზნით, რის შემდეგაც მხარეები წერილობით გააფორმებდნენ იჯარის ხელშეკრულებას. საიჯარო ქირის ოდენობა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში განისაზღვრა 2000 აშშ დოლარით. 2009 წლის პირველ დეკემბერს ვ. გ-მა დაასრულა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები და 8 დეკემბერს დაინყო კომერციული საქმიანობა, თუმცა მხარეთა შორის წერილობითი ფორმით საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოხერხდა ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებლობის გამო. 2010 წლის 17 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ლ. გ-ემ ქ. თბილისში, ..., დ-ის ქ. №2-ში მდებარე უძრავი ქონების S ნაწილი მიჰყიდა ვ. ი-ს, ხოლო 2010 წლის 27 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ი. გ-ემ ამავე უძრავი ქონების S ნაწილი აჩუქა ვ. ი-ს. 2010 წლის 27 აპრილიდან ქ. თბილისში, ..., დ-ის ქუჩა №2-ში მდებარე უძრავი ქონების ერთადერთ მესაკუთრეს წარმოადგენს ვ. ი-ი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და განმარტა: გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად არ იქნა გაზიარებული ვ. გ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას მეიჯარეებისათვის სრულად ჰქონდა გადახდილი ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირა თვეში 2000 აშშ დოლარის ოდენობით. საქალაქო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 427-ე, 431-ე მუხლები და 429-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელთა საფუძველზეც დაადგინა, რომ ვალდებულების შესრულების შესახებ დავისას, მოვალეს აკისრია მტკიცების ტვირთი და ვალის გადახდა სათანადო საბუთით უნდა დადასტურდეს. მოვალე უფლებამოსილია კრედიტორისაგან მოითხოვოს შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავსად წესრიგდება ვალის არსებობის დამამტკიცებელი დოკუმენტის – სავალო საბუთის კრედიტორისაგან გამოთხოვის საკითხიც. ვალდებულება შესრულებულად და შესაბამისად, შეწყვეტილად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვლოს, თუ სავალო საბუთი მოვალე ფლობს. ვ. გ-ის განმარტებით, მას სრულად ჰქონდა გადახდილი საიჯარო ქირა. მოპასუხეები ლ. და ი. გ-ეები აღიარებდნენ საიჯარო ქირის სახით მხოლოდ 11 500 აშშ დოლარის მიღებას, ვ. ი-ი კი, საერთოდ არ აღიარებდა საიჯარო ქირის მიღების ფაქტს, თუმცა სასამართლოში მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი იყო ლიბერთი ბანკის შემოსავლის ორდერები და სახალხო გზავნილები, რომლებითაც დასტურდება, რომ რ. გ-ის მეშვეობით ვ. გ-ს ვ. ი-ისთვის საიჯარო ქირის 2010 წლის ივლის-დეკემბერში გადახდილი აქვს 7600 აშშ დოლარი. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, პალატამ მიუთითა, რომ ვ. გ-ი ვალდებული იყო ი. გ-ისათვის გადაეხდა 17 250 აშშ დოლარი; ლ. გ-ესთვის – 16250 აშშ დოლარი; ვ. ი-ისათვის – 9400 აშშ დოლარი და 2011 წლის იანვრიდან საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტამდე ყოველთვიურად 2000 აშშ დოლარი. სააპელაციო პალატამ, დაუსაბუთებლობის გამო, არ გაიზიარა ვ. გ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე ქირა სრულად აქვს გადახდილი უფლებამოსილი პირისათვის – რ. გ-ისათვის, რის გამოცხელახლა მას აღარ უნდა დაეკის-

რებოდა უკვე შესრულებული ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც კრედიტორმა უნდა შეასრულოს ვალდებულება. ასეთად პირველ რიგში ითვლება უშუალოდ კრედიტორი. ამასთან, ეს უკანასკნელი არ არის ერთადერთი პირი, რომლის მიმართაც შეიძლება შესრულდეს ვალდებულება.. ასეთი შეიძლება იყოს სახელშეკრულებო ან კანონისმიერ წარმომადგენელი. შესრულებაზე უფლებამოსილი პირი სასამართლო გადაწყვეტილებითაც შეიძლება განისაზღვროს. ვ. გ-ის მიერ არ წარმოუდგენია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ რ. გ-ე წარმოადგენდა უფლებამოსილ პირს მიეღო მოვალე ვ. გ-ს მისთვის ვალდებულება შესრულებინა ის, რაც განკუთვნილი იყო კრედიტორების: ი. გ-ის, ლ. გ-ისა და ვ. ი-ისათვის. შესრულება შეიძლება მიიღოს არაუფლებამოსილმა პირმაც, ოღონდ საამისოდ აუცილებელია კრედიტორის თანხმობა. თანხმობა შეიძლება იყოს წინასწარი, ან შემდგომი. თანხმობით სწორდება არაუფლებამოსილების ნაკლი. საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ კრედიტორებს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული თანხმობა გაცემული ჰქონდათ რ. გ-ის სახელზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვ. გ-ს სადავო საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება ი. და ლ. გ-ეების მიმართ შესრულებულად უნდა ჩაეთვალოს მხოლოდ იმ მოცულობით, რამდენადაც ეს უკანასკნელები აღიარებენ მის მიღებას. მითითებული შესრულება შეადგენს 11 500 აშშ დოლარს ანუ თოთოეულზე 5 750 აშშ დოლარს. რაც შეეხება ვ. ი-ის მიმართ შესრულებულ ვალდებულებას, პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სწორად შეაფასა საქმეში არსებული ლიბერტი ბანკის შემოსავლის ორდერები და სახალხო გზავნილები, რომლებითაც დასტურდება, რომ რ. გ-ის მეშვეობით ვ.გ-ს ვ. ი-ისთვის საიჯარო ქირის სახით 2010 წლის ივლის-დეკემბერში გადახდილი აქვს 7 600 აშშ დოლარი. ამასთან არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები.

პალატამ არ გაიზიარა ი. გ-ის, ლ. გ-ისა და ვ. ი-ის სააპელაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ რადგან თავად ვ. გ-ის მიერ იქნა აღიარებული, რომ 2009 წლის დეკემბერსა და 2010 წლის იანვარში 4000-4000 აშშ დოლარი გადაუხადა მეიჯარეებს, ამიტომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი და დადასტურებულად უნდა ჩაეთვალოს ვ. გ-ის ვალდებულება იმის შესახებ, რომ სადავო ობიექტზე რემონტის დამთავრების შემდეგ მეიჯარეებისათვის საიჯარო ქირის სახით უნდა გადაეხადა თვეში 4000 აშშ დოლარი და განმარტა: დადგენილია, რომ 2009 წლის დეკემბერსა და 2010 წლის იანვარში ეს „შესრულებები“ არ განხორციელებულა უფლებამოსილი პირების – ი. და ლ. გ-ეების მიმართ. შესაბამისად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ასეთი „შესრულება“ ვერ ჩაითვლება კანონიერ შესრულებლად ანუ იმ შესრულებლად, რომელიც ნაგულისხმევია განსახილველ ნორმაში.

პალატამ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის გათვალისწინებით, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება ვ. გ-ის სარჩელის უსაფუძვლობის შესახებ, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში, ვ. გ-ს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ი. გ-ეს და ლ. გ-ეს გამოვლენილი ჰქონდათ ნება მასთან საიჯარო ხელშეკრულების სწორედ ამ პირობებით დადების შესახებ. პალატამ არ გაიზიარა აპელანტ ვ. გ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს და განმარტა, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია დადგენილად მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობის არსებობა იმ პირობებით, რაზეც მხარეების შეთანხმდნენ 2008 წლის 1-ლ ივნისს შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების დამთავრების პერიოდამდე. საგულისხმოა ის, რომ საიჯარო ხელშეკრულების იმ პირობებზე, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ ამ პერიოდისათვის და რაც სასამართლომაც დაადასტურა, მოცემული დავის განხილვისას არც ერთ მხარეს სადავოდ არ გაუხდია. ამასთან, ეს ფაქტი, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ხელისშემშლელი სასამართლოსათვის, რათა მას უარი ეთქვა ვ. გ-ისათვის საიჯარო ხელშეკრულების იმ პირობებით დადებულად ცნობაზე, რასაც ის მოითხოვდა და რაზეც არ არსებობდა ხელშეკრულების მეორე მხარის – ი. და ლ. გ-ეების ნამდვილი ნება. ამ გარემოების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ ვ. გ-ის მოთხოვნაზე მხარეებს შორის იჯარის ხელშეკრულების წერილობით 10 წლის ვადით დადების, საიჯარო ქირის 4 000 აშშ დოლარით განსაზღვრის და ქვეიჯარის უფლების თაობაზე მოპასუხეების მხრიდან არ იქნა მიღებული თანხმობა. ასევე, ვ. გ-ის მიერ მოპასუხეების წინადადება ხელშეკრულების 5 წლით დადების, საიჯარო ქირის 4000 აშშ დოლარით და 700 ევროთი განსაზღვრის თაობაზე არ იქნა მიღებული. შესაბამისად, ძალაში რჩებოდა მხარეებს შორის 2008 წლის პირველ ივნისს ზეპირი ფორმით მიღწეული შეთანხმება საიჯარო ქირის 2000 აშშ დოლარით განსაზღვრის თაობაზე, რაც გამორიცხავდა ვ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებას. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში, ვ. გ-მა ვერ დაადასტურა, რომ 2008 წლის 1-ლ ივნისს იგი ი. და ლ. გ-ეებს შეუთანხმდა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ იჯარის ხელშეკრულების იმ პირობებით გაფორმებაზე, რაც მას მითითებული ჰქონდა სარჩელში. სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი ხელშეკრულების დადების ფაქტს უკავშირებს სწორედ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლების დებულებათა შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მის მიერ მითითებული პირობებით ხელშეკრულების დადების ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. გ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: პალატამ ვ. გ-ის მიერ სარჩელში მითითებული ყველა ფაქტობრივი გარემოება ცნო დადგენილად, მაგრამ სარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ისე, რომ განჩინებაში არ არის დასაბუთებული სარჩელის

მოთხოვნად მითითებული იჯარის კონკრეტული პირობების დადგენილად ცნობაზე უარის თქმის საფუძველი. საქმეში არსებული მტკიცებულებების არასწორი შეფასებით დაკმაყოფილებულ იქნა შეგებებული სარჩელი. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილად იქნა ცნობილი მხარეებს შორის საიჯარო ხელშეკრულების არსებობა, მაგრამ არ იქნა გაზიარებული რაიმე პირობების არსებობა და სარჩელის დაკმაყოფილებას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მთლიანად უარი ეთქვა. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებული იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ ისე, რომ სადავო განჩინების სამოტივაციო ნაწილით დამატებით დადგენილად იქნა ცნობილი ვ. გ-ის მიერ ქ.თბილისში, დ-ის ქ.№2-ში მდებარე ი. და ლ. გ-ეების კუთვნილი ვ. გ-ის მიერ იჯარით აღებული შენობა-ნაგებობაზე სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების ვალდებულება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რის შემდეგაც მხარეები გააფორმებდნენ წერილობით იჯარის ხელშეკრულებას. ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა სარეკონსტრუქციო სარემონტო-სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საიჯარო ქირის ოდენობა 2000 აშშ დოლარის ოდენობით და ის ფაქტი, რომ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ვ. გ-მა დაასრულა 2009 წლის პირველ დეკემბერს, დაიწყო კომერციული საქმიანობა, თუმცა მხარეებს შორის საიჯარო წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოხერხდა ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეუთანხმებლობის გამო. სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილი ენიშნავდა მის სამოტივაციო ნაწილს, რაც იმაში გამოიხატება რომ სასამართლო დადგენილად ცნობს იმ გარემოებებს, რომლებზე დაყრდნობითაც ვ.გ-ი ითხოვს საიჯარო ხელშეკრულების დადებულად ცნობას სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაგრამ უარს ეუბნება მას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა მონიშნულ მხარის მოთხოვნაზე საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ისე რომ მხარეს მოთხოვნა არ მოუხსნია. სასამართლოს მიერ უტყუარად დადგენილია, რომ საიჯარო ხელშეკრულება ვ. გ-ს ი. გ-ესა და ლ. გ-ეს შორის დაიდო რ. გ-ის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენდა ი. და ლ. გ-ებს, მისი მეშვეობით შეთანხმდა სასამართლოს მიერ დადგენილი, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით სამართლებრივ ჩარჩოში არმოქცეული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ წერილობითი ფორმით საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების პირობები, მას უნდა მიეღო საიჯარო ქირა ვ. გ-ისაგან. რ.ი გ-ე თავისი ხელწერილით ადასტურებს, რომ საიჯარო ქირას ის ლეზლობდა ვ. გ-ისაგან – ი. და ლ. გ-ეების თანხმობით, ამ თანხმობის არსებობას არც ი. გ-ე უარყოფს, ე.ი არსებობს სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლით გათვალისწინებული თანხმობა და ამავე კოდექსის 373-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვ. გ-ის მიერ რ. გ-ის წინაშე 2008 წლის პირველი ივნისიდან 2010 წლის აპრილ-მაისამდე თანხის გადაცემა, უნდა ჩაითვალოს შესრულებად. სასამართლომ ასევე უდავოდ დადგინო ფაქტობრივ გარემოებად ცნო, რა ვ. ი-ის მიერ საიჯარო ფართის შექმნის ფაქტი, სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არ დააკმაყოფილა მოთხოვნა, ამავე კოდექსის 572-ე მუხლის მიხედვით ქონების ახალ შემძენზე უფლება-მოვალეობის გადასულად ცნობის შესახებ და ახალი შემძენის სასარგებლოდ ვ. გ-ს სამართლებრივი საფუძვლისა და ვალდებულების გარეშე დააკისრა საიჯარო ქირის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მითითებული ნორმის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამომწებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, სამართლებრივი შეფასების სისწორეს, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიული ფაქტების შესაბამისობას სამართლის ნორმის შემადგენლობასთან, შინაარსთან. სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმება შეუძლებელია, თუ გადაწყვეტილებით სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები. ამასთან, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთებული და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზიის), შემთხვევაში შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიული ფაქტების – გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ანუ შეამოწმოს, დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნა სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შესახებ.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის არასწორი გამოყენება, რაც გამოიწვია საქმეში წარმოდგენილი და საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მტკიცებულებების არასრულმა გამოკვლევამ და შეფასებამ, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლით, მოვალე ვალდებულია, შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია, მიიღოს შესრულებული

ბა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც მოვალემ უნდა განახორციელოს ვალდებულების შესრულება. ასეთად პირველ რიგში ითვლება უშუალოდ კრედიტორი, შესრულების მიმღები შეიძლება იყოს კანონით (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი წარმომადგენელი) ან სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული შესრულებაზე უფლებამოსილი პირი. აღნიშნული ნორმის მეორე ნაწილით ვალდებულების შესრულება შეიძლება ჯეროვნად განხორციელებულად ჩაითვალოს მაშინაც კი, როდესაც შესრულება მიიღო არაუფლებამოსილმა პირმა, თუმცა მას ამ მოქმედების განხორციელებისთვის კრედიტორის თანხმობა ჰქონდა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი.

ვ. გ-ი მის მიერ ვალდებულების შესრულების განხორციელების დასადასტურებლად უთითებდა კრედიტორების ი. გ-ის, ლ. გ-ისა და ვ. ი-ისათვის განკუთვნილი ვალდებულების – საიჯარო ქირის მათი ოჯახის წევრ რ. გ-ისათვის გადაცემის თაობაზე, რომელსაც მოპასუხეებისაგან თანხის მიღების უფლებამოსილება გააჩნდა.

აღნიშნული სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. გ-ს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ რ. გ-ე კრედიტორების ი. გ-ის, ლ. გ-ისა და ვ. ი-ის უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა და მას შეეძლო, მოვალე ვ. გ-ისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება მიეღო.

ვ. გ-ი დასახელებული გარემოების დასადასტურებლად უთითებდა საქმეში წარმოდგენილ კონკრეტულ მტკიცებულებაზე – სისხლის სამართლის საქმეში ი. გ-ისა და ვ. ი-ის მიერ მიცემულ ჩვენებებზე, რომლებშიც სადავო ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში რ. გ-ის მონაწილეობასთან და უფლებამოსილებასთან დაკავშირებით განმარტებებია მოცემული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ ყველა მტკიცებულებას, როგორც ინდივიდუალურად ასევე ერთობლიობაში და მათი ურთიერთშეჯერებისა და იურიდიული ძალის შეფასების შემდეგ დაადგინოს სადავო ფაქტობრივი გარემოების არსებობა არარსებობის საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს იმ მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ამყარებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დამოკიდებულებას მხოლოდ ისეთი მტკიცებულების შეგროვებაზე, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს ადასტურებენ. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესებიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სასამართლომ, სამოქალაქო საქმეზე კანონით დადგენილი წესით (დასაშვებობისა და განკუთვნილობის პრინციპით) მიღებული ყველა მტკიცებულება უნდა შეაფასოს სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა რა მხარის მიერ დასახელებულ მტკიცებულებებზე და გადანყვეტილებაში არ მიუთითა იმ მოსაზრებებზე, რომლებითაც უარყო მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ დასკვნის გამოტანის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიკვლიოს და შეაფასოს კასატორის მიერ დასახელებული მტკიცებულება. აღნიშნულის გარეშე ეჭვქვეშ დგება შეგებულ სარჩელზე მოპასუხე ვ. გ-ის ძირითადი არგუმენტი საიჯარო ქირის გადახდის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ რ. გ-ის უფლებამოსილების საკითხთან დაკავშირებით უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს მოდავე მხარის მიერ მისი მოსაზრების დასადასტურებლად მითითებული ყველა მტკიცებულება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოიტანოს დასკვნები ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობისა და სათანადო სამართლებრივი შეფასების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დელიქტური ვალდებულება. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

განჩინება

№ას-507-481-2011

30 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეცი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. შ-ის მიმართ მოპასუხის მიერ სარდაფში ჩატარებული სარე-
მონტო სამუშაოებისა და სახლზე სახურავის დადგმის შედეგად მისთვის მიყენებული მატერიალური ზიან-
ის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე მ. შ-ს არ აძლევს უფლებას, გაყიდოს ბინა, რადგანაც სურს საცხოვრებელი სახლის გაერ-
თიანება, მოპასუხე აყენებს ზიანს, კერძოდ, მოპასუხემ გააჩინა ხანძარი, მისაკუთრა მოსარჩელის კუთ-
ვნილი ტერიტორია, დააზიანა ოთახის კედელი, ხოლო ს. მ-ის კუთვნილი სახლის საძირკვლის ქვეშ სარდა-
ფის მოწყობით დააზიანა სახლის კედლები, მოპასუხემ მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ მიისაკუთრა
სახლის კედელი და დაადგა სახურავი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ ს. მ-ისათვის არანაირი ზიანი მიუყენებია.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ს.
მ-ის სარჩელი, რაც ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინე-
ბით ს. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2010 წლის
18 მარტის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვე-
პუნქტის საფუძველზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ
ქ.ახალქალაქში, თ-ის (ყოფილი მ-ის) ქ. №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის 1/2 ნაწილის
მესაკუთრეა მოსარჩელე ს. მ-ი. ქ.ახალქალაქში, ტ-ის ქ. №1-ში მდებარე სახლის მესაკუთრეა მოპასუხე მ.
შ-ი. მოსარჩელისა და მოპასუხის საცხოვრებელი სახლები მდებარეობს ერთმანეთის მეზობლად და გააჩ-
ნიათ საერთო გამყოფი კედელი. მოსარჩელე ს. მ-ი, სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხის მ. შ-ის
(ს-ი) სახლის სახურავიდან წვიმისა და თოვლის წყლის ჩამოსვლის შედეგად დაზიანდა მისი სახლის კედ-
ლები, ჭერი და იტაკი, ხოლო მოპასუხის მიერ მისი სახლის კედელთან სარდაფის მოწყობით დაიზარა სახ-
ლის კედლები. სადავო საკითხის გადასაწყვეტად დაინიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა. სასამარ-
თლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 9 ნოემბრის №5995/04/18/19 დასკვნაზე დაყრდნობით
სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მ. შ-ს სახლის სახურავი მოწყობილი აქვს იმგვარად, რომ ტექ-
ნიკურად შეუძლებელია აღნიშნულ სახურავზე მოხვედრილი ატმოსფერული ნალექების ჩადინება მოსარ-
ჩელის ბინის სახურავზე, ვინაიდან მოპასუხის ბინის სახურავს დაქანება აქვს ტ-ის ქუჩის მხრიდან და არა
მოსარჩელის ბინის სახურავის მხრიდან, ასევე, მოპასუხის სახლის სახურავს მოწყობილი აქვს წყალმიმ-
ღები და წყალშემკრები სისტემა, რაც ასევე გამორიცხავს მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ბინაში ატ-
მოსფერული ნალექების მოხვედრას. მ. შ-ის საცხოვრებელ სახლის ერთი ოთახის ქვეშ განთავსებულია
სარდაფი, არსებული სახლების ურთიერთგანლაგებიდან გამომდინარე, ასევე სარდაფის გაბარიტული ზო-
მების, კონფიგურაციის და სარდაფიდან მოსარჩელის საცხოვრებელ სახლამდე არსებული დისტანციის
გათვალისწინებით, ტექნიკურად შეუძლებელია მოპასუხე მ. შ-ის მიერ თავის საცხოვრებელ სახლში სარ-
დაფის მოწყობით. მ-ის საცხოვრებელ სახლს მიდგომოდა ზიანი.

სააპელაციო პალატამ სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი ქორწინების მოწმობით დაადგინა, რომ
მოწინააღმდეგე მხარის გვარი „შ-ი“ არის ქორწინებამდელი გვარი, ხოლო ქორწინების შემდეგ მას მიე-
კუთვნა გვარი „ს-ი“.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების
სამართლებრივი შეფასება, კერძოდ ის, რომ მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულება
მ. შ-ის (ს-ის) მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლზე და გაიზიარა ექსპერტის დასკვნის მითითება, რომ მოპასუხის მიერ
ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდება, ამასთან, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მხარე-
ებს ექსპერტიზის დასკვნის გაცნობის შემდეგ დასკვნასთან მიმართებით პრეტენზიები არ გამოუთქვამთ.

სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე და 105-ე მუხლებზე მითითებით განმარტა,
რომ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენდა საქმეში არსებულ ერთადერთ მნიშვნე-
ლოვან მტკიცებულებას, რომლის საფუძველზეც დაასკვნა, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები არ

დასტურდებოდა და, შესაბამისად, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

საქმის განმხილველმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლითა და 412-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების და სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. მ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები, ასევე 162-ე მუხლის დანაწესი, რადგანაც ექსპერტს არ დაუსვა ის კითხვები, რაც დასკვნის შესადგენად იყო საჭირო და დადასტურებდა ზიანის მიყენების ფაქტს, აღნიშნულის თაობაზე მითითებული იყო სააპელაციო საჩივარშიც, თუმცა სასამართლომ ეს მითითება არ გაიზიარა.

კასატორის განმარტებით, იგი მოითხოვდა სახლზე სახურავის დადგამდე მიყენებული ზიანის ანაზღაურებასაც, რადგანაც ამ დროს დაზიანდა მისი უძრავი ქონება, ამასთან ახალი გადახურვა, მართალია, დახრილია საპირისპირო მხარეს, მაგრამ კასატორს არ ეძლევა საშუალება საკუთარი სახლის გადახურვისა, ვინაიდან საყრდენი ბოძების დადგმის საშუალება არაა, ამასთან, ზამთარში მოწინააღმდეგე მხარის სახლის სახურავიდან ჩამოცვენილი თოვლისაგან სახლის გათავისუფლების შესაძლებლობა მოსარჩელეს არ გააჩნია ინვალიდობის გამო.

კასატორის განმარტებით, მ. ს-მა სარდაფის მოწყობისას გამოიყენა პნევმატული იარაღი, რომლის ძლიერმა ბიძგებმა დააზიანა ს. შ-ის სახლის კედლები და, სახლის დანგრევის თავიდან აცილების მიზნით, კასატორი იძულებული გახდა, გაემაგრებინა სახლის კედლები. რაც შეეხება სარდაფის არსებობას, კასატორის განმარტებით, სარდაფის არსებობა მას არასოდეს აყენებდა ზიანს და აღნიშნულის თაობაზე პრეტენზიასაც არ აცხადებდა, არამედ მოითხოვდა სარდაფის მოწყობისას პნევმატური იარაღის გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინებით ს. მ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინებისა და მხარის საკასაციო პრეტენზიების ანალიზის საფუძველზე თვლის, რომ ს. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

დასახელებული ნორმისა და ს. მ-ის საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე დადგენილ გარემოებას, რომ ქ.ახალქალაქში, თ-ის (ყოფილი მ-ის) ქ.№2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის 1/2 ნაწილის მესაკუთრეა მოსარჩელე ს. მ-ი. ქ.ახალქალაქში, ტ-ის ქ. №1-ში მდებარე სახლის მესაკუთრეა მოპასუხე მ. შ-ი. მოსარჩელისა და მოპასუხის საცხოვრებელი სახლები მდებარეობს ერთმანეთის მეზობლად და გააჩნიათ საერთო გამოყოფი კედელი.

საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 18 მარტის სხდომს ოქმით უტყუარად დასტურდება, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მოპასუხის სახლის სახურავიდან წვიმისა და თოვლის წყლის ჩამოსვლით, ასევე სარდაფის მოწყობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. საქმეში წარმოდგენილი 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო პალატის მითითებისა და მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე დაინიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად: ა) შესაძლებელია თუ არა მიაღწეს ზიანი ს. მ-ის საცხოვრებელ სახლს მ. შ-ის საცხოვრებელი სახლის სახურავიდან ჩამონადენი თოვლისა და წვიმის წყლისაგან და ზიანის მიყენების შემთხვევაში რა ოდენობის შეიძლება იყოს ეს ზიანი; ბ) შესაძლებელია თუ არა მოპასუხე მ. შ-ის მიერ თავის საცხოვრებელ სახლში სარდაფის მოწყობით ს. მ-ის საცხოვრებელ სახლს მიდგომოდა ზიანი და ზიანის მიყენების შემთხვევაში რა ოდენობის შეიძლება იყოს ეს ზიანი.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ეროვნული ბიუროს“ 2009 წლის 9 ნოემბრის დასკვნით დადასტურებულია, რომ სახლების ურთიერთგანლაგებიდან გამომდინარე, ასევე მოპასუხის საცხოვრებელი სახლის სახურავის კონფიგურაციის, მასზე მოწყობილი წყლის გადაყვანი სისტემებისა და სახურავის დაქანების გათვალისწინებით, მოსარჩელის კუთვნილი სახლის დაზიანება წარმოქმნილი ატმოსფერული ნალექებით შეუძლებელია. სასამართლოს მეორე შეკითხვაზე ექსპერტის დასკვნა ასევე კატეგორიული ხასიათისაა და გადმოცემულია სარდაფის მოწყობით მოსარჩელის კუთვნილი სახლის დაზიანების შეუძლებლობის ფაქტი.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში არსებულ 2009 წლის 15 სექტემბრისა და 2010 წლის 18 მარტის სხდომის ოქმებზე. მითითებული ოქმების შესწავლით დასტურდება, რომ მოსარჩელე ს. მ-ს არც ექსპერტიზის დანიშვნის ეტაპზე გაუხდია სადავოდ საექსპერტო კვლევისათვის დასმული კითხვები და არც ექსპერტის დასკვნის სასამართლო სხდომაზე გამოკვლევისას მიუთითებია რაიმე არსებით უსწორობაზე, აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ მხარე ეჭვქვეშ აყენებს ექსპერტის დასკვნას. მნიშვნელოვანია ის

გარემოება, რომ მოსარჩელეს მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსათვის საქმის განხილვის ეტაპზე არ წარუდგენია.

განსახილველი დავის საგნის გათვალისწინებით, ვინაიდან მხარე მოთხოვნას დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობაზე ამყარებს, მოცემული დავის მარეგულირებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი წარმოადგენს. დასახელებული ნორმის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამდენად, იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება – ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი – ზიანი და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ნორმის შემადგენელ აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთან, ზიანის არსებობის ფაქტისა და ამ ზიანის სწორედ მოპასუხის ბრალეული ქმედებით გამომწვევის მტკიცების ტვირთი პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს. ამავე კოდექსის 412-ე მუხლით დადგენილია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

ზიანის ფაქტის არსებობისა და ამ ზიანის მოპასუხის მიერ მიყენების ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველსა და მე-3 ნაწილებზე. მითითებული ნორმების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, მოსარჩელე ვალდებულია, სათანადოდ დასაბუთოს მისი მოთხოვნის მართებულობა, რაც მან ამ მოთხოვნის დამადასტურებელი, კანონშესაბამისი და უტყუარი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის გზით უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ მხოლოდ ზეპირი მითითებით არ შემოიფარგლოს. ამავე კოდექსის მე-4 მუხლით კი დაწესებულია, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამგვარად, მოსარჩელე, ერთი მხრივ, ვალდებულია დაადასტუროს მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა და, მეორე მხრივ, მას აქვს მტკიცებულებათა წარდგენის აბსოლუტური თავისუფლება, რაც სადავო ფაქტებს დაადასტურებს.

მნიშვნელოვანია იმ გარემოებაზე მითითება, რომ მოსარჩელეს მისი მოთხოვნა ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად არ დაუსაბუთებია, ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც საქმეშია წარმოდგენილი, ექსპერტის დასკვნაა და იგი უარყოფს სარჩელის საფუძვლიანობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ ექსპერტის დასკვნას. მათივე თხოვნით ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება სასამართლო სხდომაზე. მხარეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, ხოლო დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს არც ექსპერტიზის დასკვნის ეტაპზე და არც ექსპერტის დასკვნის გამოკვლევისას მოტივირებული შენიშვნებით არ მიუმართავს სასამართლოსათვის, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 162-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე. პალატა თვლის, რომ სასამართლომ არსებული ვითარების გათვალისწინებით, სწორედ ამ კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად შეაფასა საქმის საკვანძო და ერთადერთი მტკიცებულება, რომლითაც სარჩელის მართებულობა გამოირიცხა. ამასთანავე, საქმის მასალებითვე დადასტურებული ის გარემოება, რომ მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხის სახურავიდან წვიმისა და თოვლის წყლის ჩამოსვლითა და მ. შ-ის მიერ სარდაფის მოწყობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა (იხ. 2010 წლის 18 მარტის სხდომის ოქმი, მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება), რაც თავისთავად გამოირიცხავს ს. მ-ის მიერ საკასაციო საჩივარში ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მითითებული პრეტენზიების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ს. მ-ის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ ს. მ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებები

ბების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული, მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება საკასაციო პალატის მიერ მტკიცებულებათა საქმისათვის დართვაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორ ს. მ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. ს. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინება.
3. ს. მ-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები.
4. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 8 აპრილის განჩინებით კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-457-433-2012

20 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. კ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. წ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ჯანმრთელობის აღსადგენად დახარჯული 15 000 ლარისა და მიუღებელი შემოსავალის – 6 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ვ. წ-ს ბ. კ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანისათვის დაეკისრა 13 413,57 ლარის გადახდა, სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ვ. წ-ს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 402 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. წ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. წ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ასევე ვ. წ-ისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. წ-ს ბ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 9540,57 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივნისის განჩინებით ვ. წ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის III ნაწილით და სასჯელის ზომად და სახედ განესაღღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. 2008 წლის 21 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ვ. წ. მთლიანად გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან. ვ. წ-ს 6 თვის ვადით ჩამოერთვა ავტომატური მართვის უფლება. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის

ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივნისის განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში.

განაჩენის თანახმად, 2008 წლის 7 აპრილი ვ. ნ-ის საკუთრებაში არსებული და მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანა „მერსედესი“ სახელმწიფო №...- ..., რომელშიც იმყოფებოდა მოსარჩელე ხ. კ-ი, წყნეთის გზაზე შეეჯახა ელექტროგანათების ბოძს. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა ხ. კ-ი, რომელმაც მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება, რაც გამოიხატა იმაში, რომ მას აღენიშნებოდა: ჰემოპნევმოთორაქსი, წელის პირველი მალის მოტეხილობა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა, კანქვეშა სისხლჩაქცევები სხეულზე.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ იკვეთებოდა ზიანის მიმყენებლის მართლწინააღმდეგო ქმედება, დამდგარი ზიანი და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხე ვ. ნ-ის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრით სადავო იყო ზიანის ოდენობა.

აღნიშნულთან მიმართებაში საქმის მასალების თანახმად, პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ მიერ 25.08.2011 წელს გაცემული ცნობის თანახმად, ხ. კ-ი 2008 წლის 7 აპრილიდან - 30 მაისამდე მკურნალობას გადიოდა შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ რეანიმაციის განყოფილებაში. კლინიკის მიმართ დავალიანებამ 2011 წლის 25 აგვისტოსათვის შეადგინა 9 540,57 ლარი.

მოსარჩელის მიერ დამატებითი ხარჯების განკვეთის დამადასტურებელ მტკიცებულებად სარჩელს ერთვის სხვადასხვა მედიკამენტების შეძენის დამადასტურებელი ქვითრების ასლები.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ქვითრების ასლების საფუძველზე დადგენილი გარემოება, რომ ხ. კ-ის მკურნალობის ხარჯებმა, რაც მისმა ოჯახის წევრებმა გადაიხადეს, შეადგინა 3 873 ლარი, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით არ დგინდებოდა ზემოაღნიშნული ქვითრებით მოხდა თუ არა უშუალოდ ხ. კ-ის ჯანმრთელობის აღსადგენად საჭირო მედიკამენტების შეძენა, მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ქვითრების ასლები არ იყო საკმარისი მტკიცებულება დამატებითი თანხების ასანაზღაურებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებული მატერიალური ზიანის ოდენობამ შეადგინა 9 540,57 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 992-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო მოპასუხე ვ. ნ-ის მართლწინააღმდეგო ქცევა, ამით მიყენებული ზიანი, ბრალი, ასევე მიზეზობრივი კავშირი მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმებულიყო და ამ ნაწილში ახალი გადანყვეტილებით მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა საქმის მასალებით დადასტურებული ზიანის ანაზღაურება 9 540,57 ლარის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მკურნალობის განმახორციელებელი კლინიკა არ ითხოვდა მკურნალობის თანხას და ამასთან კლინიკის მიერ უკვე გაშვებული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, აღნიშნული თანხის გადახდა არ უნდა დაკისრებოდა ვ. ნ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, ზოგადად, ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა, ამასთან, ხანდაზმულობის ვადის გასვლა კი არ აქარწყლებს მოთხოვნას, არამედ მას განუხორციელებლად აქცევს. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოს ხანდაზმულობის საკითხის გამოკვლევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სადავოდ მხარე ხდის. პალატამ განმარტა, რომ დასხელებულ დავაში განხილვის ანუ დავის საგანი იყო ხ. კ-ის მიერ აღძრული სარჩელი დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე და ხ. კ-ის სარჩელის საფუძვლიანობის შემონმებისას სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდებოდა შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ მიერ ხ. კ-ის მიმართ არსებული მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ნ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

კასატორის აზრით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის გამოყენებით, ვინაიდან ვ. ნ-ის ქმედებით ხ. კ-ისათვის მიყენებული ზიანი – ჯანმრთელობის დაზიანება, აღდგა სრულად, რაშიც კ-ს არ დაუხარჯავს თანხა, უსაფუძვლოა ვ. ნ-ისათვის თანხის დაკისრება, ვინაიდან ზიანის ანაზღაურება მიმართულია დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენისაკენ, ხ. კ-ს კი, ჯანმრთელობა ისე აღუდგა სრულად, რომ მას მატერიალური ზარალი თანხობრივად არ განუცდია, ანუ სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ხ. კ-მა მიადგა ქონებრივი ზიანი 9 540,57 ლარი, არ არის დადასტურებული საქმის მასალებით და არ შეესაბამება სინამდვილეს, მან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიიღო ზიანი სხეულის დაზიანების სახით, რომელიც დღეისთვის აღდგენილი სრულად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადანყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ნ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2012 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის მოსარჩელე ბ. კ-ის სასარგებლოდ 9 540,57 ლარის ანაზღაურება, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივნისის განაჩენით ვ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის III ნაწილით და სასჯელის ზომად და სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. 2008 წლის 21 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ვ. ნ-ი მთლიანად გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან. ვ. ნ-ს 6 თვის ვადით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივნისის განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში.

განაჩენის თანახმად, 2008 წლის 7 აპრილს ვ. ნ-ის საკუთრებაში არსებული და მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანა „მერსედესი“ სახელმწიფო №...- ..., რომელშიც იმყოფებოდა მოსარჩელე ბ. კ-ი, წყნეთის გზაზე შეეჯახა ელექტრო განათების ბოძს. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა ბ. კ-ი, რომელმაც მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება, რაც გამოიხატა იმაში, რომ მას აღენიშნებოდა: ჰემოპნევმოთორაქსი, წელის პირველი მალის მოტეხილობა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა, კანქვეშა სისხლჩაქცევები სხეულზე.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ზიანის მიმყენებლის მართლწინააღმდეგო ქმედება, დამდგარი ზიანი და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხე ვ. ნ-ის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრით სადავო იყო ზიანის ოდენობა.

აღნიშნულთან მიმართებით, საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალია, რომ შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ მიერ 25.08.2011 წელს გაცემული ცნობის თანახმად, ბ. კ-ი 2008 წლის 7 აპრილიდან – 30 მაისამდე მკურნალობას გადიოდა შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ რეანიმაციის განყოფილებაში. კლინიკის მიმართ დავალიანებამ 2011 წლის 25 აგვისტოსათვის შეადგინა 9 540,57 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებული მატერიალური ზიანის ოდენობამ შეადგინა 9 540, 57 ლარი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ვ. ნ-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მკურნალობის განმახორციელებელი კლინიკა არ ითხოვს მკურნალობის თანხას, აღნიშნული თანხის გადახდა არ უნდა დაეკისროს ვ. ნ-ს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს 9 540, 57 ლარის დავალიანების დამდგენ მტკიცებულებაზე, რომლის თანხმად კლინიკის მიმართ ბ. კ-ის დავალიანება შეადგენს 9 540, 57 ლარს. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის საკითხი, რომ აღნიშნული თანხა ბ. კ-ს არ გადაუხდია, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობა კლინიკამ განახორციელა. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ არც საქმეში მოიპოვება მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-მ“ მოითხოვა ბ. კ-ისაგან ამ თანხის გადახდა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ისმის კითხვა, რამდენად შესაძლებელია 9 540, 57 ლარი მივიჩნიოთ ზიანად მაშინ, როდესაც ბ. კ-ს არ გაუღია ეს თანხა და არ არსებობს შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ მოთხოვნა ბ. კ-ისადმი ამ თანხის გადახდის თაობაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დაზარალებულს უფლება აქვს, მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება. განსახილველი დანაწესების თანახმად ზიანს წარმოადგენს მკურნალობისათვის გაცდილი დანაკარგები. ანუ, დაზარალებულის მიერ მკურნალობისათვის უკვე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. გამონაკლისს წარმოადგენს განსახილველი მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მკურნალობის განხორციელებამდე დაზარალებულს ეძლევა მკურნალობის ხარჯების მოთხოვნის უფლება. განსახილველი ფაქტობრივი სიტუაციის მიხედვით 9 540, 57 ლარი ის თანხაა, რომელიც არ გაუღია დაზარალებულს და არც მისი წინასწარ მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს, რადგან ეს თანხა წარმოადგენს მკურნალობის შედეგს, რომლის თაობაზე, საქმეში არსებული მასალების თანახმად, მოთხოვნა კლინიკას არ გააჩნია.

ასევე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს სხვადასხვა სახის ზიანის ინსტიტუტს, მათ შორის რეალურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მიუხედავად იმისა, რომ ეხება მიუღებელ შემოსავალს ანაზღაურების ინსტიტუტს, მიგვითითებს იმაზე, რომ ზიანს შეიძლება წარმოადგენდეს ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი და მიუღებელი შემოსავალი. კონკრეტული სადავო ურთიერთობის ფარგლებში განმარტებას მოითხოვს ზიანი, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი.

ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, წარმოადგენს დადებით, ანუ მატერიალურ ზიანს, რაც ხელყოფის, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების (და ა.შ.) შედეგია.

იმის გათვალისწინებით, რომ ბ. კ-ს არ გაუწევია 9 540, 57 ლარის ხარჯი და, არც მის მიმართ არ დგინდება შპს „აკად. ნ. ყ-ის ს. ც. ს. კ-ის“ მოთხოვნის არსებობა, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ადგილი არა აქვს ბ. კ-ის აქტივების შემცირებას, ასევე მისი ვალდებულებების (პასივების) გაზრდას. შესაბამისად, 9 540, 57 ლარი არ წარმოადგენს ფაქტობრივად დამგარ დანაკლისს (რეალურ ზიანს). ქონებრივი ზიანის თავისებურებების გათვალისწინებით, ფულადი ანაზღაურების მიზანია დაზარალებული მხარის ქონებრივი დანაკარგების კომპენსაცია, ხოლო 9 540, 57 ლარი არ წარმოადგენს ბ. კ-ის ქონებრივ დანაკარგს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, მონინალმდევე მხარე ბ. კ-ს ვ. ნ-ის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 477 ლარის გადახდა.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე დართულ მტკიცებულებას, პალატა თვლის, რომ ის უნდა დაუბრუნდეს კასატორს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება საკასაციო პალატის მიერ მტკიცებულებათა საქმისათვის დართვაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 3 ფურცლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 იანვრის გადანყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. ბ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მონინალმდევე მხარე ბ. კ-ს ვ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 477 ლარის გადახდა;
5. კასატორს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 3 ფურცლად.
6. გადანყვეტილება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

მორალური ზიანის ანაზღაურება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1156-1176-2011

20 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა ნ. ს-ა-შ-ემ სს „თ-ის“ მიმართ და მოითხოვა: სს „თ-ისათვის“ შვილის – ბ. შ-ის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებლად 15000 აშშ დოლარის დაკისრება; სს „თ-ისათვის“ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებლად 15000 აშშ დოლარის დაკისრება; სს „თ-ისათვის“ მკურნალობისათვის გაწეული და სამომავლოდ გასანევი ხარჯების ანაზღაურების დაკისრება; სს „თ-ისათვის“ მატერიალური ზიანის – 12000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ს-ა-შ-ის სარჩელზე სს „თ-ის“ მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიღებულ იქნა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება. დადგენილ იქნა, რომ ბ. შ-ის გარდაცვალება წარმოადგენს სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც ნ. ს-ა-შ-ეს მიაღდა მორალური ზიანი. დადგენილ იქნა, რომ ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება წარმოადგენს სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც ნ. ს-ა-შ-ეს მიაღდა მატერიალური და მორალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „თ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით სს „თ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ივნისის წინასწარი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილ იქნა, რომ ბ. შ-ის გარდაცვალება წარმოადგენს სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც ნ. ს-ა-შ-ეს მიაღდა მორალური ზიანი (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი) და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ბ. შ-ის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 2003 წლის 13 მაისს 14¹⁵ საათზე ქ. თბილისში, ყ-ას ქ. №12-ში საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე გაჩნდა ხანძარი, რომლის შედეგად დაზიანდა (დაიწვა) ნ. ს-ა-შ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

თბილისში, ყ-ას ქ. №12-ში მცხოვრებ მოზინადრეებს ელექტროენერგია მიენოდებოდათ სს „თ-ის“ ქვესადგურ მ-ის №7 ფიდერიდან.

შემთხვევის დღეს, სარემონტო სამუშაოების გამო, №7 ფიდერი გარკვეული პერიოდულობით რამდენჯერმე ჩაირთო და გამოირთო. ამასთან, მალაღმა ძაბვამ გამოიწვია მოკლე ჩართვა და შემდგომ გაჩნდა ხანძარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 23.05.2008 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ბინაში გაჩენილი ხანძარი გამოწვეულია მოპასუხე ორგანიზაციის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით, კერძოდ, ხანძრის გამომწვევი მიზეზი გახდა სს „თ-ის“ მიერ უხარისხო პროდუქციის – ელექტროენერგიის მიწოდება.

ხანძრის შედეგად განადგურდა ნ. ს-ა-შ-ის მოძრავი ნივთები და დაზიანდა მისი კუთვნილი ბინა, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სს „თ-ის“ ნ. ს-ა-შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საცხოვრებელი სახლის აღდგენისთვის განკუთვნილი და გასაწევი ხარჯის – 40012 ლარისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნივთების განადგურებით მიყენებული ზიანის – 7250 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ქ. თბილისში, ყ-ას ქ. №12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ნ. ს-ა-შ-ე ცხოვრობდა ქალიშვილთან – ბ. შ-ესთან და შვილიშვილებთან – კ. ხ-ესთან, კ. ხ-ესთან და ნ. ხ-ესთან ერთად.

ხანძრის შემდეგ ნ. ს-ა-შ-ე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში, აღნიშნული დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ;

ბ. შ-ეს 2002 წლის 30 ივლისს კ. ჩ-ას სახ. პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში კლინიკური გამოკვლევებით დაუდგინდა საშვილოსნოს მიომის და საკვერცხეების კისტოზური პროცესის არსებობა, რის გამოც გაუკეთდა ოპერაცია – საშვილოსნოს ექსტირპაცია ორივე დანამატთან ერთად. ოპერაციული მასალის ჰისტოპათოლოგიური შესწავლით გამოვლინდა საკვერცხეების პაპილარული ადენოკარცინომა. პათოლოგიური პროცესი ექვემდებარებოდა სპეციალიზებულ ონკოლოგიურ მკურნალობას, რის გამოც ბ. შ-ე იმყოფებოდა ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში საექიმო მეთვალყურეობის ქვეშ და უტარდებოდა ქიმიო და სხივური თერაპია. 2004 წლიდან მოცემულია ავთვისებიანი პათოლოგიური პროცესის უარყოფითი დინამიკა ბ. შ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებით. ბ. შ-ე გარდაიცვალა 2005 წლის 22 ივლისს.

ნ. ს-ა-შ-ეს 1989 წლის დეკემბერში დაუდგინდა შემდეგი დიაგნოზები: ჰიპერტონული დაავადება II; გულის იშემიური დაავადება; ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი. 2003 წლის შემდგომ პერიოდში მას განუვითარდა გულის მძიმე პათოლოგია მოციმციმე არითმიისა და მასთან დაკავშირებული გულის შორსნასული უკმარისობის სახით. 2007 წლის იანვარიდან ის დაავადებულია II ტიპის შაქრიანი დიაბეტით, 2009 წლის ივნისისათვის გულ-სისხლძარღვთა დაავადების დიაგნოზია: გულის ქრონიკული იშემიური დაავადება; მოსვენებისა და დაძაბვის სტენოკარდია; ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი; გულის უკმარისობა III ფუნქციური კლასი; მოციმციმე არითმია; ჰისის კონის მარცხენა ტოტის არასრული ბლოკადა; II ტიპის შაქრიანი დიაბეტი დეკომპენსირებული. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მოსარჩელე სისტემატურად მკურნალობდა სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში.

ნ. ს-ა-შ-ის სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ 13.05.2003 წელს ნ. ს-ა-შ-ის საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი, მასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი და ხანძრის გამო გამოწვეული

უარყოფითი ფაქტორები: უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალეები, საფუძვლად დაედო ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას და ამჟამინდელ მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასევე მისი ქალიშვილის, ბ. შ-ის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, ონკოლოგიური დაავადების რეციდივს და საბოლოოდ მის გარდაცვალებას. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ დავის გადასაწყვეტად უნდა დადგენილიყო: 13.05.2003 წელს საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი (მასთან დაკავშირებული ფსიქო-ემოციური სტრესი) და ხანძრის გამო გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები (უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალეები) წარმოადგენდა თუ არა ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის გაუარესებისა და ბ. შ-ის გარდაცვალების გამომწვევ შედევს და შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ბ. შ-ის ავადმყოფობის ისტორიაში მითითებული ონკოლოგიური დაავადების რეციდივი დამდგარიყო გარე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე.

ზემოაღნიშნული საკითხების დადგენის მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 19.11.2010 წლის განჩინებით წინამდებარე საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 26.01.2011წ. №5-001535-2011 მომართვით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას გადმოგზავნა სამედიცინო ექსპერტ კ. ა-ის უარი ბ. შ-ის გარდაცვალების ფაქტზე აღნიშნული სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე იმ დასაბუთებით, რომ ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო იყო გვამის გამოკვლევის ექსპერტის დასკვნა, რაც წარმოდგენილი არ არის. სამედიცინო ექსპერტის განმარტებით, დასკვნა არ არის რეგისტრირებული სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის გვამების სარეგისტრაციო ფურნალში, ვინაიდან გვამი არ გამოკვლეულა სასამართლო სამედიცინო წესით და არ არის დადგენილი სიკვდილის მიზეზი, რის გამოც ექსპერტიზა ვერ შესრულდა.

სააპელაციო პალატას მიიჩნია, რომ თავად მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვ-ის“ №28/კ დასკვნა, რომელსაც დაეყრდნო პირველი ინსტანციის სასამართლო ბ. შ-ის გარდაცვალების მიზეზად სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების მიჩნევისას, არ იყო საკმარისი მტკიცებულება იმის დასადგენად, რომ 13.05.2003 წელს საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი (მასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი) და ხანძრის გამო გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები (უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალეები) წარმოადგენს ბ. შ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების და ამის შედეგად მისი გარდაცვალების გამომწვევ უშუალო შედეგს.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე მითითებით და იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მიზეზობრივ კავშირს სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს – ბ. შ-ის გარდაცვალებას შორის, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული სს „თ-ისათვის“ ბ. შ-ის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 15000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში ნ. ს-ა-შ-ის სარჩელზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

რაც შეეხება გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა, რომ ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება წარმოადგენდა სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც ნ. ს-ა-შ-ის მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი, პალატამ მიიჩნია, რომ იგი უცვლელად უნდა დარჩენილიყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 01.04.2011წ. №692/40 დასკვნისა და სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი „ვ-ის“ №29/კ დასკვნის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ 13.05.2003 წელს ნ. ს-ა-შ-ის საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი (მასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი) და ხანძრის გამო გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები (უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალეები, ქრონიკული სტრესული სიტუაცია) სხვა ფაქტორებთან ერთად (ასაკი, 2003 წლამდე დიაგნოსტირებული კარდიოლოგიური პათოლოგიის ბუნებრივი პროგრესირება, გენეტიკური წინასწარგანწყობა და ა.შ.) წარმოადგენს ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის გაუარესებისა და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის განვითარების ერთ-ერთ მიზეზს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის გაუარესებაში და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის განვითარებაში 13.05.2003 წელს ნ. ს-ა-შ-ის საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძართან (მასთან დაკავშირებული ფსიქო-ემოციური სტრესი) და ხანძრის გამო გამოწვეულ უარყოფითი ფაქტორებთან (უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალეები, ქრონიკული სტრესული სიტუაცია) ერთად მონაწილეობდნენ სხვა ფაქტორებიც (ასაკი, 2003 წლამდე დიაგნოსტირებული კარდიოლოგიური პათოლოგიის ბუნებრივი პროგრესირება, გენეტიკური წინასწარგანწყობა და ა.შ.) განმსაზღვრელი იყო მოთხოვნის მოცულობის (ოდენობა) დადგენისას და არ შეიძლება მიჩნეულიყო აღნიშნულ ნაწილში სარჩელზე საერთოდ უარის თქმის საფუძველად.

აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 413-ე მუხლებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სს „თ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 08.06.2010 წლის წინასწარი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა, რომ ბ. შ-ის გარდაცვალება წარმოადგენდა სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც ნ. ს-ა-შ-ის მიადგა მორალური ზიანი (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი) და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით არ უნდა დაკმაყოფი-

ლებულიყო სარჩელი ბ. შ-ის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 08.06.2010 წლის წინასწარი გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში გაუქმებას არ ექვემდებარებოდა.

ამასთან, სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლზე მითითებით და იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა ბ. შ-ის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი, მიიჩნია, რომ დასახელებული ნორმის თანახმად, უქმდება გასაჩივრებული წინასწარი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილ იქნა, რომ ბ. შ-ის გარდაცვალება წარმოადგენს სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც ნ. ს-ა-შ-ის მიადგა მორალური ზიანი და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ამ ნაწილში ერთიანად არ კმაყოფილდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „თ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი სს „თ-ის“ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და განსხვავებული ვერც სასამართლოს ინიციატივით დანიშნულმა ექსპერტიზამ დაადგინა, სასამართლომ მაინც დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის გაუარესება წარმოადგენდა თ-ის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედების შედეგს, თუმცა რაში გამოიხატა აღნიშნული ქმედება და როგორ უკავშირდება იგი დამდგარ შედეგს, გადაწყვეტილებაში ამასთან დაკავშირებით არაფერია ასახული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ უდავო ფაქტებზე, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 23.05.2008 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 2003 წლის 13 მაისს, 14¹⁵ საათზე, ქ. თბილისში, ყ-ას ქ. №12-ში საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე გაჩნდა ხანძარი, რომლის შედეგად დაზიანდა (დაინვა) ნ.ს-ა-შ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

თბილისში, ყ-ას ქ. №12-ში მცხოვრებ მოზინადრეებს ელექტროენერგია მიეწოდებოდათ სს „თ-ის“ ქვესადგურ მ-ის №7 ფიდერიდან.

შემთხვევის დღეს, სარემონტო სამუშაოების გამო, №7 ფიდერი გარკვეული პერიოდულობით რამდენჯერმე ჩაირთო და გამოირთო. ამასთან, მაღალმა ძაბვამ გამოიწვია მოკლე ჩართვა და შემდგომ – ხანძარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 23.05.2008 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ბინაში გაჩენილი ხანძარი გამოწვეულია მოპასუხე ორგანიზაციის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით, კერძოდ, ხანძრის გამომწვევი მიზეზი გახდა სს „თ-ის“ მიერ უხარისხო პროდუქციის – ელექტროენერგიის მიწოდება.

ხანძრის შედეგად განადგურდა ნ. ს-ა-შ-ის მოძრავი ნივთები და დაზიანდა მისი კუთვნილი ბინა, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სს „თ-ს“ ნ. ს-ა-შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საცხოვრებელი სახლის აღდგენისთვის განკუთვნილი ზიანის – 7250 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ამრიგად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დგინდება კასატორის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების შედეგად ნ. ს-ა-შ-ისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი.

კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს არა პირველადი ზიანი, არამედ – ნაწარმოები, უფრო ზუსტად, თუ რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ სადავოდ გამხდარი შედეგი ნაწარმოებ ზიანად. ამდენად, გასათვალისწინებელია ის, თუ რამდენად მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული წინაპირობები ნ. ს-ა-შ-ის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლიანობაზე.

ამისათვის უნდა განისაზღვროს მოსარჩელის მოთხოვნები და მოთხოვნის საფუძვლები, რაც სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად განსახილველი მოსარჩელის მოთხოვნები უკავშირდება ხანძრის მიერ ქონების განადგურების მიზეზით მის ჯანმრთელობის გაუარესებას და, აქედან გამომდინარე, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, ასევე მისი მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას (აღებული კრედიტი), შესაბამისად, აქედან გამომდინარე, მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

განვიხილოთ მითითებული ელემენტები ცალ-ცალკე.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაზე ვრცელდება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ამასთან ერთად, მატერიალური ზიანის ნაწილში არ არის გათვალისწინებული ყველა ის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც

ქმნიან მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების აუცილებლობას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტული ურთიერთობის თავისებურების გათვალისწინებით არ არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიული საფუძველი, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია ამ ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას. კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება განპირობებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.

სამართლის მიერ დაცული ერთ-ერთი სიკეთე, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა, კერძოდ, განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.

განსახილველი ნორმით დადგენილი შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგად დაზარალებულმა, ასევე განიცადა სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი. სხეულის დაზიანებას ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხელყოფს ადამიანის სხეულს ან ადამიანის ორგანიზმის შინაგან პროცესებს. განსახილველ შემთხვევაში პირველადი ზიანი გამოწვეული იყო სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით, რომლითაც ხელყოფილი იქნა ს-ა-შ-ის არა ჯანმრთელობა, არამედ – ქონება (კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება).

განსახილველი ნორმის ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა – ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ნორმის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაზე. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად და ა.შ., რაც ყოველად დაუშვებელია.

ამდენად, 13.05.2003 წელს საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი და ხანძრის გამო გამოწვეული ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორცაა უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალეები და ამ ფაქტორების შედეგად ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის გაუარესება არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ზუსტად იმის გათვალისწინებით, რომ სს „თ-ის“ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით ხელყოფილი იქნა არა ჯანმრთელობა, არამედ ქონება, არ შეიძლება მას დაეკისროს, ასევე მატერიალური პასუხისმგებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, კერძოდ, განსახილველი ნორმის გამოყენების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაურთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვის სარჩოს გადახდით.

როგორც უკვე აღინიშნა, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები (სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება, მის შედეგად შრომის უნარის დაკარგვა ან შემცირება, ანდა მისი მოთხოვნილებების გაზრდა), რომელშიც იგულისხმება ისეთი ქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანის სხეულის ან ადამიანის ორგანიზმის შინაგანი პროცესების წინააღმდეგ.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 01.04.2011 წლის №692/40 დასკვნისა და სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვ-ის“ №29/კ დასკვნის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ 13.05.2003 წელს ნ. ს-ა-შ-ის საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი (მასთან დაკავშირებული ფსიქო-ემოციური სტრესი) და ხანძრის გამო გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები (უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალეები, ქრონიკული სტრესული სიტუაცია) სხვა ფაქტორებთან ერთად (ასაკი, 2003 წლამდე დიაგნოსტირებული კარდიოლოგიური პათოლოგიის ბუნებრივი პროგრესირება, გენეტიკური წინასწარგანწყობა და ა.შ.) წარმოადგენს ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის გაუარესებისა და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის განვითარების ერთ-ერთ მიზეზს.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის გაუარესება და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის განვითარება განპირობებული იყო არა ს/ს „თ-ის“ მიერ ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობის ხელყოფით, არამედ მის საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად გამოწვეული ფსიქოსოციალური ფაქტორებით, რომლის არსებობის ფაქტი ასევე არ დასტურდება, როგორც სს „თ-ის“ უშუალო გამომწვევი შედეგი. ამდენად, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული წინაპირობები.

საკასაციო პალატა, ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს ნ. ს-ა-შ-ის ქონებრივ ზიანზე, რომელიც ეხება სადავო პერიოდში აღებულ კრედიტს (ვალებს), შესაბამისად, ამ ნაწილში გადაწყვეტილების შემოწმება შეუძლებელია, რაც უნდა გაუქმდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აუცილებელია ფაქტობრივი გარემოებების დიფერენცირება. სააპელაციო სასამართლო ერთიან კონტექსტში იხილავს ნ. ს-ა-შ-ის ჯანმრთელობისა და მისი სოციალური პირობების გაუარესების ფაქტორებს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ ნ. ს-ა-შ-ის იმ ქონებრივ ზიანზე, რომელიც ეხება სადავო პერიოდში მის მიერ აღებულ ვალებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, ამ ვალებზე მითითებით ნ. ს-ა-შ-ე ყურადღებას ამახვილებს, როგორც ფსიქოსტრესული სიტუაციის გამომწვევ მიზეზზე (რაც, როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია) თუ ასევე იმ ქონებრივ ზიანზე, რაც უნდა აანაზღაუროს სს „თ-მა“.

იმ შემთხვევაში, თუ ნ. ს-ა-შ-ეს მიერ ვალებზე (მის მიერ აღებული კრედიტზე) მითითება წარმოადგენს ქონებრივი დანაკლისის (ზიანის) მოთხოვნის საფუძველს, მაშინ უნდა გაირკვეს და დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებები ნ. ს-ა-შ-ის მიერ სადავო პერიოდში აღებული ვალების თაობაზე, კერძოდ, აღნიშნული ვალები რამდენად წარმოადგენს პირველადი ზიანის (ხანძრის შედეგად დამწვარი ქონება) ნაწარმოებ ზიანს, შესაბამისად, ეს უკანასკნელი რამდენად წარმოადგენს ხანძრის შედეგად გამოწვეული ზიანის უშუალო შედეგს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი).

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ ნაწილში სადავო ურთიერთობის განხილვისას რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა ლ ბ ი ნ ა :

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.